# კვირის პალიტრა

## ყოველკვირეული გაზეთი

№ 5 (250) ◆ 31 იანვარი - 6 თებერვალი, 2000 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.


### ადამიანთა გატაცებამ ბინძური ფულის მანქანა აამუშავა

გვ.5



რამაც ცნობილი აფხაზი ბანდიტის, ქართველებისადმი განსაკუთრებით აგრესიული ბოევიკის „მალიშას“ სიცოცხლე შეიწირა...

ვერსიები ენგურის ხიდიდან

### კავკასიელი ლიდერები პუტინის სახით ბოლო შანსს აძლევენ რუსეთს...

— თუ მოხდა სასწაული და რუსეთმა მოაგვარა აფხაზეთის საკითხი, ასეთი ძალისხმევას ფეხზე ადგომით და ტაშით უნდა შევეგებოთ... თუმცა დიდად მეეჭვება, რომ რუსეთს ამის სურვილი აქვს.

გვ.3

— რუსეთი ძნელად ურიგდება იმ ფაქტს, რომ რეგიონიდან დიდი ხნის გაგდებული თურქეთი ისევ ბრუნდება კავკასიაში მოთამაშედ და მონაწილედ.

*ალ. რონდელი*

— ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი დადებითად უნდა აფასებდეს, ქართულმა მხარემ ევროსაბჭოდან რუსეთის გარიცხვას რომ არ მოაწერა ხელი...

*ჯიმი ჯალიაშვილი*

### როგორ დავმალოთ ჩვენი სირცხვილი

ერთი საკმაოდ ცნობილი (პოპულარული) ქართველი პიროვნების უცხოელი მეუღლე, რომელსაც „ცნობილი პიროვნება“ სასტიკად უკრძალავს ინტერვიუების მიცემას, ძნელად, მაგრამ მაინც დაითანხმა ჩვენმა კორესპონდენტმა საუბარზე და არცთუ ჩვენთვის სასიქადულო ამბები მოისმინა. გვ.6

### ყველაზე გაცვეთილი და ყველაზე მომაბეზრებელი კითხვა — მაინც როდის გვექნება შუქი?

გვ.5



— 24 საათიან შუქის მიწოდებას არჩევნებამდე — 9 აპრილამდე ვერავის შევპირდებით...

*დავით მირცხულავა*

(იმედი ნუ მოგვიშალოს ღმერთმა)

### რას წერენ ჩვენზე — როგორ გადაარჩინეს რუსებმა შევარდნაძე

აფხაზთა სამხედროები ახლაც გაკვირვებულნი არიან, როგორ შექმნა ერთადერთმა რუსულმა სადესანტო გემმა ასეთი პანიკა, რითაც შევარდნაძის პილოტებმა ისარგებლეს და თავიანთი იაკ-40 ააფრინეს. გვ.12

### თვალსაზრისი



ჩვენი უახლესი ისტორიის პარადოქსები

9 აპრილის მოვლენების ახლებური შეფასება... გვ.7

### დაბადების დღის საჩუქარი პრეზიდენტს...

*მკითხველის წერილი* გვ.27

### ვერსია: საზარელი მკვლელობა მთაწმინდის პანთეონთან...

...პანთეონისკენ მიმავალი გზის ზედა ნაწილში საზარელი სურათი ვიხილეთ — სამი ახალგაზრდა გოგონა სისხლის გუბეში ცურავდა... ერთ-ერთი ისევ სუნთქავდა... ფილარმონიამდე სანამ მივაღწიეთ, გოგონამ სული დალია.

ყველაფერი ეჭვმიტანილებზე, ძიებასა და მკვლელზე. გვ.10

### თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!

თქვენი დახმარებით „კვირის პალიტრა“ უფრო უკეთესი და საინტერესო გახდება. გთხოვთ, აუცილებლად შეავსოთ და გამოგვიგზავნოთ 23-ე გვერდზე დაბეჭდილი კითხვარი.

### რუბრიკის დებიუტი — „რას გვეტყვი, მამაო“...

ეკლესიის მამათა პასუხები თქვენთვის საინტერესო კითხვებზე. გვ.12



### ტაისონი ისევ დაბრუნდა...

ფოტოზე: „რკინის მაიკმა“ ინგლისელი ფრენსისი II რაუნდის პირველივე წუთზე დააჩოქა... გვ.26

### „ნაგრძანები გვაქვს ბასაევის განადგურება საპრეზიდენტო არჩევნებამდე“ —



საიდუმლო გასცა საქმეში კარგად ჩახედულმა პირმა... გვ.18

### მსოფლიო ყურს უგდებს



14 წლის ბიჭის ნათქვამს მრავალი ქვეყნის პირველი პირი უგდებს ყურს. მის მოულოდნელ გადასვლას ჩინეთს დაქვემდებარებული ტიბეტიდან ინდოეთში პოლიტიკური კრიზისის გამოწვევა შეუძლია.

*ტიბეტური ბუდიზმის იერარქიის მესამე პირი – კარმაპა-ლამა.* გვ.19

### სილუეტები ათასწლეულისა

— ბაგრატ დიდი მოძღვარს უმხელს თავის ჩანაფიქრს — თემურ ლენგი გამაჰმადიანებულს მომენდობა და სული უნდა გავწიროო... გვ.25


**ფირმა „ბერმუხა“**



ბრტყელი სახურავების, საძირკვლების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გარანტია 10 წელი.

წერეთლის გამზ. №55, ბინა №53

☎96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50


### საკვირაო ტელე-კინოგიდი



31 იანვარი – 6 თებერვალი

გვ. 14-15


**შპს „ევროამერიკან“-ი გთავაზობთ მეორადი მოხმარების კომპიუტერებს IBM 486 და Pentium.**

კომპლექტში: სისტემური ბლოკი, მონიტორი და კლავიატურა

ფასი 119$ და 191$ ეკვივალენტი ლარებში

მის: ფიროსმანის ქ. №23

☎94-28-33



Неделя
КОММАНДОС
ЧАСТНАЯ ЖИЗНЬ
ТЕЛОХРАНИТЕЛЬ
За РУБЕЖОМ
МОСКОВСКИЕ НОВОСТИ
Newsweek
FOCUS
Общая газета
DER SPIEGEL
КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА
stern
СЕГОДНЯ
КАЮКВА
ИЗВЕСТИЯ
ТРУД
СОВЕРШЕННО СЕКРЕТНО
АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ
Иностранец
LE FIGARO magazine
PARIS MATCH
ТВ ПАРК
ЛИЦА
ОГОНЕК
daily
Le Nouvel Observateur
ИТОГИ


## თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!

## პუტინი „საქმის კურსში" არ ყოფილა

დსთ-ის მორიგ სამიტზე, რომელიც „ღირსშესანიშნავი" მხოლოდ იმით იყო, რომ პენსიაში გასული ელცინის ნაცვლად, „თანამეგობრობის ახალ ლიდერად ელცინის მემკვიდრე და გაპრეზიდენტებული პუტინი აირჩიეს „ერთხმად" (არადა პროტოკოლის მიხედვით, დსთ-ის ლიდერთა სამიტის თავმჯდომარეობა რიგით ყირგიზეთის პრეზიდენტს ეკუთვნოდა... მან მოხსნა თავისი კანდიდატურა), შეიძლება ითქვას, რომ ერთგვარ მოთელვას წარმოადგენდა და დსთ-ის წევრი ქვეყნების პრეზიდენტებმა „კბილი" მოუსინჯეს პუტინს; ხოლო თუ მათსა და შევარდნაძის განცხადებებს ვენდობით, „პუტინმა დატოვა თავდაჭერილი, საქმის მცოდნე და პარტნიორის მოსმენის უნარის მქონე კაცის შთაბეჭდილება"... მომავალი გვიჩვენებს, რამდენად თავდაჭერილი იქნება პუტინი საქართველოსთან მიმართებაში, მით უმეტეს, რომ ქართულმა მხარემ სამიტის დღის წესრიგიდან მოხსნა აფხაზეთის საკითხის განხილვა. პრეზიდენტ შევარდნაძის თქმით, ეს იმიტომ მოხდა, რომ ვლადიმირ პუტინი, ჯერჯერობით, „საქმის კურსში" არ არის და აფხაზეთის პრობლემას არ იცნობსო(!).

გასაგებია, რომ პუტინი შეიძლება ღრმად ვერ ერკვეოდეს აფხაზეთის პრობლემატიკაში, მაგრამ რუსეთის გენერალიტეტი ხომ კარგადაა გარკვეული ყველა „ნიუანსში"? ამასთან, დსთ-ის ლიდერთა წინა სამიტებზე მიღებული გადაწყვეტილებების თანახმად, უნდა გაფართოვდეს „სამშვიდობო ზონა" და ლტოლვილებს მიეცეთ საშუალება აფხაზეთში უსაფრთხო დაბრუნებისა, რაც სწორედ მოსკოვის მიზეზით არ განხორციელებულა, თორემ დსთ-ის სხვა ქვეყნებსა და პრეზიდენტებთან რომ პრობლემა არა გვაქვს ამ საკითხში, ეს დიდი ხანია ცნობილია. მოკლედ, შეიძლება ითქვას, რომ პუტინის „ხელში" დსთ ან განვითარდება, ან გარკვეული დროის მანძილზე ისეთივე დარჩება, როგორიც დღეს არის, ანუ არაფრის მაქნისი.

## არჩევნების განხილვა

სტრასბურგში, ევროპის საბჭოს 2000 წლის პირველი საპარლამენტო ასამბლეა გაიხსნა, სადაც ამ საერთაშორისო ორგანიზაციის ერთ-ერთ ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს მიხეილ სააკაშვილი! ასამბლეამ მოისმინა ჩვენთვის კარგად ცნობილი ტერი დევისის საგანგებო მოხსენება საქართველოში გამართული 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შესახებ, რომელიც ევროსაბჭოს დამკვირვებელთა მისიას ხელმძღვანელობდა ამ არჩევნებზე. ტერი დევისის ანგარიშს დადებითი შეფასება მიეცა და საპარლამენტო არჩევნები საქართველოში ევროსაბჭომ ოფიციალურად სცნო დემოკრატიულად და ლეგიტიმურად! საგულისხმოა, რომ დევისის მოხსენების დამთავრებისთანავე ტრიბუნაზე უნდა ასულიყო ქართული ოპოზიციის წარმომადგენელი ფრაქცია „აღორძინებიდან" ლალი პატარქალიშვილი, იმ ცნობილი პატარქალიშვილის ღვიძლი და, რომელიც „აჭარა-აშშ" თხილის ბიზნესის გახმაურებული სკანდალის შემდეგ გახდა ცნობილი ქართველი საზოგადოებისათვის. ევროსაბჭოში წარმოდგენილი ქართველ პარლამენტართა თქმით, ქალბატონი პატარქალიშვილი ევროსაბჭოს ტრიბუნიდან აპირებდა საქართველოში გამართული საპარლამენტო არჩევნების არადემოკრატიულობის შესახებ საუბარს, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, ასამბლეის სესიის რეგლამენტში მისი გამოსვლა არ იყო გათვალისწინებული...

## რისი იმედი აქვს ნათელაშვილს?

სტრასბურგში ევროსაბჭოს ასამბლეის სესიის დღეებში არ გამოჩენილა იქ „სამართლის გასაჩენად" მყოფი ექს-კავშირგაბმულობის მინისტრი ფრიდონ ინჯია, რომლის დაპატიმრებაზეც სანქციაა გაცემული (ბოროტი ენები ამბობენ, ინჯიას უკვე ინტერპოლიც ეძებსო...), სამაგიეროდ, სტრასბურგს ჩავიდა ქართველ ლეიბორისტთა ლიდერი და ინჯიას პარტიული ბოსი შალვა ნათელაშვილი, რომელიც არჩევნების შედეგების გაყალბების დამადასტურებელ დოკუმენტების წარადგენს ამ ორგანიზაციის შესაბამის სტრუქტურებში, თუმცა ძნელი სათქმელია, რამდენად გაითვალისწინებს ევროსაბჭო ლეიბორისტთა პრეტენზიებს იმ ფონზე, რომ თავად უკვე აღიარა საქართველოში გამართული არჩევნების დემოკრატიულობა.

## მაჭავარიანი „შავი ხვრელის" წინააღმდეგ

შემოსავლების მინისტრმა მიხეილ მაჭავარიანმა, ჩანს, სერიოზული ბრძოლა დაიწყო კონტრაბანდის წინააღმდეგ და პირველი დარტყმაც მაღლაკვლიძის უწყებაზე მიიტანა. მაჭავარიანის თქმით: სწორედ უწინარესად მაღლაკვლიძეს და გორის საბაჟოს ხელმძღვანელობას მოუწევს პასუხისგება ერგნეთიდან შემოსული გაუფორმებელი საქონლის გამო. ცნობილია, რომ ყოველთვიურად მარტო 5-7 ათასი ტონა კონტრაბანდული ბენზინი შემოდის ერგნეთიდან. თუ ამას დავუმატებთ კონტრაბანდულ სიგარეტს, ფქვილს, შაქარსა და სხვა აუცილებელი მოხმარების პროდუქციას, იოლი წარმოსადგენი იქნება, რამდენ მილიონ ლარს კარგავს ყოველთვიურად სახელმწიფო ბიუჯეტი, ამასთან, ეს აღურიცხავი პროდუქცია პირდაპირ ანგრევს ჩვენს შინაბაზარს, რის ხარჯზეც მხოლოდ რამდენიმე ათეული ჩინოვნიკი ივსებს საკუთარ ჯიბეს და სტომაქს! საბაჟო დეპარტამენტში ამბობენ, ეს არის „კონფლიქტის ზონა" და ჭირს კონტრაბანდისთან ბრძოლაო. მიშა მაჭავარიანი კი აცხადებს, რომ ერგნეთის მსგავსი „შავი ხვრელები" საქართველოში სხვაგანაც არსებობს, ხოლო ერგნეთი იგი „კონფლიქტის" კი არა, ოსურ-ქართული მაფიის ჯიბის გასქელების ზონად მიიჩნევს!

## ვის ელის მორიგი ნოკდაუნი!

საქართველოში კი გრძელდება ენერგეტიკული აჯაფსანდალი. დიდი რიხით გვაუწყეს, რომ მოეწყო თბილსრესის მე-10 ბლოკის გამოცდა და, რომ მისი ამუშავება სრული დატვირთვით ამ დღეებში მოხდება. ეი-ი-ეს თელასმა დაიწყო 120 მეგავატის შემოტანა სომხეთიდან, რითაც მხოლოდ თბილისის რამდენიმე უბანმა იხეირა და მხოლოდ იმიტომ, რომ მათი ენერგოსისტემა თურმე მიბმული ყოფილა სომხეთის ენერგოსისტემაზე(!). აი, დანარჩენები, ვინც საქენერგოს სისტემაზე ვართ მიბმულები, „ოფსაიტში" აღმოვჩნდით! შედეგიც სახეზეა: გრძელდება უშუქობით გამწარებულ თბილისელთა გამოსვლები ქუჩებში. გამსახურდიას გამზირის გადაკეტვისას მუშტი-კრივი გაიმართა „პროტესტანტებსა" და სამართალდამცავებს შორის, იგივე განმეორდა დიდ დიღომშიც, ხოლო ეი-ი-ეს თელასის ვაკის რაიონის ოფისში ნამდვილი ვესტერნული სიუჟეტი გათამაშდა. იქ მისულმა აბონენტებმა, რომელსაც მაიქლ სქოულის ქართველმა თანამოაზრეებმა, ანუ ინკასატორ-გამთიშველებმა ბინაში ელექტროენერგიის ხაზი გადაუჭრეს საფასურის გადაუხდელობის გამო, ნოკაუტში გაგზავნეს ეი-ი-ეს-ის ქართველი მენეჯერიც, გამთიშველებიც და ლამის მოლარეებიც მიაყოლეს ზედ! საერთოდ, ცნობილია, რომ უხარისხო ელექტროენერგიის გამო დიდად ზარალდება მოსახლეობა, რომელსაც ძვირად და ძვირი უჯდება გადამწვარი ელექტრონივთების შეკეთება. ბუნებრივია, რომ ეს ადამიანები თავიანთ სახლებში „ვიზიტით" მისულ ეი-ი-ეს თელასის ინკასატორ-გამთიშველებს ბუკ-ნაღარით ნამდვილად არ შეხვდებიან, ხოლო ის პროცესი, რომ დაიდოს ხელშეკრულება ეი-ი-ეს-სა და მოქალაქეებს შორის, ჯერჯერობით, ჩანასახის მდგომარეობაშია. ამიტომ წინ ახალ-ახალ ნოკაუტებსა და ნოკდაუნებსაც უნდა ველოდეთ!

## მართლმადიდებლური რელიგიის პრიორიტეტი

26 იანვარს საქართველოში მოქმედი ყველა ძირითადი რელიგიის მეთაურმა ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომელშიც სხვადასხვა რელიგიური კონფესიის წარმომადგენლები ადასტურებენ მართლმადიდებლური რელიგიის პრიორიტეტულ როლს საქართველოსთვის და აგრეთვე ისტორიული რელიგიის მნიშვნელობას კავკასიის ყოველი კონკრეტული ქვეყნისათვის. ამ ფაქტთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ საქართველოს საპატრიარქოს სამდივნოს წარმომადგენელს — **გიორგი ანდრიაძეს**:

— დოკუმენტს ხელს აწერენ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მხრივ მამა ზენონი (იარაჯული), სომხური სამოციქულო ეკლესიის მთავარეპისკოპოსი გევორქ სერაიდარიანი, კავკასიის მაჰმადიანთა მმართველობის სრულუფლებიანი წარმომადგენელი საქართველოში აჰუნდი ალი ალიევი, საეპისკოპოსო ვიკარი — პადრე გაბრიელე ბრაგანტინი. ქრისტიან-ბაპტისტთა ეკლესიების კავშირის პრეზიდენტი მალხაზ სონღულაშვილი. სამწუხაროდ, იუდაური რელიგიის წარმომადგენლები შეხვედრაზე საპატიო მიზეზით ვერ მოვიდნენ. შეხვედრას ასევე არ ესწრებოდნენ „იეღოვას მოწმეთა" წარმომადგენლები, ვინაიდან ისინი სახელმწიფოს განიხილავენ როგორც სატანისტურ მოვლენას, მონაწილეობას არ იღებენ საერთაშორისო რელიგიურ დიალოგებსა და გაერთიანებებში. დოკუმენტი თავისი მნიშვნელობით არის უპრეცედენტო შემთხვევა, როდესაც საქართველოში მოქმედი ყველა რელიგიის წარმომადგენელი თავისი ხელმოწერით ადასტურებს საქართველოში მართლმადიდებლური რელიგიისა და კავკასიის სხვა ქვეყნებში მათთვის ტრადიციული რელიგიის განსაკუთრებულ როლს. ხელმომწერთა აზრით, ეს არის გარანტი, როგორც საქართველოში, ასევე მთლიანად კავკასიის რეგიონში მშვიდობიანი რელიგიური თანაარსებობისა.

## ტეილორი საზღვრების დაცვას გვპირდება

საქართველოში სულეიმან დემირელის მიერ წამოყენებული ინიციატივის „კავკასიური პაქტის" დადების შესახებ ინფორმაციას დაუყოვნებლივ გამოეხმაურა ოფიციალური ვაშინგტონიც და თბილისში სასწრაფოდ მოავლინა აშშ პრეზიდენტისა და სახელმწიფო მდივნის სპეციალური მრჩეველი უილიამ ტეილორი. შევარდნაძე-ტეილორის მოლაპარაკებისას განიხილეს ჩეჩნეთის კონფლიქტში საქართველოს შესაძლო შუამავლობის საკითხი (საგულისხმოა, რომ ამით, როგორც ჩანს, ვაშინგტონიცაა დაინტერესებული...) და „კავკასიური პაქტის" იდეის რეალიზაციის პრობლემები. შევარდნაძის თქმით, ამ იდეის განხორციელება შესაძლებელი იქნება რეგიონის ქვეყნების და რუსეთის პრეზიდენტთა ორმხრივი შეხვედრების შემდეგ. ტეილორმა განუცხადა საქართველოს პრეზიდენტს, რომ აშშ კვლავაც აქტიურად დაეხმარება ჩვენს ქვეყანას საზღვრების, უწინარესად, ჩრდილო საზღვრის დაცვაში. საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტს უკვე მიაწოდეს რადიოგადამცემები და სხვა აღჭურვილობა.

## ნაირფერადი კოალიცია

შეიქმნა პოლიტიკურ პარტიათა ახალი კოალიცია, რომელშიც გაერთიანდნენ ლეიბორისტები, „მწვანეები", ილია ჭავჭავაძის საზოგადოება და ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი. ამას გარდა, კოალიციის წევრები გახდებიან ლუიზა შაკიაშვილი, ადა მარშანია, თამაზ მეჭიაური და ვახტანგ ბოჭორიშვილი. კოალიციის ერთ-ერთ ლიდერად მოიაზრება ბესო ჯუღელი, რომლის თქმითაც, ერთ კვირაში ოფიციალურად გამოცხადდება კოალიციის შემადგენლობა, გეგმები და მიზნები!

## ინტერნაციონალური აფერა?..

რუსთავში ახალი სკანდალური ფაქტი გახმაურდა. საქმე ეხება „თვითმკვლელს", ოღონდ საკმაოდ ჭკვიანსა და მიზანდასახულს: მოხდა კი ის, რომ ერთ-ერთმა ინგლისურმა სადაზღვევო კომპანიამ ემისრები გამოგზავნა რუსთავში იქ მცხოვრები უკრაინის მოქალაქის, ანჟელიკა ბირიუკოვას გარდაცვალების ფაქტის დასადასტურებლად. საქმე ის არის, რომ ბირიუკოვამ დუბაიში არსებულ ამ სადაზღვევო კომპანიის ფილიალში საკუთარი სიცოცხლე დააზღვია... 300 ათას დოლარად, რის შემდეგაც, ერთ-ერთი ვერსიით, ბირიუკოვამ თავისი გარდაცვალების იმიტაცია გაითამაშა: დუბაიში ჩაბრძანდა ანჟელიკას მეუღლე ვლადიმირ ვორონკოვი და სადაზღვევო კომპანიას ბირიუკოვას გარდაცვალების ცნობა წარუდგინა, მაგრამ კომპანია არცთუ ისე გულუბრყვილო აღმოჩნდა. დუბაიდან რუსთავში სასწრაფოდ ჩავიდა კომპანიის მენეჯერი და შეუდგა ბირიუკოვას სიკვდილის დამადასტურებელი დოკუმენტაციის მოძიებას. გაირკვა, რომ ბირიუკოვას სიკვდილის ცნობა სასამართლო ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე გასცა რუსთავის მოქალაქეთა მდგომარეობის რეგისტრაციის სამსახურმა, თუმცა პროკურატურა, ჯერჯერობით, ვერ ადგენს, იყო თუ არა რუსთავის მორგში ნამდვილი ბირიუკოვას გვამი. საქმე ის არის, რომ გასული წლის მარტში ამ მორგში მართლაც მიიტანეს უცნობი ქალის გვამი, რომლის „ჭირისუფალმა", ვიღაც აზერბაიჯანელმა მამაკაცმა განუცხადა ექიმებს, რომ ეს ქალი უკრაინიდან ჩამოსული სტუმარია და წინა საღამოს მის სახლში გამართული ქეიფისას ასფიქსიით გარდაიცვალა. საგულისხმოა, რომ ამ ფაქტზე არ აღძრულა არანაირი სისხლის სამართლის საქმე. გვამს ექსპერტიზა ყოველგვარი იურიდიული სანქციის გარეშე ჩაუტარეს, მეორე დღეს კი გვამის წასაღებად მისულმა იმავე აზერბაიჯანელმა პასპორტიც მიიტანა, რომელიც ანჟელიკა ბირიუკოვას ეკუთვნოდა. შესაბამისად, მიცვალებული სარეგისტრაციო წიგნში ამ გვარით გაატარეს. გვამი კი ღამით წაიღეს, როცა მორგში არავინ იყო(!). მოკლედ, ჯერჯერობით, გაურკვეველია მკვდარი ქალი ბირიუკოვაა თუ ვინმე უპატრონო მიცვალებული.

## თავიანთ ინტერესებს ხომ არ მკურნალობენ?!

ქართული ბედოვლათობის კიდევ ერთ შესანიშნავ დასტურად იქცა თბილისის აეროპორტის საბაჟოზე მომხდარი ამბავი: 250 ათასი დოლარის ღირებულების მედიკამენტები, რომლებიც ჰუმანიტარული დახმარების სახით გამოუგზავნა თბილისის ნევროლოგიის ინსტიტუტს გერმანიის ექიმთა თანამშრომლობის ასოციაციამ, საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრომ ქვეყანაში არ შემოუშვა და მედიკამენტებიც „დაპატიმრებულნი" აღმოჩნდნენ(!!!). სამინისტრო ამის მიზეზად იმას ასახელებს, რომ მედიკამენტების ერთი ნაწილი არ არის რეგისტრირებული საქართველოში... იმავე ჯანდაცვის სამინისტროში ირწმუნებიან, რომ რამდენიმე დასახელების მედიკამენტის შემოტანაზე ნებართვა გაცემული აქვთ და პრობლემას საბაჟო ქმნის. აი, აეროპორტის საბაჟო კი, რეგისტრირებული წამლების დაკავებას ჯანდაცვის სამინისტროს აბრალებს(!). ამასობაში კი გერმანელები აპირებენ მთელი ამ ტვირთის უკან წაღებას, არადა, იქ ბევრი ისეთი მედიკამენტია, რომელიც სასიცოცხლოდ აუცილებელია უწინარესად გულ-სისხლძარღვთა დაავადებების სამკურნალოდ, ნაწილი კი ანტიბიოტიკებია, რომლებიც ასევე აუცილებელია გრიპის ეპიდემიით მოცული საქართველოს მოსახლეობისათვის. საბაჟოს და ჯანდაცვის სამინისტროს, როგორც ჩანს, ეს სულაც არ ანაღვლებს! რატომ? იმიტომ ხომ არა, რომ 250 ათასი დოლარის მედიკამენტების ჰუმანიტარული, ანუ უფასო დარიგება ავადმყოფებისთვის დაარტყამდა ადგილობრივ „აფთიაქართა" ინტერესებს? კი მაგრამ, ღმერთის აღარ გეშინიათ?!

## დეტალებს არ ახმაურებენ

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობასთან დაკავშირებით იანვარში მიმდინარე მოლაპარაკება თებერვლისათვის გადაიდო. დეტალებს მხარეები არ ახმაურებენ. ცნობილი გახდა, რომ სატარიფო შემოსავლებზე საუბრის გადატანა აზერბაიჯანელთა მოთხოვნით მას შემდეგ დაიწყება, როცა საბოლოოდ დასრულდება ნავთობსადენის ტერიტორიის ქვეყნების ხელშეკრულების ტექსტზე მუშაობა. მაღალ სატრანზიტო ტარიფებზე საქართველოს სერიოზული პრეტენზია აქვს და რამდენიმე ვარიანტს ამუშავებს. ერთ-ერთის მიხედვით, საქართველო თურქეთის მსგავსად ერთ ბარელზე 20 ცენტს მოითხოვს, თუმცა ეს ფასი არ იქნება ფიქსირებული და ცვლილებას განიცდის მსოფლიო ბაზარზე დაფიქსირებული ნავთობის ფასის მიხედვით. თურქებსა და აზერბაიჯანელებთან უკვე მიღწეულია შეთანხმება, რომ საქართველოს არ შეუძლია და არ აიღებს ფინანსურ პასუხისმგებლობას ნავთობსადენის დაზიანების შემთხვევაში, ხოლო დივერსიული აქტების შემთხვევაში ნავთობსადენის აღდგენის შესახებ მოლაპარაკებები საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან გაიმართება!

## ახალი ვერსია პატიმართა ბუნტის შესახებ

ახლახან, ქუთაისის №2 იზოლატორში მომხდარი პატიმართა ბუნტის მიზეზი შესაძლოა, პატიმარი 19 წლის ბიჭის... გაუპატიურება იყო. ეს ვერსია წამოაყენა „პატიმართა თანამეგობრობის ორგანიზაციის" ხელმძღვანელმა ლალი აფციაურმა. მისი თქმით, გაუპატიურების ფაქტი დაფიქსირებულია, აღძრულია სისხლის სამართლის საქმე! მაგრამ ციხის ადმინისტრაცია აფციაურის განცხადებას გაუპატიურების შესახებ კატეგორიულად უარყოფს. იმავე ლალი აფციაურის მტკიცებით, მომხდარში დიდი წვლილი მიუძღვის ციხის რეჟიმის უფროსს ბადრი დეისაძეს, რომელიც ხშირად სცემს და შეურაცხყოფას აყენებს პატიმრებს. საგულისხმოა, რომ თავად პატიმრები ერიდებიან დეისაძეზე რაიმეს თქმასაც კი. ჯერჯერობით, უცნობია გამაუპატიურებლის ვინაობა!

## იოსელიანს იმედი გაუცრუვდა...

**(კავკას-პრესი)** მხედრიონის ყოფილ ლიდერს ჯაბა იოსელიანს, რომელიც დიდ იმედს ამყარებდა საქართველოში გატარებულ სასამართლო რეფორმაზე, იმედი გაუცრუვდა — უზენაესმა სასამართლომ უარყოფითი გადაწყვეტილება გამოიტანა მისი ადვოკატის გოგმარ გაბუნიას სარჩელზე, რომელიც ჯაბა იოსელიანის გათავისუფლებას და საქმის ხელახლა გამოძიებას გულისხმობდა. პატიმარი ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში ინახულა პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ელენე თევდორაძემ. მისი თქმით, უზენაეს სასამართლოს არ განუმარტავს, რა მიზეზით გამოიტანა უარყოფითი გადაწყვეტილება სარჩელზე, განაცხადა მხოლოდ, რომ მოსარჩელე პასუხს 9 დღის მანძილზე მიიღებდა. მას შემდეგ, თევდორაძის თქმით, თვე-ნახევარი გავიდა და პასუხი არ ჩანს. ჯაბა იოსელიანი ეჭვს გამოთქვამს, რომ უზენაესი სასამართლო შეგნებულად აჭიანურებს პასუხის გაცემას, რადგან მათი გადაწყვეტილების გასაჩივრება სტრასბურგის სასამართლოში 6 თვის ვადაში უნდა მოხდეს, შემდეგ კი სასამართლო აღარ მიიღებს მას წარმოებაში. თევდორაძემ აღუთქვა ჯაბა იოსელიანს, რომ აუცილებლად გაარკვევს, რის გამო გვიანდება პასუხი.

## მოუშენები დაჯარიმდნენ!

**(კავკას-პრესი)** კრწანისი-მთაწმინდის რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილებით, კომპანია „ევროკონკორდი", რომელიც ახალი წლის წინა დღეებში რეკლამას უწევდა საქართველოში იტალიელი მომღერლების ადრიანო ჩელენტანოსა და ტოტო კუტუნიოს გასტროლებს, 105.725 ლარის ოდენობის ჯარიმას გადაიხდის.

ამ აფერის შედეგად მოტყუებული დარჩა მოსახლეობის ის ნაწილი, რომელმაც კონცერტის თითო ბილეთში 100 ლარი გადაიხადა.

როგორც სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის რეკლამის სამმართველოს უფროსმა გოგი მელაძემ განაცხადა, კომპანია „ევროკონკორდი" რეგისტრირებულია სახელმწიფო საგადასახადო სამსახურში. მისი პრეზიდენტი საბერძნეთის მოქალაქე, ვინმე მალხაზ გრიგორიადია, რომელიც უიღბლო ავანტიურის შემდეგ უგზო-უკვლოდ გაქრა.

„ევროკონკორდის" საქმე გამოსაძიებლად რესპუბლიკის პროკურატურას გადაეცა.

## სკოლებში სწავლა კვლავ გადაიდო

თბილისში არსებული დღევანდელი პირობების შეფასების საფუძველზე, განათლების მინისტრის ბრძანებით, როგორც კვირას, 30 იანვარს შევიტყვეთ, დედაქალაქის სკოლებში სწავლების პროცესი (ნაცვლად გვ. 21-ზე მითითებული 31 იანვრისა) 7 თებერვლამდე გადაიდო.




## ლორდებმა კატის მაგივრობა გასწიეს...

ბრიტანეთის ლორდთა პალატაში ისეთი ამბავი მოხდა, რომლის შემყურე გრიპის ეპიდემიით საწოლს მიჯაჭვული თუ ფეხზე მდგომი ინგლისი მთელი კვირის მანძილზე ხარხარებდა: ლორდთა პალატის სხდომისას დარბაზში რამდენიმე ათეული... თაგვი ამოძვრა იატაკიდან და ლორდთა ფაქიზ ფეხებშუა დაიწყო „სეირნობა". მაგრამ მთავარი ეს არ არის. ლორდებმა დაივიწყეს, რომ ლორდები იყვნენ, რომ სხდომა ტელევიზიით გადაიცემოდა და... ნადირობა გააჩაღეს საცოდავი მღრღნელების სალიკვიდაციოდ. ზოგიერთმა მათგანმა თაგვის ხელით დაჭერაც კი მოახერხა! გაცოფებულმა სპიკერმა უბრძანა ქვეყნის შესაბამის სამსახურებს — ლორდთა პალატაში მოსპონ ყველა სულიერი, ვინც კი... ლორდი არ არის(!).

# რა შედეგს მოგვცემდა, ევროსაბჭოში საქართველოს დელეგაციას რუსეთის გარიცხვაზე რომ მოეწერა ხელი?

28 იანვარს, აშშ-ის პრეზიდენტი კონგრესში გამოვიდა. ეს გახლდათ მისი, როგორც პრეზიდენტის, უკანასკნელი ყოველწლიური მიმართვა ამერიკელი ხალხისადმი. ბილ კლინტონმა თავის საათნახევრიან სიტყვაში საშინაო პოლიტიკაზე მსჯელობისას პირდაპირ განაცხადა, აშშ არასოდეს ყოფილა ისეთი მდიდარი და ძლიერი, როგორც დღესო. მან საგარეო პოლიტიკის პრობლემატიკასაც დაუთმო დიდი ყურადღება, ისაუბრა XXI საუკუნეში მსოფლიოში აშშ-ის როლზეც და ყურადღება განსაკუთრებით გაამახვილა რუსეთსა და ჩინეთზე. მისი თქმით, მიუხედავად რუსეთში კომუნიზმის რღვევისა და ჩინეთის ეკონომიკური პოლიტიკის ლიბერალიზაციისა, ამ ქვეყნებს სერიოზული პრობლემები აქვთ; შეერთებული შტატები ყველანაირად უნდა დაეხმაროს ორივე ქვეყანას, რათა მათმა ხალხებმა სტაბილურობაში, დემოკრატიასა და კეთილდღეობაში იცხოვრონ. ამერიკამ ყველაფერი უნდა ილონოს მის ხელთ არსებული საშუალებებით, რომ ამ ქვეყნებმა არჩევანი ბრძნულად გააკეთონ და გახდნენ მსოფლიო საზოგადოებრიობის კონსტრუქციული წევრები... კლინტონმა მოუწოდა კონგრესს, რათა ჩინეთი შეიყვანონ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში და მიანიჭონ მას ნორმალური ვაჭრობის უნარის მქონე ქვეყნის სტატუსი (ამ ფონზე ქართველებს მართლაც გვაქვს „სატრაბახო“. მოგეხსენებათ, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში საქართველო გასულ შემოდგომაზე გააწევრეს...)

ვფიქრობ, კლინტონის ამ მრავლისმთქმელ განცხადებაში ნათლადაა გამოხატული შეერთებული შტატების პოზიცია: ეს ერთადერთი ზესახელმწიფო, არათუ არ აპირებს რუსეთში მიმდინარე პროცესებისგან განზე გადგომას, არამედ პირიქით, შესაბამისად, მოსალოდნელია, რომ პოსტსაბჭოურ და ევრაზიულ სივრცეში შეერთებული შტატების პოლიტიკა კიდევ უფრო გააქტიურდება. აქვე შეგახსენებთ კლინტონის ადრინდელ განცხადებასაც, რომლის თანახმად, აშშ-ის ამჟამინდელ ადმინისტრაციას თავისი მოღვაწეობის ერთ-ერთ ყველაზე დიდ მიღწევად მიაჩნია ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის შესახებ დადებული ხელშეკრულება...

ზემოთქმულის გათვალისწინებით, ალბათ, როგორც არასდროს, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სტაბილურობასა და კეთილმეზობლურ ურთიერთობათა განვითარებას ჩვენს გეოპოლიტიკურ სივრცეში არსებულ სახელმწიფოებს შორის. სწორედ ამ ფონზე უნდა განვიხილოთ დსთ-ის ბოლო სამიტიც, სადაც რუსეთი მისი ახალი ლიდერით იყო წარმოდგენილი და რომელთანაც საქართველოს პრეზიდენტის პირველი შეხვედრის შედეგებმაც, ალბათ, უახლოეს მომავალში უნდა ჰპოვოს განვითარება, თუმცა ბუნებრივია, არც იმისი ილუზია მაქვს, რომ პუტინის რუსეთი „მშვიდობის კალთას“ გადააფარებს საქართველოს... და მაინც, თავისთავად ეს ფაქტი და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა პერსპექტივა სერიოზული განსჯის საგანია. ამ და საქართველოსათვის სხვა აქტუალურ საკითხებზე ვესაუბრები პოლიტოლოგებს **ალექსანდრე რონდელს** და **ჯიმი ჯალიაშვილს:**

**— ბატონო ალექსანდრე, ფაქტია, რომ რუსეთს კატეგორიულად აქვს გადაწყვეტილი თავისი დომინირების განმტკიცება დსთ-ის სივრცეზე, უწინარესად სამხრეთ კავკასიაზე. ფაქტია, რომ ჩვენ მოგვიწევს ანგარიშის გაწევა რუსეთის ინტერესებისათვის. რა ვუყოთ დასავლეთს, ნატოს, ევროკავშირს, საითკენაც გეზი გვაქვს აღებული და რამდენად შევძლებთ ბალანსის შენარჩუნებას?**

— მართალი ბრძანდებით, რომ რუსეთის მმართველმა ძალებმა დაიწყეს ფიქრი, თუ როგორ და რა გზით აღიდგინონ მთლად დაკარგული არა, მაგრამ აშკარად შესუსტებული გავლენა სამხრეთ კავკასიაზე. დსთ-ის ეს სამიტიც, გარკვეულწილად, იყო მცდელობა პუტინის ფაქტორის გამოყენებით ამ ქვეყნებზე ზეწოლის განხორციელების თუ არა, ყოველ შემთხვევაში, შევარდნაძის, ალიევისა და ქოჩარიანისათვის იმის დემონსტრირებისა, რომ აი, რუსეთი განახლებული და გაახალგაზრდავებული ხელისუფლებით მზად არის მტკიცედ გაატაროს თავისი ინტერესების შესაბამისი პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში. და ამის გაკეთებას შეეცადნენ თითქოსდა ჩეჩნეთში მოპოვებული სამხედრო გამარჯვების ფონზე. არადა, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, გამარჯვებაზე ნაადრევია ლაპარაკი...

მაგრამ, თუ მოხდა სასწაული და რუსეთმა ხელი შეუწყო აფხაზეთისა და ყარაბაღის კონფლიქტების სამართლიან მოწესრიგებას სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების ეროვნული ინტერესების შესაბამისად, ამას რა სჯობს? ასეთ ძალისხმევას ფეხზე ადგომით უნდა მივესალმოთ და ტაშიც დავუკრათ! სამწუხაროდ, დიდი ეჭვი მაქვს, რომ რუსეთს ამის გაკეთების სურვილი მართლაც აქვს... რაც შეეხება საქართველოს ურთიერთობას დასავლეთთან, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა დსთ-ის წევრია, იმავდროულად საჯაროდ აქვს გაცხადებული, რომ ილტვის ევროპულ სტრუქტურებში გაწევრებისაკენ, რომ ეს არის მისი საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტი, რაც შესანიშნავად იცის რუსეთმაც. დსთ-ში ყოფნა ხელს არ გვიშლის, რომ ამ პრიორიტეტული მიმართულებით ვიაროთ. ის, რაც ხდება დსთ-ში, უწინარესად, რუსეთის მიერ ბელორუსის შემოერთების ფაქტი, ურთულესი პროცესია და კაცმა არ იცის, რა იქნება ხვალ... ამიტომ, ნუ ავჩქარდებით და მივყვეთ მოვლენებს. დასავლეთს შესანიშნავად ესმის, რომ რუსეთს გარკვეული ინტერესები აქვს კავკასიაში და როგორც ძლიერ ქვეყანას, მას ვერ გავექცევით. ამიტომ ქართული დიპლომატია მიმართულია იქითკენ, რომ ყველა ქვეყანასთან კარგად ვიყოთ და იმავდროულად უზრუნველვყოთ ჩვენი ეროვნული ინტერესები.

**— ნიშანდობლივად არ მოჩანს ის ფაქტიც, რომ დემირელის მიერ „კავკასიური პაქტის“ შესაძლო განხორციელების გამოცხადების შემდეგ პუტინი ცდილობს ინიციატივის აღებას, ანუ კავკასიურ სარბიელზე უკვე აშკარად გამოდიან ძველი მეტოქეები — რუსეთი და თურქეთი...**

— დიახ, კავკასიაში რუსეთ-თურქეთის ჭიდილი არახალია და ეს პროცესი საუკუნეებს ითვლის. არადა, რუსეთს დიდი ხნის მანძილზე გამოგდებული ჰყავდა თურქეთი კავკასიიდან. დღეს კი, თურქეთი შემოვიდა



რეგიონში, როგორც მძლავრი და ეკონომიკურად დინამიკური, დემოკრატიული სახელმწიფო. თურქეთის კაპიტალი საკმაოდ დომინირებს ათობით ქვეყანაში და თავად რუსეთშიც, ის, რომ თურქეთი ცდილობს პოზიციები გაიმაგროს კავკასიაში, ამაში მოულოდნელი არაფერია. ეს რუსეთისათვის არის პრობლემა და ბუნებრივია, თურქეთის ნებისმიერი ინიციატივა რუსეთის მხრიდან კონტრინიციატივით იქნება განეიტრალებული, ყოველ შემთხვევაში, მოსკოვი შეეცდება ამის გაკეთებას. ვფიქრობ, ასეთი ვითარება მომგებიანიც კია საქართველოსათვის. კავკასიელი ლიდერები პუტინის სახით ბოლო შანსს აძლევენ მოსკოვს, რათა კონსტრუქციულად მიუდგეს აფხაზეთისა და ყარაბაღის კონფლიქტების მოგვარებას.

**— გმადლობთ.**

ძნელი სათქმელია, გამოიყენებს თუ არა მოსკოვი ამ შანსს და სწორი კავკასიური პოლიტიკის გატარებით გარკვეულწილად თავისკენაც შეატრიალებს დასავლეთისაკენ მომზირალ რეგიონის სახელმწიფოებს. ასეც რომ არ მოხდეს და როგორც არ უნდა გაგვიჭირდეს ემოციების დაძლევა, საქართველოს, ალბათ, არა აქვს იმ ფუფუნების უფლება, რომ სულ მცირე შესაძლებლობაც არ გამოიყენოს რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების დასამყარებლად. სიტყვას ჯიმი ჯალიაშვილს გადავცემ:

— საერთო სტრატეგია ჩვენი ქვეყნისა, მისი გეოპოლიტიკური ფუნქციიდან გამომდინარე, უწინარესად გულისხმობს რუსეთთან ცივილიზებული ურთიერთობის მოგვარებას, რასაც როგორც აქსიომას მოიაზრებენ და პირდაპირ მიგვანიშნებენ დასავლეთი, ნატო, აშშ. მთავარი სტრატეგიული ხაზი არ ნიშნავს იმას, რომ საქართველო ერთფეროვანი იყოს ტაქტიკაში. მთავარია შენარჩუნებული იყოს კურსი, მაგრამ გარკვეული ვითარებები შეიძლება იძლეოდეს ამა თუ იმ მიმართულებით ტაქტიკური გადახრების საშუალებას. წარმოვიდგინოთ, როგორ შეძლებდა დასავლეთი 1994-96 წლებში საქართველოსთან ისეთი ურთიერთობის ფორმის მოძებნას, თუ არ მოვაგვარებდით რუსეთთან ურთიერთობას იმავე ფორმატით, როგორც ამას დსთ-ის წევრი ქვეყნები ახერხებდნენ?.. აღარ მინდა გავიხსენო მაშინდელი ანტირუსული მოწოდებები, მაგრამ სამწუხაროდ, ეს ტენდენცია დღესაც გრძელდება. თუ რაიმე სერიოზული პრობლემა აქვს ქართულ პოლიტიკას თეორიასა და პრაქტიკაში, ალბათ იმიტომ, რომ ბოლომდე სწორად არა ვართ ჩამოყალიბებულნი რუსეთთან ურთიერთობის თვალსაზრისით. თუ ჩვენი უახლოესი წარსულის გამოცდილება არ არის საკმარისი სწორი დასკვნების გამოსატანად, იქნებ სხვისი, თუნდაც გერმანიის მაგალითისათვის მიგვემართა? ქვეყანას, რომელსაც ერთი ძვირი სიტყვაც კი არ დაუძრავს რუსეთის საწინააღმდეგოდ მაშინაც კი, როცა გადაწყვეტილი იყო გერმანიიდან რუსეთის ჯარების გაყვანა და დანგრეული იყო ბერლინის კედელი. მათ ისე ტკბილად „ჩაახურდავეს“ რუსეთის პრობლემა, რომ თვით რუსეთისათვისაც გვიან გახდა გასაგები, თუ რა შეცდომა დაუშვეს, უფრო სწორად, დააშვებინეს. ჩვენ კი, ამ თვალსაზრისით, ექსტრემიზმი გვახასიათებს, რაც დიდი პოლიტიკისათვის წამგებიანია.

რაც შეეხება დსთ-ის სამიტს. ჯერ კიდევ, ელცინის მმართველობისას რუსეთის სოლიდური ინტელექტუალური აზრი მივიდა დასკვნამდე, რომ დასავლეთის წინაშე რუსეთი მოტყუვდა... ვფიქრობ, საქართველოსათვის გაცილებით უკეთესი იქნებოდა, დასავლეთს მეტი დახმარება აღმოეჩინა რუსეთისათვის. ჩვენ კი, უფრო ის გვიხარია, თუ დასავლეთი არ აღმოუჩენს მას დახმარებას, არადა, რუსეთზე ეს ახდენს უარყოფით ზეგავლენას, შედეგად რუსეთი ჩვენსა და სხვა მეზობლებზე მოქმედებს უარყოფითად. ამიტომ, რუსეთის მიყვანა ამ მდგომარეობამდე, დასავლეთის მხრიდან არასაკმარისი ყურადღების შედეგიცაა. საქმე იქამდე მივიდა, რომ მოსკოვმა დღეს ჩამოაყალიბა ის პოლიტიკა, რომელიც ტრადიციულ დერჟავულ ცნობიერებაზე იყო მუდამ დაფუძნებული. ახლა რუსეთს უკვე აქვს საკუთარი „მეს“ დამკვიდრების პრეტენზია. ეს „მე“ კი, კმაყოფილდება იარაღით, ომით, მუქარებით და ამდენად, მოსკოვის პოლიტიკაც გამკაცრდა გარე სამყაროს მიმართ.

**— ჩვენმა ისთებლიშმენტმა და მასმედიამ არაერთგვაროვნად აღიქვა შევარდნაძე-პუტინის მოლაპარაკება, სამიტის დღის წესრიგიდან ქართული მხარის მოთხოვნით აფხაზეთის საკითხის ამოღება, ევროსაბჭოში რუსეთისადმი მხარდაჭერა და ა. შ.**

— მარტო შევარდნაძე არ ჩასულა, რადგან სამიტი იყო და ყველა პრეზიდენტი იქ გახლდათ. ძალიან გაოცებული ვარ ზოგიერთი გაზეთის პუბლიკაციით, სადაც „საშაყირო“ დონეზეა გადმოცემული შევარდნაძე-პუტინის შეხვედრა... რა, არ არის ანგარიშგასაწევი რუსეთის პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელი თუნდაც იმიტომ, რომ იქ ახალი პოლიტიკა დაიწყო და ჩვენც ეს ახალი პოლიტიკა ახლოდან შევიგრძნოთ და დროულად მოვემზადოთ? ამიტომ, აუცილებელი იყო შევარდნაძის შეხვედრა პუტინთან, სულ რომ არ ჩასულიყვნენ სხვა ქვეყნების პრეზიდენტები.

**— ევროსაბჭოში იგორ ივანოვის არაორაზროვანი განცხადება „რუსეთი არ წავა კავკასიიდან“ პირდაპირ პასუხობს რუს სტრატეგთა გეოპოლიტიკურ მისწრაფებებს, რომ ევრაზიის სივრცეში სწორედ რუსეთია „პასუხისმგებელი“ მის მოსაზღვრე ტერიტორიებზე, მათ შორის, სამხრეთ კავკასიაზეც და რომ ამ „პასუხისმგებლობის“ აღებას თავის თავზე რუსეთი ხორცს შეასხამს. დამეთანხმებით, რომ ეს მართლაც საშიში გეგმებია...**

— მოსკოვის დღევანდელი პოლიტიკის საფუძვლები აშკარად მიანიშნებს, რომ იქ ამჟამად პრაქტიკაშიც და ცნობიერებაშიც დომინირებს ევრაზიული ლიდერის პრინციპები. ამაზე აგებულმა პოლიტიკამ პუტინს წარმატება მოუტანა. ეს პოლიტიკა კი რუსეთის ირგვლივ სივრცეს და განსაკუთრებით ჩვენ გვემუქრება. ამიტომ დღევანდელ ვითარებაში საქართველოს ხელისუფლებას მხოლოდ და მხოლოდ ის ევალებოდა, რომ ეს ზედმეტად ანტირუსული პოლიტიკა დაძლეულიყო. მეორეც: ჩვენ ვლაპარაკობთ ერთიანი კავკასიური სივრცის შექმნაზე, რაც პირდაპირ უკავშირდება რეგიონალური უსაფრთხოების დადებითად გადაჭრას და ამის გაკეთება რუსეთის გარეშე, ანდა გაღიზიანებული რუსეთის ფარგლებში, ყოვლად შეუძლებელია. გაღიზიანებულ რუსეთში იმას კი არ ვგულისხმობ, რომ ჩვენ კაპიტულანტური პოზიცია დავიკავოთ მოსკოვის მიმართ, არავითარ შემთხვევაში, არამედ ჩვენი დამოუკიდებლობისათვის ხელშემწყობი ყველა ნაბიჯი უნდა გადავდგათ იმ რეალობის გათვალისწინებით, რაც დღევანდელი რუსეთის სახით გვაქვს... ამიტომ, საქართველომ და მასთან ერთად კავკასიამაც რომ შეინარჩუნოს უსაფრთხოება, პირველ რიგში აუცილებელია ტერორიზმის მაქსიმალური შეზღუდვა, შეზღუდვა და აღმოფხვრა იმ ფაქტების გათვალისწინებით, რასაც ადგილი ჰქონდა საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში; აქედან გამომდინარეობს საქართველოს პრეზიდენტის ფიზიკური უსაფრთხოებაც. არ მინდა ნათქვამი ისე გაიგოს მკითხველმა, თითქოს შევარდნაძისადმი თაყვანისცემას ვგულისხმობ. ნებისმიერი პრეზიდენტი, შევარდნაძე თუ სხვა, რომელსაც ექნებოდა ასეთი უზარმაზარი ზეგავლენა დასავლეთის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ აზრზე, არის ის ფაქტორი, რომელიც აწონასწორებს იმ ძალებს, რომლებმაც თავი მოიყარეს კავკასიის გეოპოლიტიკური სივრცის გასანაწილებლად; და მესამე, რომელიც უკავშირდება ჩვენს გეოპოლიტიკურ უსაფრთხოებას. ეს არის პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნება იმისათვის, რათა დემოკრატიზაციის პროცესი თანაბრად ვითარდებოდეს როგორც კავკასიურ სახელმწიფოებში, ისე რუსეთში. სტაბილური ვითარება უნდა შევინარჩუნოთ ბოლომდე, რადგან თუ პოლიტიკურ ომს გამოვუცხადებთ რუსეთს, ამით, ანუ რუსეთის გაღიზიანების შედეგად ჩვენ შევიმცირებთ დასავლეთთან ურთიერთობების შესაძლებლობებს.

რაც შეეხება ევროსაბჭოში ივანოვის განცხადებას, მან ისიც თქვა, რომ „რუსეთი არასოდეს არ დაანაწევრებს კავკასიას გავლენის სფეროებად“, ანუ უარესი თქვა, ვიდრე ის, რომ „რუსეთი არასოდეს არ წავა კავკასიიდან...“ ე. ი. მოსკოვისათვის ისიც მიუღებელია, რომ კავკასია ნატურალურ ზონებად განაწილდეს რამდენიმე ქვეყნის ინტერესებს შორის და შეიქმნას ამ ინტერესთან დაბალანსებული ცენტრი. არადა, ჩვენთვის იქნებოდა უაღრესად სასურველი შედეგი, რომ დაბალანსებულიყო აშშ-ის და დასავლეთის, რუსეთის, თურქეთის და სხვა ქვეყნების ინტერესები. რუსეთი ამაზეც არ მიდის და ასეთ პირობებში სხვაგვარი პოლიტიკის წარმოების უფლება არ ჰქონდა საქართველოს ხელისუფლებას არც სამიტთან მიმართებაში და არც ევროსაბჭოში რუსეთის საკითხთან დაკავშირებით. რა შედეგს მოგვცემდა, ევროსაბჭოში საქართველოს დელეგაციას რუსეთის გარიცხვაზე რომ მოეწერა ხელი? ეს აქტი მსგავსი იქნებოდა იმ აქტებისა, რომელსაც ამ ათი წლის წინ ვატარებდით... ვფიქრობ, ყველა საღად მოაზროვნე მოქალაქე დადებითად უნდა აფასებდეს პრეზიდენტის ასეთ დიპლომატიას.

**— ახლა ჩრდილოეთიდან სამხრეთით გადავინაცვლოთ და ერთ საგულისხმო ინფორმაციაზე გთხოვთ კომენტარს. ახლახან, ანკარაში ვიზიტით იმყოფებოდა ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ქამარ ხარაზი, რომელმაც კატეგორიულად მოსთხოვა თურქეთის მხარეს გაზსადენის შესახებ ორ ქვეყანას შორის არსებული ხელშეკრულების შესრულება. საქმე ის არის, რომ ირანმა თავისი წილი სამუშაო დაამთავრა და თურქეთამდე მიიყვანა გაზსადენი, მაშინ, როცა თურქები უამრავი მიზეზის მოშველიებით (მიწისძვრები, ქურთთა ამბოხებები და ა. შ.) აჭიანურებენ გაზსადენის მშენებლობას... როცა ხარაზზე თურქების ამ არგუმენტმა არ იმოქმედა და შეხვედრა უკიდურესად დაიძაბა, თურქეთის მხარემ არაორაზროვნად განუცხადა სპარსელ სტუმარს, რომ თურქეთი სტრატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებს ტრანსკავკასიურ გაზსადენს, რომელიც თურქმენეთიდან საქართველოს გავლით შევა თურქეთში...**

— ძალიან საგულისხმო საკითხია: როდესაც წინააღმდეგობაა ირანსა და თურქეთს შორის ამ გაზსადენთან დაკავშირებით, სავსებით რეალური შესაძლებლობაა, რომ ირანი და რუსეთი ძალიან დაუახლოვდნენ ერთმანეთს პოლიტიკურად, რადგან აქ მათი ინტერესების თანხვედრაა. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმის მართებულებას, რომ საქართველოს პოზიცია ევროსაბჭოში და შევარდნაძე-პუტინის შეხვედრა მნიშვნელოვანია... ამასთან, მას შემდეგ, რაც ჩვენი გეოპოლიტიკური ფუნქცია ამოქმედდა, ამ შანსის ხელიდან გაშვება არ შეიძლება, რაოდენ მიზერული თანხაც უნდა გვერგოს ენერგოპროექტებიდან... ის ფაქტი, რომ თურქეთი და ირანი ღიზიანდებიან და ერთმანეთს უპირისპირდებიან, საქართველოსთვის კარგიცაა და ეს ერთ-ერთი ჩანასახია საიმისოდ, რომ აქტიური ნეიტრალიტეტის მოდელზეც ვიფიქროთ. რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ თურქეთმა მკაფიოდ დააფიქსირა თავისი პოზიცია, მიანიშნებს იმაზე, რომ ასეთი ორიენტაცია გააჩნია დასავლეთს, აშშ-ს, რაც ამყარებს ჩვენს დამოუკიდებლობას და იმავდროულად გვავალდებულებს, რომ ჩვენ ეს ფონი დავიცვათ და განვავითაროთ რუსეთთან კეთილმეზობლობის შედეგად. თუ ამას შევძლებთ, დასავლეთის სახელმწიფოები კიდევ უფრო აქტიურად იმოქმედებენ ჩვენი კოზირების გასაძლიერებლად. როდესაც საქართველოს დელეგაციამ დსთ-ის ბოლო სამიტზე არ დააყენა განსახილველადაც კი ისეთი მწვავე პრობლემა, როგორიც აფხაზეთია, ეს არამარტო იმის მანიშნებელი იყო, რომ პუტინი არ იყო მზად, არამედ იმისიც, რომ საქართველო სხვა გზასაც ხედავს და უკვე არაეფექტურად მიიჩნევს რუსეთის დახმარებას...

**— 30-31 იანვარს გაეროს უშიშროების საბჭოს უნდა განეხილა აფხაზეთის საკითხი და თითქოს მორიგი რეზოლუციაც უნდა მიეღო. საამისოდ ნიუ-იორკში საგანგებოდ გაემგზავრა დიტერ ბოდენიც, მაგრამ ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ შეიძლება არათუ რეზოლუცია არ მიიღოს გაეროს უშიშროების საბჭომ, არამედ საერთოდ არ განიხილოს აფხაზეთის საკითხი...**

— გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომა ამ საკითხზე, ვფიქრობ, არ გაიმართება. მხოლოდ გაეროს მუდმივმოქმედი სამუშაო კომისია შეიკრიბება, რომელიც სისტემატურად იხილავს აფხაზეთის საკითხს და ბოდენიც ინფორმაციით წარდგება კომისიის წინაშე. როგორც ჩანს, საკითხი აპრილისათვის გადაიწევს. ეს უფრო მისაღებია საქართველოსათვის ამ ეტაპზე, რადგან აპრილში გაიმართება დსთ-ის სამიტიც! მანამდე საქართველო იმ კონსულტაციების საფუძველზე, რომელიც ექნება დასავლელ პარტნიორებთან, გამოხატავს თავის დამოკიდებულებას აფხაზეთის პრობლემისადმი და დააყენებს დსთ-ის სამიტზე, რომლის მასალებიც დაემატება გაეროს დამკვირვებელთა მასალებს და წარედგინება უშიშროების საბჭოს რეზოლუციის მისაღებად...

**— გმადლობთ.**

***ზურაბ მჭედლიშვილი***

# ჩვენს სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება?

კვირას, დაახლოებით სამი საათისთვის, ვაჟა-ფშაველას მეშვიდე კვარტლის მე-15 კორპუსში, პირველ სართულზე კიდევ ერთი აფეთქება მოხდა. ინგურის ქუჩისგან განსხვავებით (გახსოვთ ალბათ ამასწინანდელი აფეთქება პოლიტექნიკური ინსტიტუტის მიდამოებში), ამ შემთხვევაში გამოსაძიებელი არაფერია, დამნაშავე მხოლოდ „ბუნებრივი გაზი“ და ის ორგანიზაციაა, რომელიც ჯერჯერობით გაურკვეველი მიზეზის გამო არ ასახელებს ვინაობას. მაცხოვრებლების კითხვაზე, თუ რომელ ორგანიზაციას გაჰყავს გაზი, ხელოსნები პასუხობდნენ, უახლოეს დღეებში მოვლენ, ოფიციალურად ხელშეკრულებას გააფორმებენ და დაწვრილებით ცნობებს ისინი მოგაწვდიანო.



არსებობს თუ არა ასეთი ორგანიზაცია, უცნობია, თუ არსებობს და ფუნქციონირებს კიდეც, მაშინ, რატომ ერიდება გამჟღავნებას?

ამ რამდენიმე თვის წინ მეზობლებში ხმა დაირხა, გაზს ჩაგვირთავენ — თუ კორპუსის მაცხოვრებლების 50%-ზე მეტი 90 დოლარის გადახდას დათანხმდებაო. რა თქმა უნდა, უმრავლესობამ ხელი მოაწერა, ზოგიერთმა ეს თანხა ისესხა და ისე გადაიხადა. მრიცხველები დეკემბრის თვეში დააყენეს, რამდენიმე კორპუსში ჩართეს კიდეც, მაგრამ იქ, სადაც ახლა აფეთქება მოხდა, გაზის გაყვანა რატომღაც ჭიანურდებოდა. „ბედნიერება“ მხოლოდ გასულ კვირას გვეწვია. ხელოსნები გვესტუმრნენ, სადარბაზოებში წნევა შეამოწმეს და ჭკვიანური გამომეტყველებით მტკიცედ განაცხადეს, — ყველაფერი წესრიგშია, გაზს ვრთავთო; მაგრამ იქვე დაუმატეს, თუ ვინმეს გაზქურის ჩართვა ან წყლის გამაცხელებლის დაყენება გაქვთ გადაწყვეტილი, ფული უნდა დაუმატოთო. ამ საქმეში კიდევ ათ-ათი ლარის დამატება ითხოვეს და როგორც ზევით აღვნიშნე, შუა დღის ორ საათზე გაზი გაუშვეს. არ გასულა ერთი საათი და კორპუსის ბედნიერებას წერტილი დაესვა. — პირველი სართული აფეთქდა. სახლი რამდენიმე წუთს ქანაობდა (მეც ამ კორპუსის ბინადარი ვარ), საგულისხმოა, რომ გაზის გაყვანის „პროფესიონალი“ ხელოსნები კიდევ სადარბაზოში მუშაობდნენ.

მეზობლების განმარტებით, ანთება და აფეთქება ერთი იყო. აფეთქების სიმძლავრე იმის დასკვნის საშუალებას გვაძლევს, რომ გაზი საკმაოდ დიდხანს ჟონავდა. როგორც გვითხრეს, ამ ახალ ბუნებრივ გაზს სუნი არა აქვს. რამდენიმე დღეც რომ ღია იყოს, ვერაფერს იგრძნობთ. უძრაობის პერიოდში გაზს თურმე სპეციალურად ურევდნენ ნივთიერებებს, რომლებიც სპეციფიკურ სუნს აძლევდა, ეს ერთგვარად დამცავი მექანიზმიც გახლდათ, მაგრამ ახლა ეს ნივთიერება არცთუ უმნიშვნელო თანხა ჯდება, ამიტომ მოსახლეობა დაუცველი რჩება. ამ ორი თვის წინ, როცა გაზის გაყვანაზე დაიწყო საუბარი, კორპუსებში ყოფილ სახლმმართველობის თავმჯდომარეებთან ერთად დადიოდა პიროვნება, რომელიც მეგრული აქცენტით საუბრობდა, ის თავს ამ საქმის ხელმძღვანელად ასახელებდა. მეზობლები ამბობენ, რომ მას ადრე ცალ-ცალი ფეხსაცმელი ეცვა, ერთი თვის შემდეგ კი, როცა ფული აიკრიბა, ძვირფასი ტანისამოსითა და ახალი ავტომანქანით მოგვევლინა. უკვე გაზულუქებულს დაუკვეხნია კიდეც, — ოჩამჩირეში სანტექნიკოსად ვმუშაობდი, გაზთან შეხება არ მქონდა, ამ პროფესიას აქ, თბილისში დავეუფლე და ნეტავ სად ვიყავი აქამდეო. ასე იყო თუ ისე, საბედნიეროდ, ყველაფერი მსხვერპლის გარეშე დამთავრდა. პირველ სართულზე მცხოვრებმა მოხუცმა ქალბატონმა დამწვრობა მიიღო. მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება, მაგრამ ჩვენს სიცოცხლეს არ ემუქრება საფრთხე?

*თამაზ ხაბეიშვილი*

# ...სად ბაგრატოვანთ ვარდები ამო სურნელს აფრქვევდა

...მე-19 საუკუნის დასაწყისში დაიწყო თანამედროვე რუსთაველის გამზირის ტერიტორიის, გარეთუბნის, ათვისება.

საქართველოს მთავარმართებლის რეზიდენცია უნდა დამკვიდრებულიყო ქართველ მეფეთა ქალაქგარეთა ბაღში. ბაგრატიონების ეს სავარდე 1795 წელს აღა მაჰმად-ხანმა მოსრა ყაჯართა ცხენების ფლოქვებით... პირველი შენობა აქ ააგეს 1802 წელს. 1807 წელს დაიწყო საქართველოს მთავარმართებლის პირველი სასახლის მშენებლობა. იმ ხანად საქართველოს მართავდა გენერალ-ფელდმარშალი ივან გუდოვიჩი.

1845-1847 წწ. ახალი სასახლე რუსული კლასიციზმის სტილით ააგო აკადემიკოსმა ნიკოლაი სემიონოვმა. მეორე სართულის ნიშებს ამშვენებდა ჰერკულესის და მინერვას ქანდაკებები, რომლებიც განასახიერებდნენ ახალი ხელისუფლების ძალასა და სიბრძნეს.

...ბაგრატოვანთა ყოფილი წალკოტი კავკასიაში პირველი ევროპულ ყაიდაზე შექმნილი ბაღი იყო. იქ შესვლის უფლება მხოლოდ დიდი დღესასწაულების დროს ჰქონდათ დიდგვაროვნებს, წარჩინებულებს და ძალიან მდიდარ ქალაქელებს.

იმპერატორ ნიკოლოზ I-ის (1825-1855 წწ) ბრძანებით, მთელი რუსეთის იმპერიაში აკრძალული იყო პეტერბურგის ზამთრის სასახლეზე მაღალი შენობის აგება. ამიტომაც მეფისნაცვლის სასახლე თბილისში (პირველიც და მეორეც) ორსართულიანი იყო.

1845 წელს პეტერბურგმა დააწესა თანამდებობა კავკასიის მეფისნაცვალისა, რომელსაც რეზიდენცია თბილისში ექნებოდა. უნდა აშენებულიყო ახალი სასახლე იქ, სადაც ახლა საქართველოს პარლამენტის შენობაა, რომელსაც ლენინის მოედანი ერქვა.

ახალი სასახლის ასაშენებელი სახსრების უქონლობის გამო გადაწყდა სემიონოვისეული შენობის გადაკეთება. მშენებლობის ხელმძღვანელობა მიანდეს ოტო იაკობ სიმონსონს (1832-1914 წწ). სიმონსონს დიდი წვლილი მიუძღვის მე-19 საუკუნის თბილისის არქიტექტურულად განაშენიანებაში.

...მეფისნაცვლის სასახლეს როგორც მასშტაბით, ისევე არქიტექტურული ღირებულობით, უნდა დაეკმაყოფილებინა იმპერატორის მიერ დაყენებული კაცის პატივმოყვარეობა. რაც უფრო ძლევამოსილი და გვაროვანი იქნებოდა დიდებული (დიდი მთავრებიც – იმპერატორის უახლოესი ნათესავები – ყოფილან კავკასიის მეფისნაცვლები მით მეტად მოკაზმული უნდა ყოფილიყო რეზიდენცია. სასახლის აშენებას ოტო სიმონსონი შეუდგა 1865 წელს და დაამთავრა 4 წლის შემდეგ. არქიტექტორმა საგრძნობლად გააფართოვა ძველი სასახლე და უფრო საზეიმო იერი მისცა. იგი დაამშვენა რენესანსის სტილის ორიარუსიანმა არკადამ. მეორე სართული მორთული იყო სვეტებით, ნიშებით, მოაჯირებით. გადაკეთდა ბაღში გამავალი ფასადიც. მისი აკურატულობა და სიმსუბუქე ისეა შერწყმული პეიზაჟთან, რომ ძნელი წარმოსადგენია ურთმანეთოდ. მხოლოდ ყრუ გალავანი არ ესადაგებოდა სასახლეს და ბაღს. იგი 1958 წელს შეცვალეს ლითონის ცხაურით, რომლის ნახაზიც შექმნეს არქიტექტორებმა ოთარ კალანდარიშვილმა და დავით მორბედაძემ.



რუსეთის იმპერიაში თბილისის მეფისნაცვლის სასახლე ერთ-ერთ საუკეთესო შენობად ითვლებოდა და არაფრით ჩამოუვარდებოდა პეტერბურგის სასახლეებს.

აქვე მინდა მოგითხროთ ერთი გასაოცარი ამბავი, თუ როგორ გაიყიდა სასახლე. იგი მიამბო ძველმა თბილისელმა კაცმა, მიხეილ ხატიაშვილმა. მას კი მოუსმენია 20-იან წლებში მეზობლისგან, რომელიც მეჯინიბედ მუშაობდა მეფისნაცვლის სასახლეში. მაშინ კავკასიის მეფისნაცვალი იყო დიდი მთავარი მიხაილ რომანოვი (1862-1881წ.წ.).

ამაზე ოფიციალურ წყაროებში არაფერია ნათქვამი, მაგრამ როგორც იტყვიან... კვამლი უცეცხლოდ არ არის. შეიძლება იგი ლეგენდაც იყოს, მაგრამ დამახასიათებელია იმ პერიოდისთვის, როდესაც საქართველოში ყველაფერი იყიდებოდა (ისევე, როგორც ახლა!).

XIX საუკუნის 70-იან წლებში რუსეთის დიდ ქალაქებში მოქმედებდა „ნაზუქის ვალეტების“ ბანდა. ისინი მეტად მარჯვე თაღლითები იყვნენ. ბანდის თითქმის ყველა წევრი დააპატიმრეს და გადაასახლეს. გადარჩა თაღლითთა მეთაური ვინმე შპეიერი, რომელიც უკვალოდ გაქრა. თურმე თაღლითთა სასამართლოზე, როდესაც განაჩენი წაიკითხეს, სასამართლოს დარბაზიდან გამოვიდა დარბაისელი მოხუცი, ჩაჯდა ფაეტონში, დაუძახა პოლიციელს და გადასცა კონვერტი სასამართლოს თავმჯდომარის სახელზე. კონვერტში აღმოჩნდა შპეიერის სავიზიტო ბარათი წარწერით: „მადლობა დღევანდელი სპექტაკლისთვის. ძალიან კმაყოფილი ვარ. შპეიერი.“

სად და როგორ გაიცნო ამ შპეიერმა მეფისნაცვალი, არავინ იცის, მაგრამ დიდი მეგობრობა კი ჰქონიათ.

ერთხელაც გაიძვერამ თხოვა მეფისნაცვალს, ეჩვენებინა სასახლე ვიღაც ევროპელი სტუმრისთვის, რომელიც კავკასიაში მოგზაურობდა. დიდმა თავადმა ნება დართო. შპეიერმა მოიყვანა სტუმარი და მორიგე ოფიცრის თანდასწრებით შემოატარა ყველა კუთხე-კუნჭული, ბაღი და ა.შ. სტუმრები ინგლისურად ლაპარაკობდნენ და ოფიცერმა ვერ გაიგო, რაზე საუბრობდნენ. რამდენიმე დღის შემდეგ, როდესაც მეფისნაცვალი ოჯახითურთ ლიკანში ისვენებდა, სასახლეს მიადგა ზანდუკებით დატვირთული საზიდარი და უცხოური ეტლი...

ატყდა სკანდალი. ევროპელი ამტკიცებდა, — სასახლე ჩემია, მისი პატრონის, აზნაურ შპეიერისაგან 200.000 მანეთად ვიყიდეო. თან აჩვენებდა ნასყიდობის წიგნს, რომელიც ნოტარიუსის ხელმოწერით იყო დამოწმებული.

სასამართლოს შპეიერის ეს თაღლითობა არ განუხილავს იმიტომ, რომ... შპეიერი გაქრა!

გამოირკვა, რომ თაღლითებმა ერევნის მოედანზე ერთი დღით გამართეს სანოტარო კანტორა, სადაც შედგა მეფისნაცვლის სასახლის გაყიდვა.

...მეფისნაცვალმა იმ ხალხს, ვინც ამ საქმისა რაიმე იცოდა, ყველას დაადებინა ფიცი — კრინტი არ დაძრათო.

ძნელად დასაჯერებელი ამბავია, მაგრამ დღევანდელი თვალით — გასაკვირი სულაც არ არის...

როგორც გაირკვა, ფაქტობრივად ასეთივე მეთოდით გაუყიდია შპეიერს მოსკოვის გენერალ-გუბერნატორის, თავად ვლადიმირ დოლგორუკოვის სახლი, დღეს იმ შენობაში რუსეთის დედაქალაქის მერიაა.

*გალაქტიონ ტაგანაშვილი*

ტელეკომპანია „მეცხრე არხი“

ახალი ხედვა ახალ სამყაროში

√ საუკეთესო გამოსახულება ციფრული DVC-Pro-ს ფორმატით;

√ ყოველდღიური საინფორმაციო პროგრამები: „დილას“, „საღამოს 6 საათზე“, „ცხრის ნახევარზე“ და „შუაღამისას“: ოპერატიული ინფორმაცია ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ დედაქალაქში, საქართველოში, მსოფლიოში;

√ ქართული და მსოფლიო კინოს განუსაზღვრელი არჩევანი;

√ მსოფლიოში აღიარებული ამერიკული არხის „Discovery“-ს შემეცნებითი პროგრამები;

√ საკუთარი შემეცნებითი, გასართობი და მუსიკალური გადაცემების დიდი არჩევანი;

ახალი ხედვა ახალ სამყაროში

ტელ/ფაქსი: 79 02 01

„მეცხრე არხის“
სარეკლამო სამსახური გთავაზობთ:

√ უახლოესი ტექნიკის გამოყენებით (BETACAM), მისაღებ ფასებში სარეკლამო კლიპების დამზადება (კომპიუტერული გრაფიკა, ანიმაციური და სადადგმო კლიპები), გამზადებული კლიპების ადაპტაცია;

√ რეკლამის განთავსება როგორც „მეცხრე არხის“, ისე სხვა ნებისმიერი ტელეკომპანიის ეთერში;

√ „მოძრავი სტრიქონი“ — სარეკლამო და ინფორმაციული განცხადებების განთავსება — შეკვეთების ტელ: 98 86 33.

√ სარეკლამო კამპანიების დაგეგმარება (მედია-გეგმა, Promotion), სარეკლამო კონსალტინგი;

√ სარეკლამო ფილმების (სიუჟეტების) გადაღება;

გაცნობიდან თანამშრომლობამდე

E-mail: gitvstud@geo.net.ge

# მირცხულავა შუქს 9 აპრილის შემდეგ გვპირდება...

ელექტროენერგიის პრობლემა ჩვენთვის არახალია, მაგრამ მას შემდეგ, რაც სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა პრეზიდენტისგან საგანგებო დავალება მიიღო, რამდენიმე დღეა, დენის გრაფიკით მოწოდებით განებივრებულები ვართ (ეს თუ განებივრებაა). ისე, წინასაარჩევნო პრაქტიკის გათვალისწინებით, ოპტიმისტები შუქის 24-საათიან მიწოდებასაც ვარაუდობენ. ამბობენ, ამის თაობაზე ენერგეტიკოსები ხელისუფლებისგან თხოვნას თუ მოთხოვნასაც იღებენ.

ამ და სხვა საკითხების გასარკვევად „კვირის პალიტრა“ ეწვია სათბობ-ენერგეტიკის მინისტრს **დავით მირცხულავას.**

**— ბატონო დავით, საუბარს ყველაზე გაცვეთილი და ყველაზე მომაბეზრებელი კითხვით დავიწყებ: როდის იქნება დენის მყარი გრაფიკი?**

— შუქი უკვე მიეწოდება მოსახლეობას გრაფიკით. რაც შეეხება მის დაცვას, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როდის ამუშავდება დამატებითი სიმძლავრეები. ამასაც მალე ვვარაუდობთ, მაგრამ უბნებზე ლოკალური გამორთვები, ჩვენი ბრალი არ არის. ეს ძირითადად ადგილობრივი ავარიებითაა გამოწვეული.

**— თქვენ გამორიცხავთ პრივილეგირებული უბნების არსებობას?**

— სავსებით. ასეთი უბნები თბილისში არ არსებობს. ე. წ. პრივილეგირებული უბნები არიან მხოლოდ ისინი, სადაც მდებარეობს სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტები და ვერ ხერხდება განმხოლოება. ტექნიკურად ეს ძალზე რთულია და ძვირი ჯდება.

**— დამატებითი სიმძლავრეების ამუშავების გარდა, რითი შეიძლება დავაიმედოთ საზოგადოება?**

— ბევრით. ხშირად ვხვდებით სომეხ ენერგეტიკოსებს, ამ რამდენიმე დღის წინ ვესაუბრე მოსკოვს გაზის მოწოდებაზე. მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა ქალაქის გაზიფიცირებაზე, რაც დიდ შეღავათს მოგვცემს ელექტროენერგიის უწყვეტობისთვის. ეს ყველაფერი შედეგს აუცილებლად გამოიღებს. გპირდებით, რომ ზუსტად ერთი წლის შემდეგ, 2001 წლის იანვრის ბოლოს დედაქალაქს შუქის პრობლემა აღარ ექნება.

**— ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი კი სქოულს საბოტაჟში ადანაშაულებს. როგორი დამოკიდებულება გაქვთ მასთან?**

— „საბოტაჟი“ — მგონი, ძალზე მძაფრი შეფასებაა. სქოულის გეგმა სამწლიანია და ეჭვი არ მეპარება, რომ ნაკისრ ვალდებულებებს შეასრულებს. მისი მუშაობის ხარვეზი ის არის, რომ ვერ მოწესრიგდა აღრიცხვიანობა, ვერ განისაზღვრა პრიორიტეტი — რომელი უბნიდან დაწყებულიყო ეს პროცესი; არადამაკმაყოფილებელია აღრიცხვიანობის ტემპიც. მიუხედავად ამისა, მე თქვენთან მეორე პირობასაც დავდებ: გაისად, ამ დროს, თბილისში აღრიცხვიანობა 80-85%-ით იქნება მოწესრიგებული. ეს გამოიწვევს ელექტროენერგიის მოხმარების 40%-ით შემცირებას. ხალხს არ ექნება საშუალება, უყაირათოდ ფლანგოს პროდუქტი.

**— რას გულისხმობთ?**

— ბოლოს და ბოლოს, ხალხი უნდა მიეჩვიოს იმ აზრს, რომ ელექტროენერგია ყველაზე ძვირადღირებული პროდუქტია; უფრო ძვირი, ვიდრე ნებისმიერი საწვავი. დღეს კი ფაქტობრივად, ხალხი ფულს არ იხდის მისი მოხმარებისთვის, რადგან არ აღიქმება ფასეულად. რაც შეეხება ტარიფს, იმისთვის, რომ არ შეილახოს მომხმარებლის ინტერესები, არსებობს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია. ის კი არ დაუშვებს არარეალურ ტარიფებს.



**— რა პერსპექტივა აქვს მეათე ენერგობლოკს? როგორც ცნობილია, სქოულმა განაცხადა, მის სარეაბილიტაციო თანხას „ეი-ი-ეს თელასი“ გაიღებსო. კომპეტენტური წყარო კი აცხადებს — სქოულს ერთი თეთრიც არ მოუციაო.**

— შესაძლოა, ეს მართლაც ასეა, მაგრამ იხარჯება კრედიტი, რომელზეც პასუხისმგებლობა სქოულმა იკისრა. რეალურ თანხებს, ჯერჯერობით ჩვენ გავიღებთ.

**— რას იტყოდით კრედიტებისა და ინვესტიციების მიზანმიმართულ გახარჯვაზე? საინტერესოა, შეისწავლის თუ არა სამინისტრო დარგის რეაბილიტაციისათვის შემოსული მილიონების გზა-კვალს?**

— ამ შემთხვევაში კონკრეტულ ციფრებს მოგაწვდით. ჯერჯერობით, გახარჯულია 106 მლნ ამერიკული დოლარი. აქედან, 90 მლნ-ზე პასუხისმგებლობას იღებს „ეი-ი-ეს გარდაბანი“. რაც შეეხება დანარჩენ 16 მლნ-ს, ეს თანხები გადამცემ ხაზებსა და ჰესებთანაა დაკავშირებული. თითოეულ ცენტზე პასუხისმგებელი მიმღები კომპანიაა. ასე მაგალითად, 3,5 მლნ დოლარზე, რომელიც რიონჰესზე დაიხარჯა, პასუხისმგებელია ფრანგული კომპანია. ასე რომ, ყოველი დოლარი კონტროლდება უცხოელების მიერ. კორუფციას კი რატომღაც ეძებენ სამინისტროსა და ხელმძღვანელობაში. საქმე ის გახლავთ, რომ ხალხი ხშირად იქ არ ეძებს ძაღლის თავს, სადაც დამარხულია.

**— მაშინ, იქნებ მისცეთ საზოგადოების კრიტიკას სწორი მიმართულება და გვითხრათ, სადაა დამარხული ძაღლის თავი?**

— ადრეც გითხარით, აღრიცხვიანობა და გადახდევინება ურთულესი პრობლემაა-მეთქი. დღეს საქართველოში ამოღება რეალურად ხდება მხოლოდ 13%-ით. სინამდვილეში კი, ამ ეტაპზე გადახდისუნარიანი 23%-ია. სად მიდის ის 10%?! თქვენ ეს ცოტა თანხა ხომ არ გგონიათ?! სისტემა ყოველთვიურად 25-30 მლნ ლარს კარგავს. როცა აღრიცხვიანობა მოწესრიგდება, მაშინ სალაპარაკოც აღარაფერი იქნება.

**— ამბობენ, არჩევნების წინ თქვენი წინამორბედი მინისტრები ხელისუფლებისგან საგანგებო დავალებას იღებდნენ, შუქი უწყვეტად გაუშვითო. ამის მოტივი ის გახლდათ, რომ მოსახლეობასა და ხელისუფლებას შორის ურთიერთობა დამთბარიყო. საპრეზიდენტო არჩევნებამდე ცოტა დრო დარჩა. თქვენ არ ცდილობთ, რომ 9 აპრილამდე ხალხი გაანებივროთ, 10 აპრილს კი გრაფიკს დაუბრუნდეთ?**

— 24 საათიან შუქის მიწოდებას აპრილამდე ვერავის დავპირდები. რეალურად ამის რესურსები არ არსებობს. მაგრამ, რაც შეეხება 10 აპრილს, სწორედ ამ დღიდან აღარ იქნება დენის პრობლემა. ხელისუფლებას ალბათ არ გაუხარდება ჩემი განცხადება, მაგრამ რას ვიზამთ — ელექტროენერგიის დაუბრკოლებლად მიწოდებას მე სწორედ არჩევნების შემდეგ, აპრილიდან ვვარაუდობ.

**— სათბობ-ენერგეტიკის ექს-მინისტრები თანამდებობიდან არცთუ სუფთა სახელით წავიდნენ. თქვენ ამის არ გეშინიათ?**

— ამისი ყველაზე ნაკლებად მეშინია. როცა ამ თანამდებობაზე მოვდიოდი, ვიცოდი, რა პასუხისმგებლობა უნდა ამეღო. დაბოლოს, გეტყვით იმას, რომ დარგის რეაბილიტაციისთვის თუმცა ბევრი კეთდება, ეს მაინც არ ჩანს, რადგან არსებობს დენის დეფიციტი. 2004 წლისთვის, დარგში რეინვესტიციები (დამატებითი ინვესტიციები) დაიწყება, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ დროიდან ხალხს აღარ ეცოდინება არც ენერგეტიკის სამინისტროს მისამართი, არც მინისტრის გვარი და არც „ეი-ი-ეს თელასის“ სადაურობა. ვოცნებობ, რომ ერთ მშვენიერ დღეს მეც, სქოულიც და ბევრი სხვაც, ხალხს დავავიწყდეთ.

**— გისურვებთ სურვილის ასრულებას.**

***ქეთი ბერეკაშვილი***

# ადამიანთა გატაცებამ ბინძური ფულის მანქანა აამუშავა

## რამაც ერთ-ერთი ვერსიით, ცნობილი აფხაზი ბანდიტის „მალიშას“ სიცოცხლე შეიწირა...

25 იანვარს, ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხში მომხდარი შეტაკებისას 2 სხვა აფხაზთან ერთად დაიღუპა ჯერ კიდევ გალის მაისის მოვლენების დროს ქართველების მიმართ განსაკუთრებით აგრესიულად განწყობილი ბოევიკი რუსლან ცვეიბა, მეტსახელად „მალიშა“. საინფორმაციო საშუალებები გულმოდგინედ ცდილობენ, ცხელ კვალზე მიიღონ სამართალდამცავებისაგან ოფიციალური პასუხი მომხდარის შესახებ, მაგრამ ამაოდ, არავინ ამხელს ქართველთა და აფხაზთა არაოფიციალური შეხვედრის მიზეზს, რომელიც სისხლით დასრულდა. არადა, ეს მოხდა რუსეთის სამშვიდობოების ერთ-ერთი მთავარი პოსტიდან 200 მ-ში.

როგორც ირკვევა, 25 იანვარს „მალიშა“ და კიდევ 4 აფხაზი ენგურს გამოღმა, ხიდთან მოსალაპარაკებლად შეხვდა ქართველთა 7-კაციან ჯგუფს. შეტაკებისას უვნებლად გადარჩენილი აფხაზი გელა ვანაჩას ჩვენებით ჩვეულებრივი საუბარი ჰქონდათ. არავითარი საქმის გარჩევა არ ყოფილა. არაყიც კი ერთად დაულევიათ, ცეცხლი დამშვიდობებისას გახსნეს, თუმცა ვინ, ეს ცნობილი არ არის.

შეხვედრის ადგილზე მისულთ 3 სისხლიანი გვამი, დაჭრილი გენა აშხაცავა და მოულოდნელად ამტყდარი სროლით შოკში ჩავარდნილი ვანაჩა დახვდათ. რუსი სამშვიდობოები კომენტარისაგან თავს იკავებენ. ქართველი სამართალდამცავები პარალელურად — შეხვედრაში მონაწილე ქართველთა ვინაობასაც ადგენენ.

თავიდანვე გამოირიცხა პოლიტიკური მოტივი და მიზეზები ბიზნესის სფეროში არსებულ უთანხმოებებს დაუკავშირდა. ენგურის გადასასვლელებს შორის გამართულ მსხვილ გარიგებებზე კარგა ხანია აშკარად საუბრობდნენ. უფრო მეტიც, სამართალდამცავებს, ეტყობა, მობეზრდათ თავის მოკატუნებაც და განაცხადეს: ვინც გუშინ ერთმანეთს ესროდნენ, დღეს, სწორედ ისინი წარმართავენ ბიზნესსო.

ამ ინციდენტთან დაკავშირებით დასახელებული თხილისა და ფერადი ლითონების ბიზნესთან აქცენტი უაქციზო სიგარეტზე გადაცურდა. ის, რომ სამეგრელოს რეგიონი განსაკუთრებით ხელსაყრელი გასაღების ბაზარია აფხაზეთისათვის, ეს ენგურს გაღმაც იციან და ქართული მხარისათვისაც არ არის უცხო. თუკი აქციზის შემოტანამდე ენგურის სხვადასხვა ფონით გადმოზიდულ სიგარეტს მოკრძალებულად კონტრაბანდას უწოდებდნენ, ახლა უხერხულობა თითქმის მოხსნილია. მაშინ აფხაზეთიდან არალეგალურად შემოტანილი საქონლის კონტრაბანდად მონათვლა, ფაქტობრივად, აფხაზეთის არასაქართველოს ტერიტორიად აღიარების ტოლფასადაც კი მიიჩნეოდა. მაგრამ აქციზის შემოღების შემდეგ სამართალდამცავებს თამამი განცხადების საშუალება მიეცათ. ახლა უაქციზო სიგარეტის აფხაზეთში არსებობა ქართული მხრიდან კონტრაბანდად იწოდება, ეს არგუმენტი ენგურს გამოღმა გადმოტანის შემთხვევაში უფრო ძლიერდება.

როგორც ირკვევა, ინციდენტამდე რამდენიმე ხნის წინ სოხუმს სოლიდური რაოდენობის სიგარეტით დატვირთული გემი მოადგა. ერთ-ერთ ვერსიად მიიჩნევენ სიგარეტის ერთი პარტიის ენგურს გამოღმა გასაღების შემდეგ წამოჭრილ ფინანსურ პრობლემას, რომელშიც ეს ჯგუფები იყვნენ ჩართულნი. არსებობს სხვა მეტად ხელჩასაჭიდი არგუმენტებიც.

ბოლო ხანს კვლავ განახლდა ადამიანთა გატაცებების ფაქტები, რაც ერთგვარად ცოცხალ ბიზნესად იქცა. ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზოლში მდებარე გალისა და ზუგდიდის რაიონებში ყაჩაღობისა და ადამიანთა გატაცებისთვის საუკეთესო პირობები არსებობს — ყოველი ინციდენტის შემდეგ აფხაზები დანაშაულს ქართველებს აბრალებენ, ქართველები — აფხაზებს. ადამიანთა გატაცებამ ბინძური ფულის მანქანა აამუშავა. ეს სარფიან ხელობად იქცა. გატაცებულზე თანხა დაწესდა, რომელიც გარკვეულ შეღავათებსაც ითვალისწინებს: სტატისტიკური მონაცემებით, შარშან ზუგდიდისა და გალის ტერიტორიებიდან 62 ადამიანი გაიტაცეს. ახლახან კი ზუგდიდის სოფელ განმუხურის მცხოვრებ ძმებ ზარანდიებთან ერთად მათი სიძე, ოფიცერი ლოლაძეც გააყოლეს ხელს, ხოლო გასულ კვირას სასაზღვრო სოფელ შამგონიდან გაიტაცეს ცოლ-ქმარი ქადარიები და ზარანდიების მსგავსად, ჯერ არ დაუბრუნებიათ. ამ საქმეში 25 იანვრის ინციდენტის დროს დაღუპული „მალიშას“ სახელი ფიგურირებდა.

აფხაზური საინფორმაციო საშუალებების ცნობით, 25 იანვარს, რუხში, ენგურის ხიდთან, ქართველ და აფხაზ ადამიანთა გამტაცებლებს შორის იყო შეხვედრა, სადაც მძევალთა გაცვლის შესახებ უნდა ემსჯელათ. აფხაზური რადიოს ცნობით, ქართულ მხარეს ამ ე.წ. მოლაპარაკებაში ხელმძღვანელობდა გალის მკვიდრი, ამჟამად ზუგდიდში მცხოვრები, ქართველ პარტიზანთა ლიდერი დათო შენგელია, რომელიც, მათი ცნობით, შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. როგორც ირკვევა, „მალიშა“ ანუ რუსლან ცვეიბა გაგრის ჯგუფს ხელმძღვანელობდა. გალის ტერიტორიაზე საომრად ის სრულიად ბავშვი ჩამოჰყვა ბოევიკებს და ამიტომ „მალიშა“ უწოდეს. ნელ-ნელა „მალიშა“ პროფესიონალ ბანდიტად ჩამოყალიბდა. თამამად შედიოდა ქართულ სოფლებში, მაშინაც, როცა ამას სხვები ადვილად ვერ ბედავდნენ. როგორც ცნობილი გახდა, თავად „მალიშა“ ბზიფელი იყო და მას გაგრელები ჰყავდა ჯგუფში. ასე რომ, კომპეტენტური წყაროები, არც ბიზნესს გამორიცხავენ და შურისძიების მოტივსაც რეალურად მიიჩნევენ.




მით უმეტეს, ირკვევა, რომ აფხაზ ბოევიკებს მტრები გალის ტერიტორიაზე სხვა არაოფიციალური ფორმირებების სახითაც ჰყოლია. ვიდრე გაგრელები მოიკიდებდნენ ფეხს, გალის ტერიტორიაზე გავლენის სფეროებს გუდაუთისა და ოჩამჩირის ჯგუფები ინაწილებდნენ. კლანებს შორის ბზარი თანდათან ღრმავდებოდა. გუდაუთელების მიერ გალში პოზიციების დათმობის შემდეგ ერთმანეთის პირისპირ დარჩენილ გაგრელებსა და ოჩამჩირელებს შორის წინააღმდეგობები არ განელებულა და ბრძოლა გაგრძელდა. „მალიშა“ ერთ-ერთი პოპულარული ფიგურა გახდა.

ამ მოვლენების შემდეგ ენგურს გაღმა სიტუაცია საკმაოდ დაიძაბა. მიუხედავად ამისა, მაისის მოვლენების მსხვერპლნი კვლავ დაუბრუნდნენ თავიანთ სახლ-კარს და ცხოვრება თავიდან დაიწყეს. მაგრამ 25 იანვრის შემდეგ „მალიშას“ და მასთან ერთად დაღუპულთა გამო ქართველებს აფხაზები მუქარას უთვლიან. უფრო მეტიც, ეს მუქარა ზუგდიდის სასაზღვრო სოფლებსაც გადმოსწვდა. შეშინებულმა მცხოვრებლებმა იციან, რომ აფხაზები უპასუხოდ არ ტოვებენ ასეთ ამბებს, რასაც თითქმის ყოველთვის უდანაშაულო ადამიანები ეწირებიან.

***რუსუდან მიქენაია, ზუგდიდი***

# რამ (ან ვინ) მოწამლა

## გუჯარ ყურაშვილი?

როგორც უკვე ცნობილია, 1999 წლის 22 მაისის არშემდგარი ტერაქტის ორგანიზებაში ეჭვმიტანილი გუჯარ ყურაშვილი 26 იანვარს, საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მოათავსეს. ყოფილი გენერალ-მაიორი ჯერ კიდევ დაკავებამდე ავადმყოფობდა, თუმცა ამ ფაქტისთვის ყურადღება არავის მიუქცევია.

იმავე ტერაქტში ეჭვმიტანილი თემურ პაპუაშვილის საეჭვო სიკვდილმა ყურაშვილის ოჯახის წევრებს სერიოზული ეჭვები და შიშის საფუძველი გაუჩინა. მათ თხოვნით მიმართეს საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვისა და ეროვნულ უმცირესობათა კომიტეტის თავმჯდომარეს, ქალბატონ ელენე თევდორაძესა და საქართველოს სახელმწიფო უშიშროების საგამოძიებო ჯგუფის უფროსს მალხაზ სალაყაიას, ავადმყოფობის გამო ყურაშვილი საავადმყოფოში მოეთავსებინათ. პატიმართა „დედა ტერეზად“ შერაცხულმა ელენე თევდორაძემ სატელეფონო საუბრისას სალაყაიას ყურაშვილთა ოჯახის თხოვნისა და ეჭვმიტანილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინება სთხოვა, თუმცა სალაყაიას მხრიდან კონკრეტული ნაბიჯები არ გადადგმულა (როგორც ეს უკანასკნელი აცხადებს, ეჭვმიტანილის ადვოკატის შუამდგომლობას ელოდებოდა). გასულ ოთხშაბათს ყურაშვილი, უკიდურესად გაუარესებული ჯანმრთელობის გამო, თავად ციხის თანამშრომლებმა მიიყვანეს თავისი ხელით საავადმყოფოში.

როგორც განსასჯელის ადვოკატმა, **თემურ გოძაძემ** „კვირის პალიტრასთან“ საუბრისას განაცხადა, მან ყურაშვილი 21 იანვარს მოინახულა პირველ იზოლატორში, გამომძიებლის თანხლებით (გამოძიებამ უკვე ტერაქტის მრავალტომიანი საქმის გაცნობა დაიწყო). ამ დღეს ყურაშვილი თავს საკმაოდ შეუძლოდ გრძნობდა და ეს გამომძიებელსაც აცნობა.

ორი დღის შემდეგ კი ყურაშვილს საერთო სისუსტე უგრძვნია, ტანზე გამონაყარი გასჩენია. ავადმყოფობის მიუხედავად, ოთხშაბათს, 26 იანვარს, დილით უვარჯიშია, შემდეგ კი სხეული გაშეშებია. ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში ყურაშვილს დაუდგინეს, ჰიპერტონული კრიზი სხეულის გაშეშებით, მწვავე ინტოქსიკაცია. ექიმების წინასწარი ვარაუდით, ყურაშვილი საკვებმა, უფრო ზუსტად, შინიდან მიტანილმა ღვეზელმა მოწამლა, რასაც კატეგორიულად უარყოფენ ყურაშვილის ოჯახის წევრები (ექიმების დასკვნას არც ყურაშვილის ადვოკატი იზიარებს).

ვესაუბრებით გუჯარ ყურაშვილის დას, **თინა ყურაშვილს:**

***— ქალბატონო თინა, რამდენად საფუძვლიანია ვარაუდი, ბატონი გუჯარ ყურაშვილის ღვეზელით შესაძლო მოწამვლასთან დაკავშირებით?***

— აბსოლუტურად ალოგიკურად მიმაჩნია ექიმთა დასკვნა. მოგეხსენებათ, გუჯარს კუჭის წყლული აქვს. ამის გამო ამანათისთვის მხოლოდ იმ საკვებს ვამზადებთ, რაც მას შეერგება. არა მგონია, ღვეზელს წნევის მომატება და სისხლის ღებინება გამოეწვია. აქ უფრო სერიოზულად არის საქმე, თუმცა დასკვნების გამოტანისგან, გასაგები მიზეზების გამო, თავს შევიკავებ (როგორც ჩანს, ყურაშვილები ჯერ კიდევ შეშინებულნი არიან პაპუაშვილის სიკვდილით, — ზ.ქ.). მიმაჩნია, რომ გუჯარი დაპატიმრების კი არა, ჯილდოს ღირსი იყო. მან ხომ, ფაქტობრივად, მოსალოდნელი დესტაბილიზაციის შესახებ ამცნო ქართველ სამართალდამცავებს.

***— ამბობენ, გუჯარ ყურაშვილს შინ ედუარდ შევარდნაძის ფოტო ეკიდაო...***

— მართალია, თანაც საკმაოდ თვალსაჩინო ადგილას. რომ აცხადებდნენ, ტერაქტის ორგანიზატორებს იგორ გიორგაძის პლაკატები აღმოუჩინესო, რატომ ამ ფაქტზე არ გაამახვილეს ყურადღება? იმიტომ, რომ ხელს არ აძლევდათ.

1999 წლის 22 მაისის არშემდგარი ტერაქტის ორგანიზებაში ეჭვმიტანილთა სასამართლო პროცესი, სავარაუდოდ, ორ თვეში დაიწყება. რაც შეეხება მის საბოლოო დასკვნას, გუჯარ ყურაშვილის ადვოკატი იმედოვნებს, რომ იგი ობიექტური იქნება.

***ზურა ქაჩლიშვილი***

# როგორ დავმალოთ ჩვენი სირცხვილი?..

ერთი საკმაოდ ცნობილი (პოპულარული) პიროვნების მეუღლეს ვთხოვე, — თქვენზე ამბობენ, მდიდარი ინფორმაცია აქვს ევროპის ქვეყნებში თავისუფლებააღკვეთილ ქართველებზე და თუ შეგიძლიათ, გამაცანითმეთქი. სიტყვის დასრულება არ მაცალა, ისე მომიჭრა, — არ არის მართალიო. დანამდვილებით ვიცი, არ მომატყუებდნენ ამბის მომტანნი და ჩავაცივდი. თქვენც კარგი ჯიუტი ყოფილხართო, დამისვა დიაგნოზი და რაღა ბევრი გავაგრძელო, — დამთანხმდა. ოღონდ პირობა დამადებინა, — მის სახელს არ ვახსენებდი, რადგან მეუღლე ინტერვიუების მიცემას სასტიკად უკრძალავს, განსაკუთრებით კი თუ საქმე ქართველებს ეხება (რესპონდენტი უცხოელია), კრინტი არ უნდა დაძრას. ვფიქრობ, ეს ერთგვარად გამართლებულიცაა, რადგან გამორიცხული არ არის, რომ უცხოელის შეფასებანი შეურაცხყოფად მიიღოს რომელიმე ჩვენგანმა.

რესპონდენტს ხელთ ჰქონდა ბელგიელი ფსიქოლოგის დასკვნები იმ ქართველებისა და სომხების შესახებ, რომლებმაც სასჯელი ჰოლანდიასა და ბელგიაში მოიხადეს. ფსიქოლოგი წლების განმავლობაში საპყრობილეებში მუშაობდა და იკვლევდა, თუ რა მიზეზით გახდა ესა თუ ის პიროვნება დამნაშავე. მოგეხსენებათ, განვითარებულ ქვეყნებში ხელისუფლების მთავარი მიზანი ადამიანის დასჯა კი არა, გაკეთილშობილება, სწორ გზაზე დაყენებაა და ამას ახერხებენ კიდეც. ფსიქოლოგების აზრით, მძიმე გარემოში ჯანსაღი პიროვნება ვერ აღიზრდება, მისი აზროვნების ჩამოყალიბებაში ვინმემ უნდა ითამაშოს გარკვეული როლი; ანუ ფსიქოლოგები თვლიან, რომ გარემო კვალს აჩნევს ადამიანის სულს, რაც ადრე თუ გვიან თავს იჩენს. ამ თვალსაზრისით, ქართველი და სომეხი ახალგაზრდობის ერთი ნაწილი ყოფილა დაავადებული.

თავისუფლებას მოწყურებული ახალგაზრდა ჩადის მისთვის ზედმეტად თავისუფალ ქვეყანაში და ზომაზე მეტად თავისუფლდება, ანუ საკუთარ თავს ისეთ უფლებებს აძლევს, რასაც იქაურნი არ იკადრებენ. არც ისე იშვიათია შემთხვევები, როცა ქართველს წვრილმანი ქურდობისთვის უცხო ქვეყნიდან აძევებენ. არადა იქ (ბელგია, ჰოლანდია, დანია) ასეთ რამეზე სასჯელი, ფაქტობრივად, არ არის, მხოლოდ რამდენიმე დღე ჰყავთ დატუსაღებული. პატიმრობის პერიოდში კი (ჩვენგან განსხვავებით) არც ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებენ და არც რაიმე განსაკუთრებულ ზომებს იღებენ. პირიქით, ადამიანის უფლებებს იცავენ და საჭმელსასმელს არ აკლებენ.

წვრილმან ქურდობაში მაღაზიებიდან ქურთუკის, ფეხსაცმლისა თუ სხვადასხვა უმნიშვნელო ნივთის მოპარვა იგულისხმება. ევროპული ბიზნესკანონებით, საღამო ხანს, როცა მაღაზია იკეტება, მეპატრონე რეკლამირებისთვის საქონელს ვიტრინაში, დახლზე ისეთ ადგილზე ტოვებს, რომ გამვლელ-გამომვლელმა კარგად შეამჩნიოს. ამით სარგებლობენ ჩვენი თანამემამულენი და მაქინაციებით ცდილობენ ნივთების მაღაზიიდან გამოძვრენას. ამ რამდენიმე წლის წინ, როცა საზღვარი გაიხსნა და ევროპაში ქართველების პირველი ნაკადი ჩავიდა, თურმე უმრავლესობა ისეთი ძვირფასი ტანისამოსით დადიოდა, რომ მსგავსის შესაძენად ევროპელები წლობით ღვრიან ოფლს. ამიტომ უკვირდათ კიდეც — თუ ასეთი მდიდარი მხარიდან არიან, ემიგრაციაში რაღა უნდათო. შემდეგ ეს აზრი შეიცვალა და კავკასიური იერით გამორჩეულებზე მეტად ცუდი წარმოდგენა შეექმნათ. იქაურმა პოლიციამ დააფიქსირა, რომ ემიგრანტების ეს ნაწილი საქურდლადაა ჩასული და არა სამუშაოდ. ალბათ ასეთი უნახავებისთვის კანონმდებლობის შეცვლა ვერ მოხერხდა. ამიტომ საკითხი გაცილებით მარტივად გადაწყვიტეს: რამდენიმეჯერ ქურდობაში შემჩნეულს თვითმფრინავის ბილეთს უღებენ — ოღონდ თავი დაგვანებეო და იძულების წესით სამშობლოში აბრუნებენ. აი, ეს კი



ქართველისთვის ნამდვილი სასჯელია. მაგრამ თურმე გამოცდილთათვის საქმე აქამდე იშვიათად მიდის, რადგან ერთხელ ნაპატიმრალი ჭკუას სწავლობს და ცდილობს, აღარ ჩავარდეს. ქურდობის ასეთი ფორმა ძალიან უკვირთ უცხოელებს — ყოფილა შემთხვევები, როცა დაპატიმრებულისთვის პოლიციელს ან მაღაზიის მეპატრონეს ის ნივთი უჩუქებია, რომელსაც იპარავდა. ალბათ ეგონა, — საცოდავს, არ ჰქონია, უჭირს ან კიდევ — აჰა, აიღე, შე მათხოვაროო. კრიმინალში რიგით მეორე ადგილზეა ნარკომანია, რომელიც თურმე ყველა ჩასულს ახასიათებს. ზემოთ აღნიშნული ფსიქოლოგის დაკვირვებით, იმ ახალგაზრდების, ძირითადად ვაჟების, უმრავლესობა, რომლებიც ჰოლანდიაში, ბელგიასა და დანიაში ჩადის, ან ჩამოყალიბებული ნარკომანია, ან კიდევ მიდრეკილება აქვს. ჰოლანდიაში ნარკოტიკი აკრძალული არ არის. ამისთვის სპეციალურად გამოყოფილი ადგილებიც არსებობს და ავტობუსიც დადის, რომელიც ნარკომანებს ემსახურება. ამით ჰოლანდიის ხელისუფლება ნარკოტიკის ლეგალიზებას როდი ეწევა, მისი იდეოლოგია ასეთია: დაუკმაყოფილებელი ნარკომანი გაცილებით მეტ ზიანს აყენებს სახელმწიფოს, ვიდრე ის, რომ თავად ხელისუფლებამ გაუკეთოს ნარკოტიკი. სანაცვლოდ იქ ნარკომანიის წინააღმდეგ საზოგადოებრივი აზრი მუშაობს, ანუ ასეთი პიროვნება ხალხისგან გარიყულია, ის ისეთ ავადმყოფად ითვლება, როგორც ჩვენთან ქუჩაში მობარბაცე ლოთი. თანაც, გარდა იმისა, რომ „წამალს" უკეთებენ, წვერსაც პარსავენ, პერანგსაც უცვლიან და საზოგადოებისთვის მისაღებ სახეს აძლევენ.

საზოგადოების ჯანსაღ ნაწილს დაახლოებით ასეთივე შეხედულება აქვს ჰომოსექსუალისტებზეც. ისინი დემორალიზებულ ადამიანებად ითვლებიან, ოღონდ ჩვენგან განსხვავებით, არ იდევნებიან.

აქედან ჩასული ნარკომანების ნაწილი უცოდინრობით, ანუ დიდი დოზის მიღებით სიცოცხლეს უმალ ამთავრებს. მეორე ნაწილი, უსახსრობის გამო ქურდობით ნაშოვნი ფულით ცდილობს ნარკოტიკის შეძენას. არიან ისეთები, რომლებმაც ნარკოტიკების გადამყიდველის „გადაგდება" მოინდომეს. ერთხელ მოახერხეს. მერე მადა მოემატათ და... სიცოცხლესაც გამოეთხოვნენ. ეს ამბავი ბელგიაში, ბრიუსელის ახლოს მომხდარა. იქ, ჰოლანდიისგან განსხვავებით, ნარკოტიკი დაშვებული არ არის, მაგრამ თითქმის ყველა კუთხეში იყიდება. როგორც ჩანს, ქართველებმა ჯერ ცოტათი მოატყუეს გადამყიდველი, რასაც მისი მხრიდან მხოლოდ გაკვირვება მოჰყვა, მერე მეტი მოინდომეს და ნარკომაფიოზი გაანაწყენეს; მან კი სიკვდილით დასაჯა ისინი.

ნარკოტიკებისკენ ასეთ სწრაფვას ბელგიელი ფსიქოლოგი შემდეგნაირად ხსნის: მიუხედავად მძიმე პირობებისა, კავკასიელ ხალხს აქვს დაუოკებელი სწრაფვა, მიდრეკილება კარგი ცხოვრებისკენ — სიამოვნებისკენ. ამ ჟინს კი ნარკოტიკით იკლავენ, რადგან უმრავლესობას ვერ წარმოუდგენია, თუ არსებობს კიდევ სხვა გასართობი. ალბათ ეს დასკვნა ჩვენს უნახაობაზე, უვიცობაზე მეტყველებს, თორემ ჰოლანდიაში ცნობილი ყოფილა ნარკომანიის ე.წ. კულტურა, რაც ნარკოტიკის ზომიერ მოხმარებას ნიშნავს. შეიძლება პიროვნება კვირაში ერთხელ, გართობის მიზნით ნარკოტიკს ხმარობდეს, მაგრამ ეს მისთვის ყოველდღიურობად არ უნდა იქცეს, რაც იმას ნიშნავს, რომ კაცი არ უნდა დაემსგავსოს მონსტრს.

ასეთი ხალხის მიმართ საზოგადოება გაცილებით გულმოწყალეა. მიაჩნიათ, რომ პიროვნება ერთობა, თავისებურად იკლავს ჟინს. სამწუხაროდ, აქედან ჩასულებში ეს იშვიათობაა. ისინი მაქსიმალისტები არიან, გადაეშვებიან ნარკოტიკების მორევში და მერე ციხეში ამოყოფენ ხოლმე თავს.

გაგიკვირდებათ ალბათ, მაგრამ თურმე იქაური ციხეც ერთგვარი შველაა, რადგან თუ სურვილი აქვს კაცს, შეუძლია იმუშაოს და ფული დააგროვოს. თანაც საპყრობილეში მუდმივი დენია, არის გართობა (ბილიარდი, მაგიდის ჩოგბურთი და ა.შ.), ცხელი თუ ცივი წყალი, რიგიანი კვება. ციხეში მოხვედრის შემდეგ იქაური სიამოვნებით დამტკბარი ჩვენი თანამემამულე თურმე გაცილებით საშიში ხდება გათავისუფლების წინ, რადგან კარგად უწყის, — გაშვების შემდეგ პირდაპირ სამშობლოში უკრავენ თავს. ამიტომ რჩება ერთადერთი გზა, ისევ ციხეში ჩაიდინოს დანაშაული. ან ვინმე უნდა დაჭრას, ან თავი გაუტეხოს და ა.შ. თანაც ამით ავტორიტეტს იმაღლებს. გათავისუფლების ჟამს ემიგრანტ პატიმარს იქაური პატიმრებიც ერიდებიან. ასეთ კაცს იქ მეტსახელად „ველურს" ეძახიან.

ერთ ჩვენს თანამემამულეს ძალიან მოუნდომებია და ერთხელ ისეთი მძიმე დანაშაული ჩაუდენია, რომ კინაღამ სამუდამო პატიმრობისთვის გამოუკრავს ხელი, მაგრამ შეუწყალებიათ და 25 წელი მიუსჯიათ. ისიც უზომოდ „გაბედნიერებულა".

დანიაში, კოპენჰაგენის მახლობლად, ნარკოტიკების რეალიზაციისთვის სასჯელს იხდიდნენ ქართველი ბიჭები. მათ თურმე ბინაში რამდენიმე კგ ჰეროინი და ე.წ. XXI საუკუნის ნარკოტიკი „ლსდ" აღმოუჩინეს. ორი მათგანი თბილისელი ყოფილა. ნარკოტიკის რეალიზაცია ციხეშიც გაუგრძელებიათ (ალბათ მიმწოდებელი ჰყავდათ) და იმდენი ფული უშოვიათ, რომ პატიმრობის წლები გამოუსყიდიათ.

თურმე ციხეში კრიმინალებს შორის წესრიგს ეს ქართველები ამყარებდნენ, მაგრამ არა ძალით, არამედ ფულით. იქაურ ციხეებში განმკარგულებელი მხოლოდ და მხოლოდ ფულია, მერე ძალა. არ ვიცი, რამდენად მართალია, მაგრამ მითხრეს, რომ ციხეში დამნაშავეებში ახალი ქურდული სისტემის დანერგვას ცდილობდნენ, მაგრამ იქაურმა პატიმრებმა მხარი არ აუბეს, უბრალოდ, ვერ გაიგეს, როგორ შეიძლება ქურდი კანონიერი იყოს და იბრალებდეს მმართველობასო.

ციხის ადმინისტრაციას ავადმყოფური იდეოლოგიის გავრცელების მცდელობისთვის მათთვის მძიმე სამუშაოების შესრულება მიუსჯია. საბედნიეროდ, ჯერჯერობით, საქართველოში დიდ სირცხვილად ითვლება ნარკოტიკით ვაჭრობა (ქუჩის შეხედულებებს ვგულისხმობ). ასეთს მეგობრები კარგავენ. ამ ფაქტორის გათვალისწინებით ადვილი წარმოსადგენია, როგორ უნდოდათ ბიჭებს გამდიდრება, რომ ყველაფერი ქართული დაივიწყეს. ზოგიერთმა ზურგი აქცია თბილისურ კაიბიჭობას და ფულის შოვნის ჭაობში ჩაეფლო. თუმცა, ეს რა მოსატანია იმასთან, რომ მოქალაქეობის გულისთვის ქართველები ჰომოსექსუალისტობას იბრალებენ და მზად არიან, დაამტკიცონ კიდეც. აღარაფერს ვამბობ იმ ქალებზე, რომლებიც სხეულით ვაჭრობენ და ფულის გულისთვის არანაირ სექსზე არ ამბობენ უარს. სამწუხაროდ, ეს ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ალბათ ამაზე კომენტარის გაკეთება ნებისმიერ ნამდვილ ქართველს გაუჭირდება და არცაა საჭირო.

ბოლოს, ელემენტარულს ვისურვებდი: ისეთი ქვეყანა შეგვექმნას, რომ საქართველოდან აღარ გარბოდნენ, იქნებ ასე მაინც დავმალოთ ჩვენი სირცხვილი...

**თამაზ ხაბეიშვილი**

# წვერი მწამს, მაგრამ ბოლო?!

ეს წუთია, რაც ერთდღიანი ომიდან დავბრუნდი. ოთახში ტრადიციული და განუყრელი ძმები დამიხვდნენ — უშუქობა და სიცივე. ერთდღიანი ომი კი, როგორც ყველა დევნილმა, მეც მეტროს ტალონების რიგში გადავიტანე (ცნობისათვის: მეტროს ტალონი — მეტროპოლიტენით უფასოდ მგზავრობის ბილეთი). ეს ტალონები ჩვენ, დევნილებს, საშუალებას გვაძლევს, უფასოდ გადავაადგილდეთ მეტროს გამოყენებით თბილისის ტერიტორიაზე (ისე კი მეტრო თბილისის გარდა...). მისი ვადა ერთი წელია. თუმცა ბევრი ჩემი თანამემამულე არ არის დარწმუნებული, რომ იმის შემდეგ, რაც სანუკვარი ტალონის ასაღებად რიგში მდგარს გადახდა, კიდევ შეძლებს გადაადგილებას თუნდაც მეტროს დახმარებით და მით უმეტეს, ერთი წლის განმავლობაში.

ამ წერილში არ ვაპირებ იმის მტკიცებას, დევნილთა რა რაოდენობა შეძლებს გადაადგილებას, ან რამდენი დევნილი ვერ მიაღწევს საკუთარი ტალონის ვადის გასვლამდე, რადგან არავინ იცის გზანი უფლისანი, თვით უფლის მეტმა. სამაგიეროდ, ყველა დევნილმა იცის ის, რაზეც ხმამაღლა არავინ ლაპარაკობს.

საქმე ისაა, რომ მეტროს ტალონებთან დაკავშირებით ძალიან დიდი გაუგებრობა ხდებოდა მას შემდეგ, რაც ეს ტალონები მოიგონეს; ასეთივე გაუგებრობა იქნება წელსაც და აი, რატომ: მეტროს ადმინისტრაცია მკაცრად ითხოვს ერთი ტალონით მხოლოდ ერთი მგზავრის გატარებას, არადა ტალონები სულ სხვა პრინციპით დაარიგეს — ორ სულზე გაიცა ერთი ტალონი, ოთხზე — ორი, ექვსზე — სამი და ა.შ. პარადოქსია?

ხალხს ვერაფერს გამოაპარებ, არაფერი დაიმალება... როგორც უკვე ვთქვი, მთელი დღე მომიწია რიგში დგომა და რამდენიმე საინტერესო ინფორმაციასაც მოვკარი ყური. მაგალითად, ერთი ხანში შესული მანდილოსანი დიდხანს ამტკიცებდა, რომ ჩვენ, დევნილები, ხელისუფლებისთვის დიდი ხანია, რაც აღარ აღვიქმებით ადამიანებად (მით უმეტეს, პიროვნებებად, რადგან ყველა ადამიანი როდია პიროვნება), რომ ხელისუფლება დევნილებს განიხილავს, როგორც საქონელს, პირუტყვს და არა საკუთარი ქვეყნის სრულუფლებიან მოქალაქეებს, რომლებზე ზრუნვაც მისი, როგორც ხელისუფლების პირდაპირი მოვალეობაა.

საქმეში ჩაუხედავი ადამიანისთვის ძნელია ამ ქალბატონის მიერ გაკეთებული დასკვნის გაზიარება, მაგრამ საკმარისია თუნდაც ერთი თვე იყო დევნილი, თუნდაც დროის ამ მიზერულ მონაკვეთში მოახერხო ყველა იმ საშინელებისა და დამცირების გადატანა, რასაც დევნილები იტანენ ცხრა წლის განმავლობაში, რომ დარწმუნდე სასოწარკვეთილებამდე მისული მანდილოსნის სიტყვების სიმართლეში.

რიგში ჩემს უკან მდგარმა მამაკაცმა, რომელსაც სხეულის ყველა ორგანო ისე უკანკალებდა სიცივისაგან, რომ ადგილზე ხტოდა, ტვინსა და პირს ძალა დაატანა და ისე გემრიელად შეუკურთხა ყველა გასიებულ საჯდომს, რომ სულო ცოდვილო, ვნებააღძრულს დროებით თბილმა ჟრუანტელმა დამიარა გათოშილ ძარღვებში.

ამ რამდენიმე დღის წინ, როცა დაიწყო ყბადაღებული ტალონების გაცემა, ინტერესის დასაკმაყოფილებლად გადავწყვიტე, მეტროს სადგურებში ხეტიალი, რადგან წინა წლების გამოცდილებით ვიცოდი, რომ ასეთ პერიოდში მეტროს სადგურები უფასოდ მგზავრობის ტალონების გამყიდველებისა და მყიდველებისათვის „შავი ბაზრის" ფუნქციას იძენს. ალღომ არ მიმტყუნა. ვაგზლის მოედანზე ამოსასვლელთან, ახალი რკინიგზის სადგურის მხარეს, პირდაპირ ესკალატორის წინ და მეტროს მილიციის თვალწინ, წვერწამოზრდილმა ახალგაზრდამ საკმაოდ დაუფარავად მაცნობა, რომ ყიდის მეტროს ტალონებს, ალბათ იმ მიზნით, ტალონის შეძენის სურვილი რომ ალმძვროდა, ექსტაზში შესულმა ჯეელმა დაწვრილებით გამაცნო ყველა ღირსება ტალონისა, ნაკლოვანებე-



ბზე კი სიტყვა არ დასცდენია.

ტალონების გაცემა რამდენიმე წუთის დაწყებული იყო „არქიპელაგ გულაგში" (ასე მონათლეს დევნილებმა „გპი"-ს საერთო საცხოვრებელი), ამდენად, გამორიცხულად მეჩვენება ის ვერსია, რომ ამ ყმაწვილ კიდევაც მოესწრო მისი აღება და იმდენი ძალაც შერჩენოდა, რომ ასე ოპერატიულად გამოსულიყო მის გასაყიდად. სათანადო სახემიღებულმა — თითქოს მათი შეძენა მდომოდა, ყასიდად ვკითხე, — რამდენი გაქვს-მეთქი... ჯვარსაც რომ მაცვან, ცხენის კუდსაც რომ გამომაბან ან უფრო უარესი — ცხელ ასფალტშიც რომ ჩამაყოლონ, ვერავინ დამაჯერებს იმას, რომ იმ რამდენიმე წუთის განმავლობაში, რაც ტალონების გაცემის დაწყებიდან იყო გასული, შესაძლებელი ყოფილიყო ასი კაცის გასტუმრება, არადა ყმაწვილ ქორვაჭარს ორმოცდაათამდე ტალონი ჰქონდა. დავუშვათ, გაისტუმრეს ასი ადამიანი რამდენიმე წუთში, როგორ მოხდა, რომ ამ ასივე დევნილს ერთად აღეძრა ტალონის გაყიდვის სურვილი და თანაც ასივემ ამ გაბარდღულ არამზადას როგორ ან რატომ ანდო მათი გაყიდვა (ვისაც გსურთ მეტროში უფასოდ მგზავრობა, გაცნობებთ, რომ პირველ დღეებში ტალონი ღირდა 60 ლარი, დღეს მისი ფასი „შავ ბაზარზე" 45-სა და 40 ლარს შორის მერყეობს. თუ ცოტასაც მოითმენთ, ფასი ზღვრულ მინიმუმამდე დავარდება და მისი შეძენა შეგეძლებათ 25 ლარად)?!

მინდა ზემოთ დასმულ კითხვას მივუბრუნდე: თუ მეტროს ადმინისტრაცია მართალია, როცა ყველა დევნილს სთხოვს ტალონს, მაშ ვინაა დამნაშავე!

როგორც დევნილებისგან გავიგე, ტალონები იმდენი დაუმზადებიათ, რამდენი დევნილიც ირიცხება თბილისში (ზოგი იმასაც ამტკიცებდა, ბევრად მეტიო დაამზადეს), დევნილებს მხოლოდ ნახევარი დაურიგდათ. გამოდის, რომ მეორე ნახევარი ტალონებისა „მოტეხეს". ბევრი ვერსია მოვისმინე იმის შესახებ, თუ ვინ „მოტეხა" ტალონები. ისმოდა ვალერი ვაშაკიძის, აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების (უცნაური კია — როგორ აღიქმება დევნილი ხელისუფლება ლეგიტიმურად), მათი მარადი წინამძღოლის თამაზ ნადარეიშვილის და სხვათა მრავალთა სახელები. ყველაზე მეტად იმან გამაოცა, რომ რამდენჯერმე კახა თარგამაძის სახელმაც გაიჟღერა. ბოლოს, ერთმა დევნილმა, ყველა ეს ქაოსურად მიმოფანტული სახელი მოაგროვა და თქვა: „ყველანი გადიან წილში!"

მე არა მაქვს იმის საფუძველი, ვამტკიცო — ვინ გადის მეტროს ტალონების წილში, თუნდაც იმიტომ, რომ ასეთ „წილებში" ჩემისთანებს ცხვირს არ აყოფინებენ, მაგრამ ჩემი თვალით ნანახი (ტალონების გამყიდველი მყავს მხედველობაში) მაფიქრებინებს, რომ წილში აუცილებლად გადის ვიღაც. როგორც იტყვიან — თამაში ღირს: თუ ათი ათას ასეთ ტალონს „მოტეხავ" და 40 ლარად გაყიდი...

**ზურაბ გოჩაშვილი**

# „სამწუხაროდ, ჩვენს უახლეს ისტორიაში პარადოქსი მოხდა...“

გესლიანი ხუმრობა იცის ისტორიამ. ფაქტებისა და მოვლენების საზოგადოებრივი ხედვის ჰორიზონტი უმეტესწილად თავად ისტორიის თვალით დანახულს სცილდება, ვინაიდან ისტორიას მხოლოდ დრო არ წერს. ისტორიას წერენ ისტორიკოსები, რომელთა პასუხისმგებლობასა და არატენდენციურობაზეა დამოკიდებული მოვლენათა მატიანური სიზუსტით დაფიქსირება.

70 წლიანი კომუნისტური ცხოვრების მონოტონურ დინებაში საუკუნის დასასრულს ერთგვარი დისონანსით შეიჭრა ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი სულისკვეთება. იყო 9 აპრილი, 1991-92 წლების სამოქალაქო ომი. იყო აფხაზეთი და სამაჩაბლო... ყველა ამ მოვლენის თანამედროვენი კი, იმავე ფაქტების გასაიდუმლოების და ე.წ. დისტანციის თეორიის მავნე გავლენის გამო, ამდენი წლის შემდეგ კვლავ ერთმანეთს ვეკითხებით: რა მოხდა?

ამ კითხვით მივმართეთ ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორს, ყოფილი პარლამენტის წევრს, ისტორიკოს **გურამ ყორანაშვილს.**

**— ბატონო გურამ, დავიწყოთ 9 აპრილით... დღემდე უამრავი კითხვის ნიშანი არსებობს. რა მოხდა?**

— მოგეხსენებათ, დაძაბულობა 9 აპრილამდე რამდენიმე დღით ადრე — 4 აპრილს დაიწყო. მთავრობის სახლის წინ მიტინგს თავდაპირველად ზურაბ ჭავჭავაძემ (ილია ჭავჭავაძის საზოგადოება) გაუკეთა ორგანიზება და იგი ძირითადად აფხაზეთის მოვლენებთან იყო დაკავშირებული. შემდგომ, სამწუხაროდ, ეს იდეა აიტაცეს რადიკალებმა, რომლებმაც მიტინგს, ასე ვთქვათ, შინაარსი შეუცვალეს და ხელისუფლებასთან უკიდურეს დაპირისპირებაში გადაზარდეს.

**— ვის გულისხმობთ?**

— ვის და იმ რადიკალებს, რომლებმაც ამ პროცესის სადავეები იგდეს ხელთ. ყველაზე სამწუხარო, რაც მოხდა, ეს იყო რუსეთთან დაპირისპირების მიუღებელი ფორმა. მიტინგზე ფიგურირებდა რუსეთის და კრემლის საწინააღმდეგო ლოზუნგები. ვითომ ასეთი რამ არ ყოფილაო, მაგრამ ფაქტია, რომ იყო. თამაზ გამყრელიძეც გამოიჭირა ამ მხრივ როდიონოვმა სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე. მერე კიდევ, ეს ყველაფერი ხდებოდა სტიქიურად, მასობრივი ფსიქოზის დონეზე.

**— ისტორიულ ფაქტებზე მუშაობის პროცესში 9 აპრილის ტრაგედიის უშუალო განმახორციელებლებთან ხომ არ მიგიყვანათ კვალმა?**

— გუმანით ვგძნობდი და ზეპირი გამოკითხვების შედეგადაც ერთი მნიშვნელოვანი რამ დავადგინე. ადგილი ჰქონდა არა მხოლოდ ეროვნულ ძალებსა და მაშინდელ ოფიციალურ უმაღლეს ხელისუფლებას შორის დაპირისპირებას, არამედ განხეთქილება მოხდა თავად კომუნისტთა შორისაც. ფაქტობრივად გამოიკვეთა კომუნისტების ორი ფრთა: ერთი — პატიაშვილის მეთაურობით და მეორე — ოპოზიციური განაყოფი, რომელშიც ერთგვარი რევანშისტული განწყობა სუფევდა პატიაშვილის მიმართ. ეს იყო პიროვნული ინტერესები. ვიღაცებს ხელს არ აძლევდა მისი სათავეში ყოფნა.

**— ამ ე.წ. რევანშისტულ ფრთას ვინ ხელმძღვანელობდა?**

— როგორც ვიცი, გურამ მგელაძე, რომელიც მაშინ „აგრომრეწვის“ ხელმძღვანელი იყო. სხვათა შორის, „აგრომრეწვში“ ბევრი მნიშვნელოვანი რამ ხდებოდა. კერძოდ, სწორედ იქ იგეგმებოდა პატიაშვილის საწინააღმდეგო ხრიკები, იქ ფუძნდებოდა „მხედრიონიც“. ეს ძალები შემდგომ დაუკავშირდნენ ქუჩაში გამოსულ რადიკალურ მასას.

**— ანუ ეროვნულ ძალებს?**

— დიახ, აშკარა იყო, რომ მათ კონტაქტი ჰქონდათ კომუნისტთა ოპოზიციურ ფრთასთან. უფრო მეტიც, მთელი ეს პროცესები მნიშვნელოვანწილად სწორედ „აგრომრეწვიდან“ ფინანსდებოდა. გურამ მგელაძემ რამდენჯერმე თურმე ხელებიც გაშალა, რა არის ასე დაუსრულებლად ამდენ ფულს რომ მთხოვთო!

**— კონკრეტულად ვინ სთხოვდა ფულს მგელაძეს?**

— ვინ და მაშინდელი ეროვნული ძალების ხელმძღვანელი. თუმცა აქედან გამოვრიცხავ ზურაბ ჭავჭავაძეს და შეიძლება, ჭანტურიასაც, დანარჩენებს, დანამდვილებით ვიცი, რომ ფინანსური ურთიერთობები ჰქონდათ მგელაძესთან და სხვებთან. ასე რომ, როდესაც 9 აპრილზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ კომუნისტთა ოპოზიციური ფრთა, რომელთა მხრიდან ადგილი ჰქონდა პატიაშვილის წინააღმდეგ შეთქმულებას.

**— როგორც ცნობილია, 9 აპრილის წინა დღეებში თბილისში იმყოფებოდა რუსეთის მთელი გენერალიტეტი, რომელთაც კონფიდენციალური შეხვედრები ჰქონდათ მაშინდელი უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის გივი გუმბარიძის კაბინეტში.**

— თავად ის ფაქტი, რომ რუსეთის გენერალიტეტი გუმბარიძის კაბინეტში იმყოფებოდა, ბევრ რამეზე მეტყველებს, მაგრამ 9 აპრილის დამსჯელი ოპერაცია უფრო ზევით დაიგეგმა. რუსეთი, ცხადია, არ გვაპატიებდა მათდამი ასეთ რადიკალურ დაპირისპირებას. მიტინგის ძალით დარბევის გადაწყვეტილება მოსკოვის პოლიტბიუროს დონეზე მაინც მომწიფდებოდა.

**— იყო თუ არა შესაძლებელი, რომ 9 აპრილის ტრაგედია თავიდან აგვეცილებინა?**

— ბალტიისპირეთში, მაგალითად, დარწმუნებული ვარ, მსგავსი რამ გამორიცხული იყო, არც მომხდარა. ჩვენგან განსხვავებით, იქ რადიკალების აღზევების ფაქტსაც არ ჰქონდა ადგილი. ე.ი. ჩვენთან სხვა მენტალიტეტია. მიძნელდება თქმა, მაგრამ ქართველთა ფართო მასის მომზადების დონე ძალიან დაბალი აღმოჩნდა, არადა, წინ გვქონდა მშვენიერი ნიმუში ბალტიისპირეთის რესპუბლიკების სახით, რომლის გაგონებაც კი არ სურდათ ჩვენს რადიკალებს. ღმერთმა აცხონოს გია ჭანტურია, ბალტიისპირეთი რომ განთავისუფლდა, კიდევ არ სჯეროდა. ეგონა, რომ ეს ყველაფერი მოჩვენებითი იყო. და მაინც იმას ამბობდა, ნამდვილი გზა მხოლოდ ჩვენი გზა არისო. მერე კიდევ, აიკვიატეს ეროვნული კონგრესი. სიმართლე თუ გინდათ, კონგრესის შექმნა ეს იყო ყოვლად სულელური, უპერსპექტივო იდეა. მანაც ხელი შეუწყო შემდგომ გაჩაღებულ სამოქალაქო ომს.

მოხდა სამწუხარო პარადოქსი ჩვენი ისტორიისა. ჩემთვის, მაგალითად, 9 აპრილი იყო მემარცხენეების, რადიკალების მარცხი და გულწრფელად მჯეროდა, რომ ამის შემდეგ ისინი ავტორიტეტს დაკარგავდნენ. მოხდა სასწაული, იმის მაგივრად, რომ მათი იმიჯი დაცემულიყო, ხალხმა პირიქით — გმირებად შერაცხა. არადა, მორალური თვალსაზრისით თუ ვიმსჯელებთ, რადიკალებმა წააგეს. ჯერ ერთი, ამხელა მსხვერპლი მოხდა და მეორეც, თავიანთი თავი რომ შეეწირათ მსხვერპლად, კი ბატონო, ტაშს დავუკრავდი და ვეტყოდი, ყოჩაღ, გმირები ყოფილხართ-მეთქი. მაგრამ კოსტავას, ბათიაშვილის, ზურაბ ჭავჭავაძის და კიდევ რამდენიმეს გარდა ყველანი სამარცხვინოდ დაიმალნენ. წარმოგიდგენიათ?! გაოცებული ვარ, ქალები და მოზარდები როგორ მიატოვეს?!

**— ფაქტების გადამოწმების მიზნით თავად გამსახურდიას ან კოსტავას თუ შეხვდით?**

— არა, 9 აპრილის ფაქტებზე მუშაობა ცოტა მოგვიანებით დავიწყე. გამსახურდია და კოსტავა მაშინ უკვე ცოცხლები აღარ იყვნენ. ისე, მე და ზვიად გამსახურდია პარალელურად ვსწავლობდით უნივერსიტეტში. შემდგომ, 1971 წელს გურამ დოჩანაშვილმა გამაცნო ახლოს და მას მერე საკმაოდ ხშირად ვხვდებოდით. გამოგიტყდებით, მისი ამბიციები და შესაძლებლობები დიდად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. ამის მიუხედავად, როგორც დისიდენტს მაინც პატივს ვცემდი 1978 წლამდე, (ტელევიზიით გამოსვლა, მონანიება), როცა ამ მხრივაც ჩემთვის ყველაფერი ნათელი გახდა.



**— თქვენი საუბრიდან გამომდინარე, 9 აპრილის ტრაგედიაში ბრალეულობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით მაშინდელ ეროვნულ ძალებს და კომუნისტთა ოპოზიციურ ნაწილს, ამ ყოველივეში არ ადანაშაულებთ ცკ-ის პირველ მდივანს, რომელიც ასე თუ ისე ჯერ კიდევ ქვეყნის პირველ პირად ითვლებოდა?**

— პატიაშვილი ცდილობდა, რაღაც საერთო გამოენახა ზომიერ ინტელიგენციასთან, მაგრამ, საუბედუროდ, ეს ინტელიგენცია ძალზე უხერხემლო, უნიათო გამოდგა. ერთადერთი გამოსავალი ის გახლდათ, რომ პატიაშვილი თვითონაც ჩამოსულიყო და ხალხის გვერდით დამდგარიყო. ასეთ შემთხვევაში, შედეგის მიუხედავად, საზოგადოება უფრო ლმობიერი იქნებოდა მის მიმართ.

**— ხელს რა უშლიდა?**

— პირველ რიგში ის, რომ, როგორც ჩანს, რადიკალური ოპოზიცია, გარდა ემოციებზე დამყარებული აღტკინებისა, შეგულიანებული იყო კომუნისტების რევანშისტული ფრთისგანაც. მეორე მხრივ, მიტინგის ორგანიზატორებს თვითონვე აღარ შეეძლოთ შეეჩერებინათ მასა და, საერთოდ, ის პროცესი.

**— ჯუმბერ პატიაშილმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ თქვენ შეგიძლიათ ზოგიერთი ისეთი დეტალის დამოწმება, რომელსაც თავად ვერ ამბობს.**

— დიახ, წავიკითხე ის ინტერვიუ, გამსახურდიასთან, კოსტავასთან და ნიკო ჭავჭავაძესთან მოლაპარაკებაზე იყო საუბარი. მე ვიცოდი ამ შეხვედრის შესახებ, პატიაშვილმაც მიამბო და შემდეგ თავად ნიკო ჭავჭავაძემაც. მათ შორის ასეთ მოლაპარაკებას ჰქონდა ადგილი: მიტინგი უნდა შეწყვეტილიყო, ვინაიდან აფხაზეთში ძალიან დაიძაბა სიტუაცია და შემდეგ განახლებულიყო ზაფხულში. სამწუხაროდ ეს შეთანხმება არ შესრულდა. პრინციპში ვერც შესრულდებოდა, რადგან ამ მასის შეჩერება შეუძლებელი იყო. 9 აპრილის წინა დღეებში მახსოვს ბ-ნი ნიკო ამბობდა, რომ მზად იყვნენ მშვიდობიანად დაეხიათ უკან. ნიკო ჭავჭავაძე თვითონ ზომიერი ფრთის წარმომადგენელი იყო და არ გახლდათ, ასეთი რადიკალური დაპირისპირების მომხრე. სხვათა შორის, როგორც ვიცი, თავად გამსახურდია და, მით უმეტეს, კოსტავა ერთი ხანობა ზომიერი ფრთისკენ იხრებოდნენ, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში გამსახურდიამ დაინახა, რომ რადიკალებთან უფრო დიდი ძალა იყო და ამიტომ იქ დარჩა, მიხვდა, რომ ლიდერობას იქ უფრო მოიხვეჭდა, ზომიერებში კი ლიდერი ვერ გახდებოდა. ამანაც იმოქმედა და საბოლოოდ იქითა მხარეს დადგა.

გარდა ამისა, გუმბარიძის სათავეში მოსვლა კიდევ ერთი დიდი გაუგებრობა იყო. რაკი საქმე გადადგომამდე მივიდა, ჯუმბერ პატიაშვილთან ერთად ისიც და სხვებიც უნდა გადამდგარიყვნენ, მაგრამ ასე არ მოხდა. იგი რადიკალების მიმართ რატომღაც აშკარა დათმობის პოზიციაზე დადგა. უფრო მეტიც, შეიქმნა ასე ვთქვათ, მეორე ხელისუფლება „მრგვალი მაგიდის“ სახით, რომელიც თავის რეზიდენციაში — ყოფილ კომკავშირის შენობაში იკრიბებოდა და ათეულობით სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დადგენილებას ღებულობდა. ე.ი. ფაქტობრივად ორხელისუფლებიანობა დამყარდა, რითაც „მრგვალების“ ავტორიტეტი დიდად გაიზარდა. ეროვნულ ძალთა უბედურება იმაში იყო, რომ სტრატეგია ჰქონდათ პრიმიტიული და უსაფუძვლო. მოვიდნენ ეიფორიაში და ეგონათ უკვე ყველაფრის გაკეთება შეეძლოთ. რუსეთი, რომელიც ჩვენდა სამწუხაროდ, დღესაც ჩვენს მიმართ დიდ ნეგატიურ ძალას წარმოადგენს, მათ არასერიოზულად, თითქოსდა უკვე არარსებულად მიიჩნიეს. ვერ გაზომეს, ვისთან ჰქონდათ საქმე. საბოლოოდ, ვფიქრობ, რაც მოხდა, კანონზომიერად მოხდა. ეს ყველაფერი, პირველ რიგში, ქართველი ხალხის მენტალიტეტზე და დაბალ პოლიტიკურ კულტურაზე მიუთითებს. მთლად თურქმენეთი, უზბეკეთი და ტაჯიკეთი არა, მაგრამ არც ლიტვა-ლატვია-ესტონეთი ვართ. ევროპელობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

**— შევარდნაძეს ჰკითხეთ რამე 9 აპრილის ამბებთან დაკავშირებით?**

— მას, ცხადია, რაღაც ინფორმაციები ექნება, რაღაცები ეცოდინება, მაგრამ ამ მოვლენების უშუალო, აქტიური მონაწილე არ ყოფილა, ამდენად, მასთან შეხვედრას და საუბარს ჩემთვის დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა. საერთოდ, მთლიანობაში, ზეპირი გამოკითხვებით ბევრი რამ გავიგე, მაგრამ არის დეტალები, რომელთა გარკვევაც ძნელდება. მთელი უბედურება ისაა, რომ თვითმხილველთა უმეტესობა გაჩუმებულია. ჯერ ერთი — ეშინიათ, მეორე კიდევ — თვითონაც დამნაშავენი არიან და, ამდენად, ურჩევნიათ, საერთოდ არაფერი თქვან. მაგალითად, არავინ ლაპარაკობს, რა ხდებოდა იმ ხანად „აგრომრეწვში“ და რას აკეთებდნენ გურამ მგელაძე თუ სხვები. თუ ვინმეს რამე წამოსცდება, მერე სულ მაფრთხილებენ, გურამ, ჩვენი გვარები არ დაწეროო. ამდენად, წყაროს და გვარებს ვერ ვასახელებ. თუ არ დავასახელე და... მერე მომედავებიან, საიდან იციო.

**— თვითონ გურამ მგელაძესთან თუ მოახერხეთ შეხვედრა?**

— ვერ მოვახერხე. იგი რახანია უკვე მოსკოვშია და მასთან დაკავშირება ვერ შევძელი. გარდა მგელაძისა, ამ მხრივ ძალზე საინტერესო ფიგურაა გუმბარიძე. მანაც ბევრი რამ იცის.

**— ვერც მას შეხვდით?**

— რამდენჯერმე ვცადე დაკავშირება მისი ნათესავის მეშვეობით, მაგრამ ამაოდ. მითხრეს, მასთან შეხვედრას აზრი არა აქვს, მაინც არაფერს იტყვისო.

**— რატომ არ იტყვისო?**

— რა ვიცი, რა გითხრათ, ჯერ ერთი თვითონ ძალიან დახურული კაცია და მეორეც, ისეთი რაღაც-რაღაცები იცის, რისი გამხელაც ხელს არ აძლევს.

**— როგორც ვიცი, თქვენ 1991-92 წლების მოვლენებსაც იკვლევდით.**

— დიახ, 1994 წლის აგვისტოში ედუარდ შევარდნაძის უშუალო ინიციატივით თავდაცვისა და უშიშროების საბჭომ გადაწყვიტა შეესწავლა ეს მოვლენები. ამ მიზნით შეიქმნა 14 კაციანი ჯგუფი, რომლის თავმჯდომარედ ამ ჯგუფმა მე ამირჩია, მაგრამ რად გინდა? ჯერ ერთი, მალე მივხვდი რომ ეს ხალხი საქმის გამკეთებელი არ იყო. მეორეც, ხელისუფლების მხრიდან აშკარა ინერტულობა გამოიკვეთა. ელემენტარული, ოთახის ამბავიც კი ვერ მოგვიგვარეს. ერთ-ერთი შეხვედრის დროს შევარდნაძემ გვკითხა, რითი დაგეხმაროთო. მე ვუთხარი, დაფინანსებას ჩვენ არ გთხოვთ, ერთი პატარა ოთახი მოგვეცით, სადაც შევიკრიბებით და კოორდინაციას გავუწევთ ჩვენს მუშაობას-მეთქი. კი, რაზეა ლაპარაკიო და დაავალა ირაკლი ანდრიაძეს. ორი თვის მანძილზე მატარა ანდრიაძემ. ხან ჰოს მეუბნებოდა, ხან — არას. გავოცდი. ვფიქრობდი, ან თვითონ შევარდნაძეს არ სურს რომ ვიმუშაოთ და ხელს განგებ გვიშლიან, ან კიდევ ანდრიაძე არ ემორჩილება-მეთქი. ბოლოს ჯაბა იოსელიანი დაინტერესდა, მაშინ ის დიდად აღზევებული კაცი იყო. მოგვცა ერთი ოთახი პარლამენტის შენობაში. მდივანიც დავსვი და ისის იყო მუშაობას უნდა შევდგომოდით, ორი კვირის თავზე ოთახი წაგვართვეს.

**— ვინ წაგვართვათ?**

— მაშინდელი პარლამენტის კანცელარიის უფროსმა. კვლავ გავოცდი. როგორ? შევარდნაძემ იცის, ანდრიაძემ იცის, ხელისუფლება ვითომ დაინტერესებულია და ვიღაც ჩინოვნიკი გვართმევს? მერე მივხვდი, რომ აქ რაღაცა ძაღლის თავი იყო დამარხული. როგორც აღმოჩნდა, ხელისუფლება ნამდვილად კი არ იყო დაინტერესებული 1991-92 წლების მოვლენათა კვლევა-ძიებით და სერიოზული შესწავლით, არამედ ყველაფერი ბლეფობით, ფორმალობის დონეზე ხდებოდა. ხარკი გადაუხადეს ვიღაცას თუ რაღაცას. მე ხელი მაინც არ ჩამიქნევია. 8-9 თვე დამოუკიდებლად ვიმუშავე, მერე გამზადებული ნაშრომი მივუტანე და წინ დავუდე. მადლობაც კი არავის უთქვამს. ერთადერთი ჯაბა იოსელიანმა მითხრა, გურამ, შენს ნაშრომს გავეცანი, მომეწონა, ბევრ რამეში გეთანხმებიო. ეგ იყო და ეგ.

საერთოდ თანამედროვე ისტორიის წერა დიდი უმადურობაა და, ამასთან, დიდი ვაჟკაცობაც. ისტორიკოსი ობიექტური უნდა იყო. ობიექტური რომ იყო, უშიშარიც უნდა იყო, მაგრამ ჩვენთან ასეთი სიტუაციაა: მავანთ სურთ, რომ ისე წერო, როგორც მათ აძლევთ ხელს, ამიტომაცაა რომ როცა მიუკერძოებელი ხარ, მადლიერი ძალიან ცოტა გყავს. ესეც ჩვენი ცხოვრების პარადოქსია.

***ხათუნა ყვირალაშვილი***



1992 წლის 6 იანვარი. რუსთაველის გამზირი. „თბილისის ომის“ ბოლო დღე

# „თუ ღილამწყდარი პოლიტიკოსი „ზაპოროჟეცში" ჩაჯდა..."

მას შემდეგ, რაც საქართველო და ევროპა ლამის იდენტური ცნებები გახდა, ძველი ღირებულებების გადაფასებისა და ახლის დამკვიდრების შეუქცევადი პროცესი ფრიად აჩქარებული ტემპით განვითარდა და სხვა უცხოურ ცნებებთან თუ ტერმინებთან ერთად სიტყვა „იმიჯი" და „იმიჯ-მეიკერი" ძალზე გაგვიმშობლიურდა.

შესამისად, პოლიტიკოსთა მნიშვნელობისა და გავლენის მახასიათებლებიც რამდენადმე შეიცვალა და... დღეისთვის პიროვნების პოპულარობისთვის აუცილებელია: ბევრი ფული, სკანდალური განცხადებები, ერთი-ორი ქოხი საფრანგეთში, ორი-სამი სახლი თბილისსა და საკურორტო ზონებში, „მერსედესი-600" ან უახლესი „ბმვ", მინიკაბიანი მდივანი, პირადი დაცვა და უცხოეთიდან მოწვეული ძვირადღირებული იმიჯ-მეიკერი, რომელიც საჯარო გამოსვლების დროს ტექსტის ავტორისა და სუფლიორის ფუნქციებს შეითავსებს, ხოლო პირად საუბრებში კი ასწავლის რომელი ჩანგლით რა სახეობის სალათი უნდა მიირთვას სტრასბურგსა თუ ჟენევაში, საქმიანი სადილის დროს.

თუმცა „იმპორტულ" იმიჯ-მეიკერს, მიუხედავად პროფესიონალიზმისა და დიდი გამოცდილებისა, ერთი ნაკლი მაინც გააჩნია. შესაძლოა მათ ქართულ მენტალიტეტს და თუნდაც ჩვენს ანგარიშგასაწევ ტრადიციებს დროზე ვერ აუღონ ალღო და...

ქართული პრესის ისტორიაში პირველი Press-იმიჯ-მეიკერი, მოსახლეობის აზრის შესწავლით ანუ სოციოლოგიურ გამოკითხვებზე დაყრდნობით, უანგაროდ, უსასყიდლოდ და ამდენად, ყველაზე ობიექტურად შემოგთავაზებთ იმიჯ-რეცეპტებს, რომლის მთავარი მიზანი ამბიციებისა და რეალურობის მაქსიმალური დაახლოება იქნება.

დღევანდელი იმიჯ-რეცეპტების „დასამზადებლად" გამოკითხული იქნა 100 რესპონდენტი. მართალია, მათგან 45-მა არ იცოდა, რას ნიშნავს „იმიჯ-მეიკერი", მაგრამ არა უშავს, ჩვენმა პოლიტიკოსებმაც ხომ სულ ორიოდე დღის წინ შეიტყვეს ამ მნიშვნელოვანი ინსტიტუტის არსებობის შესახებ.

## „ზაპოროჟეცი" თუ „მერსედესი"?..

სამწუხაროდ, ქართულ პოლიტიკაში პოლიტიკოსები ორი ძირითადი გზით ხვდებიან; იშოვნიან ბევრ ფულს და შემდეგ მმართველთა ელიტაში ცდილობენ გასვლას და პირიქით, გამმართველდებიან და შემდგომი წინსვლისთვის ფულის დაგროვებას იწყებენ. ორივე შემთხვევაში აუცილებელია გაიმიჯნოს ფული და პოლიტიკა. თუ პოლიტიკა ფულისთვისაა საჭირო, მაშინ ყველაფერი დღესავით ნათელი და მარტივია; მაგრამ თუ ფული პოლიტიკური კარიერისთვის გჭირდებათ, ამ შემთხვევაში ღირს დაფიქრება, რადგან ზედმეტი თანხით „მარიაჟობამ" შესაძლოა, დათვური სამსახური გაგიწიოთ.

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ავტომანქანის მარკა და ფერიც კი, ხშირად საბედისწეროდ მოქმედებს პატრონის ბედსა და მომავალზე. პარლამენტისა თუ სამინისტროების წინ ჩამწკრივებული „ფირმა" მანქანები ხალხს ნერვებს უშლის. „ვისი ფულით არის ნაყიდი ეს ლამაზ-ლამაზი მანქანები?" ეს ყველაზე ტრადიციული და ტრაფარეტული კითხვაა, რომელიც ასეთ შემთხვევაში უჩნდებათ უბრალო ფეხით მოსიარულეებს. გასაგებია, რომ ფეხით ვერ ივლიან და არც საზოგადოებრივი ტრანსპორტით ისარგებლებენ ხალხის ბედზე ფიქრით დღედაღამ უძინარი ჩვენი პოლიტიკოსები. და მაინც, რომელი მარკის ავტომანქანას უნდა მიანიჭონ უპირატესობა?



პოლიტიკოსმა (განსაკუთრებით კი ახალფეხადგმულმა), რომელსაც მყარი იმიჯი და მზარდი პოპულარობა სჭირდება, დროებით მაინც უნდა გაიღოს მსხვერპლი და როგორმე მოახერხოს ე.წ. საბჭოური „ჟიგულის" მარკის ავტომანქანით გადაადგილება. მოსახლეობა, რომელიც, თუნდაც ერთ საერთოს იპოვის „განდიდებულ" პიროვნებასთან, მის მიმართ ნათესაობისა და ახლობლობის გრძნობა გაუჩნდება; შესაბამისად, გაიზრდება „მსხვერპლგაღებულის" პოპულარობა.

მაგრამ რა მოხდება, თუკი ნამეტნავად მოწადინებული პოლიტიკოსი ყველა არსებულ სტანდარტს დაარღვევს და „მოსკვიჩში" ან „ზაპოროჟეცში" ჩაჯდება? რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, ასეთი ექსპერიმენტი ასიდან 80 შემთხვევაში სრული კრახით მთავრდება, მოსახლეობა ასეთ „გამოხდომას" დაცინვად აღიქვამს და მას არა მარტო ქურდის, არამედ ძუნწისა და თავხედის წოდებასაც ერთდროულად ანიჭებს.

**როგორც ყოველთვის, ამ „სფეროშიც" განსხვავებულია მოსახლეობის და ჩვენი პოლიტიკოსების აზრი. რუსული მანქანისადმი ლტოლვას „მოქალაქე" გიორგი ბარამიძე საბჭოური მენტალიტეტითა და მსოფლმხედველობით ხსნის.**

**გიორგი ბარამიძე:** თანამდებობის პირისთვის მანქანა — ეს არის ხელფასის დანამატი, გარკვეული სტიმული, რომ ადამიანმა მოცემულ თანამდებობაზე იმუშაოს.

ნათქვამია, „ძუნწს მეტი ეხარჯებაო". „საბჭოთა" მანქანა ბევრად უვარგისი და ხარჯიანია, ვიდრე გერმანული. თუ კაცს ნამდვილად ეკუთვნის ავტომანქანა, უპირატესობა, რა თქმა უნდა, უცხოურს უნდა მიანიჭოს; მართალია, გერმანული მანქანა ცოტა ძვირი ღირს, მაგრამ ხარჯები აქვს ნაკლები.

ჩემს ოჯახს გერმანული „ფოლქსვაგენი" ჰყავს.

ძალიან ბევრი ჩინოსანი და მდიდარი ადამიანი დადის რუსული მანქანით და ხალხს თვალებში ნაცარს აყრის, მაგრამ ამით მათი კორუმპირებულობა და სიმდიდრე არ მცირდება.

მიშა მაჭავარიანი დადის „საბჭოთა" „05"-ით იმიტომ, რომ სხვა მანქანა არ უყიდია სამინისტროს (და არც მომავალში აპირებს). მაგრამ ყიდვაზე თუ მიდგა საქმე, ვურჩევ, ნორმალური მანქანა იყიდოს, რადგან „დანჯღრეულ" „05"-ს ყოველ მეორე დღეს სჭირდება შეკეთება.

**კომუნისტების ასაკოვანი ლიდერი, გენერალი პანტელეიმონ გიორგაძე თვლის, რომ ასე უხვად შეძენილი „უცხოური" და „საუცხოო" ავტომანქანები ზუსტად ბიუჯეტის განიავება და ფულის არამიზნობრივი ხარჯვაა.**

**პანტელეიმონ გიორგაძე:** სირცხვილია! დღეს ქვეყანას და ხალხს ასე უჭირს და ხელისუფალნი კი ძვირფასი უცხოური მანქანებით დადიან, საბჭოთა ხელისუფლების დროს მთავრობის წევრები არც ურმით მგზავრობას თაკილობდნენ და არც ფეხით; ვენახში „ჩორნი ვოლგით" ვერ მიხვალ, ვერც ჩაის პლანტაციებში და ვერც მაღაროებში, მაგრამ „ამათ" — „ეს" არ აინტერესებთ.

ჩვენს პარტიას, ზოგიერთი პარტიასავით ფული არავისთვის მოუპარავს და არც სახელმწიფო თანხები დაუტაცია, ამიტომ არც მანქანები გვყავს სათითაოდ ჩამორიგებული;

მე პირადად, გენერლობის დროს (საკუთარი სახსრებით) ნაყიდი „ჩორნი ვოლგით" დავდივარ...

**რაც შეეხება „ამღორძინებელ" ჯემალ გოგიტიძეს, საკითხს „აჭარული" სტილით უყურებს და იუმორით საუბრობს ავტომანქანათა „გადანაწილებაზე" პოლიტიკურ ძალებს შორის.**

**ჯემალ გოგიტიძე:** „მოქალაქეები" სულ რუსული მარკის მანქანებით და „ზაპოროჟეცებით" დადიან, ფული არ აქვთ წესიერი მანქანების შესაძენად! „აღორძინებაში" კი ყველას „მერსედესები" და „ბმვები" ჰყავთ; მხოლოდ მე მყავდა რუსული მანქანა „07" და რამდენიმე დღის წინ მომპარეს. პოლიციამ დოლიძის ქუჩაზე გაძარცვული და გაუბედურებული იპოვა. გამტაცებელი, რა თქმა უნდა, არ არის ცნობილი. სამაგიეროდ, დოლიძის ქუჩიდან პოლიციის მიერ მანქანის ჩამოყვანის ხარჯები თურმე მე მაქვს გადასახდელი.

დღევანდელი პირობებისა და მდგომარეობის გათვალისწინებით, მგონი, ჯობს, ყველამ ურმებით ვიაროთ...

***ძნელი სათქმელია, მიანიჭებენ თუ არა უპირატესობას ამ ეკოლოგიურად სუფთა, ქართულ ხალხურ ტრანსპორტს ჩვენი პოლიტიკოსები, ანდა საზოგადოება როგორ მიიღებს ასეთ „გონებამახვილურ" „გამოხტომას". ერთი კი უდაოა, მეურმე-პოლიტიკოსთა შორის პირველი — უთუოდ ყველაზე ორიგინალურ და „ხუმარა" მოღვაწედ შევა საქართველოს უახლეს ისტორიაში.***

***ჯერჯერობით კი, ჩვენი პოლიტიკოსები რუსული მარკის მანქანებზე მეტ უპირატესობას „ოდნავ" ძვირ, სულ რაღაც 25.000 დოლარად ღირებულ გერმანულ მანქანებს ანიჭებენ და ამით ქვეყნის ბიუჯეტს „სათუთად" უფრთხილდებიან.***

დღევანდელი იმიჯ-რეცეპტების „დასამზადებლად" გამოკითხული იქნა 100 რესპონდენტი. მართალია, მათგან 45-მა არ იცოდა, რას ნიშნავს „იმიჯ-მეიკერი", მაგრამ არა უშავს, ჩვენმა პოლიტიკოსებმაც ხომ სულ ორიოდე დღის წინ შეიტყვეს ამ მნიშვნელოვანი ინსტიტუტის არსებობის შესახებ.

***ვინაიდან ჩვენი Ppress-იმიჯ-მეიკერის ფუნქცია და მიზანი ჩვენი მოღვაწეების იმიჯზე ზრუნვაა და არა პირიქით, მათი რეპუტაციის შელახვა, დასასრულ, ისევ საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით გირჩევთ —***

***— მოერიდეთ უკიდურესობებს.***

***თეონა მეგრელიშვილი***

# „ლაკი-ფეხსაცმელებს ჩავიცვამდით და წკაპაწკუპით ჩავისეირნებდით რუსთაველზე..."



*„დინამოს" სტადიონის მიდამოებთან ყოველ ფეხის ნაბიჯზე დაინახავთ მზესუმზირის გამყიდველებსა და „წვრილ-წვრილი" საქონლით მოვაჭრეებს. ვგრძნობ, ამაოდ ვუცდი ჩემს სამარშრუტო ტაქსის, რადგან უკვე რამდენიმემ გაიარა და ხალხით „გადავსებულმა", რა თქმა უნდა, არ გამიჩერა. ფეხს მაინც ვერ ვინაცვლებ, ისე გამიტაცა გამყიდველებზე დაკვირვება-თვალთვალმა. თუკი სხვა გამვლელ-გამომვლელს იწვევს და აქებს, დიდი ვერხვის ხესთან ჩამჯდარი მოხუცებული ჩუმად მისჩერებია ერთ წერტილს. სხვები ქაღალდისა და ხმელი ტოტების გროვას ცეცხლს უკიდებენ და ხელებს ითბობენ, ის კი ყინვისაგან დამზრალ თითებს საკუთარ მუჭში ითბობს. გაიარა ორმა ბიჭმა და სხვებს რომ ვერ შებედა, მის პატარა ტომარაში ჩაყო ხელი, მზესუმზირა ამოიღო და ვითომც არაფერიაო, ისე განაგრძო გზა. ახლა, ნაბახუსევმა კაცებმა გაიარეს და მოხალული არახისი მოინდომეს. კვლავ ამ ქალს მიადგნენ და ვაჭრობა დაუწყეს: 20 თეთრად ეს პატარა ჭიქა გვეცოტავება, ერთი კიდევ დაგვიმატეო. „ეჰ"-ო, თქვა ქალმა თავის გადაქნევით და დაუმატა. იგი მზესუმზირასთან და თხილთან ერთად სხვადასხვა ფერის წინდებსაც ყიდდა. გულმა არ მომითმინა და გავესაუბრე:*

**— აქაური ხართ, დეიდა?**

— წარმოშობით ფასანაურიდან ვარ, შვილო. ახლა თბილისში ვცხოვრობ, ჩემი ქალიშვილის ოჯახში. სიძემ საქმე გამომიძებნა, ვიცი რომ „ისე" ჯდომა არ გიყვარსო, მატყლი მომიტანა, დავართე ძაფი, ზოგიც შევღებე და დავქსოვე თბილი წინდები, მაგრამ რა? მზესუმზირასა და არახისს უფრო მეტი ფული შემოაქვს, ვიდრე წინდებსა... გული მიკვდება, ქართული ხელსაქმე რომ უკან-უკან მიდის. ამ ყინვაში ამაზე უკეთესს რას ჩაიცვამს კაცი, მაგრამ ორმაგი პირსახოცის წინდები შემოსულა მოდაში და ქართველმაც თურქული და ევროპული ამჯობინა მამაპაპურს.

**— კი მაგრამ, სხვას რომ გააყიდინოს თქვენმა სიძემ მზესუმზირა, არ შეიძლება? თქვენ კი დაქსოვეთ წინდები და ჩააბარეთ მაღაზიებში.**

— ეჰ, რჩევა ადვილია... მაღაზიებში ჩაბარებული ვის რად უნდა, გენაცვალე. მთელი დღე ქუჩაში ვზივარ (ერთხანს დავდიოდი კიდეც) და მაინც არ იყიდება.

მზესუმზირა კი სხვას რომ მისცეს, ისიც ხომ თავისას მოითხოვს. მე კი ოჯახში შემაქვს პატარა ნავაჭრი, ჩემთვისაც კარგია, სიძე-ბატონს ასე უფრო არ შევეჩხირები თვალში.

**— ფასანაურში დაგრჩათ სახლი, რა გვარისა ხართ?**

— მიგრიაულის ქალი ვარ. ფასანაურში მაქვს სახლი, მაგრამ ზამთარ-ზაფხულ გაქირავებული აქვთ ჩემიანებს! აბა, რა ქნან? ბავშვებს რჩენა უნდა, სწავლაც დიდი ხარჯია დღესა და გავლა-გამოვლაც.

**— არ გენატრებათ იქაურობა?**

ქალი დადუმდა. ერთხანს იფშვნიტა ხელები, მერე კი ისეთი კონტრკითხვა დამისვა, რომ მე თვითონ შემრცხვა.

**— განა მწყურვალსა ეკითხებიან, წყალს ხომ არ მოსვამო?**

მენატრება და მეტიცა, მეტიცა, მაგრამ თავს ზევით ძალა რომ არ არის?

**— ალბათ, გიფრთხილდებიან ქალიშვილი და სიძე, არ უნდათ რომ იქ მარტო იყოთ.**

— ალბათა... ალბათა! არადა, ზოგჯერ ისე მომინდება ჩემს კარ-მიდამოზე თვალის შევლება, როო... ამ დროს ავიღებ ჩხირებსა და ქსოვას ვიწყებ. ქსოვაში კი ვფიქრობ და ვფიქრობ.

**— მაინც რას ფიქრობთ?**

— რასა და ეს ჩვენი დედაქალაქიც ძალიან აგვიჭრელდა. ადრე, როცა ფასანაურის გოგოებს მოგვენატრებოდა ხოლმე თბილისი (ფასანაურის რვაწლედში ვასწავლიდი დაწყებითი კლასის მოსწავლეებს), კარადაში, სათბილისოდ გადანახული ლაკი-ფეხსაცმელებს ჩავიცვამდით, საზეიმოდ გამოვეწყობოდით და ასე, წკაპაწკუპით დავივლიდით ხოლმე ქუჩებს. რუსთაველზე გავისეირნებდით, „სიონის" ეკლესიაში სანთლებს დავანთებდით, მერე „პლეხანოვზე" ტკბილი და უგემრიელესი ნამცხვრებით ჩავიტკბარუნებდით პირს, ხშირ შემთხვევაში მეგობრის დის სახლში ვრჩებოდით ღამით და მეორე დღეს შინისაკენ ვბრუნდებოდით. მაშინდელ თბილისს როგორ შევადრი ახლანდელსა? მაშინ კრიალი გასდიოდა ყველაფერსა, ზოგჯერ გარიჟრაჟზე გარეთ გავიდოდი, რათა მეყურნა, როგორ გვიდა და რწყავდა თბილისის ქუჩებს ქურთი მეეზოვე... ახლა, გული მეწურება, ამისთვის აღარც ქურთი ზრუნავს და აღარც ქართველი... აი, შვილო, ჩანთაში პატარა ცოცხი მიდევს (ჩანთაში ჩამაჭყიტა), ზოგჯერ ჩემგან იყიდიან მზესუმზირას და ვიღაცის ან რაღაცის ლოდინში აქ მიყრიან, ერთი-ორჯერ მივეცი შენიშვნა და აქეთ შემომიტიეს: ნაქუჩებისა რა გიკვირს, აბა შენ თითონ რად ყიდიო მზესუმზირას. ამიტომაც ხელი ჩავიქნიე და ცოცხი წამოვაყოლე ხელს. საღამოს, როცა სახლში წასვლის დრო დამიდგება, ჯერ ამ პატარა მიდამოს მოვასუფთავებ და მერე გავუყვები გზას. ურთიერთობებიც გაცივდა. ადრე უცნობებიც კი ღიმილით ესალმებოდნენ ერთმანეთს. მეტი თავაზიანობა და სიყვარული იყო.

**— შინ მისული თავს რითი იქცევთ?**

— ჩემი თავის შექცევა და ყოველდღიური ფიქრისგან მოწყვეტა წარსულის მოგონებებს შეუძლია. ხანდახან ქადას გამოვუცხობ ხოლმე ჩემს შვილიშვილებსა, ხანაც ისევ მათ მოვუქსოვ თბილ წინდებს; ეგენი ხომ მაინც ჩაიცვამენ და ეცოდინებათ, რომ ფეხს წმინდა ქართული და მათი ბებიის სიყვარულით ნაქსოვი წინდა უთბობს.

***მარინა ბაბუნაშვილი***

# რუსეთი ჩეჩნეთის ომის ჭაობში ეფლობა...

ნახევარ წელზე მეტი გავიდა, რაც რუსეთის ფედერალურმა ჯარებმა ჩეჩნეთის მეორე ომი წამოიწყეს.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთს 20-30-ჯერ მეტი ცოცხალი ძალა ჰყავს და თითქმის 100%-იანი უპირატესობა აქვს საბრძოლო ტექნიკასა და ავიაციაში, რუსეთის ფედერალურმა ჯარებმა ექვსი თვის მანძილზე ვერ მოახერხეს გროზნოს აღება.



შეიძლება გროზნოს აღება აღარც წარმოადგენს რაღაც სტრატეგიულ ამოცანას, რადგანაც ეს ქალაქი ინტენსიური საარტილერიო და საავიაციო დაბომბვის შემდეგ, ფაქტობრივად, სრულიად განადგურებულია. მაგრამ რეალურ ბრძოლისუნარიან ძალად კვლავ რჩება არანაკლებ 14-16 ათასი შეიარაღებული ჩეჩენი, რომელთა დიდი ნაწილი ჩეჩნეთის სამხრეთ, მთაგორიან რეგიონში თავდაცვით ზღუდეებს აწყობს. ე.ი. გროზნოს აღების შემთხვევაშიც რუსეთის ფედერალურ ჯარებს ახალი მთავარი ბრძოლა წინ ელით.

მთებში გამაგრებული ჩეჩნები მხოლოდ გაზაფხულის დადგომას ელოდებიან, რათა ფართომასშტაბიანი პარტიზანული ომი გააჩაღონ. ზამთარში ამის შესაძლებლობა შეზღუდულია, რადგან თოვლზე კარგად მოჩანს შეიარაღებული ჯგუფების გადაადგილების მარშრუტი, განსაკუთრებით კი ჰაერიდან. არადა რუსეთის ავიაცია დღეში 150-180 გაფრენას ახორციელებს, რომლიდანაც თითქმის ნახევარი სწორედ სადაზვერვო ხასიათისაა.

რუსეთის ფედერალური ჯარების სარდლობაც ხვდება, რომ გაზაფხულზე ჩეჩნეთის ომი ახალ ფაზაში შევა. მათ განსაკუთრებით ის აშინებთ, რომ 26 მარტს რუსეთის პრეზიდენტის არჩევნებია დანიშნული. წესით, ეს ადგილი დღევანდელი პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს, ვლადიმირ პუტინს განაღდებული აქვს. მისი რეპუტაციის ზრდა სწორედ ჩეჩნეთში გაჩაღებულმა ბრძოლებმა გამოიწვია; მაგრამ არ არის გამორიცხული, იგივე ჩეჩნეთის ომი შეიქნეს საპრეზიდენტო არჩევნებში მისი დამარცხების მიზეზი. ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ ჩეჩნები სწორედ 26 მარტის წინა დღეებში აუცილებლად მოაწყობენ რაიმე წარმატებულ ელვისებურ საბრძოლო ოპერაციებს და საზოგადოებრივ აზრს რუსეთში ჩეჩნეთის ომის წინააღმდეგ მოაბრუნებენ.

მოსკოვს სურს, მარტის ბოლომდე მაინც აიღოს გროზნო და რაიმე წარმატებას მიაღწიოს საბრძოლო მოქმედებებში. არც ის არის გამორიცხული, რომ რუსეთში საპრეზიდენტო არჩევნების წინა პერიოდში ჩეჩნეთში ბრძოლა შეჩერდეს და სამშვიდობო მოლაპარაკებები დაიწყოს.

მაგრამ ამ იძულებით სამშვიდობო პაუზასაც ჩეჩნები აუცილებლად თავის სასარგებლოდ გამოიყენებენ — საჭურვლის მარაგის შესავსებად და დისლოცირების ადგილების შესაცვლელად. შემდეგ კი, როგორც ეს 1996 წლის აგვისტოში იყო, გროზნოსა და სხვა ქალაქებს შეუტევენ.

დღეს კი გროზნოში მძიმე ბრძოლები მიდის. ნელ-ნელა თვალნათლივი ხდება ის დაპირისპირება, რაც რუსეთის ფედერალური ჯარების სხვადასხვა უწყებას შორის არსებობს. ფაქტობრივად, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს გენერლები შინაგან საქმეთა სამინისტროსა და შინაგანი ჯარების სარდლობას დაუპირისპირდნენ. დაპირისპირების ამ ეტაპზე, ჯერჯერობით, თავდაცვის სამინისტრომ, უფრო სწორად კი, რუსეთის გენერალური შტაბის უფროსმა ანატოლი კვაშნინმა გაიმარჯვა. მისი ზეწოლის შედეგად პუტინმა რუსეთის შინაგანი ჯარების მთავარსარდლის თანამდებობიდან გადააყენა ვიაჩესლავ ოვჩინიკოვი და მის მაგივრად ვიაჩესლავ ტიხომიროვი დანიშნა. ტიხომიროვი მანამდე ურალის სამხედრო ოლქის სარდალი და თავდაცვის სამინისტროს „კადრი" იყო. ფაქტობრივად, რუსი სამხედროები ცდილობენ, ყველა ძალოვან სტრუქტურაში თავისი ხალხი მოიყვანონ და ზოგიერთების აზრით, მათ ხელ-ფეხი თვით პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელსაც, ვლადიმირ პუტინსაც კი შეუკრეს.

ეტყობა, ამას უნდა მივაწეროთ გასულ კვირას რუსეთის მთავრობის მიერ მიღებული ისტორიული დოკუმენტი — რუსეთის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს დაკვეთები ერთნახევარჯერ გაეზარდა. ეს კი, ფაქტობრივად, იმას ნიშნავს, რომ მოსკოვი მთავარ აქცენტს კვლავ საბრძოლო იარაღის წარმოებაზე აკეთებს, როგორც ეს საბჭოთა პერიოდში იყო. სწორედ უზომოდ გაბერილმა სამხედრო ბიუჯეტმა თავის დროზე დიდი როლი შეასრულა საბჭოთა კავშირის ეკონომიკის კრახში. თუ რა მოელის რუსეთის ისედაც დაძაბუნებულ ეკონომიკას, ამას უახლოესი მომავალი გვიჩვენებს. ამასთან, არ არის გამორიცხული, რომ ჩეჩნეთის ომმა საკმაოდ დიდი რაოდენობის საბრძოლო იარაღი და სამხედრო საჭურველი მოითხოვა, რომლის მარაგის შექმნა მოსკოვისთვის აუცილებელი გახდა.

# თავის ქვეყანაში — სხვის სამსახურში...

გასულ კვირას სენსაციური ინფორმაცია გაავრცელეს მსოფლიოს საინფორმაციო საშუალებებმა — ვარშავამ ცხრა რუსი დიპლომატი „პერსონა ნონ გრატად" გამოაცხადაო.

თითქოს აქ სენსაციური ბევრი არაფერი უნდა იყოს, რადგან ამ „საპატიო" წოდებას ყოველწლიურად იღებს ათობით რუსი და სხვა ქვეყნის დიპლომატი. მაგრამ საქმე ის არის, რომ პოლონეთი გახდა პირველი პოსტსოციალისტური ქვეყანა, რომელმაც მოსკოვის აგენტურა ასე მოურიდებლად გააძევა თავისი ქვეყნიდან. თუმცა ვალში არც მოსკოვი დარჩენილა და საპასუხოდ ცხრა პოლონელი დიპლომატი გააძევეს რუსეთიდან.

ის ფაქტი, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი, უნგრეთი და ბულგარეთი ვარშავის პაქტში იყვნენ გაერთიანებულნი, სულაც არ იძლეოდა იმის გარანტიას, რომ მათ სახელმწიფოსა და სამხედრო საიდუმლოებებზე არ ნადირობდა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი — КГБ თუ სამხედრო დაზვერვა — ГРУ.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ამ მხრივ დიდი არაფერი შეცვლილა. ГРУ თავის „პოზიციებზე" დარჩა, ხოლო დაშლილი КГБ-ს ფუნქცია დაზვერვის თვალსაზრისით, მისმა ერთ-ერთმა „შვილობილმა" — საგარეო დაზვერვის სამსახურმა — СВР-მ იკისრა.

აგენტურული კავშირები მოსკოვმა, რა თქმა უნდა, შეინარჩუნა და ახალი „კადრების" მოზიდვაც დაიწყო. СВР, რომელსაც ყველაზე დიდხანს ხელმძღვანელობდა ევგენი პრიმაკოვი, მთელი ძალით ამოქმედდა არა მარტო ტრადიციული „სამიზნის" — დასავლეთის, არამედ ზემოხსენებული აღმოსავლეთ ევროპისა და, რაც ყველაზე საინტერესოა, პოსტსაბჭოური რესპუბლიკების წინააღმდეგ. ამ უკანასკნელებს მოსკოვში ახლო საზღვარგარეთად მოიხსენიებენ და ოფიციალურად არაერთხელ განუცხადებიათ, რუსეთი მათ წინააღმდეგ სადაზვერვო სამუშაოებს არ ახორციელებსო.

მაგრამ, როგორც იტყვიან, ფიცი გვწამს, ბოლო გვაკვირვებსო. ის, რაც დღეს საქართველოში ხდება, მარტო კორუფციას არ უნდა დავაბრალოთ. თუმცა სწორედ კორუფციაა ის ძირითადი ფაქტორი, რომელიც რუსეთის სპეცსამსახურებს (სამართლიანობის დასაცავად უნდა აღინიშნოს, რომ იმავე მეთოდებს ხმარობენ ჩვენში მოქმედი სხვა, მათ შორის ოფიციალურ დონეზე მეგობრად ცნობილი ქვეყნების სპეცსამსახურებიც) საშუალებას აძლევს, გადაიბიროს ესა თუ ის ქართველი ჩინოსანი.

„ყურებით დაჭერილი" ჩინოსნისგან კი ყველაფერია მოსალოდნელი — მისი თანამემამულეებისთვის განკუთვნილი პურისა თუ ელექტროენერგიის გაყიდვაც და წითელვარსკვლავიანი ტანკების მუხლუხებში ხელყუმბარების ნაცვლად ყვავილების შეყრაც.

შეიძლება ქართველმა მზვერავებმა თუ მეომრებმა საკუთარი სიცოცხლის ფასად ქვეყნისთვის აუცილებელი ინფორმაცია მოიპოვონ ან ჩვენი მიწის ერთი გოჯი მაინც დაიბრუნონ. მაგრამ იქ, სადღაც მაღლა, დიდ კაბინეტში მჯდომი „გაყიდული" ჩინოსანი ამ წვალებას წყალში ჩაყრის — სისხლის ფასად მოპოვებულ ინფორმაციას სადღაც უჯრაში გამოკეტავს ან უარესი, თავის საზღვარგარეთელ პატრონებს გადასცემს.

გასაგებია, რომ ხელისუფლება, გარკვეულწილად, უფრთხის ლუსტრაციის კანონის მიღებას, რომელიც უმტკივნეულოდ ნამდვილად ვერ ჩაივლის. მაგრამ რეალობაც ერთია — ქვეყანას გადარჩენა უნდა, რაც მანამდე ვერ განხორციელდება, სანამ ყველაფერს თავისი სახელი არ დაერქმევა, მათ შორის მასაც, ვინც თავის ქვეყანაში სხვის ინტერესებს ახორციელებს.

არსენალი

# მოტოციკლეტი ტანკის წინააღმდეგ

ბოლო დროს მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები დიდ ყურადღებას უთმობენ საკუთარი არმიების მობილური, სწრაფი მოქმედების ნაწილებით დაკომპლექტებას.

მობილურ დანაყოფებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მცირე ინტენსივობის საბრძოლო მოქმედებების დროს. მთებსა და ტყეებში შეტაკებებისას მძიმე ჯავშანტექნიკა ძნელად სამართავი ხდება, რაც მოწინააღმდეგეს საშუალებას აძლევს, გვერდიდან ან უკნიდან მოუაროს ტანკებს და ააფეთქოს ეს მრისხანე ჯავშანმანქანები (თანამედროვე საბრძოლო ტექნიკის ჯავშანი გვერდებსა და უკანა ნაწილზე გაცილებით უფრო თხელია, ვიდრე წინა, შუბლის მხარეს).

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვეულებრივ ხელის ყუმბარსატყორცნებს (მაგალითად, РПГ-7-ს) ყოველთვის არ შეუძლიათ თანამედროვე ტანკის (მით უმეტეს, დინამიკური დაცვით აღჭურვილი მანქანის) აფეთქება. ბევრად უფრო ეფექტურია ტანკსაწინააღმდეგო მართვადი სარაკეტო კომპლექსების — ამერიკული „ტოუ"-ს, რუსული „ფაგოტებისა" თუ „კორნეტების" გამოყენება. მაგრამ ასეთი ტანკსაწინააღმდეგო კომპლექსები, რაკეტითურთ, 35-50 კგ-ს იწონიან და მათი დიდ მანძილზე ხელით ტარება ძნელია; ამიტომაც მათ ამონტაჟებენ ქვეითთა საბრძოლო მანქანებსა და ჯიპებზე. თუმცა, ბოლო დროს ამ მრისხანე იარაღის მატარებლად ახალი საშუალება — მოტოციკლეტებიც შეირჩა.

ალბათ ბევრს ახსოვს მეორე მსოფლიო ომის კინოქრონიკა, სადაც აღბეჭდილია სწორედ ასეთ მოტოციკლეტებზე ამხედრებული გერმანული ვერმახტის ჯარისკაცები. მცირე გაბარიტების წყალობით მოტოციკლეტი ათასნაირ „საცობში" უპრობლემოდ გაძვრება, მათ შორის ტყეში, ხეებს შორის. გერმანელები თავის მოტოციკლეტებზე ტყვიამფრქვევებს აყენებდნენ, რითაც საკმაოდ ზრდიდნენ მის საცეცხლე ძალას.

კოსოვოში დისლოცირებულმა რუსმა „ცისფერჩაფხუტიანებმა" კი თავის თავდაცვის სამინისტროს საბრძოლო მოტოციკლეტებით აღჭურვა



სთხოვეს. ამ მიზნით ურალის ერთ-ერთ ქარხანაში დაიწყო გაძლიერებული გამავლობის მოტოციკლეტის ИМЗ-8-107-ის სერიული დამზადება. მას ჩვეულებრივი მოტოციკლეტებისგან განსხვავებით, ეტლის ბორბალიც წამყვანი აქვს და გამავლობით ჯიპსაც შეიძლება შეეჯიბროს.

315 კგ წონის მოტოციკლეტს გზატკეცილზე შეუძლია განავითაროს მაქსიმალური სიჩქარე — 105კმ/სთ-ში. მასზე შეიძლება დამონტაჟებულ იქნეს როგორც 7,62 მმ კალიბრის ПКМ, ისე მსხვილკალიბრიანი 12,7მმ-იანი ტყვიამფრქვევიც. ამ იარაღით მოტოციკლეტის ეკიპაჟს მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალის განადგურება 1500-2000 მ-ის დისტანციაზე ძალუძს.

მაგრამ ამ საბრძოლო მოტოციკლეტის მთავარ იარაღს მაინც ტანკსაწინააღმდეგო მართვადი სარაკეტო კომპლექსები წარმოადგენენ. ეტლზე მონტაჟდება ტანკსაწინააღმდეგო მართვადი სარაკეტო კომპლექსი „Конкурс"-ი. იგი ტანდემურად განლაგებულ ორ კუმულატიურქობინიან მართვად რაკეტას 4კმ-ის სიშორეზე ისვრის, ჯერ ტანკის დინამიკურ დაცვას აფეთქებს და შემდეგ 670 მმ სისქის ჯავშანს ხვრეტს. გარდა ამისა, მოტოციკლეტზე მაგრდება ავტომატური ყუმბარსატყორცნი АГС-17 „Пламя". იგი მოწინააღმდეგის ქვეითებს 1700 მ-ის სიშორეზე ანადგურებს.

როგორც თავად მკითხველი მიხვდება, მოტოციკლეტის შეიარაღებით მობილური დანაყოფები საკმაოდ ეფექტურ იარაღს იძენენ, რომელიც, ამასთანავე, არც ისე ძვირი სიამოვნებაა. აქედან გამომდინარე, იგი შეიძლება მისაღები იყოს ქართული არმიისთვისაც. დაგვერწმუნეთ, ერთი ჩეხური Т-55 ტანკის ყიდვის ფასად 25-30 საბრძოლო მოტოციკლეტის შეიარაღებაში მიიღება შეიძლება. სხვათა შორის, საქართველოს შინაგან ჯარებს რამდენიმე კუსტარულად გაკეთებული საბრძოლო მოტოციკლეტი უკვე აქვს.

თუკი ასეთ საბრძოლო მოტოციკლეტს სპეციალური მაყუჩი დაუყენდება, რომელიც თითქმის ჩაახშობს მოტოციკლეტის ძრავის სპეციფიკურ ხმას, მაშინ ამ საბრძოლო ერთეულის გამოყენებას სადაზვერვო ჯგუფებიც შეძლებენ.

## სამხედრო კალეიდოსკოპი

### NATO საბჭოურ იარაღს ყიდულობს



**საბერძნეთი.** ათენი უკვე მერამდენედ აყენებს უხერხულ მდგომარეობაში თავის NATO-ელ პარტნიორებს. გასულ წლებში საბერძნეთის არმიამ რუსეთისგან შეიძინა საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები С-300 ПМУ-1 და БУК-М1-ები, რამაც სულაც არ გაახარა პენტაგონი. რამდენიმე დღის წინ კი ათენმა მოსკოვსა და კიევთან მიაღწია შეთანხმებას, რომლის თანახმადაც, რუსეთი და უკრაინა საბერძნეთს შესაბამისად ორ-ორ ერთეულ საჰაერობალიშიან მცირე სადესანტო ხომალდებს „Зубр"-ებს მიჰყიდიან. ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში დამზადებული ეს 1232.2 პროექტის საზღვაო ხომალდები თავის დროზე ერთ-ერთ ყველაზე დიდ საიდუმლოებას წარმოადგენდა. რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტს დღეისთვის მხოლოდ 7 „ზუბრი" ჰქონდა დარჩენილი, მათ შორის შავ ზღვაში. სამიოდე წლის წინ ერთი ასეთი „ზუბრი" უკრაინელმა მეზღვაურებმა ნავთობსადენ მილს დააჯახეს. „ზუბრის" მთავარი ღირსება ის გახლავთ, რომ იგი, თავისი საჰაერო ბალიშის დახმარებით, მოძრაობს როგორც წყლის, ისე ხმელეთის ზედაპირიდან 1,5 მ-ის სიმაღლეზე და ყველაზე ეფექტურ ამფიბიას წარმოადგენს. ზოგიერთი ინფორმაციის თანახმად, 1993 წლის სექტემბერის ბოლოს ალყაშემორტყმული სოხუმიდან საქართველოს სახელმწიფო მეთაურის საევაკუაციოდ რუსეთის შავი ზღვის ფლოტის სარდლობამ სწორედ „ზუბრი" გამოგზავნა, მაგრამ მას ხმელეთიდან ცეცხლი გაუხსნეს და უკან გაბრუნდა.

„ზუბრის" სრული წყალწყვა 535 ტ-ს აღწევს და მას შეუძლია სამი Т-80 ტიპის ტანკის ან 8 ერთეული საბრძოლო მანქანის БМП-2-ის ან 10 ცალი ჯავშანტრანსპორტიორის БТР-70-ის გადაზიდვა. თუმცა, შეიძლება ტრიუმში ადგილი ჯავშანტექნიკის ნაცვლად 140 საზღვაო ქვეითმა და 130 ტ ტვირთმა დაიკავოს. „ზუბრი" ზღვის ან ხმელეთის თავზე 60 კვანძი/სთ-ის სიჩქარით, ფაქტობრივად, „მიფრინავს". ეს კი 108 კმ/სთ-ია!

მოსკოვი ორი „ზუბრის" ათენისთვის დათმობას 33 მლრდ ბერძნული დრაჰმის (325 დრაჰმა — 1 აშშ დოლარია) ფასად აპირებს. ამ თითქოსდა უწყინარი გარიგებით (საბერძნეთი მალე 4 „ზუბრის" მფლობელი გახდება) პირველ რიგში მისი NATO-ელი პარტნიორი — თურქეთი არის შეშფოთებული, რადგან ოთხივე „ზუბრს" მედესანტეთა თითქმის მთელი პოლკის უსწრაფესი გადასროლის განხორციელება შეუძლია.

### ფინეთის არმიაც ძლიერდება



F-18

**ჰელსინკი.** ფინელები, ათწლეულების განმავლობაში, რამდენადაც უცნაური არ უნდა იყოს, ძირითადად საბჭოური იარაღით იყვნენ აღჭურვილნი, მათ შორის — МиГ-21 ტიპის გამანადგურებელი თვითმფრინავებით.

მაგრამ დრო გადის, ეს ტექნიკა მორალურად მოძველდა, ამიტომაც ფინეთის სამხედრო-საჰაერო ძალებმა თავისი საავიაციო პარკის განახლება გადაწყვიტეს და ყველაზე საუკეთესო გამანადგურებლად ამერიკული **F-18** „ჰორნეტები" მიიჩნიეს. ამერიკული თვითმფრინავების შესაძენად ჰელსინკი 9,5 მლრდ ფინურ მარკას გამოყოფს. გარდა ამისა, ფინელები დიდ ყურადღებას უთმობენ საჰაერო დაზვერვას, რისთვისაც შვეიცარიული წარმოების უპილოტო საფრენოსნო აპარატების — „რეინჯერების" — შესყიდვას აპირებენ. უპილოტო მფრინავი მზვერავები თითქმის ყველა ნორმალური ქვეყნის არმიას აქვს შეიარაღებაში. რუსეთის ფედერალური ჯარები ინტენსიურად იყენებენ თავის უპილოტო მზვერავებს საქართველოს საზღვრის სიახლოვეს მთებში გამაგრებული ჩეჩენი მებრძოლების პოზიციების დასაზვერად.

***გვერდი მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***

# საზარელი მკვლელობა მთაწმინდის პანთეონთან

*90-იანი წლების დასაწყისში რამდენიმე ჩვენმა სასულიერო პირმა გადაწყვიტა სპეციალურ „შავ“ წიგნში შეეტანა იმ ქართველთა სახელები და გვარები, რომლებიც თავისავე თანამემამულეს სიცოცხლეს წაართმევდნენ. უთუოდ ფიქრობდნენ, რომ ასეთი ღონისძიებით მნიშვნელოვნად დააბრკოლებდნენ იმ პერიოდში საყოველთაოდ გამეფებულ ძალადობას, მაგრამ არაფერი გამოვიდა. სულიერმა მამებმა მალე თავადვე თქვეს უარი საკუთარ იდეებზე. როგორც ჩანს, მიხვდნენ, რომ მცირე ხანში არათუ წიგნის, სპეციალური ბიბლიოთეკის გახსნაც კი მოუწევდათ.*

*დღეს თითქოს მივივიწყეთ, არადა, სულ რაღაც რამდენიმე წელიწადი გვაშორებს იმ კოშმარული პერიოდისგან, როდესაც ავტომატის ჯერისა თუ ყუმბარის აფეთქების ხმას უკვე ყურადღებასაც აღარ ვაქცევდით... დღე არ გაივლიდა, თბილისის ქუჩებში რამდენიმე გვამი არ ეპოვათ... მაგრამ ასეთ საშინელებათა ფონზე ზოგიერთი დანაშაული მაინც გამოირჩეოდა ხოლმე თავისი სისასტიკით. ალბათ, ასეთად დაამახსოვრდათ თბილისელებს ექვსი წლის წინ, მთაწმინდის პანთეონთან მომხდარი შემზარავი მკვლელობაც.*

## შემთხვევა

1993 წლის 31 მარტს დაახლოებით 22 საათსა და 30 წუთზე თბილისის მთაწმინდის რაიონის პოლიციის უფროსთან, გოდერძი ხუჯაძესთან სატელეფონო ზარი გაისმა. „მეტად აღელვებული უცნობი მამაკაცი მატყობინებდა, რომ მამადავითის ეკლესიის მხრიდან ისმოდა ცეცხლსასროლი იარაღის ხმა და ქალების განწირული კივილი. ამ დროისათვის განყოფილებაში ხალხმრავლობა იყო — წინა დღით სასტუმრო „ივერიასთან“ მოკლული მამაკაცის საქმის განხილვა მიმდინარეობდა, რომელსაც რაიონის პროკურორიც ესწრებოდა. მისივე თანხლებით შვიდი თანამშრომელი შემთხვევის ადგილისკენ გავემართეთ“.

მთაწმინდის რაიონის პოლიციის სამძებრო განყოფილების ყოფილი უფროსი ზურაბ ბეჟანიშვილი: „მთაწმინდის პანთეონისკენ ასასვლელი გზის ზედა ნაწილში საზარელი სურათი ვიხილეთ — სამი ახალგაზრდა გოგონა სისხლის გუბეში ცურავდა. ცხადი იყო, რომ ცეცხლსასროლი იარაღით ჰქონდათ მიყენებული ჭრილობები. ახლომახლო სხვა არავინ ჩანდა. მივუახლოვდით გვამებს. ჩვენი თანამშრომელი ერთ-ერთის ცხედართან დაიხარა, შემდეგ მოულოდნელად წამოიმართა და შეჰყვირა, ცოცხალიაო. გოგონა მართლაც სუნთქავდა. დანარჩენი ორი უკვე გაცივებული იყო... მომაკვდავი მაშინვე ჩავაწვინეთ მანქანაში და გიჟური სიჩქარით ვაკეში, ქალაქის მეცხრე საავადმყოფოსკენ გავაქანეთ, მაგრამ ფილარმონიასთან შევნიშნეთ, რომ გოგონამ სული დალია. აღარ სუნთქავდა“.

## ძიება

ღამის 11 საათისთვის შემთხვევის ადგილზე გასინჯულ იქნა მიცვალებულთა ხელჩანთები და დადგინდა გოგონათა ვინაობა. გარდაცვლილები აღმოჩნდნენ: 18 წლის აბაშელი თეა პეტრეს ასული გაბუნია (გარდაიცვალა პირველი. მიყენებული ჰქონდა ორი გამჭოლი ჭრილობა გულ-მკერდისა და თავის არეში); მისივე თანატოლი, ლანჩხუთის რაიონის მკვიდრი ნინო შოთას ასული ფირცხალაიშვილი (გარდაიცვალა მეორე. ორი ტყვია მკერდში, ერთი — ფეხში) და 23 წლის ტყიბულელი მაია რომანის ასული თორდია (თითო ტყვია თავსა და გულ-მკერდის არეში. გარდაიცვალა უკანასკნელი, პოლიციის მანქანაში).

ამასობაში პანთეონთან შინაგან საქმეთა სამინისტროსა და თბილისის პოლიციის სამმართველოს ხელმძღვანელებიც მივიდნენ. თავიდან მკვლელობის გახსნა უიმედო საქმედ ჩანდა — რამდენიმე შემთხვევითი გამვლელი ერთმანეთისგან განსხვავებულ ჩვენებას იძლეოდა, ვერც ერთმა ვერ აღწერა „ვიღაც ბიჭების“ გარეგნობა.

ერთ-ერთი მოწმის ჩვენებიდან: „თავიდან ოთხჯერ გაისროლეს, მერე კივილი ატყდა. რამდენიმე წამის შემდეგ კიდევ სამი გასროლის ხმა მომესმა. ნახევარი წუთიც არ იქნებოდა გასული, რომ ორი ახალგაზრდა მამაკაცი დავინახე. ზემოდან თავქუდმოგლეჯილები მორბოდნენ. ცოტა ხანში კიდევ ერთს მოვკარი თვალი. ისიც პანთეონის მხრიდან ჩამორბოდა. ხელში პისტოლეტი ეკავა. სამივეს მუქი ფერის ტანსაცმელი ეცვა. ერთ-ერთი თეთრ ბოტასებში იყო“.

ეს იყო ყველაზე ვრცელი ჩვენება, რაც კი იმ ღამით სამართალდამცავებმა მიიღეს. ადგილობრივ მაცხოვრებელთა უდიდესი ნაწილი უარს ამბობდა რაიმე ინფორმაციის გაცემაზე, არაფერი გვსმენია და არც არავინ დაგვინახავსო. ერთადერთ იმედად გვამებისა და მიცვალებულთა ნივთების დათვალიერებაღა რჩებოდა. შესაძლოა, მათი დახმარებით გარკვეულიყო რაიმე. რაც შეეხება მკვლელობის ადგილს, პოლიციამ იქ „მაკაროვის“ გასროლილი პილზები აღმოაჩინა. სხვა რამ მნიშვნელოვანი ახლომახლო არაფერი ჩანდა.

ძარცვის მოტივი იმთავითვე გამოირიცხა — გარდაცვლილთა ტანსაცმლის ჯიბეებსა და საფულეებში იპოვეს ფული, რომლისთვისაც ბოროტმოქმედებს ხელი არც კი ეხლოთ. და კიდევ ერთი რამ იყო ცხადი: გოგონები იცნობდნენ დამნაშავეებს. ღამის საათებში ისეთ უკაცრიელ ადგილას, როგორიც პანთეონია, ისინი ნებით არ გაჰყვებოდნენ უცნობ მამაკაცებს. ძალა კი, მკვლელობის მომენტამდე, როგორც აღმოჩნდა, მათზე არავის უხმარია. მოგვიანებით ამ ვარაუდის სისწორე ერთმა მოწმემაც დაადასტურა — საღამო ხანს ექვსი ახალგაზრდა, სამი გოგო და სამი ბიჭი, მამადავითის ეკლესიისკენ სულ სიცილ-კისკისით ადიოდაო.

თორმეტი საათისთვის მიცვალებულთა პირადი ნივთები და ტანსაცმელი პროკურატურაში მიიტანეს და მათ საგულდაგულო დათვალიერებას შეუდგნენ. ტანსაცმელზე, სისხლის ლაქების გარდა, საყურადღებო არაფერი შეინიშნებოდა. თითქოს არც გარდაცვლილთა ხელჩანთებში იყო რაიმე ისეთი, დამნაშავეთა დადგენას რომ გააიოლებდა: პასპორტები, სავარცხლები, ცხვირსახოცები, სუნამოები... თუმცა ერთ-ერთი გამომძიებლის ყურადღება მიიპყრო ნინო ფირცხალაიშვილის უბის წიგნაკმა, რომელშიც რამდენიმე ათეული ტელეფონის ნომერი და სხვა ჩანაწერები ჰქონდა.

წიგნაკის დამუშავებამ დილამდე გასტანა. გამომძიებლებმა ამოიწერეს ყველა გვარი და ტელეფონის ნომრების მიხედვით მათი მისამართები დაადგინეს, რათა მეორე დღესვე დაეკითხათ ისინი. გარდა ამისა, ყურადღებას იპყრობდა წიგნაკის ბოლო გვერდები, სადაც, ერთი შეხედვით, სრულიად გაუგებარი, შემოკლებული სიტყვები და რაღაც ციფრები ეწერა. გამომძიებლები კარგა ხანს იმტვრევდნენ თავს ამ შიფროგრამის ამოსახსნელად და ბოლოს, როგორც იქნა, მიაკვლიეს საიდუმლოს — ეს უნდა ყოფილიყო ჩვეულებრივი დღიური. როგორც ჩანს, გარდაცვლილი გოგონა თავისი სიცოცხლის ბოლო ორი კვირის მანძილზე ყოველდღიურ ჩანაწერებს აკეთებდა.







*„ხელში ვწვდი, მაგრამ დავაგვიანე — ყუმბარა უკვე ძირს ეგდო. საცაა აფეთქდებოდა. მაშინვე კარადისკენ გადავხტი და იატაკზე დავეცი. ორიოდ წამით საშინელი სიჩუმე ჩამოწვა, მერე უძლიერესი აფეთქების ხმა ჩამესმა. ირგვლივ ყველაფერი განათდა. კიდევ რამდენიმე წამი ვიწექი და ძლივს წამოვდექი. ზაზა სულ მთლად დაგლეჯილი იყო, სისხლში ცურავდა...“*

უკანასკნელი აბზაცი ამ დღიურში ასეთი იყო: ***31. ხუთ. სპარტაკი. „პირიმზ.“*** შესაძლოა ეს ნიშნავდა: 31 მარტს ხუთ საათზე უნდა ვნახო სპარტაკი, „პირიმზესთან“ (ან „პირიმზეში“).

როდესაც დილის 10 საათზე მაძებრები კოლმეურნეობის მოედანზე მდებარე საწარმო „პირიმზეს“ ესტუმრნენ და მის ერთ-ერთ ხელმძღვანელს ჰკითხეს, მუშაობდა თუ არა მათთან ახალგაზრდა მამაკაცი, სახელად სპარტაკი, პასუხად მიიღეს: „ჩვენს ფეხსაცმელების საამქროში არის ერთი ხელოსანი, სპარტაკ გაბოძე, 24 წლის“... პროკურატურის თანამშრომლებმა ერთმანეთს გადახედეს — ნუთუ ერთ-ერთ დამნაშავეს უკვე მიაგნეს?

## ეჭვმიტანილები

„პირიმზის“ ერთ-ერთი თანამშრომლის, ო.ქ.-ს დაკითხვის ოქმიდან: „კითხვაზე მოგახსენებთ, რომ თქვენს მიერ ნაჩვენებ ფოტოსურათებზე გამოსახული პიროვნებები ორჯერ მყავს ნანახი. ვიცი მათი სახელებიც: თეა, ნინო, მაია. თუმცა პირადად არ ვიცნობ. აღნიშნული პირები 24 მარტს მოვიდნენ ჩვენს საწარმოში, ფეხსაცმლის შეკეთება სურდათ და სპარტაკ გაბოძეს მიმართეს. ამ უკანასკნელმა კლიენტები მეორე დღისთვის დაიბარა. შემდეგ გაბოძე ამბობდა, გოგონები ძალიან მომეწონა, ხელობის საფასური არ გამოვართვი და ძალიან კმაყოფილები დარჩნენო. მერე ისიც თქვა, ამ დღეებში პაემანი უნდა დავუნიშნოო. ამის მეტი არაფერი ვიცი“.

იმავე დილით, 1 აპრილს დაიკითხნენ „პირიმზის“ სხვა თანამშრომლებიც, თავად გაბოძე კი არსად ჩანდა. სამსახურში ათზე უნდა გამოცხადებულიყო, მაგრამ იგვიანებდა. გახდა 11 საათი, 12, 13... იქნებ, იყნოსა, რომ სამართალდამცავები მას საწარმოში ელოდნენ და მიიმალა? 14 საათზე გამომძიებლები გაბოძის ბინას მიადგნენ.

კარი სპარტაკის ძმამ გაუღო. ჩემი ძმა შინ არ არისო, თუმცა იძულებული გახდა კანონის დამცველები სახლში შეეშვა. საუბარი იქ განაგრძეს. როდესაც მასპინძელმა შეიტყო რაშიც იყო საქმე, მოსულებს უთხრა, სპარტაკზე ტყუილად გაქვთ ეჭვი, გუშინ ჩემი ძმა საღამოს ექვს საათზე მოვიდა სახლში და მეორე დილის ცხრა საათამდე არსად გასულაო. შესაბამისად, 22 საათზე მკვლელობის ადგილზე ვერაფრით იქნებოდაო.

მთაწმინდის რაიონის ყოფილი პროკურორი არჩევან ლომიძე: „ჩვენს გამომძიებლებთან საუბრისას ეჭვმიტანილის ძმამ ახსენა სპარტაკის მეგობარი, კასპის რაიონის სოფელ ზემო ხანდაკში მცხოვრები ვინმე ზაზა იორამიშვილი (გვარი შეცვლილია), რომელიც უწინ თურმე საკუთრების დაცვის პოლიციაში მუშაობდა და, რომელსაც გააჩნდა პისტოლეტი „მაკაროვი“. მაშინვე შევუდექით ამ ზაზას ძებნას“.

სახელი „ზაზა“ ფიგურირებდა ერთ-ერთი მოწმის ჩვენებაშიც, რომელიც პოლიციელებმა მკვლელობის ადგილის მახლობლად დაჰკითხეს. მოწმემ განაცხადა, სროლების შემდეგ კაცის ხმა მომესმა, ყვიროდა, ზაზა, რა ჰქენიო?

ამონაწერი იორამიშვილის დახასიათებიდან: „ზაზა იოსების ძე იორამიშვილი, დაბადებული 1968 წელს კასპში. ცოლშვილიანი, საშუალო განათლების. 1992 წლის 3 მარტიდან 10 ნოემბრამდე მუშაობდა შს სამინისტროს საკუთრების დაცვის სამმართველოს გლდანის, ხოლო 10 ნოემბრიდან ნაძალადევის რაიონულ განყოფილებაში. 1993 წლის 15 თებერვალს დისციპლინის უხეში დარღვევისთვის დათხოვილია სამსახურიდან. მუშაობის პერიოდში გამოავლინა უდისციპლინობა, გაურბოდა თანამშრომლებთან ურთიერთობას...“

დაიწყო იორამიშვილის ძებნა, რომელშიც თბილისის რამდენიმე რაიონის პოლიციის განყოფილება ჩაერთო. იმ მისამართებზე, სადაც შესაძლოა ყოფილიყო ეჭვმიტანილი, ის არ აღმოჩნდა. ღამის 2 საათზე მოვიდა შეტყობინება კასპიდან: „იორამიშვილი ამჟამად იმყოფება სოფელ ზემო ხანდაკში, თავის საცხოვრებელ სახლში. სავარაუდოდ, შეიარაღებულია „ნაგანისა“ და „მაკაროვის“ პისტოლეტებით. მისი დაკავების მცდელობისას შესაძლოა გასწიოს წინააღმდეგობა“.

1 აპრილს, შუადღისას გადაწყდა, რომ ეჭვმიტანილის დასაპატიმრებლად კასპის რაიონში მთაწმინდის პოლიციის ექვსკაციანი ჯგუფი გაემგზავრებოდა.

## ოპერაცია

18 საათზე კასპში ჩასულ თბილისელ პოლიციელებს ადგილობრივი სამართალდამცავებიც შეუერთდნენ და შებინდებისას ცამეტკაციანი რაზმი ოთხი მანქანით სოფელ ზემო ხანდაკს მიადგა.

კასპის პოლიციის ყოფილი უფროსი თემურ დვალიშვილი: „სოფელში პირველი ჩემი მანქანა შევიდა, ცოტა ხანში — მეორე და ა.შ. ცალ-ცალკე ჯგუფებად ვმოძრაობდით, რათა ზედმეტი ხმაური არ გამოგვეწვია. მახსოვს, გზაზე, წმინდა მარიამის ეკლესიასთან შევჩერდით და ბიჭებმა პირჯვარი გადავიწერეთ. ალბათ, შემდგომში ამან გვიხსნა სიკვდილისგან... გამოჩნდა იორამიშვილის სახლიც... ხუთნი ჭიშკრისკენ გავემართეთ. დანარჩენებმა სახლს ალყა შემოარტყეს. იარაღი, რა თქმა უნდა, ყველას შემართული გვქონდა — ვიცოდით, რომ იორამიშვილი იოლად არ დაგვნებდებოდა“.

დვალიშვილის მოადგილე გოგი ბუძიშვილი: „ახლომახლო ადგილობრივები არ ჩანდნენ. ამ დროს დავინახეთ ხანში შესული მამაკაცი და ქალი. ეჭვმიტანილის ეზოდან გამოდიოდნენ. აღმოჩნდა, რომ ზაზას მშობლები იყვნენ. როდესაც ვუთხარით, პოლიციიდან ვართ და თქვენი ვაჟის ნახვა გვსურსო, რატომღაც არ გაჰკვირვებიათ. მოგვიგეს, ზაზა სახლშია, მეორე სართულზეო. შემდეგ წინ გაგვიძღვნენ და ეზოში შევედით“.

ყველანი ერთად ავიდნენ კიბეზე. ფეხაკრეფით მიუახლოვდნენ იმ ოთახს, სადაც ეჭვმიტანილი იმყოფებოდა და კარის ორივე მხარეს განლაგდნენ. იქვე იყვნენ ზაზას მშობლები. როგორც ჩანს, იორამიშვილმა შეამჩნია, რომ მასთან „სტუმრები“ მოსულიყვნენ. ოთახის კარი შიგნიდან ჩაკეტა და კაკუნზე პასუხს არ იძლეოდა. თავიდან მშობლებმა დაუწყეს თხოვნა, გაგვიღე კარი, ყველაფერი კარგად იქნება (მათ ჯერ კიდევ არ იცოდნენ, რა დანაშაულისთვის ეძებდნენ ზაზას), შენი ყოფილი თანამშრომლები მოვიდნენო. შემდეგ პოლიციელებიც არწმუნებდნენ, თუ დაგვნებდები, თითსაც არავინ დაგაკარებსო, მაგრამ პასუხი რომ ვერ მიიღეს, გადაწყვიტეს კარი შეემტვრიათ.

თემურ დვალიშვილი: „ამ დროს უკვე დარწმუნებულნი ვიყავით, რომ იორამიშვილი გარეული იყო მთაწმინდაზე მომხდარ მკვლელობაში. შეგვეძლო ზაზასთვის სროლა აგვეტეხა, მაგრამ ცოცხლად გვინდოდა აყვანა და ამან კინაღამ დაგვღუპა. ოთახში რომ შევიჭერით, დავინახე, ფანჯარასთან იდგა და მარჯვენა ხელი რაღაც უცნაურად ჰქონდა აღმართული. არ გაინძრე-მეთქი, დავუყვირე და მივუახლოვდი, მაგრამ უცებ შევნიშნე, რომ ხელში ყუმბარა ეკავა. შეშლილის თვალებით მიყურებდა. ჩემი ორი თანამშრომელი უმალ ეცა, მაგრამ ზაზამ რგოლგამოცლილი „ლიმონკის“ ძირს დაგდება მაინც მოახერხა“.

კასპის პოლიციის თანამშრომელი ვალერი გულაროვი: „ხელში ვწვდი, მაგრამ დავაგვიანე — ყუმბარა უკვე იატაკზე გორავდა, საცაა აფეთქდებოდა. ოთახი საკმაოდ დიდი იყო, ჩემგან ხელმარცხნივ რამდენიმე საწოლი და კარადა შევნიშნე, იქით გადავხტი და ძირს დავეცი. ორიოდ წამით საშინელი სიჩუმე ჩამოწვა, მერე უძლიერესი აფეთქების ხმა ჩამესმა. ირგვლივ ყველაფერი განათდა. კიდევ რამდენიმე წამი იატაკზე დაყრუებული ვიწექი. შემდეგ რის ვაივაგლახით წამოვდექი და მიმოვიხედე. მტვერი და ბოლი ერთმანეთში არეულიყო. ზაზა იორამიშვილი გაუნძრევლად იწვა. სულ დაგლეჯილი იყო და სისხლში ამოსვრილი. მე კი სიხარულისგან ცრემლი მომადგა, როცა ჩვენი ბიჭები დავინახე. ცოცხლები დარჩენილიყვნენ!“

პოლიციელები ცოცხლები, თუმცა მძიმედ დაჭრილები იყვნენ. დაიჭრა ზაზას დედაც, რომელიც ასევე იმყოფებოდა ოთახში, თავად იორამიშვილი კი ადგილზევე გარდაიცვალა. მას ხელყუმბარის უამრავი ნამსხვრევი მოხვდა.

## მკვლელი

როდესაც კასპში ეს ამბები ხდებოდა, თბილისში ზაზა იორამიშვილის მეგობრებს აპატიმრებდნენ. სამართალდამცავებმა დააკავეს ზემოთ უკვე ხსენებული სპარტაკ გაბოძე და მესამე ეჭვმიტანილი — კობა ტატინაშვილი. ორივე თბილისის შს სამმართველოს წინასწარი დაკავების საკანში მოათავსეს და ეტყობა, კარგადაც დაამუშავეს — იმავე საღამოს გაბოძემაც და ტატინაშვილმაც გამომძიებლებს პანთეონთან მომხდარი შემთხვევა დეტალურად აღუწერეს.

31 მარტს, საღამოს 5 საათზე ბიჭები „პირიმზესთან“ შეხვედრიან თავიანთ ნაცნობ გოგონებს და რუსთაველზე გასეირნება შეუთავაზებიათ. შემდეგ, იორამიშვილის ინიციატივით, მთაწმინდის პანთეონში ასულან. უკან რომ დააპირეს ჩამოსვლა, ზაზას უთქვამს, ცოტა ხანი კიდევ ვიყოთო, წყნარი ადგილია, ხელს არავინ შეგვიშლის ქეიფშიო და ჩანთიდან სასმელ-საჭმელიც ამოულაგებია. სკამებზე ჩამოსხდნენ. ბიჭებმა სამი ბოთლი შამპანური დალიეს, მერე ერთი კონიაკიც დააყოლეს.

სპარტაკ გაბოძის ჩვენებიდან: „ზაზას სიმთვრალეში აუტანელი ხასიათი ჰქონდა, სრულიად უმიზეზოდ იცოდა ხოლმე ჩხუბის ატეხა. მაშინაც ასე მოხდა. ჯერ აიჩემა, გინდა თუ არა, კოცონი დავანთოთ და მთელი ღამე აქ დავრჩეთო. გოგონებისგან უარი რომ მიიღო, გინება აუტეხა, რას ჰქვია არ მემორჩილებითო. ძლივს დავიყოლიეთ, რომ ქვევით, რუსთაველზე ჩავსულიყავით და იქ მოგვეფიქრებინა, სად შეიძლებოდა ქეიფის გაგრძელება. თითქოს დაგვთანხმდა და წამოგვყვა, მაგრამ მალე ისევ დაიწყო გინება. გოგონებს უყვიროდა, ტყუილად დაგახარჯეთ ამდენი ფულიო. უცებ, პისტოლეტი ამოიღო და მათი მიმართულებით დაიწყო სროლა. მე და ტატინაშვილს შეგვეშინა, ჩვენთვისაც არ ესროლა და გავიქეცით“.

გაიქცა იორამიშვილიც, თუმცა რამდენიმე წამში უკან დაბრუნდა და ძირს დავარდნილ გოგონებს ახლო მანძილიდან კიდევ სამი ტყვია დაახალა...

მოგვიანებით გაირკვა, რომ მკვლელობის ჩადენის შემდეგ იორამიშვილი თბილისში მცხოვრებ თავის ნათესავს ესტუმრა, ღამე მასთან გაათია, მეორე დილით კი ზემო ხანდაკში გაემგზავრა. ის ადამიანები, რომლებიც ამ პერიოდში ზაზასთან ურთიერთობდნენ, აცხადებდნენ, რომ მის საქციელში ვერაფერს ხედავდნენ განსაკუთრებულს — იორამიშვილი საკმაოდ მშვიდად ყოფილა, ხშირად თურმე ხუმრობდა კიდეც და გულიანად იცინოდა. მკვლელობიდან 12 საათის შემდეგ, როდესაც თბილისიდან კასპისკენ ავტობუსით მიემგზავრებოდა, განუწყვეტლივ ესაუბრებოდა ვიღაც ახალგაზრდა მანდილოსანს, რომელსაც იქვე, ავტობუსში გაეცნო. ავტობუსის მძღოლმა თქვა, ცდილობდა პაემანი დაენიშნაო...

***მიხეილ ჩერქეზია***

# ცხოვრებისეული კურიოზები

## აბა, რა გინდა?



ავლაბრის (ადრე 26 კომისრების) რაიონის მილიციის უფროსთან, ჯიმი სხირტლაძესთან დაახლოებით 12 საათზე კაბინეტში შევიდა 28 წლის (მიახლოებითი მონაცემებით) ჟორიკ ოგანეზიანი.

— უფროსოჯან, მაშშინნა მამტაცეს.

— რაო? — გაუკვირდა უფროსს.

— ხომ გეუბნები, ბორბლებიანი მაშინა მამპარეს.

— ვაა... — ისე გაუკვირდა ჯიმის, ვითომ ტროლეიბუსი გაიტაცეს.

— მამპარეს რა! — აცრემლდა ჟორიკა.

— ვაა, ამის დედა ვატირე... ახლა ეს მინდა? ამდენი საქმე მაწევს. — სად მოგპარეს, ან სად წაიყვანეს?

— ვაა, უფროსო, მე რომ ეგ ვიცოდე, აქ რა მამიყვანდა? ფერი მახსომს... მაგალითად — ლურჯი...

— კაცო (გაბრაზდა უფროსი), ის მითხარი, მანქანა სად იდგა?

— ასფალტზე, რა...

— რომელზე?

— დაგებული როა... (ვაა!)

— შენ ლენინს თუ იცნობდი? — დაუსვა კითხვა ჯიმიმ.

— ეგ რომელი? — ჰოოო! გამახსენდა — რესტორან „ავრორაზე“ პუშკა რო ისროლა, არა?

— ხო, ის...

— ვაა, მაგას როგორ არ ვიცნობ! — კაი ბიჭი იყო.

— იმ ლენინს ქუდი რომ მუდამ ხელში ეჭირა, გახსოვს?

— მა რა, ტო, ბოდიში, უფროსო... მარცხენა ხელში ეჭირა, მარჯვენათი ტაში უკრამდა.

— ჰოდა, შე ვირიშვილო, შენა, ის კაცი მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი იყო. ქუდი (არ მომპარონო) სულ ხელში ეჭირა, შენ ამოდენა მანქანას ვერ მოუარე?

— ვააა! მაშინა ხელში როგორ უნდა დამეჭირა...

— ხოო? ხოო და ხოოო!!!

...მომჩივანი უხმოდ გაიძურწა...

**მურმან მერკვილიშვილი**

## კასრი



არგვეთელმა კოლამ აგურის მშვენიერი სახლი აიშენა. მეზობლებს უკვირდათ, საიდან იშოვა კოლამ ამდენი ფულიო და ჰკითხეს კიდეც:

— საიდან და წყალდიდობა რომ იყო ყვირილაზე, შუა მდინარეში შევედი, დიდი კასრი გამოვათრიე, რომელიც თურმე სპირტით ყოფილა სავსე. გავყიდე სპირტი და ვიყიდე აგური — ამაყად თქვა კოლამ და ამით ცნობისმოყვარე მეზობლების ინტერესი დააკმაყოფილა.

გავიდა ხანი. მეზობლებმა მდინარის პირას პურის ჭამა მოაწყვეს. კოლაც მათთან ერთად ქეიფობდა. ხანგრძლივად მიწაზე ჯდომით კოლა დაიღალა და ფეხებს გავმართავო — ზეზე წამოდგა, უცებ მდინარისაგან დასველებულ ბალახზე ფეხი დაუცურდა და წყალში ჩავარდა. იმ ადგილას მდინარეში წყალი ცოტა იყო და მუხლებამდე თუ შემოწვდებოდა. კოლა კი შეშინებული გაჰკიოდა:

— მიშველეთ, ხალხო, ვიხრჩობიი!

ამის შემდეგ ვინ დაუჯერებდა კოლას, აგური ადიდებული მდინარიდან ამოღებული სპირტით ვიყიდეო.

**ალ კაპონე, ზესტაფონი**

## „მა რას დამდგარხარ?..“



ღამის პირველი საათი იყო. მე და ჩემს ბიძაშვილს ერთი ამხანაგი გვყავდა, მოგვენატრა და ვიფიქრეთ, დავურეკავთ, ამბავს გავიგებთ-თქო. ნომერი ავკრიბეთ, ყურმილი მისმა პაპამ აიღო. ჩვენი მეგობრისგან ვიცოდით, რომ მოხუცს ყოველთვის გრძელი ფოხანები ეცვა, ხუმრობის გუნებაზე დავდექით და ყურმილი არ დავკიდეთ:

მოხუცი ყვირის — ალო, ალო.

მეტი ფიქრის დრო არ იყო და ჩემმა ბიძაშვილმა ჰკითხა:

— სტადიონია?

— არა!

— მა რას დამდგარხარ ტრუსიკის ამარა?

**ლ.გ. სურამი**

## მატყლი არა რჩება და ყველი...



კომუნისტების დროა. ომალოში მივფრინავთ. მიგვყავს რესპუბლიკის ხელმძღვანელობა: ვ.პ. მჟავანაძე, გ.დ. ჯავახიშვილი ამალით, — სულ 10 კაცი ვართ. მაშინ ეს იყო ტრანსპორტის ერთადერთი სახეობა, რომლითაც ომალო ბარს უკავშირდებოდა.

მჟავანაძეს ეცვა სამხედრო ფორმისმაგვარი მწვანე „ფრენჩი“, გალიფე და შავი ჩექმა. ეხურა ასეთივე ფერის ქუდი. ეს ფორმა ომის წლებში პარტიულ მუშაკებს, ომის შემდგომ კი კოლმეურნეობის თავმჯდომარეებს ეცვათ.

ჩავედით ომალოში, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და ხალხი დიდი პატივით დაგვხვდნენ.

მჟავანაძემ მოინდომა მოხუც ხანჯლიან თუშთან საუბარი (შემდეგ ალბათ ინანა კიდეც). დიალოგი ასეთი იყო:

— გამარჯობა, ბიძია!

— გაგიმარჯოს, შვილო!

— როგორ ცხოვრობთ, რა გიჭირთ, რა გილხინთ?

— გმადლობთ, შვილო! ჰაერი კარგი გვაქვს, წყალი, მადაც არ გვაკლია, ცოტა საჭმელი ჭირს, სხვა არაფერი გვიჭირს.

— ეჰ, ძიაკაცო, გზა არ არის, გზა, თორემ ყველაფერი გექნებათ, აი, ეს უგზოობა გვიშლის ხელს!

— რა ვიცი, შვილო, მატყლი არა რჩება და ყველი, ყველაფერი მიაქვთ, თუ წასაღებად არის გზა, ამოსატანად რატომ არ არის?

მჟავანაძე შეცბა და... ვერაფერი უპასუხა, „ჩაიჭრა“.

**მიშინო**

## გამოცანა

**კითხვა:** არნოლდ შვარცენეგერს იგი გრძელი აქვს, მაიკლ ფოქსს — მოკლე, მადონნას საერთოდ არა აქვს, ხოლო რომის პაპი უკვე დიდი ხანია, არ იყენებს. რა არის?

**პასუხი:** [illegible]

**ანა გვენეტაძე, ქუთაისი**

## სიდედრი მოგკვდომიაო



ერთხელ მე და ჩემი ნათესავი თემო, მანქანით ცხინვალში წავედით.

თემო ანეკდოტებს ყვებოდა და მთელი გზა მხიარულად გავიარეთ, ცხინვალს რომ მივუახლოვდით, შევნიშნეთ, რომ ერთ გლეხს დატვირთულ ორთვალაში ვირი შეება. უცებ ვირმა პატრონს „ატკაზი“ დაურტყა, გაჩერდა და ადგილიდან არ დაიძრა. გლეხი ხან ეხვეწებოდა, ხან სცემდა, მაგრამ ვირი ფეხს არ იცვლიდა. თემო მიხვდა, რაც ხდებოდა და მანქანა გააჩერა. მიუახლოვდა ორთვალას, სერიოზული სახე მიიღო და პატრონს ჰკითხა:

— ბოდიში, შეიძლება მაგ ვირს ყურში რაღაც ვუთხრა?

— წადი, შვილო, თავი გამანებე, შენს ხასიათზე არა ვარ! — უთხრა გამწარებულმა პატრონმა.

— ვეტყვი რა, ბიძაკაცო, აუცილებელი საქმე მაქვს.

— წადი, შვილო, თავი გამანებე — შეეხვეწა თემოს პატრონი, თემო კი თავს არ ანებებდა. — მიდი, ჰა, ერთი რა უნდა უთხრა! — როგორც იქნა, დასთანხმდა გლეხი.

თემო მივიდა ვირთან, ყურზე ხელი ააფარა და სიგარეტის „ბიჩოკი“ ჩაუდო ისე, რომ პატრონმა ვერ დაინახა. ვირს ყური დაეწვა, სიმწრისაგან სულ ტლინკები აყარა, აცრემლდა, ყროყინი დაიწყო და ისე მოკურცხლა, პატრონმა თვალი ვერ მოჰკრა.

გაგიჟებულ გლეხს აღარ იცოდა, რა ექნა, მერე თემოს მიუბრუნდა და ჰკითხა:

— ბიჭო, ისეთი რა უთხარი, რომ ვირი გადამირიე?

— ვუთხარი, ტყვიავიდან თამაზმა გამომგზავნა და დამაბარა, სიდედრი მოგკვდომიაო და შეგატყობინე-მეთქი! — უპასუხა თემომ, მანქანაში ჩაჯდა და გზა ხარხარით გავაგრძელეთ.

**გ. ზურაბაშვილი, გორი**

## ... ცირკშიც მყავდა, კინოშიც



დილის 6 საათია. ვაკის ერთ-ერთ უბანში გამოდის პოლიციელი. ხედავს ხალხში პინგვინი დახტის. დაიჭირა. ამ დროს გამოჩნდა ნარკომანი ლევანა.

— ლევან, მოდი აქ! — დაუძახა სამართალდამცავმა.

— რა მოხდა, უფროსო, — იკითხა ლევანამ.

— ახლა თუ არ გინდა „სტროჩკები“ დაგიჩითო ვენებზე, ეს პინგვინი ზოოპარკში წაიყვანე!

— რაზეა ბაზარი, წავიყვან.

მოსაღამოვდა. გაიხედა პოლიციელმა, ლევანა და პინგვინი მოდიან ხელში დროშებითა და ბუშტებით.

— მოდი აქ, ლევან! — ეძახის პოლიციელი.

— რა არის, უფროსო?

— მე შენ რა გითხარი, ზოოპარკში წაიყვანე-მეთქი.

— ვა!!! დედას გეფიცები, ზოოპარკშიც მყავდა, ცირკშიც მყავდა, კინოშიც, ახლა მუშტაიდიდან მოვდივართ.

**ნატო ოთიაშვილი, თბილისი**

# მკითხველის საყვარელი ანეკდოტი



გურული თბილისში საპარიკმახეროში შევიდა. თმა-წვერმოშვებული კლიენტის მოსვლით კმაყოფილი დალაქი დაფაცურდა:

— ბატონო, როგორ ინებებთ გაპარსვას?

— მაგი თუ ჩემს არჩევანზეა, უფასოდ მირჩევნია, ძამა...

**ანა მზემთვარიშვილი, თბილისი**



— რა იყო, შე კაცო, კიდევ დათვერი? — უთხრა ცოლმა ქმარს, — აკი ექიმმა კატეგორიულად აგიკრძალა ღვინის სმა.

— იმ ექიმის ქელეხიდან მოვდივარ კაკრაზ...

**ალბერტ ყუთულაშვილი, თბილისი**



რძალმა პერანგი აიწია და მაროს შეეხვეწა:

— დედა, მოდი რა, წელზე მომაფურთხე!

— რატომ? — შეეკითხა მარო.

— წელი მტკივა და ექიმმა გველის შხამი გამომიწერა. ყველა ბაზრობა მოვიარე, მაგრამ ვერსად ვიშოვე. შენზე მეტი შხამი არც ერთ გველს არ ექნება, განვიკურნები კიდეც და ფულიც დამრჩება.

— ეჰ, ჩემი შვილის ხათრი მაქვს, თორემ, ერთი კარგად ჩავკბენდი ამ თავხედსა და სულსაც გავაფრთხობინებდი! — გაიფიქრა მარომ და გაგულისებულმა რძალს მიაფურთხა.

**გ. ზურაბაშვილი, გორი**



სვანი საქეიფოდ მიდის და ცოლს ეუბნება:

— ადექი, ჩაიცვი!!

— მეც წამიყვან?

— არა, გათბობა უნდა გამოვრთო!!

**ნინო გუმბარიძე, ოზურგეთი**



ერთი ოსი ეწვია ქისტს. ქისტმა სტუმარს ცივი მჭადი მოუტანა. ოსს მჭადი ყელზე დაადგა და წეროსავით იგრძელებდა კისერს, ცდილობდა ლუკმის ჩაყლაპვას. სწორედ ამ დროს მასპინძელმა ჰკითხა:

— სტუმარო, რამდენი ძმანი ხართ?

— თუ ამ ლუკმას გადავურჩი, ხუთნი ვართ, თუ არა, ოთხნი, — უპასუხა ოსმა.

**ლელა გოგინავა, სენაკი**

**ბატონო მკითხველო, რედაქცია კვლავ ელის თქვენგან კურიოზებსა და ანეკდოტებს. გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე**

# როგორ გადაარჩინეს რუსებმა შევარდნაძე

## აფხაზეთსა და დასავლეთ საქართველოში საბრძოლო მოქმედებების უშუალო მონაწილის მონათხრობი

**ორი კვირის წინ თბილისმა მოსკოვს მიმართა თხოვნით, ნოემბერში მიღწეული შეთანხმების საფუძველზე, სასწრაფოდ დაწყებულიყო მოლაპარაკება ვაზიანისა და გუდაუთიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გამოყვანის თაობაზე. ამგვარად, როგორც ჩანს, ჯვარი დაესმება კონტაქტებს სამხედრო სფეროში, როგორც ორმხრივ, ასევე დსთ-ის ჩარჩოებში. ედუარდ შევარდნაძეს არასოდეს დაუმალავს, რომ დსთ-ში საქართველოს წევრობას ის უკავშირებს აფხაზეთში სამართლიანობის აღდგენას.**

**მე — უფრო მასშტაბური ეკონომიკური ინტეგრაციის მომხრე ვარ ყველა სახელმწიფოსთან, მათ შორის იმათთანაც, ვინც არ შედის დსთ-ში. სამწუხაროდ, ევროპასთან ინტეგრაცია არ გამოგვივიდა, ეკონომიკურ იზოლაციაში ცხოვრება კი სრულ კატასტროფას ნიშნავს, — ამბობდა საქართველოს პრეზიდენტი 7 წლის წინ. 1993 წლის 19 სექტემბერს, სოხუმში ყოფნისას, მან მიმართა საერთაშორისო საზოგადოებრიობას: „იქნებ ვინმემ თქვას, რომ ეს განწირულობის ამოძახილია. თუ ეს ამოძახილია, ეს ჩემი სულის, ჩემი ხალხის ამოძახილია და მინდა გაიგონონ“. საქართველოს პრეზიდენტის ხმა გაიგონეს, მისი სიცოცხლე რუსმა საზღვაო ქვეითებმა გადაარჩინეს.**

**დეტალებზე, რომლებსაც აქამდე მალავდა საქართველოს ხელმძღვანელობა, გვიამბობს გენერალ-მაიორი ვლადიმირ რომანენკო.**





ქვეყანამ, რომელიც საკუთარი დამოუკიდებლობისთვის იბრძვის, თავის დაცვაზე უნდა იფიქროს. საბჭოთა კავშირის დაშლის მომენტისათვის შავი ზღვის ფლოტს საქართველოს ტერიტორიაზე საკმარისად სერიოზული სამხედრო-საზღვაო ბაზა ჰქონდა ფოთში. მისი ძირითადი ამოცანა იყო სამხრეთ მიმართულებით სტრატეგიული უზრუნველყოფა. როცა საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა, დადგა ფოთის ბაზის საკითხიც. ბელოვეჟის შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, მოკლე ხანში, შავი ზღვის ფლოტის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ თბილისში მოლაპარაკება გამართა მაშინდელ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასთან. მან გადაწყვიტა, რომ შავი ზღვის ფლოტს ბაზა უნდა დაეტოვებინა. შავი ზღვის ფლოტის შემადგენლობიდან მთელი ბატალიონი გამოყვეს ძირითადი ძალებისა და ტექნიკის საევაკუაციოდ. მაგრამ ჩვენ იქ ბევრი მანქანა დავტოვეთ. როცა ჩვენმა უკანასკნელმა გემებმა დატოვეს ფოთი, პირსზე ლოზუნგები იყო გაკრული: — „ოკუპანტებო, წაეთრიეთ საქართველოდან“.

როცა შევარდნაძე საქართველოში დაბრუნდა, ზვიადისტები უკვე რესპუბლიკის დასავლეთ ნაწილში იმყოფებოდნენ, იმავდროულად მიმდინარეობდა აქტიური სამხედრო მოქმედება აფხაზეთში. სხვათა შორის, იქიდან შავი ზღვის ფლოტის სადესანტო გემებით გამოიყვანეს 11 ათასი ლტოლვილი.

1993 წლის სექტემბერში შევარდნაძე აფხაზეთში წავიდა, რათა ადგილზე გაცნობოდა სიტუაციას. მაგრამ აფხაზეთის შეიარაღებულ ძალთა აქტიური მოქმედების შედეგად საქართველოს პრეზიდენტი ბლოკირებული აღმოჩნდა სოხუმის აეროდრომზე. მდგომარეობა კრიტიკული იყო. სიტუაციის განვითარებას ყურადღებით ადევნებდა თვალს მოსკოვში უმაღლესი მთავარსარდალი ბ. ელცინი და თავდაცვის მინისტრი პ. გრაჩოვი. შევარდნაძის აფხაზეთიდან გამოყვანის უზრუნველყოფის ამოცანა უშუალოდ გრაჩოვმა დააყენა. სევასტოპოლიდან სასწრაფოდ გამოვიდა სადესანტო გემი „ზუბრი“. გემზე იმყოფებოდა საზღვაო ქვეითთა ასეული, პოლკოვნიკ კორნეევის მეთაურობით. ოპერაციას უშუალოდ სამეთაურო პუნქტიდან ხელმძღვანელობდა ფლოტის სარდალი ედუარდ ბალტინი, მე მის გვერდით ვიყავი.

გეგმის თანახმად, საჰაერო-სადესანტო ასეულს შევარდნაძე სანაპიროზე უნდა გამოეყვანა და გემზე დაესვა. რა თქმა უნდა, აფხაზეთის საზენიტო საშუალებები აეროდრომის გარშემო იყვნენ განლაგებულნი და შევარდნაძის იაკ-40-ის აფრენას უცდიდნენ.

სადესანტო გემის ძრავის ხმაური რეაქტიული თვითმფრინავის ხმას ჰგავდა. „ზუბრი“ ღამე მიადგა სანაპიროს და აფხაზებმა გადაწყვიტეს, რომ მათ რუსეთის მძლავრი საავიაციო შენაერთი უტევდა.

სანაპიროსთან მისვლა შეუძლებელი იყო. „ზუბრი“ რამდენჯერმე ისევ ზღვაში დაბრუნდა. გემი განუწყვეტლივ იცვლიდა მიმართულებას, გარდა ამისა, ღამე არც ჩანდა, მხოლოდ ხმა ისმოდა. გემი მთელი ძალით უტევდა სანაპიროს. აფხაზ ფორმირებებს, რომლებსაც არ ესმოდათ, ვის ებრძოდნენ, ხან ავიაციის დარტყმის მოგერიებას ცდილობდნენ, ხან საზღვაო დესანტის გადმოსვლას უშლიდნენ ხელს. შევარდნაძის პილოტებმა ისარგებლეს იმით, რომ აფხაზთა ყურადღება სხვაზე გადავიდა და იაკ-40 მცირე სიმაღლეზე აიყვანეს, მერე შემოაბრუნეს, ფოთის მიმართულებით წაიყვანეს და ქუთაისის მახლობლად დასვეს. აფხაზთა სამხედროები ახლაც გაკვირვებულები არიან, როგორ შექმნა ერთადერთმა გემმა ასეთი პანიკა. თუმცა ამ მოვლენებიდან ზუსტად ერთი წლის შემდეგ ბალტინთან ერთად არძინბას ვეწვიე სოხუმში. საკმაოდ თბილად მიგვიღო, ძალიან სერიოზული საუბარი გვქონდა ერთი წლის წინანდელ მოვლენებზე.

ასე რომ, შევარდნაძე თავის სიცოცხლეს შავი ზღვის ფლოტს უნდა უმადლოდეს.

ამ მოვლენებიდან ერთი თვის შემდეგ დაიძაბა სიტუაცია დასავლეთ საქართველოში. შეიარაღებულმა ფორმირებებმა არა მარტო ამ რეგიონის, არამედ მთელი რესპუბლიკის ცხოვრების პარალიზება მოახდინეს, ზღვაზე გასვლა რეალურად მხოლოდ ბათუმიდან და ფოთიდან შეიძლებოდა. ამ ქალაქებით შემოდიოდა სათბობი, სურსათი და სხვა რესურსები. და თუ გავითვალისწინებთ აჭარის განსაკუთრებულ მდგომარეობას, ფოთი რჩება საქართველოს სასიცოცხლო მნიშვნელობის ძირითად კერად. სწორედ ამ პირობებში, თავისი მდგომარეობისა და რეჟიმის შესანარჩუნებლად მიმართა შევარდნაძემ რუსეთის მთავრობას.

შევარდნაძე თბილისში დაბრუნების შემდეგ, აგრძელებდა კონტაქტებს რუსეთის ფედერაციის უმაღლეს ხელმძღვანელებთან; ამიტომ, საგარეო საქმეთა სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით, 1993 წელს, ჩვენთან, შავი ზღვის ფლოტში, საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენელი ჩამოფრინდა. მასთან ერთად მოვილაპარაკეთ, თუ რა პირობებით იმოქმედებს საზღვაო ქვეითი ჯარი საქართველოს ტერიტორიაზე. დაიგეგმა ავიაციის მხარდასაჭერად შავი ზღვის ფლოტის საბრძოლო ხომალდებისა და სადესანტო ჯგუფების გასვლა. გემებზე 1.600 მებრძოლი იყო.

1993 წლის 4 ნოემბერს დესანტი ფოთში გადმოსხეს. იმავე დღეს დაიწყო დახურული მოლაპარაკებები შევარდნაძესა და ბალტინს შორის, სადაც უნდა დამუშავებულიყო საქართველოს ტერიტორიაზე საზღვაო დესანტის ყოფნის იურიდიული საფუძვლები. ხელშეკრულების ხელმოწერა აუცილებელი იყო, რათა იარაღის გამოყენების საჭიროება იურიდიულად დაფიქსირებულიყო. ჩვენ შევიმუშავეთ მოსალოდნელი მოქმედებების გეგმა, რომელსაც ხელი მოაწერა შევარდნაძემ.

მაშინ, სევასტოპოლის ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში, საქართველოს პრეზიდენტი ამბობდა, რომ შავი ზღვის ფლოტის მხარდაჭერას „დიდი მნიშვნელობა აქვს — მორალურიც და პოლიტიკურიც“. მაგრამ უარყოფდა ქვეითთა მონაწილეობას საბრძოლო მოქმედებებში. თუმცა, ჩვენი დასავლეთ საქართველოში ყოფნის პირველ დღეებში, 500 ბოევიკზე მეტმა დატოვა ფოთი და მთებში გაიხიზნა, ზოგიერთები კი ჩვენ გადავეცით ქართულ მილიციას. სხვათა შორის, დასავლეთ საქართველოში წავაწყდით ჩეჩნებსაც, რომლებიც ზვიადისტების მხარეზე იბრძოდნენ. პირობით სიგნალად ჩეჩნები ცხოველების ხმებს იყენებდნენ. როდესაც ფოთის რაიონში მგელი აყმუვლდა, ჩვენ მივხვდით „სად იყო დამარხული ძაღლის თავი“. ჩვენმა მზვერავებმა ისინი გამოთვალეს, მაგრამ ჩეჩნები ხელჩართულ ბრძოლებში არ ებმებოდნენ.

ჩვენ ვაწარმოებდით ე.წ. წმენდას. 5 ნოემბერს ქალაქში კომენდატურა შეიქმნა, რომელიც საშვების რეჟიმს და ქუჩების პატრულირებას ხელმძღვანელობდა. შემოღებულ იქნა კომენდანტის საათი. მაშინვე დაიწყეს შემოსვლა სურსათით დატვირთულმა რუსეთის გემებმა.

მას შემდეგ, რაც უზრუნველვყავით სახელმწიფო ორგანოებისა და ძალოვანი სტრუქტურების მუშაობა მთელ სანაპირო ზონაზე, ჩვენი დახმარება აღარავის სჭირდებოდა. აქტიურად ამუშავდნენ რუსი მესაზღვრეები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ საქართველოს ტერიტორიული წყლების უსაფრთხოებას. ჩვენ ხომ ძალზე სერიოზული საბრძოლო ხომალდების რაზმით მოვედით — ყოველგვარი კონტრაბანდა გამორიცხული იყო. ვფიქრობ, მაშინ, შევარდნაძის რეჟიმისათვის ჩვენ დიდი შველა ვიყავით.

თუ ყველაფერს თავის სახელს დავარქმევთ, შევარდნაძე ხელისუფლებაში მოვიდა და შეინარჩუნა ეს ხელისუფლება რუსეთის ხიშტების მეშვეობით. პრეზიდენტი დაგვპირდა, რომ აღადგენდა შავი ზღვის ფლოტის ბაზებს ფოთში. მაგრამ მაშინაც კი, როდესაც საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ბაზები იქმნებოდა, ფოთი მათ რიცხვში არ შევიდა. ვფიქრობ, იმის შემდეგ, რაც რუსეთმა გააკეთა საქართველოს დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად, დაუშვებელია ხელისუფლების ჩვენდამი ასეთი დამოკიდებულება.

***ეკატერინა ტესემნიკოვა***
***ნეზავისიმაია გაზეტა №12***

# რას გვეტყვი, მამაო?

## რუბრიკის დებიუტი

*რუსულ მართლმადიდებელ გაზეთს „ტროიცკაია კნიგას“ უკანასკნელ წლებში დამკვიდრებული ჰქონდა რუბრიკა: „რას გვირჩევ, მამაო?“, სადაც მკითხველის ინტერესის შესაბამისად პასუხი გაეცემოდა ბევრ რელიგიურ კითხვას. შემდგომ ეს კითხვა-პასუხი ცალკე წიგნად დაიბეჭდა.*

*ჩვენი გაზეთის დღევანდელ გამოშვებაში სწორედ ამ კრებულიდან გთავაზობთ ახალ რუბრიკას ოდნავ სახეშეცვლილი სათაურით: „რას გვეტყვი, მამაო“.*

*ველით გამოხმაურებას მკითხველისაგან, მოგვწერეთ, რა კითხვები გაწუხებთ... თქვენს კითხვებს უპასუხებენ თანამემამულე სასულიერო პირები:*

**— რისი გაკეთება შეიძლება და რისი არ შეიძლება კვირაობით?**

— წმ. კოსმა ასწავლიდა ქრისტიანებს: კვირა-უქმე დღეს არ ივაჭროთ, არ იაროთ ბაზარში, არ იმუშაოთ, არ წახვიდეთ ტყეში კენკრასა და სოკოზე, არ ითევზაოთ; უნდა წაბრძანდეთ ეკლესიაში და დაესწროთ წმიდა მღვდელმსახურებას და უსმინოთ სიტყვას უფლისას.

**— ვისთან არ შეიძლება მეგობრობა?**

— ნუ იმეგობრებთ ქრისტიანული ეკლესიის მტრებთან, მწვალებლებთან, გამთიშველებთან, მათთან, ვინც წმიდა მარხვას არ ინახავს — შეგვაგონებდა წმ. სერაფიმე საროველი. განეშორე იმ ადამიანებს, რომლებსაც უფლისა არ ეშინიათ და არ თაყვანსცემენ მას.

უპირველესად მაინც, ადამიანში უნდა გვძულდეს ცოდვა და არა თვითონ ადამიანი. რამეთუ უფალი ამბობს: „გიყვარდეს მოყვასი შენი...“(რედ).

**— რა უნდა ვუყოთ ნაპოვნ ნივთებს?**

— თუ იპოვი ფულსა და სხვა რამ ნივთებს — ამბობს წმ. თეოფანე დაყუდებული — მოიძიე პატრონი და დაუბრუნე მას. თუ ვერ იპოვი, — მიეცი საწყალსა და გაჭირვებულს, ან მიიტანე ტაძარში, რადგან ქონება იგი უფლისა არს!

**— როგორ გავარჩიოთ მართლმადიდებლური ჯვარცმა კათოლიკურისაგან?**

— მართლმადიდებლურ ჯვარცმაზე მაცხოვარი ჯვარზე გაკრულია ოთხი სამსჭვალით, ხოლო კათოლიკურზე — სამით (ფეხი ფეხზეა გადაჯვარედინებული და ერთი სამსჭვალით მაგრდება). დაყუდებული გიორგი ზადონელი წერს: „მართლმადიდებელ ეკლესიასთან ერთად განუშორებლად აღიარებდეთ, რომ არა სამით, არამედ ოთხი სამჭვალით იყო ჯვარცმული იესო ქრისტე“.

**— როგორ მოვიქცეთ, თუ ჩვენ არ შეგვიძლია მოწყალების გაცემა სიღარიბის გამო? როგორ აღვასრულოთ მცნება?**

— ასეთ შემთხვევაში უნდა გამოიმეტოთ აჩუქოთ მათ ღიმილი, სიხარული, ბედნიერება — ეს ყველა დროში შეუძლია გასცეს ადამიანთა შორის ყველაზე ულარიბესმაც კი.

თვით ულარიბესსაც კი შეუძლია თუნდაც 5 თეთრის გაღება მოწყალების სახით. ღმერთი აფასებს არა იმის მიხედვით, ვინ რამდენს გაიღებს, არამედ ვინ რამდენს მოიკლებს მოწყალების გასაცემად (რედ).

**— ისჯება თუ არა ნაქურდლის მიმღები?**

— ნაქურდლის მიმღები ისჯება ისევე, როგორც ქურდი.

**— კეთილი საქმეა თუ არა სისხლის გაცემა?**

— სისხლის გაცემა, რაღა თქმა უნდა, კეთილი საქმეა, რადგან სისხლი — ეს მეორე ჩუქებაა... სისხლის არგამცემელი ექვემდებარება სასჯელს, იგი განისჯება ადამიანის მიმართ არასათნომყოფობის გამო. თუმცაღა მოწყალებაშიც გონიერებაა საჭირო, რათა არ ასესხო, მთვრალს.

**— ვიცით, რომ ერთი ჩვენი ნაცნობი მღვდელი უღირსი ცხოვრებით ცხოვრობს. როგორ მოვიქცეთ, ვეზიაროთ, როდესაც ის ატარებს წირვას, თუ გადავდოთ ზიარება?**

— წმიდა იოანე ოქროპირი გვამცნობს, რომ მადლი გადმოგვეცემა თვით უღირსი მღვდელმსახურის მეოხებითაც.

**— უნდა მივცეთ თუ არა შენიშვნა ადამიანს, როდესაც იგი თავისი ლაყბობით ან ხმამაღალი და არასწორი გალობით ხელს უშლის მღვდელმსახურებას?**

— იგივე წმ. იოანე ოქროპირი ამის უფლებას აძლევს თვით პატარა ბიჭუნასაც კი.

***რუბრიკას უძღვება***
***ზურაბ ქუთათელაძე***

*მოხარული ვარ, რომ თქვენი გაზეთის ახალი რუბრიკა მკითხველს საშუალებას მისცემს გაეცნოს ეკლესიის მამათა პასუხებს მათთვის საინტერესო კითხვებზე.*

***დეკანოზი დავით შარაშიძე,***
***საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრის ხელმძღვანელი***

# კრიმინალები თუ...

აფხაზეთის რესპუბლიკის უშიშროების საბჭოს ექსტრემალურ სხდომაზე განიხილეს გალის რაიონში სტაბილიზაციის საკითხი. სოხუმში მიიჩნევენ, რომ ამ რაიონში სიტუაციის მძაფრად გამწვავება გამოწვეულია ქართული შეიარაღებული ფორმირებების მოქმედებით.

აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ თბილისს მკვეთრი პროტესტით მიმართა და მოითხოვა „ძალადობის აქტის“ შემწყვეტი ღონისძიებების გატარება. შეგახსენებთ, რომ სოხუმისა და თბილისის წარმომადგენელთა შორის ბოლო მოლაპარაკებებისას გადაწყდა გალის რაიონში ინციდენტის ერთობლივად გამოძიება.

ამავე დროს, თბილისში მიაჩნიათ, რომ გალის რაიონში მომხდარი ინციდენტის მიზეზია კრიმინალური დაჯგუფებების თარეში.

# სამიტი სამიტზე

დსთ-ის სამიტის ფარგლებში გამართული რუსეთის, სომხეთის, საქართველოს და აზერბაიჯანის ხელმძღვანელების ოთხმხრივი შეხვედრა იქცა ერთგვარ „ფლირტის ფორუმად“ კავკასიის რესპუბლიკების ხელმძღვანელებისა რუსეთის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელ ვლადიმირ პუტინთან. ნამდვილი აღმოსავლური კოლორიტით გამოირჩეოდა აზერბაიჯანის ლიდერის ჰეიდარ ალიევის ქათინაურები, ნათქვამი რუსეთის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის პუტინის მისამართით და საერთოდ, ამ სამიტზე ბატონ პუტინს კავკასიელებმა ბევრი საქებარი სიტყვა უთხრეს.

უნდა ითქვას, რომ მოლაპარაკების მსვლელობაში პუტინმა გარკვეულ დათმობებზე (უფრო ტაქტიკურზე და არა სტრატეგიულზე) დაითანხმა აშკარად არაპრორუსული ორიენტაციის საქართველოსა და აზერბაიჯანის ლიდერები. ასეთი დათმობები, როგორც ცნობილია, არასოდეს არის ცალმხრივი. ეს, ნაწილობრივ, გამოჩნდა პუტინის განცხადებაშიც კავკასიის ყველა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისა და პატივისცემის მნიშვნელობის შესახებ. სახელმწიფოების ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის ასეთი აბსოლუტიზაცია, რაღა თქმა უნდა, არ შეესაბამება სომხეთის ინტერესებს, რამეთუ იგი იცავს მთიანი ყარაბაღის თვითგამორკვევის უფლებას. ესე იგი, სომხეთის სახელმწიფოს მეთაური რობერტ ქოჩარიანი მაინცდამაინც კმაყოფილი არ დარჩა მოლაპარაკებების შედეგებით. თუმცა ამ აზრს ქოჩარიანი ოფიციალურად არ ეთანხმება. „ჩეჩნეთს ყარაბაღში ნუ აურევთ!“ — უთხრა ქოჩარიანმა სომეხ ჟურნალისტებს. „ჩეჩნეთი — ეს ტერორიზმთან ბრძოლის პრობლემაა, ყარაბაღი კი — ყარაბაღელი ხალხის თვითგამორკვევის უფლების დაცვის პრობლემა,“ — განაცხადა სომხეთის პრეზიდენტმა.

იზიარებენ ამ პოზიციას „კავკასიურ ოთხეულში“ შემავალი კოლეგები? ალბათ არა, და ამიტომ მოსკოვის სამიტის შედეგების შემდეგ, ერევანი ფხიზლად უნდა იყოს.

***რუსული პრესის მიხედვით***

# ფრაგმენტებიანი კროსვორდი



## თარაზულად:



სხვა ქვეყნიდან ჩამოსული მსახიობების გამოსვლა



გადამდები სენის ფართოდ გავრცელება



სახის განზრახ მანჭვა



(ლეკვი)



კედელში დატანებული კარადა



არქიტექტურული ძეგლის პირვანდელი სახით აღდგენა



დიდების აღმნიშვნელი და იმავდროულად საკაზმი მცენარე



ძირითადი მასალა



წითელი ხორცის მქონე ფრინველი, რომელიც გამოირჩევა ცხიმისა და ქოლესტერინის მეტად დაბალი შემცველობით



დიდი, განიერი და სწორი ქუჩა



ინდოეთის წმინდა მდინარე



ძლიერი გაჯავრება



ქალის სტატუსი დაოჯახებამდე



მიყოლებით წაკუზულ ამხანაგებზე რიგრიგობით გადახტომა



ბუნებრივი ცხელი წყალი



(ნახარში)



(ქვეყანა)



დასაგირავებელი დაწესებულება

## შვეულად:



წარწერა ფირზე



უზენაესი ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში



საჯარო ჩვენება



მთიანეთი ცენტრალურ აზიაში



ის, რაც ქრონიკულად აკლია საქართველოს ენერგეტიკას



მუცლის ღრუს კენტი ორგანო



მასობრივი შეიარაღებული გამოსვლა



უკიდურესი ზომების მომხრე



ხელსაწყო, რომელიც მთელი ლაბორატორიის ტოლფასია



სიუჟეტის განსაკუთრებულად დახლართული და დაძაბული განვითარება






ატმოსფერული ელექტროობის განსამუხტავი მოწყობილობა

23 რისამე შედეგი გამოხატული ციფრებით



ზამთრის ხილი






ოთახი გემზე

30 სქელი ქაღალდი

31 სამკურნალო და არყის გამოსახდელად ვარგისი მცენარე



კროსვორდი შეადგინა რამაზ ალანიამ

**„კვირის პალიტრა“ №4 კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** : 7. პასიანსი; 9. შვეიცარი; 10. გირჩა; 11. ორანჟერეა; 12. ილეთი; 15. ბალიში; 18. ამპლუა; 19. მიკრობი; 20. ფანტაზია; 21. ალოპათია; 24. მტევანი; 26. ბუფერი; 27. ბუფეტი; 30. ჩექმა; 32. კულინარია; 33. ყანჩა; 34. აბლაბუდა; 35. მსახიობი.

**შვეულად:** 1. ქვიშა; 2. კისერი; 3. ლივრეა; 4. ფოცხი; 5. ნაკრძალი; 6. არსენალი; 8. რეჟისორი; 13. მშვენიერი; 14. ხმელთაშუა; 16. სიჯიუტე; 17. კბილანა; 22. სვირინგი; 23. აფეთქება; 25. მეჯინიბე; 28. ტუნდრა; 29. კიოსკი; 31. აგავა; 33. ყაიმი.

## იყიდება ბინები

80 კვმ ფართის არატიპიური, პრივატიზებული, სარემონტო ბინა (გასაკეთებელია სველი წერტილები, კარ-ფანჯრები) კაპიტალურ შენობაში, 2(2). შესაძლებელია ფართის გაორკეცება, ბინის „დუპლექსად“ გადაკეთებით. მის: ნუცუბიძის I მ/რ (პოლიციის შენობასთან). ფასი 12.000$. ტ: 32-73-17; 33-29-01

თავისუფლების მოედანზე №4-ში, მე-2 სართულზე იზოლირებული საოფისე ფართი – 150 კვმ. ტელ: 95-61-10

ახმეტაში ყველანაირად კეთილმოწყობილი კერძო სახლი ბელეტაჟზე, საბაღე და სახნავი მიწის ნაკვეთით, კაპიტალური ავტოფარეხითა და კაპიტალური სათავსოებით, ქალაქის ცენტრში. ტელ: 39-65-23

## მილოცვა

კოლეგები ულოცავენ **ნინო შევარდნაძეს** დაბადების დღეს, უსურვებენ წარმატებებს და კეთილდღეობას!

დაბადების დღეს და შობა-ახალწელს ვულოცავთ ქალბატონ **ნონა (რუსუდან) გულუას.** ვუსურვებთ ჯანმრთელობას და ოჯახურ ბედნიერებას

***პატივისცემით ენგური იობაძე ოჯახით***

**ენგური ბაბუა,** გილოცავთ დაბადების დღეს, იყავ ჯანმრთელი და მოგისურვებ ჩვენთან დიდხანს ყოფნას.

***შენი საყვარელი შვილიშვილები სოსიკო და ნინო სუმბაძეები***

**მარია,** გილოცავ დაბადების დღეს – 4 თებერვალს! ჩემო ესპანელო გოგონა, მინდა იყო ბედნიერი.

„მოგიტანო, მინდა, სიხარული,
მოგიტანო ყვავილების კონა...“

***ხორხე***

## გთავაზობთ სამუშაოს

ორგანიზაცია სთავაზობს 17-25 წლამდე გოგონებს გამგზავრებას გერმანიაში, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა – საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ჯიბის ფული – 400 მარკა თვეში და 4 კვირიანი ანაზღაურებადი შვებულება პროგრამის ბოლოს. ტელ: 96-07-81; 95-64-18; 4-13-86 (ქუთაისში)

## მომსახურება

Computer company „pulsar“ – კომპიუტერები და ორგტექნიკა, ახალი და ნახმარი; კომპიუტერების ყიდვა-გაყიდვა; სათადარიგო ნაწილები; კომპიუტერების, ორგტექნიკის შეკეთება, მომსახურება; კეტრიჯებში ტონერის ჩაყრა; უფასო კონსულტაციები ტელეფონით. მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. №16. ტელ: 33-08-71

ვაკეთებ ნებისმიერ ავეჯს კატალოგიდან, აგრეთვე რბილი და მყარი ავეჯის რესტავრაციას, სამეულებზე შალითების შეცვლას; მატრასების, სკამების რემონტს. ტელ: 95-72-98. ვალერი

რბილი და მყარი ავეჯის რესტავრაცია, სამეულებზე, სკამებზე შალითების შეცვლა; მატრასების აღდგენა. ტელ: 95-06-87; 95-27-88. გოჩა

სწრაფად და ხარისხიანად მოგემსახურებით წიგნების, ბუკლეტების, გაზეთების აკრეფა-დაკაბადონებაში. ტ: 61-51-17; 95-46-79. ქეთი

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურ ია – 1სთ – 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 3. ტელ: 79-50-12. ლიკა გიორგობიანი

ფსიქოლოგიური ტესტებით და პითაგორას ციფრობრივი კვადრატით გამოგითვლით თქვენს შესაძლებლობებსა და მომავალს. ვისაუბრებთ პრობლემებზე. სასურველია ბინაზე გამოძახება. ფასი 5 ლარი. ტელ: 77-06-34

„ფესვები“, ყურადღება! კარგად გაკეთებული ეპილაცია ნამდვილად მოარჩენს ნაპარს და გაუხეშებულ თმას. მის უკვალოდ მორჩენას კი სჭირდება კარგი სპეციალისტი. 1 სთ – 12 ლარი. განსაზღვრულია ინდივიდუალური ნემსი. ეპილაციის შესწავლა – 200$. მის: იოსებიძის 53, I სად, I სართ, ბინა 3. ტელ: 37-71-66; 899 58-75-89. ნინო ჭელიძე

დაიმახსოვრეთ! ნებისმიერ გართულებულ ჭარბთმიანობას სამუდამოდ, უმოკლეს დროში და უკვალოდ განკურნავს მხოლოდ პროფესიონალი და არავითარ შემთხვევაში, რომელიმე აპარატი ან მალამო. მოითხოვეთ გარანტია, დაზოგეთ ბიუჯეტი და სილამაზეც გარანტირებული გექნებათ. ტ: 57-50-49. მარიკა

„ქვეყანაში, სადაც „ლუიზოლი“ საქმიანობს, ულვაშიანი ქალი არ უნდა დადიოდეს“ – ითქვა რუსეთის კოსმეტიკური კორექციის ცენტრში. მხოლოდ ჩვენთან განიკურნებით ჭარბთმიანობისაგან სწრაფად, უმტკივნეულოდ, გვერდითი მოვლენების გარეშე. მის: იოსებიძის ქ. №53, კაბინეტი „ლუიზოლი“. ტელ: 37-38-13

სილამაზის სალონი „სტილი-1“ გთავაზობთ: თმის მოდელური შეჭრა – 6-7 ლარი; შეღებვა WELLA-ს პრეპარატებით – 20 ლარი; დავარცხნა-გასწორება – 6-10 ლარი; მელირება – 15-30 ლარი; ქიმიური გასწორება – 20-60 ლარი; საქორწილო ვარცხნილობა – 25-50 ლარი; ეპილაცია ვოლფრამის ნემსით (კანის გაღიზიანების გარეშე); მანიკიური, პედიკიური ახალი უსაფრთხო მეთოდით. მის: რუსთაველის გამზ. №14/ბესიკის ქ. №2. ტელ: 98-78-11. მოგემსახურებიან პარიკმახერ-სტილისტები.

ეპილაცია – 1 სთ – 8 ლარი, ინდივიდუალური ვოლფრამის ნემსით, კანის გაღიზიანების გარეშე; თმის მოცილება სხეულზე მცენარეული ნაყენით; სახის გაწმენდა. ვასწავლი კოსმეტიკასა და ეპილაციას. გაიცემა სერტიფიკატი. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ელენე. მის: რუსთაველის გამზ. №14/ბესიკის ქ. №2. სალონი „სტილი-1“. ტელ: 98-78-11

დროა, ვიზრუნოთ გარეგნობაზე, გაზაფხული მოგვადგა კარს! გახდომა-გასუქება უნიკალური მეთოდით; ორგანიზმის გაწმენდა წიდებისა და მარილებისაგან; კუჭ-ნაწლავის პრობლემების მოგვარება ნატურალური საშუალებებით! მიღება ჩაწერით. ტელ: 61-77-74; 899 58-25-44

თმის მოცილება სახესა და სხეულზე მცენარეული ნაყენით, დამუშავებული რესპუბლიკის პრემიის ლაურეატის მცენარეების სამეცნიერო კვლევის დარგში, დოცენტის მიერ. ეპილაციას ატარებს წამყვანი კოსმეტოლოგი. მის: აღმაშენებლის გამზ. №113 (შესავლელი თაღიდან), კაბინეტი №12. მიღება ყოველდღე, კვირის ჩათვლით, 12-18 სთ

ფირმა **DAWIT**-ი გთავაზობთ მომსახურებას: ელექტრომონტაჟი (სამი ოთახიდან ერთი უფასოდ); მხატვრული განათების დამონტაჟება, გაფორმება; ავტომატური გადამრთველი სისტემების დამონტაჟება. ტელ: 98-78-26

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით. განიკურნებით უმოკლეს ვადაში, ყოველგვარი შეშუპებისა და გაღიზიანების გარეშე. არ დაგეტყობათ არც ერთი ნანემსარი. შემოგთავაზებთ საუკეთესო სახის გამწმენდ და მკვებავ საშუალებებს. მის: იოსებიძის ქ. №66. მე-2 სად. მე-8 სართ. ბინა 46. ტელ: 37-74-22. მანანა

სილამაზის სალონი „პოდიუმი-777“! თმის მოდელური შეჭრა კატალოგების მიხედვით – 5-7 ლარი; დავარცხნა-გასწორება – 5-7 ლარი; მელირება 15 ლარი; ქიმიური გასწორება – 20 ლარი; შეღებვა (WELLA) – 12 ლარი; სახის გაწმენდა – 10 ლარი. თქვენ მოგემსახურებათ პარიკმახერ-დიზაინერი ირა გურჯიანი და ექიმი-კოსმეტოლოგი მაია ფიფია. მის: დავით აღმაშენებლის გამზ. №113 (ეზოს ბოლოს). სილამაზის სალონი „პოდიუმი-777“. ტელ: 95-08-83 (სამს); 899 57-46-40. მიღება წინასწარი ჩაწერით, ყოველდღე, გარდა კვირისა

## მკურნალობა

ალერგიის კომპიუტერული დიაგნოსტიკა და მკურნალობა, ჰიპერტონიის (წნევა), ლოგონევროზის (ენაბლუობა) მკურნალობა უახლესი აპარატურით. მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. №18ა, რეაბილიტაციის ცენტრი. VI სართ. ბიორეზონანსული თერაპიის კაბინეტი. ექიმი ზურაბ ხაჩაშვილი. ტელ: 39-01-12 სამს. (10-15 სთ); 39-58-77 (ბინა)

ვმკურნალობთ სიმაღლეში მოსამატებლად 20 წლამდე, უნიკალური მცენარეული ექსტრაქტებით, გაწელვითი მასაჟისა და ვარჯიშების თანხლებით; ასევე – გინეკოლოგიურ დაავადებებს, ნერვულ სტრესებს, სოკოვან დაავადებებს კანსა და ფრჩხილებზე (1 თვის გარანტიით). ჩაწერა წინასწარი გასაუბრების შემდეგ. ტელ: 52-53-36. ხათუნა (20-24 სთ)

ხალხური მედიცინა – მაქსიმალურად გარანტირებული შედეგებით!!! ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკის ამოვარდნა, სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები). მკურნალობა ეფექტურია პირველივე დღეებიდან! მის: რკინიგზის პოლიკლინიკა (მ. „ნაძალადევთან“). ც. დადიანის ქ. №87, კაბ. №11, 11-15 სთ. ტელ: 61-02-97; 69-91-92. ექიმი ალექსიშვილი

ყურადღება, სიახლე! ფრანგული პრეპარატებით სიმაღლეში ზრდის ვიტამინები 4-20 წლამდე (5-10 სმ); ჯანმრთელობის აღდგენა: კენჭების, მარილების დაშლა, ფიბრომა, მასტოპათია, გახდომა-მომატება და სხვ. ტ: 52-65-18. თამარი; 61-75-81. მზია

ვარჩენ წინაპართა მეთოდით: ოსტეომიელიტს (ძვლის დაავადება), ბეწვის ჩაზრუნებას, დაჩირქებულ ფრჩხილს, ნანემსარს, ნაოპერაციევს, ძირმაგარას, დაჩირქებულ გემატომას, მასტიტს, მენისკს, შხამიანი მწერებისა და ქიმიური ნივთიერებისაგან კანში შეჭრილ ინფექციას და სხვ. ტელ: 68-43-10

პროსტატიტის, ქლამიდიოზის, ტრიქომონიაზის, უშვილობის, სქესობრივი პოტენციის დაქვეითების მკურნალობა უახლესი მეთოდებისა და აპარატურის გამოყენებით. მკურნალობას ატარებს პროფესორი რევაზ სალაყაია. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 35-20-06

**სამკურნალო განცხადებები ლიცენზიის გარეშე არ გამოქვეყნდება**

## ვასწავლი

სწრაფი, დაჩქარებული კურსით შეგასწავლით პერსონალურ კომპიუტერზე მუშაობას ინდივიდუალურად, ხარისხიანად. MS DOC, NC, WINDOWS-98, WORD, EXCEL, PAGE MAKER. მაქვს საკუთარი დენის წყარო. ტელ: 34-32-79

ფირმა **DAWIT**-ი გთავაზობთ კომპიუტერის სწრაფად და ხარისხიანად შესწავლას. მოგემსახურებიან გამოცდილი პედაგოგები ყოველდღიური, ინდივიდუალური მეცადინეობით. **DAWIT** – მეგზური XXI საუკუნეში. ტელ: 98-78-26

ფირმა **DAWIT**-ი საფუძვლიანად და ხარისხიანად შეგასწავლით ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ ენებს. ყოველდღიური მეცადინეობით ინდივიდუალურად მოგემსახურებიან გამოცდილი პედაგოგები. ტელ: 98-78-26.

წარმოებს მიღება კოსმეტიკის კურსებზე! დამთავრების შემდეგ გაწმენდთ სახეს, გააკეთებთ მასაჟს, ეპილაციას; დაამზადებთ კრემებს, ლოსიონებს და სხვა. სათანადო სერტიფიკატი უფლებას მოგცემთ, იმუშაოთ კოსმეტოლოგად, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ. მის: ნაძალადევი, ცოტნე დადიანის ქ. №26. ტელ: 66-53-56

## მადლობა

ქ. თბილისის 207-ე ბაგა-ბაღის სახელით მადლობას ვუხდით რესპუბლიკური მნიშვნელობის პენსიონერს, ქ. ოდესის საპატიო მოქალაქეს, 9 აპრილის სახელობის სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრის პრეზიდენტს, აფხაზეთის ვეტერანთა ფონდის საპატიო პრეზიდენტს **გიორგი (გიგა) ცომაიას**, მიმდინარე წელს №207 ბაგა-ბაღისათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით დახმარებისათვის

**მადლობა ის სიტყვა არ არის, რაც უნდა ვთქვა**

ბავშვობიდან მაქვს ნეიროდერმიტის დიაგნოზი. ვმკურნალობ დედათა და ბავშვთა სადიაგნოსტიკო საკონსულტაციო ცენტრში, მიცკევიჩის ქ. №29ა-ში, ქალბატონ ლეილა გოგიჩაძესთან. მკურნალობის დაწყების პირველ 10 დღეში მივიღე მკვეთრი გაუმჯობესება (ქავილი შეწყდა, დაიწყო კანის მოშუშება, ვიგრძენი თავი ჯანმრთელად). ამჟამად მკურნალობას ვაგრძელებ ეფექტის გამყარების მიზნით და ვფიქრობ, რომ ეს მეთოდი ერთადერთია ამ დაავადების მოსარჩენად, რადგან, მიუხედავად ხანგრძლივი მკურნალობისა თბილისშიც და სხვა ქალაქებშიც, ვერავითარ შედეგს ვერ მივაღწიე. ძნელია სიტყვებით გამოთქმა ჩემი ბედნიერებისა, განკურნებასთან დაკავშირებით, რისთვისაც მთელი სიცოცხლე დიდი მადლობის მეტი რა მეთქმის, ჩემო საყვარელო ქალბატონო ლეილასადმი. ქალბატონი ლეილას ტელეფონები: 38-48-04 (ბინა); 37-79-67 (სამს)

## იყიდება

გერმანული დიზელ-გენერატორი, 15 კვტ სიმძლავრის, კარგ მდგომარეობაში. ტელ: 29-26-44; 95- 35-69 (საღამოს). ია

გენერატორი „ჰონდა“, ნახმარი, კარგ მდგომარეობაში. ფასი 300$-ის ეკვივალენტი ლარებში; პოკერის სათამაშო აპარატები. მის: VIII პოლკის დასახლება, წულუკიძის ქ. №31, ბ. 22. ტელ: 78-57-85; 76-39-68

მაღალკვალიფიციური ხელოსანი გთავაზობთ გათბობის (ქვაბი ნებისმიერი), სანტექნიკის, ცხელი წყლის (ბოილერი, არისტონი, თერმექსი), საცურაო აუზის მონტაჟს რკინისა და პლასტმასის მილებით, უფასო მომსახურებით. ტელ: 897 57-56-93. ავთო

უნიკალური ტერფსაფენი „ბიომაგი“ სპილენძის ფირფიტებით, მაგნიტებით. „ბიომაგი“ აცილებს ფეხს ოფლს, სუნს, აძლიერებს სისხლის მიმოქცევას, არეგულირებს წნევას, ნივთიერებათა ცვლას, ამაღლებს პოტენციას, აუმჯობესებს მეხსიერებას, იძლევა გასაოცარ ეფექტს. ფასი ხელმისაწვდომია. მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. №27. სადღეღამისო აფთიაქი „ნინო-დ“ (რესპუბლიკური საავადმყოფოს ასახვევთან). ტელ: 38-80-75; ვაჟა-ფშაველას გამზ. №3. ტელ: 38-50-19

„ლუიზოლი“ – 100%-იანი ნატურალური სახის კრემი – ასწორებს ნაოჭებს, აქრობს ჩირქოვან, ალერგიულ გამონაყარს, ჭორფლს, ლაქებს. აქვს ჭარბთმიანობის საწინააღმდეგო ეფექტი... და ეს ყველაფერი ერთად, ერთ კრემში! შეიძინეთ „ლუიზოლი“! მის: იოსებიძის ქ. №53, კაბინეტი „ლუიზოლი“. ტელ: 37-38-13;

ნევროზის სამკურნალო, დამამშვიდებელი მცენარეული წვეთები „ნევროსტიმი“ ხსნის მაღალ წნევას, გაღიზიანებას, შიშს, აწესრიგებს ძილს. ჩვილი ბავშვებისთვის არის კარგი გაზგამყვანი, კუჭ-ნაწლავის მოქმედების დამარეგულირებელი და დამამშვიდებელი ნატურალური საშუალება. მოზრდილთა პოლიკლინიკა №13. ტ: 37-38-13

დეტექტივის მოყვარულთათვის: 120 სქელყდიანი და 40 რბილყდიანი წიგნი ქართულ და რუსულ ენებზე (ჩეიზი, გარდნერი, აგატა კრისტი, სიმენონი და ა.შ). ფასი 150 ლარი. ტელ: 23-07-65 (11 სთ-მდე ან 23 სთ-იდან)

რეგისტრირებული, 100%-იანი ნატურალური, მცენარეული ლოსიონი „ანსალიტი“ ბოლომდე და სწრაფად ასუფთავებს თმას ტილებისა და წილებისაგან. წილები ეფექტურად სცილდება, განსხვავებით სხვა სინთეტიკური პრეპარატებისაგან. მის: იოსებიძის ქ. 53, კაბ. „ლუიზოლი“. ტელ: 37-38-13; „ანსალიტი“ თქვენი ბავშვისთვის საუკეთესო, ბუნებრივი არჩევანია!

## შევიძენ

შევისყიდით გრძელ თმას. ქალთა პარიკმახერებს, რომლებიც მუშაობენ, ვთავაზობთ თანამშრომლობას და მასალებს იაფად. ცენტრალური რკინიგზის სადგური, II სართ. მაღაზია „ესთეტი“. 12-17 სთ, შაბათ-კვირის გარდა. ტ: 68-19-80

## ნეკროლოგი

მეუღლე დოდო, შვილები თედო და შალვა, შვილიშვილები გიორგი და თეკლა, რძლები მარინა და გულიკო, სიძე ვარდენი, და ნინა, ძმა რაჟდენი, ბიძაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**რევაზ თეოდორეს ძე ისაკაძე**

***პანაშვიდი*** 30, 31 იანვარს, 16 საათზე.

მის: დიღმის მასივი, III კვარტალი, 37-ე კორპუსი.

***გამოსვენება*** 1 თებერვალს, 14 საათზე, ანჩისხატის ეკლესიიდან

**ნინო ქათამაძე**

ქართულ საზოგადოებას გამოაკლდა ერთი უსათნოესი და უკეთილშობილესი პიროვნება, კვალნათელი მოქალაქე და დაუზოგველი სითბოსა და სიყვარულის გამცემი ექიმი-კარდიოლოგი, შესანიშნავი ქალბატონი: მკურნალი და მეგობარი, დედა და ბებია, ყოველთა განსაცდელში მყოფთა გვერდით მდგომი...

უფალო! შეუნდე ყოველივე და დაამკვიდრე ნათელში.

***„კვირის პალიტრა“***



გარდაიცვალა **არჩილ ჩიჩუა**, მრავალჭირგამოვლილი, ნატანჯი, მაგრამ მუდამ ოპტიმისტურად განწყობილი, სამშობლოსა და საქმისათვის თავდადებული, თბილი, უანგარო, უმწიკვლო ადამიანი, მეგობარი, მოქალაქე...

მსუბუქი იყოს მისთვის მშობელი მიწა

***ახლობლები***

## ხსოვნა

**თამაზ კვესელავას ხსოვნას**



უკვე ერთი წელი გავიდა შენი გარდაცვალებიდან. მოულოდნელად დაგვტოვე, სამუდამო სასუფეველში დაიდე ბინა, ჩვენ კი დაგვიტოვე დიდი სიყვარული, სევდა და ტკივილი. ტკივილი, რომელსაც ერთმა წელმა ვერაფერი დააკლო. რაც დრო გადის, უფრო გვენატრები, გვენატრება შენი თბილი ღიმილი. ნათელში გამყოფოს უფალმა.

***შენი ოჯახი***

**ლევან ქართლელიშვილის გახსენება**



ლევან, აგერ უკვე მეშვიდე წელია, უშენოდ ვხვდებით შენს დაბადების დღეს – 2 თებერვალს. 1993 წლის 23 სექტემბერს სოხუმში გმირულად დაიღუპე და ჩვენთვის სამუდამოდ 25 წლის დარჩი. შენი გმირობა მთავრობამ ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით შეაფასა სიკვდილის შემდეგ. შენი დაღუპვით გაუბედურებულ მშობლებს გადმოსვენება მოლოდინად გვაქვს გადაქცეული.

ჩვენო საყვარელო და საფიცარო ლევან! 2 თებერვალს 32 წლის უნდა გამხდარიყავი, გილოცავთ, ჩვენო სიამაყევ!

უფალს ვევედრებით, ნათელში გვიმყოფოს შენი სული!

***შენგან დამწუხრებული მშობლები, და-ძმა და ახლობლები***

**მაკა ცინცაძეს**



გაუცნობიერებელი გრძნობაა ამგვარი ტკივილი, მაკა! გაუცნობიერებელი, რადგან სულიერად ჩვენთან ხარ და მაინც გვენატრები! შეხება, მოფერება ენატრებათ შენი შენს მშობლებს, ახლობლებს, მეგობრებს... გვენატრები და უძლურნი ვართ იმ უცნაური განშორების წინაშე, ზეშთა სოფელში გადასვლა რომ ჰქვია. მხოლოდ ლოცვით მოვიპოვებთ ადამიანური უძლურების ნუგეშს. შენი საფლავის ქვაზეც ხომ ლოცვაა ამოკვეთილი...

შვიდი წელი გასრულდა, რაც უშენოდ ვიკრიბებით შენთან, 31 იანვარს, დაბადების დღეზე. ერთი კვირის შემდეგ, 7 თებერვალს კი, შენი ამ სოფლიდან გასვლის დღე ხდება მიზეზი საგანგებოდ, შენი სულის საცხონებლად აღვლენილი წირვა-ლოცვისა და ამსოფლიურ ამაოებათა დატოვებით პირისპირ ვრჩებით სიცოცხლის სიკვდილით გარდუვალობასთან იმ რწმენით, რომ სიკვდილით უნდა დაითრგუნოს ცხოვრების მომნიჭებელი სიკვდილი.

***შენი სულიერი და-ძმები***

**ნინო ჩერქეზიშვილის გახსენება**



თხუთმეტი წელია, რაც დაგვიტოვე უსაზღვრო სევდა და გულისტკივილი შენს მეგობრებს. ტკივილი, რომელიც მოუშუშებელ იარად დაგვრჩა. სიკეთისა და სიყვარულის გარდა არაფერი დაგითესავს. შენ ყოველთვის ცოცხალი იქნები. ნათელი დადგომოდეს შენს ლამაზ წმინდა სულს.

***მეგობრები***

**ჯემალ ცაბაძის გახსენება**



ორი თვეა, რაც ჩვენს გვერდით აღარა ხარ, ძვირფასო ჯემალ. ძალიან დაგვაკლდა შენი ღიმილი, იუმორი, თბილი მოკითხვა. ბევრი პაციენტის გული გაგიხარებია ოსტატურად ჩატარებული ოპერაციით. ვაჟკაცური ბუნების იყავი, უკან არაფერზე იხევდი, არ წუწუნებდი. ბოლოს მაინც გულმა გიღალატა, წყნარად, მძინარემ დატოვე ეს ქვეყანა და დაუტოვე დიდი ტკივილი ოჯახს, მეგობრებს და ყველას, ვინც შენ გიცნობდა. შენ ყოველთვის ჩვენს გვერდით იქნები, კეთილად მოსაგონარო ჯემალ. ღმერთმა ნათელში დაამკვიდროს შენი სული. მსუბუქი იყოს შენთვის ქართული მიწა.

***თვალის სნეულებათა კლინიკა***




# იტყვის თუ არა საქართველო უარს ვალის გადახდაზე?



დაიწყო 2000 წელი და მოაღწია საქართველოსთვის არცთუ მაინცდამაინც სასიამოვნო პროცედურის ჩატარების აუცილებლობამ — ეს გახლავთ ვადადამდგარი საგარეო ვალების გასტუმრება! 2000 წლისათვის თურქმენეთისა და ევროგაერთიანების კრედიტის გარდა იწყება რუსეთის, უკრაინისა და ჩინეთის კრედიტების ძირითადი თანხის გადახდა.

ფაქტობრივად, 2000 წელს ვადადამდგარი გადასახდელების დასაფარავად საჭიროა 294,6 მლნ აშშ დოლარი, რაც 2000 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული ხარჯების 48%-ს შეადგენს. მიმდინარე საბიუჯეტო კრიზისის პირობებში ეს კატასტროფული მდგომარეობაა. ამიტომაც, საგარეო ვალების დასაფარავად ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია მხოლოდ 242 მლნ ლარი (დაახლოებით 115 მლნ აშშ დოლარი), ხოლო დანარჩენი ჩაითვლება ვადაგადაცილებულ გადასახდელებში და დაერიცხება საჯარიმო საპროცენტო განაკვეთები ისევე, როგორც თურქმენეთის კრედიტის ვადაგადაცილებულ გადასახდელებზე ხდება.

1998 წლიდან, ფაქტობრივად, საქართველო, შეძლებისდაგვარად, თავს არიდებს ვადადამდგარი დავალიანებების სრულ დაფარვას. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება სავსებით გასაგებია, ვინაიდან ამ ვალების სრული გადახდა უმძიმეს სიტუაციაში ჩააგდებს ქრონიკული საბიუჯეტო დეფიციტის მქონე ქვეყანას; თუმცა ესეც დროებითი შვებაა, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვადაგადაცილებულ გადასახადებს ერიცხება საჯარიმო საპროცენტო განაკვეთები, რაც, საბოლოოდ, ვალის საერთო მოცულობას მნიშვნელოვნად ზრდის. ეს ყველაფერი მძიმე ტვირთად აწვება ქვეყნის ბიუჯეტს, რომელიც თავის მხრივ, უარყოფით გავლენას ახდენს ეკონომიკაზე და მოსახლეობის ისედაც გაუბედურებულ სოციალურ პირობებზე.

ასეთ ვითარებაში ქვეყანა დგება არჩევანის წინაშე — მიიღოს ოფიციალური გადაწყვეტილება საგარეო ვალის გადაუხდელობის შესახებ, თუ იზრუნოს ამ ვალის დასაფარავად. მით უმეტეს, მსოფლიო საფინანსო სამყარო იცნობს ისეთ პრეცედენტებს, როდესაც ქვეყნები უარს ამბობენ ვალის გადახდაზე, მით უმეტეს, როდესაც ისინი გაერთიანებულნი არიან ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებში, რომელთაც საკმაო ბერკეტები გააჩნიათ თავისი ინტერესების დასაცავად.

მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საგარეო ვალის გადაუხდელობის შესახებ, წარმოადგენს ამ ვალის გამო აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობას (სახელმწიფო ან უშუალოდ იღებს საგარეო ვალს, ან წარმოადგენს გარანტორს). ასე რომ, გადაწყვეტილება საგარეო ვალის გადაუხდელობის შესახებ სამთავრობო დონისაა და არა ცალკეული მოვალის, ვინაიდან ამ შემთხვევაში ქვეყნის მთავრობის მიმართ ვერ გამოიყენებენ ისეთ იურიდიულ სანქციებს, როგორსაც იყენებენ ანალოგიურ სიტუაციაში კერძო პირის მიმართ. ამიტომ, ერთი შეხედვით ჩანს, რომ ქვეყნის მთავრობას ასეთი გადაწყვეტილების მიღება თავისუფლად შეუძლია. მაგრამ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რომელი გზაა უფრო ხელსაყრელი სახელმწიფოსთვის — ვალის გადახდა თუ არგადახდა.

საგარეო ვალის გადაუხდელობის გადაწყვეტილებას თან ახლავს როგორც უარყოფითი, ისე დადებითი შედეგებიც. მთავარია, არსებულ ვითარებაში რომელი რომელს გადაფარავს.

## დანაკარგები ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში

საგარეო ვალის გადაუხდელობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას თავს იჩენს სამი სახის ძირითადი დანაკარგი: 1. აქტივების დაპატიმრება, 2. კაპიტალის ბაზრიდან განდევნა; 3. მოგების შემცირება საერთაშორისო ვაჭრობიდან.

ცალ-ცალკე განვიხილოთ თითოეული დანაკარგის რაობა:

**1. აქტივების დაპატიმრება.** სავსებით რეალურია, რომ კრედიტორებმა დაარწმუნონ საკუთარი მთავრობა მოვალე ქვეყნის აქტივების დაპატიმრების აუცილებლობაში. ამ აქტივებში იგულისხმება მოვალე ქვეყნის ცენტრალური ბანკების საერთაშორისო რეზერვები, ამ ქვეყნის წარმომადგენლების საკუთრებაში არსებული აქტივები (ყველა სახის მატერიალური ფასეულობანი: ფული, საქონელი და სხვ.), რომლებიც განთავსებულია კრედიტის ქვეყნებში, აგრეთვე, ამ ქვეყნებში იმპორტირებული საქონელიც კი.

1986 წელს პერუს მთავრობამ უცხოეთიდან დაიბრუნა 700 მლნ დოლარის ღირებულების ოქროსა და ვერცხლის მარაგი, ვინაიდან სერიოზული პრობლემები შეექმნა საგარეო ვალების მომსახურებასთან (იგივე გადახდა) დაკავშირებით და ქვეყნის გარეთ არსებული ძვირფასი ლითონის მარაგის დაპატიმრებას თავი აარიდა.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ხდება ქვეყნის მთლიანი საერთაშორისო რეზერვების 50%-ის განთავსება უცხოეთის მაღალი საკრედიტო რეიტინგის მქონე ბანკებში, 3 თვემდე ვადიან დეპოზიტებზე (ანუ მიბარება კრედიტებზე გასაცემად), ხოლო დანარჩენი 50% ასევე უცხოეთის კომერციული ბანკების მიმდინარე ანგარიშებზეა თავმოყრილი (სხვადასხვა საანგარიშსწორებო პროცედურისთვის).

უცხოეთის ბანკებში განთავსებული, დაახლოებით, 130 მლნ აშშ დოლარი კი, რომელიც 1999 წლის საქართველოს მთლიან საერთაშორისო რეზერვებს წარმოადგენს და ამ შემთხვევაში შესაძლებელია დაპატიმრებულ იქნეს, საქართველოსთვის საკმაოდ სოლიდური თანხაა.

**2. კაპიტალის ბაზრიდან განდევნა.** არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ საგარეო ვალის გადაუხდელობის გამოცხადების შემდეგ, სახელმწიფო დროებით არ დაიშვას კაპიტალის ბაზარზე. მომავალი კრედიტორები ეჭვით უყურებენ ასეთი არასტაბილური ქვეყნის წინადადებებს. იმ შემთხვევაში კი, თუ მოვალე ქვეყანა მაინც შეძლებს ახალი სესხის მიღებას, ძველი კრედიტორები შეეცდებიან ამ თანხების ამოღებას, რათა ამ გზით დაიბრუნონ თავისი ვალი. ფაქტობრივად, ქვეყანა დაკარგავს უცხოური კაპიტალის მოზიდვის მექანიზმს. აღნიშნული პროცესები ძალზე უარყოფით გავლენას ახდენს განვითარებადი ქვეყნის ეკონომიკაზე.

**3. მოგების შემცირება საერთაშორისო ვაჭრობიდან.** ქვეყნისთვის ყველაზე სერიოზულ დანაკარგს წარმოადგენს საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების შეზღუდვა. როგორც აღინიშნა, შესაძლებელია კრედიტორ ქვეყანაში იმპორტირებული საქონლის დაპატიმრება ვალის დაფარვის ანგარიშში. ამასთან, უცხოური კაპიტალის ბაზარზე მოვალე ქვეყნის პოზიციების გაუარესება შეზღუდავს მის შესაძლებლობას, სავაჭრო კრედიტების მისაღებად და უცხოური ბანკების ანგარიშებზე განხორციელებული ოპერაციების გასაკონტროლებლად, ვინაიდან შესაძლებელია ეს ანგარიშებიც დაპატიმრებული აღმოჩნდნენ.

როდესაც ქვეყანას სავალუტო გადარიცხვების საშუალება აღარ ექნება, იგი იძულებული გახდება, განახორციელოს მხოლოდ ბარტერული ვაჭრობა.

## საგარეო ვალის გადაუხდელობის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების უპირატესობა

ასეთი გადაწყვეტილების შემდეგ ქვეყანას აღარ მოუწევს საგარეო ვალზე დარიცხული პროცენტებისა და ძირითადი თანხის დაფარვა. ცხადია, რაც მეტია საგარეო ვალის ოდენობა, მით მეტია ცდუნება მოვალე ქვეყნის მიმართ ასეთი ცუღლუტური საქციელის ჩასადენად.

აქ აღსანიშნავია ერთი მნიშვნელოვანი მომენტი: როდესაც ქვეყანას გააჩნია ერთობლივი შემოსავლების საკმაო ოდენობა, მაშინ საგარეო ვალის გასტუმრება მოსახლეობის ცხოვრების დონეზე გავლენას ვერ ახდენს (ყველასათვის ცნობილია ჩვენი ქვეყნის შემოსავლების სიმწირე, განსაკუთრებით საკუთარი). სხვა შემთხვევაში კი, იგი პირდაპირ ახდენს გავლენას მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუარესებაზე. საგა-რეო ვალის გადაუხდელობის დროს სახელმწიფოს შესაძლებლობა ეძლევა, ვალის გასასტუმრებელი თანხები სოციალურ პროგრამებზე გაანაწილოს.

ერთი შეხედვით, გადაუხდელობის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების უპირატესობა აშკარაა, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში ყურადღება უნდა მიექცეს ერთ გარემოებას — ქვეყანაში შემოდინებული და გადინებული კაპიტალის სხვაობას. თუ შემოდინებული კაპიტალი აღემატება, მარტივად რომ ვთქვათ, გასტუმრებული ვალების ოდენობას პლუს, ნებისმიერი ფორმით, ქვეყნიდან კაპიტალის წმინდა გადინების ჯამს, მაშინ აშკარაა, რომ ასეთ ვითარებაში, ქვეყანა არ მიიღებს გადაწყვეტილებას ვალის გადაუხდელობის შესახებ, თუ ის ამ სახსრებს (ანუ შემოსული კაპიტალი) ახალი კრედიტორებისაგან უმტკივნეულოდ მიიღებს.

ჯერჯერობით, საქართველოსთვის წლების განმავლობაში (1995-1999 წლების მონაცემებით) რესურსების წმინდა შემოდინება ყოველთვის დადებითი სიდიდე იყო. მაგრამ თუ ის უარყოფითი გახდება — თუნდაც 2000 წლისთვის, მაშინ იარსებებს სავალო ვალდებულებების შეუსრულებლობის ცდუნება. ცდუნება ცდუნებად, მაგრამ არ შეიძლება იმ მნიშვნელოვანი მომენტის უგულებელყოფა, რომელიც ქვეყნის საერთაშორისო პრესტიჟის დაცემას უკავშირდება ვალის არგადახდის შემთხვევაში.

***მასალა მომზადებულია პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მონაცემებზე დაყრდნობით***
***მამუკა გიორგაძე***

# კითხვა-პასუხი

***გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით გვიპასუხოთ, ვინ და როდის უწოდა საქართველოს რუსულად „გრუზია“, რაც, ჩემი გაგებით, ნიშნავს „მე ტვირთი ვარ“.***

***ახრახაძე, ძირულა***

ტერმინი „გრუზია“ მომდინარეობს არაბული ტერმინიდან „ჟურზანი“, რაც შემდეგ გავრცელდა სპარსულ ენაში — „ჟურზი“, „ჟურზანი“. ამ ქვეყნების გავლით ეს ტერმინი შევიდა რუსულ ენაში, სადაც ის თავისებური ინტერპრეტაციით დამკვიდრდა. მე-16 საუკუნეში, როცა საქართველოსა და რუსეთს შორის პოლიტიკური ურთიერთობა ჩაისახა, რუსულ საისტორიო წყაროებში უკვე გვხვდება ტერმინი „გრუზია“. ამდენად, ამ სახელს კავშირი არ აქვს ტვირთთან, აღმოსავლური „ჟურზანი“ კი ერთ-ერთი ვარაუდით, შესაძლოა ტერმინ „გეორგიას“ სახეცვლილებაა.

***მარიკა ლორთქიფანიძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი***

***ჩემი და, რომელიც 4 წელია საბერძნეთში ცხოვრობს, ოფიციალურად გათხოვილია იქაურ ბერძენზე და აქვს მწვანე ბარათი, მეპატიჟება საბერძნეთში, თან მთხოვს, წავუყვანო პირველი ქორწინებიდან გაჩენილი 9 წლის გოგონა. მაინტერესებს ვის მივმართო?***

***ტარიელ სინჯარაძე***

საბერძნეთში წასასვლელად საზღვარგარეთის პასპორტთან ერთად საქართველოში არსებულ საბერძნეთის საელჩოში (არაყაშვილის მე-2 ჩიხი, 5) უნდა წარადგინოთ თქვენი დის მწვანე ბარათი და ქორწინების მოწმობა (ასლი), რათა დადასტურდეს, რომ ის ოფიციალურად არის გათხოვილი ბერძენ მოქალაქეზე, ასევე, — ბავშვის დაბადების მოწმობა.

***საბერძნეთის საელჩო***

***თბილისში ფუნქციონირებდა მოსკოვის სააქციო ბანკის „ჰერმეს-ცენტრის“ ფილიალი. იგი განთავსებული იყო ჯერ მარჯანიშვილის 89/24-ში, შემდეგ კი აღმაშენებლის 124-ში. 1993 წელს შევიძინე ამ ბანკის ხუთი ათასი მანეთის ოდენობის ხუთი აქცია. ხომ არ შეიძლება მივაგნოთ ხსენებული ბანკის კვალს?***

***პაატა ცხადაია, თბილისი***

როგორც ცნობილია, 1993 წლისთვის თბილისში ლიცენზირების გარეშე უამრავი ბანკი არსებობდა. ჰერმეს-ბანკიც მათ რიცხვს განეკუთვნება, ეროვნულ ბანკში არც მას გაუვლია ლიცენზირება და შესაბამისად, მისი ადგილსამყოფელიც უცნობია.

***ეროვნული ბანკის ლიცენზირების კომიტეტი***

***ორგანიზმში მიმდინარე რა ცვლილებები იწვევს მეჭეჭის გაჩენას და როგორ ვუმკურნალოთ?***

***გორდაძე***

მეჭეჭების გაჩენის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს გენეტიკური ფაქტორი. თუ ახლო წინაპრები გამოირჩევიან მეჭეჭთა სიმრავლით, შთამომავალსაც აქვს მის მიმართ მიდრეკილება. თუმცა, გარკვეულწილად, მეჭეჭების გაჩენაში თავის როლს ასრულებს მზის ფაქტორიც, ამიტომ, თუ იგი ზომით უმნიშვნელოა, და გარკვეული სერიოზული დაავადებით არ არის გამოწვეული, უმჯობესია სამედიცინო ჩარევის (მოწვის) გარეშეც დავტოვოთ.

***ნაძალადევის რაიონის პოლიკლინიკის თერაპევტი***

***სამამულო ომის მონაწილის ქვრივს, მეორე ჯგუფის ინვალიდს მეკუთვნის თუ არა შეღავათი მიწის ნაკვეთზე, ელექტროენერგიასა და წყალზე?***

***დანგაძე***

მიწის გადასახადზე შეღავათი ეკუთვნით მხოლოდ II მსოფლიო ომის ინვალიდებს ან მათთან გათანაბრებულ პირებს. სამამულო ომის მონაწილის ქვრივებს კი შეუძლიათ ისარგებლონ კომუნალური გადასახადის 50-იანი შეღავათით. ხოლო, თუ ელექტროენერგიის გადასახადი ამ კატეგორიის პირთათვის ადრე 50-იან შეღავათს ითვალისწინებდა, 2000 წლიდან სამამულო ომის მონაწილის ქვრივებს შეუმცირდათ შეღავათი და თვეში მხოლოდ 30 კილოვატი ელექტროენერგიის მოხმარება შეუძლიათ უფასოდ.

***ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტი***

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 29 იანვრიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | | |
|---|---|---|
| **აშშ დოლარი** | | 1,970 |
| **გერმანული მარკა** | | 0,994 |
| **ინგლ. გირვანქა სტერლინგი** | | 3,221 |
| **ევრო** | | 1,945 |
| **რუსული რუბლი** | | 0,069 |
| **თურქული ლირა** | (10.000) | 0,035 |

ლითონის საამქრო
ფარდა-ჟალუზი; ლითონის კარი; „გარმოშკა“; ჟალუზი; ფანჯრის უძრავი გისოსი; ავტოფარეხი. აგრეთვე, ნებისმიერ სართულზე დაგიმონტაჟებთ აივანს.
ხის საამქრო
კარ-ფანჯარა; დარაბა, ავეჯი.
მის: ფალიაშვილის 100; ჭავჭავაძის 25
ტ: 25-12-72; 22-60-03; 877-41-87-75

რკინის კარების, ჟალუზების დამზადება, საკეტების შეცვლა შეღავათიან ფასად.
ტელ: 69-26-50 ნოდარი

NGA
ლითონის საამქრო
ფარდა-ჟალუზი; ლითონის კარი; „გარმოშკა“; ჟალუზი; ფანჯრის უძრავი გისოსი; ავტოფარეხი. აგრეთვე, ნებისმიერ სართულზე დაგიმონტაჟებთ აივანს.
ხის საამქრო
კარ-ფანჯარა; დარაბა, ავეჯი.
მის: ბარნოვის 84
ტ: 29-39-81, 877-41-87-75

ცნობილი მკურნალი ირინა ლომთათიძე თაობათა მანძილზე გამოცდილი მცენარეული წამლებით მკურნალობს:
- ბოტკინით დაავადებულებს;
- ორგანიზმში დაგროვილ სითხეს;
- პირის ღრუში უსიამოვნო სუნს;
- ფრჩხილების სოკოს;
- ქავილი სხვადასხვა ადგილებში;
- ფრჩხილების ჩაზრუნება;
- თმის ცვენა, სებორეა;
- ტროფიკული წყლული, წითელი ქარი.
ეფექტი გარანტირებულია I დღიდან. მკურნალობის კურსი 5-10 დღიანია.
ადგილზევე ხდება კომპიუტერული დიაგნოსტიკური გამოკვლევები მაღალ დონეზე
მის: აღმაშენებლის გამზ. №115, „ფანასკერტელი“ იკითხეთ ლომთათიძის აფთიაქი. ტელ: 77-68-50 (საღ.)

## ახლო სამეზობლოში

# განტამიროვი ჩეჩენი ბოევიკებით ამაყობს!..

განტამიროვი, დუდაევის მმართველობის ხანაში გროზნოს მერი გახლდათ, მაგრამ მოულოდნელად ჯოჰარის ოპოზიციონერთა შორის აღმოჩნდა და ჩეჩნეთის დედაქალაქისთვის ომში მარცხდება. რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ ქალაქის აღების შემდეგ, იგი იბრუნებს მერის სავარძელს, მაგრამ მოგვიანებით მას საბიუჯეტო თანხის განსაკუთრებით დიდი რაოდენობით მითვისების გამო აპატიმრებენ. დაბოლოს, მოულოდნელი ამნისტია. სულ ახლახან იგი ვიცე-პრემიერის კოშმანის მოადგილედ დანიშნეს, ფაქტობრივად კი — ჩეჩენ მილიციონერთა ლაშქრის წინამძღოლად, რომელიც ახლა გროზნოში სასტიკ ომს აწარმოებს.

გთავაზობთ ინტერვიუს კავკასიაში წარმოებული პოლიტიკური თამაშების ყველაზე იდუმალ პიროვნებასთან — ბისლან განტამიროვთან.

**— ბისლან, 94 წლის ნოემბერში შენ უკვე უტევდი გროზნოს, მაგრამ უშედეგოდ...**

— მხოლოდ მოგვიანებით გავიგე, სწორედ მაშინ, როცა დუდაევის რეზიდენციის ასაღებად ერთი შეტევაღა იყო საჭირო, რატომ გვიბრძანეს ქალაქის დატოვება. ეს წარუმატებელი შეტევა ასეც იყო ჩაფიქრებული — იგი უნდა ყოფილიყო მიზეზი ჩეჩნეთში ჯარის შესაყვანად. გროზნო კი, სცენარის მიხედვით, ფედერალებს უნდა აეღოთ. არჩევნები ახლოვდებოდა და პატარა წარმატებული ომი სჭირდებოდათ რუსებს. ერთი სიტყვით, ჩვენ მაშინ მართლაც გაგვყიდეს. ახლა ეს აღარ გაუვათ. ბოლომდე ვივლი, ჩეჩნეთში გამარჯვება ხომ მხოლოდ ჩეჩნებს შეუძლიათ, ჯარს ჯერ არც ერთი პარტიზანული ომი არ მოუგია. ჩემი აზრით, პუტინს ეს კარგად ესმის.



**ტიპური წარწერა გროზნოს ქუჩებში**

**— მოსკოვმა ხომ მასხადოვს დაუჭირა მხარი. ახლა, როგორც აღმოჩნდა, შეცდა. რატომ? იგი ხომ თითქოს ერთადერთი ადამიანი იყო, გროზნოსაც და კრემლსაც რომ აძლევდა ხელს.**

— სწორედ მაგაშია საქმე, რომ მასხადოვი საჭირო მომენტში ვერავის, ვერც ამათ და ვერც იმათ, ვერ დაუპირისპირდა და მას უკვე აღარაფრად აგდებდნენ. ახლაა, რომ მასხადოვი ბასაევთან გააიგივეს, თორემ, ერთი წლის წინ მასხადოვი მოსკოვთანაც ცდილობდა მეგობრული ურთიერთობის დამყარებას და ბასაევთანაც. რესპუბლიკაში შარიათის მმართველობა დაამყარა. უნდოდა ყველასთვის კარგი ყოფილიყო, ამ დროს კი ჩეჩნეთში კინაღამ სამოქალაქო ომი დაიწყო.

**— ჩეჩნებს ხიბლავდა ჩეჩნეთის დამოუკიდებლობის იდეა. ფაქტობრივი დამოუკიდებლობის სამი წელი გავიდა. ახლა კი ჩეჩნების უმრავლესობას თავისუფლებას ვერც კი უხსენებ. ბევრი, ვინც 1995-96 წწ-ში იბრძოდა, ამბობს, ეს ჩვენი ომი არ არისო. სად დაიკარგა ჩეჩნების თავისუფლებისმოყვარეობა?**

— როცა ჩეჩნეთი სუვერენიტეტობისკენ მიგვყავდა, არც მე, არც დუდაევი და არც იანდარბიევი ვერც კი წარმოვიდგენდით, რომ ჩეჩნეთი რუსეთთან იომებდა, მაგრამ თავისუფლების იდეამ თანდათანობით რაღაც საზიზღარი, ანტირუსული შეფერილობა მიიღო. ამაში, ჩემი აზრით, დიდი წვლილი მიუძღვით ჩვენს მეგობარ-მეზობლებს: ინგუშეთს, დაღესტანს, საქართველოს. იქიდან ჩვენს სეპარატისტებს გამუდმებით უკრავდნენ ტაშს: გამოდით რუსეთიდან, გაუმარჯოს ლოზუნგს „თავისუფლება ან სიკვდილი!“

**— მიუხედავად ამისა, ბასაევმა თავისი საძმო დაღესტანში შეიყვანა. ეს ვინმეს დაკვეთა იყო? ფული?**

— არა იმიტომ, რომ ვამართლებ, მაგრამ ბასაევი სისხლით უფრო დაღესტნელია, ვიდრე ჩეჩენი. და ის წავიდა დაღესტანში, თავის სახლში, თანამემამულეების თხოვნით. იქ რესპუბლიკის ხელისუფლება ხომ უბრალო ხალხის ჩაგვრისა და ძარცვის მეტს არაფერს აკეთებდა და ამაში მას ხელს რუსეთის ხელისუფლება უწყობდა.

**— ახლა შენ ე.წ. ჩეჩნეთის მილიციის ძალებს მეთაურობ, მარტო იბრძვი თუ ფედერალურ ჯარებთან ერთად?**

— მე უბრალოდ, როგორც კოშმანის პირველი მოადგილე ძალოვნებს ვუწევ კურირებას. მოქმედებას კი ფედერალურ ჯარებთან ვათანხმებთ. გაერთიანებული დაჯგუფების მეთაურთან კაზანცევთან, აღმოსავლეთის მიმართულების მეთაურთან ტროშევთან კარგი, საქმიანი დამოკიდებულება მაქვს. გენერალი შამანოვი კი ჩემი ძმა არის. ისინი ის გენერლები არიან, რომლებიც ახლა, ბანდიტების დასამარცხებლად, ძალიან საჭირონი გახდნენ.

**— ბანდიტები, ვისაც ეომები, შენი თანამემამულენი არიან...**

— ჯერ ერთი, იმ მხარეს, მეტი თუ არა ნახევარი მაინც — დაქირავებულები არიან: არაბები, აზიატები, უკრაინელები, რუსები, დანარჩენი ჩეჩენია, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო ომობენ: იდეის, შურისძიების, ფულის... გამო. თანაც ძალიან პროფესიონალურად და მამაცურად. ისინი — ჩვენი მტრები არიან და მათთან ბოლომდე ვიბრძოლებთ. ფედერალებისგან განსხვავებით ჩვენ უკან დასახევი გზა არა გვაქვს. არადა, ხანდახან ვამაყობ კიდეც, რომ ჩეჩენი ბოევიკები ჩემი თანამემამულენი არიან, თავგანწირვით იბრძვიან. დარწმუნებული ვარ, თუ ისინი პარტიზანულ ომს დაიწყებენ, მათთან გამკლავებას, მხოლოდ თავად ჩეჩნები თუ შეძლებენ.

***კომსომოლსკაია პრავდა №15***

# კოსმოსური ნადირობა ბასაევზე

არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ კოსმოსის მთავარი და ნამდვილი პატრონები სამხედროები არიან. მარტო გასულ წელს, ცენტრიდან გაშვებული იყო 25 რაკეტმზიდი, ორბიტაზე გაიყვანეს ორმაგი და სამხედრო დანიშნულების 35 კოსმოსური აპარატი, რისთვისაა ეს საჭირო?

„ვარსკვლავთომების“ ცენტრის სარაკეტო ჯარების სტრატეგიული დანიშნულების სპეციალისტებმა ოდნავ ახადეს ფარდა თავის საიდუმლოს.

რუსეთის თანამგზავრი-ჯაშუშების მთავარ ამოცანად კვლავინდებურად რჩება სარაკეტო თავდასხმის თავიდან აცილება. ამისათვის, ჯერ კიდევ 1972 წელს ოთხსაფეხურიან რაკეტა მოლნიას პლესეცკის კოსმოდრომიდან ყოველწლიურად ორბიტაზე გაჰყავდა ორი-სამი თანამგზავრი „ოკო“. 1991 წელს საბრძოლო ვახტზე გამოვიდა უფრო სრულყოფილი კოსმოსური მზვერავი „პროგნოზი“. მას შეუძლია თვალყური ადევნოს სავარაუდო მოწინააღმდეგის სარაკეტო შახტებს.

კოსმოსური მზვერავის დავალებებს ასრულებენ „კოსმოსი“ და „ცელინა-2“-ის სერიის თანამგზავრებიც. ისინი იჭერენ რადიო და რადიოელექტრონულ კავშირებს, მათ შორის, შამილ ბასაევის საუბრებს თანამგზავრული ტელეფონით. წინა ომში ასეთი ტელეფონით სარგებლობა სიცოცხლის ფასად დაუჯდა ჯოჰარ დუდაევს. კოსმოსური ჯაშუშების დამიზნების შედეგად, საავიაციო რაკეტამ გაანადგურა იჩქერიის პირველი პრეზიდენტი.

მართვის ცენტრის განსაკუთრებულ სიამაყეს წარმოადგენს თანამგზავრული ფოტოგადაღებები. სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ დეტალური გადაღებები მიდამოსი, სადაც გარკვევით იკითხება მანქანების ნომრებიც კი, ძალიან ეხმარებათ სპეცოპერაციების ჩატარების დროს.

•••

თავი სამეცნიერო-ფანტასტიკური ბოევიკის გადაღებაზე გეგონებოდათ. ნახევრად ჩაბნელებულ დარბაზში, უზარმაზარ ტელეეკრანზე, პლანეტა დედამიწის ირგვლივ მოძრაობდნენ ზესაიდუმლო კოსმოსური ობიექტები. ციფრულ ტაბლოზე განუწყვეტლივ მოედინებოდა ინფორმაცია. ოფიცერი-ოპერატორების თითები თითქოს დაფრინავდნენ კომპიუტერის კლავიატურაზე. მართვის ცენტრის მთავარ დარბაზში საუკეთესო სპეციალისტები მუშაობენ. სწორედ კოსმოსური მზვერავების წყალობით სრულდება ჯარის განუწყვეტელი მართვა და იგივე მზვერავები მონაწილეობენ ბანდიტების მეთაურებზე ნადირობაში. ცენტრში დარწმუნებულნი არიან — ადრე თუ გვიან, ბასაევი, ხატაბი, რადუევი და სხვები საკადრისად დაისჯებიან.

•••

როგორც აღვნიშნეთ, ამ ცენტრს საკმაოდ ძლიერი კოსმოსური შეიარაღება აქვს, მაშ, აქამდე რატომ არ დაიჭირეს ან არ გაანადგურეს ტერორისტების მეთაურები? ადრე ამბობდნენ, რომ არ ჰქონდათ პრეზიდენტის სანქცია, მაგრამ ახლა ხომ ყველამ თვალნათლივ გაიგო და დაინახა, როგორ გამოვიდა პუტინი და ბრძანა მათი განადგურება ტუალეტშიც კი. ბასაევი, ხატაბი და რადუევი კვლავ განაგრძობენ ბრძოლას.

მაგრამ მთავარია, გამარჯვებისათვის რაც შეიძლება ნაკლები სისხლი დაიღვაროს, მაგრამ სანამ ტერორისტების მეთაურები ცოცხლები არიან, ომი ჩეჩნეთში არ დამთავრდება.

რამდენ ხანს გაგრძელდება კოსმოსური ნადირობა ბასაევზე? მცოდნე ხალხმა საიდუმლოდ გაგვანდო: „ნაბრძანები გვაქვს მისი განადგურება საპრეზიდენტო არჩევნებამდე“.

***არგუმენტი ი ფაქტი №4***

*თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებმა გამოაქვეყნეს ჩრდილო კავკასიაში ფედერალური ძალების მიერ დაკარგულ მეომართა რაოდენობა. მათი მონაცემებით მოკლულია 1173 მეომარი, დაჭრილთა რიცხვი აღწევს 3500-ს, ხოლო უგზო-უკვლოდ დაკარგულია 53 რუსი ჯარისკაცი.*

*მაგრამ როგორც ჯარისკაცების დედათა კომიტეტი ამტკიცებს, ეს რიცხვი მინიმუმ სამჯერ არის შემცირებული. გროზნოში ოპერაციის დაწყებამდე თუ ოფიციალური წყაროები მხოლოდ ასობით მოკლულსა და დაჭრილზე ლაპარაკობდა, ახლა მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვმა ათასებს მიაღწია. უკვე ყველასათვის ყველაფერი ნათელია და მხოლოდ ოფიციალურ ხელისუფლებას არ ჰყოფნის გამბედაობა, რომ ომს ომი უწოდოს და ისევ „ანტიტერორისტულ ოპერაციაზე“ აგრძელებს ლაპარაკს.*

***რუსული პრესის მიხედვით***

## შორეულ ქვეყნებში

# კრიმინალური ეპიდემია პრეზიდენტებსაც მოედოთ

საფრანგეთის პრეზიდენტმა 2002 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში თუ არ გაიმარჯვა, სასამართლოს წინაშე წარდგომა ემუქრება. ჟაკ შირაკი სახელმწიფოს მეთაურად არჩევამდე 17 წელიწადი ხელმძღვანელობდა პარიზის მერიას და სწორედ მაშინ დაიწყო ფიქტიური თანამდებობების შემოღება. ვერსალის საკასაციო სასამართლომ გზა გაუხსნა პატრიკ დემიურუს სენსაციურ გამოძიებას ამ საქმის თაობაზე. საფრანგეთის პრეზიდენტი, თავისი მოვალეობის შესრულების დროს, ხელშეუხებლობის იმუნიტეტით კი სარგებლობს, მაგრამ ეს „საქმე“ არ დაიხურება და ჟაკ შირაკს პასუხისგებაში მისცემენ, როგორც კი საფრანგეთის ჩვეულებრივი მოქალაქე გახდება. პარიზის მერიაში ფიქტიური თანამდებობების ირგვლივ სკანდალი ატყდა იმის გამო, რომ „რესპუბლიკის მხარდამჭერ გაერთიანებაში“, სხვა თანამშრომლებთან ერთად ქაღალდზე გაფორმებული ჰყავდათ პირები, რომელთაც მაღალი ხელფასები ჰქონდათ დანიშნული... ამ „გაერთიანებას“ თვით შირაკი ხელმძღვანელობდა. გამომძიებელმა პატრიკ დემიურუმ აღმოაჩინა, რომ გზა თვით პრეზიდენტამდე მიდიოდა, ამიტომ საქმის თავიდან აცილების მიზნით, არაკომპეტენტურობა მოიმიზეზა. საკასაციო სასამართლომ საქმის ბოლომდე მიყვანა დაავალა. არავინ იცის, როგორ განვითარდება მოვლენები. ელისეს სასახლე დუმს, არ სურს სასამართლო ვერდიქტის კომენტირება.


**ეზერ ვეიცმანი**

სკანდალში გახვეული აღმოჩნდა ისრაელის პრეზიდენტი ეზერ ვეიცმანიც. ყველაფერი შარშან, წლის ბოლოს დაიწყო, პრესამ და ქნესეთის რამდენიმე დეპუტატმა განაცხადა, რომ ვეიცმანმა ფრანგი მილიონერის, ედუარდ სარუსისაგან მიიღო ნახევარი მილიონი დოლარი. თავიდან ეს ბრალდება ყველას აბსურდული ეჩვენა, ეზერ ვეიცმანს პატიოსან პოლიტიკოსად იცნობდნენ, მაგრამ თანდათან ჩნდებოდა ახალი მტკიცებანი და ვეიცმანი იძულებელი იყო ეღიარებინა, რომ ფულს თავისი ძველი მეგობრის — სარუსისგან იღებდა. მეგობარს კი ფულის ჩუქება ყველასთვის, მათ შორის მეგობარი პრეზიდენტისათვისაც შეუძლია. ამასთან, სარუსს, არ აქვს საქმიანი კონტაქტი ისრაელთან, ამიტომაც ეს ფული ქრთამად არ ჩაითვლება. მოგვიანებით გაირკვა, რომ სარუსი ისრაელში ინგლისურენოვანი გაზეთის გამოშვებას აპირებდა და ამდენად ნიადაგს ამზადებდა თავისი ბიზნესისათვის. თუ ბრალდება დაუმტკიცდა, ვეიცმანს გადადგომა მოუწევს იმის მიუხედავად, რომ ისრაელის პრეზიდენტის პოსტი უფრო ნომინალური, ზოგიერთი სკეპტიკოსის თქმით კი, ცერემონიალური ხასიათისაა, ახლო აღმოსავლეთში მშვიდობიანი პროცესის მომხრე დიდჩინოსნის გადაყენებამ შეიძლება ხელი მისცეს მშვიდობიანი პროცესის მოწინააღმდეგეებს.


**ჟაკ შირაკი**

გერმანიის ტელერადიოკომპანიის ჟურნალისტებმა საკუთარ გამოძიებაზე დაყრდნობით განაცხადეს, რომ ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის საიდუმლო ანგარიშის საქმეში ჩათრეულია საფრანგეთის მთავრობა, აწ გარდაცვლილი ფრანსუა მიტერანი და საფრანგეთის სპეცსამსახურების თანამშრომლებიც კი.

თავად კოლმა კი განაცხადა, რომ არ აპირებს ქრისტიან-დემოკრატების ანონიმური სპონსორების დასახელებას, რადგან თავის დროზე იმ ხალხს, ვინც სალაროში დიდი თანხები შეიტანა, დაჰპირდა, რომ მათ სახელებს არ გაამხელდა. „მე მიცემულ სიტყვას არ გავტეხ“ — ამბობს კოლი.

***რუსული პრესის მიხედვით***

# ჩილეს ახალი პრეზიდენტი ჰყავს

ჩილეს ხელისუფლების სათავეში კვლავ სოციალისტია — სოციალისტ სალვადორ ალიენდეს შემდეგ იგი პირველი პრეზიდენტია, რომელმაც უმაღლეს პოსტს მიაღწია. 61 წლის ეკონომიკის დოქტორი და იურისტი რიკარდო ლაგოსი ყოველთვის წინააღმდეგი იყო პინოჩეტის ავტორიტარული რეჟიმისა. ჯერ კიდევ 80-იან წლებში ჩამოაყალიბა სოციალისტთა და ქრისტიან-დემოკრატთა კავშირი. დიდხანს იყო განათლების მინისტრი, საზოგადოებრივი საქმიანობის მინისტრი, შემდგომ საბჭოთა კავშირში ელჩად მუშაობდა; პინოჩეტის პუტჩის შემდეგ ჯერ არგენტინაში გადასახლდა, შემდეგ აშშ-ში. იგი, როგორც პოლიტიკოსი, გაიზარდა ანტიპინოჩეტურ მიტინგებზე. 1986 წელს დაპატიმრებულიც კი იყო დიქტატორზე თავდასხმის მცდელობისათვის. განთავისუფლების შემდეგ „დემოკრატიული მმართველობის აღდგენის“ საქმეებს მიუძღვნა დარჩენილი ცხოვრება. რიკარდო ლაგოსი „განახლებული სოციალისტების“ ორგანიზაციის ფუძემდებელია. 11 მარტს ლაგოსი ექვსწლიან საპრეზიდენტო ვახტს შეუდგება. რიკარდო ლაგოსს ხუთი შვილი ჰყავს. დემოკრატიული იდეებისათვის კი მადლობას სწირავს თავის 103 წლის დედას.

***სეგოდნია №9***

# მერის სავარძლისთვის იბრძვიან

დიდი ბრიტანეთის დედაქალაქის ისტორიაში პირველად მიმდინარეობს ბრძოლა ქალაქის მერის სავარძლისთვის, კამპანია სკანდალებსა და კომპრომატების ფონზე ...მაგალითად, კონსერვატიული პარტიის წარმომადგენელი ლორდი არჩერი იძულებული გახდა, მოეხსნა თავისი კანდიდატურა, რადგან მისმა ყოფილმა მეგობარმა იგი სასამართლოში ამხილა სიცრუისთვის. წინასაარჩევნო კამპანიის მთავარი სიურპრიზი ის გახდა, რომ ლონდონის მერის სავარძელი მოინდომა ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენელმა, ლეგენდარული ჯგუფის, „სექს-ფისტოლზის“ დამაარსებელმა მალკოლმ მაკლარენმა. წინასაარჩევნო პროგრამაში იგი იბრძვის დედაქალაქის კაპიტალიზაციისა და ყველასი და ყველაფრის მსხვილი ბიზნესისადმი დამორჩილების წინააღმდეგ. ასე რომ, დაუპირისპირდა ტონი ბლერს. მაკლარენის მოთხოვნებს შორის აღნიშნულია — ლონდონის ყველა მუზეუმსა და გალერეაში უფასო შესვლა, უნივერსიტეტებში სწავლების ფასის წელიწადში ათასი გირვანქა სტერლინგიდან ერთ გირვანქამდე შემცირება; დედაქალაქის ბიბლიოთეკებში ალკოჰოლის მიღების ნებართვა, მოკლედ — პროგრამა ხალხისთვისაა... ამით არ დასრულებულა კანდიდატის მანიფესტი: მაკლარენის პირველი ბრძანებულება იქნება ჰაშიშის ლეგალიზაცია და შესაბამისი სპეცმაღაზიების გახსნა. შემოსავალი კი ათასობით ლონდონელი უსახლკაროს ბინების მშენებლობას მოხმარდება. კანდიდატი ბრიტანელი პოლიტიკოსების სასიყვარულო თავგადასავლებთან დაკავშირებული სკანდალების მოგვარებასაც აპირებს და პარლამენტის შენობის წინ ლეგალური საროსკიპოს აშენებას ჰპირდება. ეტყობა, მაკლარენს დაავიწყდა, რომ პარლამენტის პირდაპირ ვესტმინსტერის სააბატოს კათედრაა.

***ნოვიე იზვესტია №4***

## მოკლედ

**ჩეჩნეთში** დაიღუპა პირველი ჩეჩენი გენერალი, მასხადოვის მთავრობის ვიცე-პრემიერი, გროზნოს დაცვის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ისა ასტემიროვი.

ვ. **პუტინის** განკარგულებით სააქციონერო საზოგადოება ორტ-ს კოლეგია დატოვა ბორის ელცინის ქალიშვილმა, ტატიანა დიაჩენკომ. ეს აქცია პუტინს მხოლოდ იმიჯისთვის დასჭირდა.

მორიგი ისტორიული მოვლენა — მსოფლიოს რუკაზე მალე შეიქმნება საერთაშორისო საზოგადოებრიობის ახალი სუბიექტი (**რუსეთი, ბელორუსია**). მოკავშირე სახელმწიფოების უმაღლესი სახელმწიფო კავშირის თავმჯდომარედ ა. ლუკაშენკო დაინიშნა.

ხუთწლიანი პატიმრობის შემდეგ **კალიფორნიის** ქალაქ ლომპოკის ციხიდან გამოუშვეს მსოფლიოს ყველაზე ცნობილი კომპიუტერული მძარცველი, 36 წლის ამერიკელი ქევინ მიტნიკი. მას ეკრძალება სამუშაოზე მოწყობა ორგანიზაციებში, რომლებსაც აქვთ კომპიუტერები.

პოლიტიკური ამინდის პროგნოზი **დავოსში**: შვეიცარიის საკურორტო ქალაქში იხსნება ყოველწლიური საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმი. სადაც ძირითადად განიხილება მსოფლიოს ეკონომიკური გლობალიზაციისა და საინფორმაციო ტექნოლოგიისა და ელექტრონიკის საკითხები.

**მოსკოვის** სამიტზე დსთ-ის სახელმწიფოთა მეთაურთა საბჭოს თავმჯდომარედ ვ. პუტინი აირჩიეს.

**ევროპის საბჭოს** საპარლამენტო ასამბლეაზე დაისვა რუსეთის დელეგაციისთვის ხმის უფლების ჩამორთმევის საკითხი. რაც უარყოფილ იქნა 83 ხმით 71-ის წინააღმდეგ. თუ ჩეჩნური კამპანია აპრილამდე არ შეწყდება რუსეთის ევროსაბჭოს წევრობა საეჭვო გახდება.

ავტოკატასტროფაში, რომელიც ამერიკული ქალაქის, **კანზასის** (მისურის შტატი) მახლობლად მოხდა, 10 ადამიანი დაიღუპა. ამ გიგანტური ავარიის მიზეზი უცებ მოვარდნილი, დიდთოვლობა გახდა. მოლიპულ ტრასაზე 70 მსუბუქი და სატვირთო მანქანა მოცურდა. მაშველ ბრიგადებს, პოლიციელებსა და ექიმებს 8 საათის მანძილზე გამოჰყავდათ დაზარალებულები.

# ლტოლვილი ციდან

ახალგაზრდა კარმაპა-ლამას ინდოეთში გაქცევა ძლიერი დარტყმა გამოდგა პეკინისთვის, რომელიც ტიბეტში თავის კონტროლს დაქვემდებარებული ბუდისტის „გამოზრდას“ ცდილობდა.

ყველა 14 წლის ბიჭი როდი დაიკვეხნის იმას, რომ მის ქცევასა და ნათქვამს ბევრი სახელმწიფოს პირველი პირები ადევნებენ თვალს, მის მოულოდნელ გადასვლას სხვა ქვეყანაში კი პოლიტიკური ქარიშხლის გამოწვევა შეუძლია. ეს ბიჭი კარმაპა-ლამას — ტიბეტური ბუდიზმის ერთ-ერთი გავლენიანი მიმართულების უზენაესი ლიდერისა და ლამაისტურ იერარქიაში მესამე პირის ტიტულს ატარებს. ახალი წლის პირველ დღეებში მე-17 კარმაპა-ლამამ უგიენ ტრინლე დორჯიმ მოულოდნელად დატოვა ტიბეტურ მონასტერ ცურპჰუში თავისი რეზიდენცია და რამდენიმე დღის შემდეგ ინდურ ქალაქ დჰარამსალაში გამოჩნდა. აქ არის ტიბეტელების სულიერი ლიდერის, დალაი-ლამას შტაბბინა. იგი 40 წლის წინ გამოიქცა ჩინელი კომუნისტების მიერ დაპყრობილი ტიბეტიდან.

ჩინეთში კარმაპა-ლამას გაქცევამ ნამდვილი შოკი გამოიწვია: ამ ლამაისტთა წმინდანს ხელისუფლება თავის მოკავშირედ მიიჩნევდა. იგი იმ კაცთან გაიქცა, ვინც არ შეურიგდა ტიბეტის ჩინურ ოკუპაციას — დალაი-ლამა, მსოფლიოს ყველაზე პოპულარული პოლიტიკოსი, პეკინისთვის „ნომერი პირველი მტერია“. თავისი აქტიური მოღვაწეობით მან მიაღწია იმას, რომ დასავლეთი ყურადღებით ადევნებს თვალს სიტუაციას ტიბეტში: იქ გამუდმებით ტარდება ამ ქვეყნის დამოუკიდებლობის მხარდამჭერი მასობრივი დემონსტრაციები, აშშ კი ტიბეტური პრობლემის მოგვარებას უკავშირებს ჩინეთისათვის ვაჭრობაში ყველაზე სარგებლიანი რეჟიმით უზრუნველყოფას და ა.შ

ახლა დალაი-ლამა მოუწოდებს ინდოეთის ხელისუფლებას, მისცეს პოლიტიკური თავშესაფარი კარმაპა-ლამას, თუმცა, ეს უკანასკნელი ოფიციალური მოთხოვნის წაყენებას ჯერჯერობით არ ჩქარობს. იგი უარს ამბობს ინტერვიუებზე, მაგრამ მისმა წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ჩინეთის ხელისუფლებას იგი ჩაკეტილი ჰყავდა და უფლებას არ აძლევდა, სულიერ მასწავლებლებს შეხვედროდა. თავს ულაყებდნენ პროკომუნისტური ბროშურებით, უარს ეუბნებოდნენ საზღვარგარეთ წასვლაზე.

ოფიციალური დელი დაბნეულია — ინციდენტმა შეიძლება გაამწვავოს ამ ორ ქვეყანას შორის ისედაც დაძაბული ურთიერთობა. პირველ ხანებში პეკინი კომენტარისგან თავს იკავებდა, მხოლოდ ერთ-ერთმა სააგენტომ განაცხადა, რომ კარმაპა-ლამა „სამოგზაუროდ წავიდა, რათა ტრადიციული ტიბეტური მუსიკალური ინსტრუმენტების კოლექცია შეავსოს“. ჩინელი ხელისუფლების დაბნეულობა გასაგებია: კარმაპა-ლამას გაქცევამ საფრთხის ქვეშ დააყენა წლობით ნაკოწიწები პოლიტიკა, რომელიც ტიბეტური ბუდიზმის მართვას გულისხმობდა.

ტიბეტურ ბუდიზმში რამდენიმე მიმდინარეობა და უამრავი სკოლაა. ყველა მათგანი აღიარებს ოთხი უზენაესი იერარქის პირველობას. ესაა **დალაი-ლამა**, რომელიც ლამაისტების სულიერ ლიდერად მიიჩნევა, მნიშვნელობით მეორე იერარქი — **პანჩენ-ლამა**, შემდეგ მოდიან **კარმაპა-ლამა** და მონღოლეთის სულიერი ლიდერი **ბოგდო-გეგენი**.

ლამაიზმი ოთხ ძირითად მიმართულებად იყოფა: **გელუკი**, რომელსაც ეკუთვნის დალაი-ლამა (ტრადიციული თავსაბურავების გამო მათ „ყვითელქუდიან ლამებს“ უწოდებენ), **ნიგმა და საკია** („წითელქუდიანი ლამები“) და **კაგიუ**, რომლის წარმომადგენელთა ნაწილი წითელს, ნაწილი კი — შავ ქუდს ატარებს.

კაგიუ ტიბეტში ლამაიზმის ყველაზე გავლენიანი მიმართულებაა. თავიანთ უპირატესობას რომ ხაზი გაუსვან, მისი წარმომადგენლები შავ ქუდებს ატარებენ. კაგიუს სკოლის ლიდერი კარმაპა-ლამას ტიტულს ატარებს.

დალაი-ლამას არ შეუძლია დანიშნოს თავისი მემკვიდრე, ლამაისტურ იერარქად უნდა დაიბადო. ტიბეტელების წარმოდგენით, სიცოცხლე გარდასახვათა, რეინკარნაციის უსასრულო ჯაჭვია. როცა ადამიანი კვდება, იგი კი არ ქრება, არამედ სხვა სხეულში განსხეულდება. თითოეული დალაი-ლამასა და სხვა დიდჩინოსანი ლამების სიკვდილისთანავე იწყება რთული პროცესი ბიჭის ძიებისა, რომელსაც გარდაცვლილის რეინკარნაციად მიიჩნევენ. არსებითად, ლამაისტთა იერარქი შეიძლება პლანეტის ნებისმიერ წერტილში დაიბადოს, მაგრამ ტრადიციისამებრ, ახალ ლამებს ლამაისტების წმინდა მიწაზე — ტიბეტში ეძებენ.

1981 წელს გარდაიცვალა დალაი-ლამას უახლოესი თანამოაზრე, მე-16 კარპამა-ლამა. უზენაესმა ლამებმა წმინდანის მე-17 განსხეულების ძებნა დაიწყეს. გარდაცვლილის წერილის მიხედვით, იგი უნდა დაბადებულიყო აღმოსავლეთ ტიბეტის ტერიტორიაზე. ჩინეთის ხელისუფლებამ ნება დართო ჩინეთში „სამძებრო ექსპედიცია“ შესულიყო. 1992 წლის მარტში ლამაისტებმა იპოვეს ბიჭუნა, რომელიც კარმაპა-ლამას რეინკარნაციად გამოაცხადეს: ოფიციალური ლეგენდის მიხედვით, სოფელში, სადაც ლამები მივიდნენ, მათ აჩვენეს სახლი, სადაც პატარა უგიენ ტრინლე დორჯი ცხოვრობდა. იგი იმ დღეს დაბადებულა, როცა გამოთვლის თანახმად უნდა მოვლენოდა კვლავ ქვეყანას კარმაპა-ლამა. შინაურებმა უამბეს ლამებს, როცა სანადიროდ მივდივართ, უგიენი ტირის და გვთხოვს, ცოცხალ არსებებს ნუ ხოცავთო. ამან ყველა ეჭვი გააქარწყლა, უბრალო გლეხის ბიჭუნა ტიბეტურ იერარქიაში მესამე პირი გახდა. პეკინი ზეიმობდა: უგიენი ხომ სოციალისტურ ტიბეტში იზრდებოდა, მისი მშობლებიც სოფლის კომუნის ღირსეული წევრები იყვნენ. ხელისუფლებამ ოფიციალურად აღიარა კარმაპა-ლამა, რეზიდენციაც გამოუყვეს. ხშირად ჩაჰყავდათ პეკინში, დიდჩინოსნებს ახვედრებდნენ.



მის ქცევასა და ნათქვამს ბევრი სახელმწიფოს პირველი პირი ადევნებს თვალს, მის მოულოდნელ გადასვლას სხვა ქვეყანაში კი პოლიტიკური ქარიშხლის გამოწვევა შეუძლია. ეს ბიჭი კარმაპა-ლამას — ტიბეტური ბუდიზმის ერთ-ერთი გავლენიანი მიმართულების უზენაესი ლიდერისა და ლამაისტურ იერარქიაში მესამე პირის ტიტულს ატარებს. ახალი წლის პირველ დღეებში მე-17 კარმაპა-ლამამ მოულოდნელად დატოვა ტიბეტურ მონასტერში თავისი რეზიდენცია და იმ კაცთან გაიქცა, ვინც არ შეურიგდა ტიბეტის ჩინურ ოკუპაციას.

ტიბეტის ემიგრაცია შეშფოთდა. 1994 წელს ინდოეთში რამდენიმე მაღალჩინოსანმა ლამამ განაცხადა, რომ კარმაპა-ლამას სხვა „სწორი“ რეინკარნაცია იპოვეს — ინდოელი ლამაისტი ოჯახის ვაჟი. მიუხედავად ამისა, დალაი-ლამა სულაც არ აპირებდა ბავშვებით პოლიტიკურ თამაშს. გარდა ამისა, უბრალო ტიბეტელები ხარობდნენ, რომ ბოლოს და ბოლოს, მათ გვერდით ცხოვრობდა კარმაპა-ლამა და არა ემიგრაციაში. ამასობაში 1989 წელს გარდაიცვალა კიდევ ერთი ტიბეტელი იერარქი — პანჩენ-ლამა, მეორე პირი ლამაიზმში. პეკინმა არ დააყოვნა და განაცხადა, ნებას გრთავთ ტიბეტში მისი რეინკარნაცია იპოვოთო. პეკინი იმედოვნებდა, მნიშვნელობით მეორე პირსაც ჩვენ გავაკონტროლებთო.

1995 წელს დალაი-ლამამ პანჩენ-ლამას რეინკარნაციად აღიარა ტიბეტელი 6 წლის ბიჭუნა — გედუნ ჩოკიი ნიიმა, მაგრამ მოხდა გაუგებარი რამ. დეტალები ამ ამბისა უცნობია, ის კი ცნობილია, რომ ახალი პანჩენ-ლამა ოჯახიანად პეკინში წაიყვანეს და მას შემდეგ იგი არავის უნახავს. ჩინეთის ხელისუფალთათვის პანჩენ-ლამას კანდიდატურა მეტად მნიშვნელოვანი იყო: დალაი-ლამას სიკვდილის შემდეგ სწორედ იგი ამტკიცებს მის რეინკარნაციას. ჩინელი კომუნისტებისათვის აუცილებელი იყო, რომ ტიბეტელების ახალი სულიერი ლიდერი დაენიშნა „პარტიის იდეალების ერთგულ“ წმინდანს.

მალე ჩინელმა ხელისუფლებმა თავიანთი პანჩენ-ლამა დაასახელეს — ბიჭი, სახელად გიალცენ ნორბუ. პროპეკინელი პანჩენ-ლამა ახლა დედაქალაქში ცხოვრობს და 1995 წლიდან მხოლოდ ორჯერ ეწვია ტიბეტს.

მისი წინამორბედი პანჩენ-ლამას ბედზე ყველა კითხვას ჩინელი ხელისუფლები ასე პასუხობენ: „იგი ჯანმრთელადაა და ბედნიერად ცხოვრობს თავის ოჯახთან ერთად“. საერთაშორისო სამართალდამცავი ორგანიზაციები მას პლანეტის ყველაზე მცირეწლოვან პოლიტიკურ პატიმრად მიიჩნევენ.

სიტუაციაში, როცა მთავარი იერარქი დალაი-ლამა დევნილობაში ცხოვრობს, მნიშვნელობით მეორე პანჩენ-ლამას ტიტულის მატარებლები კი პეკინში არიან — ერთი, ჩანს, შინაპატიმრობაში, მეორე კი მკაცრ კონტროლქვეშ — მკვეთრად გაიზარდა კარმაპა-ლამას მნიშვნელობა. იგი იყო ერთადერთი ლამაიზმის უზენაესი იერარქთაგან, რომელსაც ერთდროულად აღიარებდა მეამბოხე დალაი-ლამა, ოფიციალური პეკინი და ტიბეტის ხალხი.

კომუნისტი ლიდერები აქტიურად ცდილობდნენ, დაეახლოებინათ კარმაპა-ლამა მაგრამ ინდოეთში მისმა სენსაციურმა გაქცევამ უფროს დასა და ხუთ დაახლოებულ პირთან ერთად, ცხადყო, რომ ახალგაზრდა ლამამ სხვა არჩევანი გააკეთა.

*იტოგი №3*



# ვუდუს საშინელი რიტუალი

1918 წელს კარიბის რესპუბლიკა ჰაიტიში შაქრის ლერწმის რეკორდული მოსავალი აიღეს. ამიტომ ჰაიტურ-ამერიკულმა კორპორაციამ ახალი მუშები დაიქირავა. ერთ-ერთ პლანტაციაში სამუშაოდ მისული ცხრა გაძვალტყავებული და ქანცგამოცლილი მუშის გამოჩენა არავის გაჰკვირვებია, ყველას სიბრალული აღეძრა მხოლოდ. საღამოს გაირკვა, რომ ამ ჯგუფს ყველაზე მეტი შაქრის ლერწამი აუღია. მხოლოდ ერთხელ შეისვენეს, რომ უმარილო ფაფა ეჭამათ. მთელი კვირა მცხუნვარე მზის ქვეშ შეუსვენებლივ იმუშავეს და ერთხელ არ დაუჩივლიათ ჯოჯოხეთურ პირობებზე. კვირის ბოლოს ცხრავემ სწრაფად აიკრა გუდა-ნაბადი და მთებისკენ წავიდნენ, იქით, საითაც მათი სოფელი იყო. როცა ნათესავებმა და მეგობრებმა დაინახეს სოფლისკენ მიმავლები, ყველა დაიმალა. აღმოჩნდა, რომ პლანტაციაში მომუშავე ცხრავე მუშა ამ სოფლის ერთი თვის წინ გარდაცვლილი მცხოვრებლები იყვნენ. ყველა მათგანი ზომბი იყო!

ჰაიტი მეოცე საუკუნეში სამოქალაქო ომით, პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისით შევიდა. 1957 წელს ხელისუფლების სათავეში აქ ექიმი ფრანსუა დიუვალიერი, მეტსახელად „მამა დოკი“ მოვიდა. მანამდე კი ვუდუს უზენაესი ქურუმის ტიტულის მქონემ გარს შემოიკრიბა საიდუმლო პოლიციის წარმომადგენლები, ჯადოქრები, რომელთაც ჰაიტიზე „ადამიანმოჩვენებებს“ უწოდებდნენ და ადგილობრივ მკვიდრთ თავზარს სცემდნენ. მამა დოკი ყოველმხრივ უწყობდა ხელს ვუდუს გავრცელებას და მალე ყოვლისშემძლის სახელი მოიპოვა. ყველა, ვინც მის წინააღმდეგ გაილაშქრებდა, ზომბი ხდებოდა.

1980 წელს ჰაიტიში ჩავიდა ამერიკელი მეცნიერი ვეიდ დეივისი, რომელმაც დიდი ძალისხმევისა და ქრთამების წყალობით ფარდა ახადა ვუდუს რიტუალებს. მის ერთ-ერთ ანგარიშში ასეთ დასკვნას ვკითხულობთ: „ვუდუს რიტუალების მეშვეობით ზომბირების ფენომენი ნამდვილად არსებობს. ასევე არსებობენ ჰაიტელები, რომლებიც საფლავებიდან წამოაყენეს და სიცოცხლე დაუბრუნეს“.

დეივისთან ერთად მუშაობდა პროფესორი ლამარკ დუიონი. მათ გამოიკვლიეს ყველაზე ცნობილი ზომბი კლერვიუს ნარსისე, რომლის სიკვდილის ფაქტი 1962 წელს დაფიქსირდა. მაგრამ ორი წლის შემდეგ გარდაცვლილი კვლავ გამოჩნდა მშობლიურ სოფელში ცოცხალი, თუმცა სრულიად შეურაცხადი. მისი მონაყოლის მიხედვით, იგი ძმებს მოუკლავთ და შემდეგ ვუდუს ჯადოქრებს გაუცოცხლებიათ.

გამოიკვლიეს კიდევ ერთი ზომბი ქალი, სახელად ტი ფემი, რომელიც მშობლებს მოუწამლავთ იმისათვის, რომ მათი ნებისამებრ არ გათხოვილა და იმ კაცისგან დაფეხმძიმებულა, რომელიც მის ოჯახს არ მოსწონდა. ტი ფემი შემთხვევით აღმოაჩინეს სოფლის გზაზე. მას ახსოვდა არა მარტო ის, როგორ ამოთხარეს საფლავიდან, არამედ ისიც, ტანჯვით რომ დალია სული. ექიმებმა ტი ფემის სხეულში მართლაც აღმოაჩინეს მომაკვდინებელი შხამი, რაც მისი სიკვდილის მიზეზი შეიქნა.

დეივისმა გამოკვლევათა საფუძველზე დაასკვნა, რომ ეს ადამიანები „ხელოვნურად გაგრძელებული ანიმაციის“ იშვიათი ფორმის მსხვერპლნი შეიქნენ, ამას კი ვუდუს ჯადოქრები იწვევდნენ სპეციფიკური შხამებით. შხამს გომბეშოს იშვიათი სახეობისგან მოიპოვებდნენ. გომბეშოს კანი ერთგვარი ქიმიური ლაბორატორიაა, სადაც იქმნება ჰალუცინოგენები, ძლიერი ტკივილგამაყუჩებლები და ნივთიერებები, რომლებიც ძლიერ ზემოქმედებას ახდენს გულსა და ნერვულ სისტემაზე. ჰაიტელმა ჯადოქრებმა ზუსტად იციან შხამის ის დოზა, რომელიც ზომბირების ეფექტისთვისაა საკმარისი. მერე კი საბრალოებს მათი ბრძანებების შესრულება უწევთ.

*კალეიდოსკოპი №1-2*

# მამაკაცის თანადგომა ძლიერ ქალსაც სჭირდება

2000 წლის დადგომას გამორჩეულად შეხვდნენ ინგლისელი ექსპერიმენტული სპორტის მოყვარულნი. ოჯახურმა წყვილმა პირველად დაიპყრო სამხრეთ პოლუსი. ცოლ-ქმარმა, ფიონა და მაიკ ტორნვილებმა და მათმა მეგობარმა ქეთრინ ჰარტლიმ, ბრიტანეთის ტელევიზიის მენეჯერმა, ფეხით გაიარეს ანტარქტიდის საკმაოდ თოვლიან-ყინულიანი გზა. თავდაპირველად, ქალებმა მოინდომეს, მარტონი წასულიყვნენ პოლუსზე, მაგრამ როცა შვეულმფრენმა ისინი თოვლით დაფარულ ანტარქტიდის უდაბნოში ჩამოსვა, უარი აღარ უთხრეს გაყოლაზე ფიონას მეუღლეს — მაიკ ტორნვილს, მაიკი ლონდონის პოლიციაში მუშაობს და გრძნობდა, რაც მოხდებოდა.

ბი-ბი-სის ცნობით, მოხალისეთა ჯგუფი გზას გაუდგა სპეციალური მოკლე თხილამურებით, რითაც შეიძლება სიარული არა მარტო თოვლიან ფერდობებზე, არამედ გაყინულ ტერასებზეც. თითოეულ მოგზაურს 50 კგ-იანი ტვირთი მიჰქონდა. ყველაზე მეტად 48 გრადუსი ყინვა აწუხებდათ. მიუხედავად ასეთი მკაცრი პირობებისა, მოგზაურები დღეღამეში 8-14 საათი შეუჩერებლივ მიდიოდნენ ნელა, მაგრამ შეუპოვრად უახლოვდებოდნენ მიზანს. 5 იანვარს ფეხი დაადგეს ჩვენი პლანეტის სამხრეთ მწვერვალს და ეს გამარჯვება თითო ფინჯანი ინგლისური ჩაით აღნიშნეს.

ბი-ბი-სის ცნობით, მოგზაურებს თანადგომას უწევდა ცხრაკაციანი ჯგუფი, ისინი სათადარიგო ბანაკში დარჩნენ ანტარქტიდის სანაპიროზე და საჭიროების შემთხვევაში, მზად იყვნენ შვეულმფრენებით დახმარებოდნენ პოლუსის დამპყრობლებს, მოგზაურებს საგზაო ტელეფონებით ამხნევებდნენ, რაც ძალზე დიდი მორალური თანადგომა იყო. ინგლისელმა მოგზაურებმა დაამტკიცეს, რომ ჯერ კიდევ არსებობენ ბედნიერი და საერთო საქმის სიყვარულით გამსჭვალული მეუღლეები, ბრიტანელებს კი შეუძლიათ იამაყონ თანამემამულეების ამტანობითა და გამძლეობით, რომლებიც პირველები ავიდნენ სამხრეთ პოლუსზე არა ძაღლებშებმული მარხილებით ან შვეულმფრენებით, არამედ საკუთარი ფეხითა და მძიმე ზურგჩანთებით.

*მეგაპოლის-ექსპრესი №3*

# რა ინახება პირამიდის სამალავში?



ეგვიპტის პირამიდების ერთ-ერთი სახელგანთქმული მკვლევარი ინგლისელი პროფესორი რობინ ბუვალი აცხადებს, რომ 2000 წლის დასაწყისში იგი ააფეთქებს ხეოფსის პირამიდის ქვეშ მოთავსებულ „ინფორმაციულ ბომბს“, რომელიც კაცობრიობას გააოგნებს არნახული სენსაციით.

...ხეოფსის პირამიდა ბევრის მომსწრეა. არაერთი ცრუ მეცნიერი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ სწორედ ამ პირამიდაში აღმოაჩინეს გრძელი, მაგრამ ვიწრო დერეფანი, რომელიც ღრმად, მიწისქვეშ გადიოდა. ამ დერეფანში მოხვედრა ჩვეულებრივი გზით შეუძლებელი იყო. გარდა ამისა, იგი გადაკეტილი იყო ოდნავ მოღებული ქვის კარით. სავარაუდოა, რომ ადამიანს იქ არ შეუღწევია. რაიმე ამის მსგავსი სხვა პირამიდებში არ არსებობს. ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ ეგვიპტელებმა დართეს არქეოლოგებს ნება, გამოეკვლიათ საიდუმლო მიწისქვეშეთი დისტანციურად მართვადი რობოტის საშუალებით, რომელიც დაიწყებდა ტრანსლაციას ლია ეთერში მრავალი ქვეყნის ტელეარხებზე.

ინგლისელი არქეოლოგების თქმით, ინკრუსტირებულ ქვის კარს მიღმა არსებულ ლაბირინთებში შეიძლება ადგილი ჰქონდეს საოცარ აღმოჩენებს. მეცნიერები იმედოვნებენ, რომ იქ მიაგნებენ ხეოფსისა და უფრო ადრინდელი დინასტიის ფარაონების ბიბლიოთეკას, რომლებიც მოგვითხრობენ ეგვიპტისა და სამყაროს შექმნის ისტორიას.

ხომ არსებობს ვერსია იმის შესახებ, რომ ხეოფსის პირამიდის ბაზისური შენობა ბევრად ადრე აიგო და ამიტომ საკნებში შესაძლებელია ინახებოდეს ატლანტების დამწერლობის ნიმუშები.

თვეც კი არ გავა ისე, რომ ლაბირინთზე რაიმე ახალი ვერსია არ წარმოიშვას. აი, ერთ-ერთი უკანასკნელი ვარაუდი: ამ ზესაიდუმლო ადგილას ბალზამირებას უკეთებდნენ იმ უცხოპლანეტელებს, რომლებიც ბედმა ეგვიპტის მიწაზე მოიყვანა. იქ შეიძლება აღმოჩნდეს კოსმოსური საფრენი აპარატების ნივთმტკიცება. ერთი სიტყვით — უამრავი სენსაციაა, მაგრამ ერთი კი დასაფიქრებელია. იქნებ იმ ლაბირინთში ისეთი რამ ინახება, რომელიც ჩვენ, კაცობრიობის ისტორიის „უდიდეს მცოდნეებს“, გაგვაბაიბურებს?

*მირ ნოვოსტეი №4*

# „ყველაზე უფრო“...

საუკუნის დასასრულს ფრანგულმა ყოველკვირეულმა ჟურნალმა „მარიანამ“ მოისურვა ფრანგი მამაკაცების გემოვნების დადგენა — ვინ მიაჩნიათ უკანასკნელ ასწლეულში სილამაზის ეტალონად. რასაკვირველია, გემოვნება მეტად ინდივიდუალურია, მაგრამ შედეგი მოულოდნელი აღმოჩნდა: ასი კანდიდატიდან ყველაზე მშვენიერ და მომხიბლავ ქალბატონად აღიარეს რომი შნაიდერი. იგი აირჩია ძლიერი სქესის 78%-მა. მექალთანე ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ მასში შერწყმულია ყველაფერი ის, რაზეც მამაკაცს უოცნებია... იგი იყო არაამქვეყნიურად მშვენიერი და რაც მთავარია, ახლობელი. ფრანგები მზად არიან, მედიდურ ალენ დელონსაც ბევრი რამ აპატიონ, რადგან რომის უყვარდა და დელონის გულისთვის დარჩა კიდეც საფრანგეთში. ამიტომ ფრანგები რომი შნაიდერს თანამემამულედ მიიჩნევენ. შემდეგი ოთხი ადგილი დაიკავეს მომხიბვლელმა ქალბატონებმა: სოფი მარსომ, კატრინ დენევმა, იზაბელ აჯანიმ და კაროლ ბუკემ. ყოველი მათგანი თავისებურად უყვართ ფრანგ მამაკაცებს. მარსოში ხედავენ ნაბოკოვისგან გაქცეულ ლოლიტას, ეს არსება აღსავსეა ოპტიმიზმითა და სიცოცხლის უსაზღვრო სიყვარულით. კატრინ დენევი — ჯადოქარი და ეროვნული სიამაყეა, რომელიც 56 წლის ასაკშიც აფორიაქებს მამაკაცებს.

მამაკაცთა უმრავლესობა მზადაა, აჯანის მომნუსხველ თვალებში ჩაიძიროს. კაროლ ბუკეს იდუმალი მშვენება მუდამ იზიდავს მამაკაცებს...



ფრანგმა მამაკაცებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ მოსწონთ მშვენიერი, ნიჭიერი და სულით მდიდარი ქალები.

ერთი საინტერესო დეტალი: კონკურსში — „ყველაზე უფრო“ კლაუდია შიფერმა ძლივს დაიკავა მე-10 ადგილი, შავკანიანი ნაომი ქემფბელმა მე-17 საფეხურს მიაღწია, ხოლო ქეით მოსმა 29-ე ადგილი დაიკავა. ქალთა სხეულისა და სულის მცოდნეებს მიაჩნიათ, რომ მათ ცოტა იცხოვრეს, ცოტა იტანჯეს და ცნობილნი არიან მხოლოდ თავიანთი ზომებითა და ჰონორარებით. ფრანგი მამაკაცები უპირატესობას ანიჭებენ ისეთ ქალბატონებს, რომლებსაც სიხარულსა და სევდას გაუზიარებენ; თოფ-მოდელთან კი საერთო მხოლოდ სასტუმროს ნომერი და საწოლი გექნებაო. ფრანგებმა მე-6 ადგილი ამერიკელ მერილინ მონროს მიანიჭეს. მას ინგლისელი — პრინცესა დაიანა მიჰყვება, შემდეგ ჯულია რობერთსი, შერონ სთოუნი. ხოლო იმ ბრიჟიტ ბარდომ, რომელმაც 60-იან წლებში გადარია საფრანგეთის ნახევარი, ამჟამად მე-13 ადგილი დაიმსახურა.

***პარი მატჩი №26/46***

# დემი მური — სექსუალური დედა



ყველა სხვა მოკვდავივით დემი მურიც ჩვეულებრივი ადამიანია, — ამბობენ მისი მეგობრები და იქვე იმასაც დასძენენ, რომ დემი არავის არ ჰგავს.

დემი მური — ჰოლივუდის სუპერვარსკვლავი, თოჯინების კოლექციონერი, სამი ქალიშვილის მოსიყვარულე დედაა, ამავე დროს ის არის ქალი, რომელიც სრულიადაც არ თაკილობს ჟურნალების გარეკანისთვის შიშველი სხეულით პოზირებას და, მეტად მიმზიდველად გამოიყურება ეროტიკულ სცენებში.

პირველი ქმარი ერთი უცნობი როკ-მუსიკოსი იყო, ამჟამად კი მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი მსახიობის, ბრიუს უილისის ოფიციალურ მეუღლედ ითვლება.

დემი მური, რომლის ბავშვობამ ბორბლებზე შემდგარ ვიწრო ტრაილერში გაიარა, დღეს ერთ კინოროლში ათ მილიონ დოლარზე მეტ ჰონორარს იღებს. მიუხედავად ბოლო ორი წლის მანძილზე თავს დატეხილი უსიამოვნებებისა, 37 წლის ასაკშიც შესანიშნავად გამოიყურება. თერთმეტი წლის ცოლქმრული ცხოვრების შემდეგ უილისთან განშორებასა და დედის სიკვდილს არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა მის კარიერაზე. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის, რომ ბოლო დროს იშვიათად ჩანს ეკრანზე. თუმცა როგორც მისი მეგობრები ამბობენ, — დემი უდიდესი ნებისყოფის ქალია, რომელსაც კვლავ ძალუძს ფეხზე დადგომა.

გთავაზობთ ამონარიდს ინტერვიუდან:

**— თქვენ ბევრი რამ გადაგიტანიათ ცხოვრებაში, განსაკუთრებით ბოლო ორი წლის მანძილზე. როგორ უმკლავდებით სიძნელეებს ასე იოლად და თანაც გამუდმებით წინ ისწრაფვით?**

— იმის გაფიქრებისთანავე, რომ შეიძლება კვლავ ისეთ ყოფაში აღმოვჩნდე, როგორიც ბავშვობაში მქონდა, დაუძლეველი სურვილი მიჩნდება, რაიმე ვაკეთო, სადღაც გავიქცე და რაიმე მოვიპოვო. ამასთან, მე სამი შვილი მყავს და არ მინდა, რომ მათ ჩემი ბავშვობა გაიმეორონ. მათი გულისთვის მზად ვარ დღედაღამ ვიმუშავო.

**— თუ დიდძალ ფულს შემოგთავაზებენ, შიშველიც კი დადგებით კამერის წინ?**

— ამაში საძრახისს ვერაფერს ვხედავ. მაოცებს ის ხალხი, რომელსაც მიაჩნია, რომ გაშიშვლებული ქალი ამორალური არსებაა. მე კი ვფიქრობ, რომ ქალის სხეულის სილამაზე ქალურობის ერთ-ერთი გამოვლინებაა.

**— თქვენი პირველი ქმარი ფრედი მური თუ გიყვარდათ?**

— სიმართლე თუ გინდათ, მომწონდა... სიყვარულით კი, ალბათ არა. ეს უფრო სასოწარკვეთილი ნაბიჯი იყო. ძალიან მიჭირდა მარტოს, თანაც მუდამ დიდ, ბედნიერ ოჯახზე ვოცნებობდი, იმაზე, რაც ბავშვობაში არ მქონია.

**— ზოგს მიაჩნია, რომ თქვენი ქორწინება ბრიუს უილისთან ანგარებიანი იყო...**

— მართლა? სამი შვილიც ანგარების შედეგია? ბრიუსი ჩემს ცხოვრებაში ყველაზე საყვარელი მამაკაცი იყო, ჩვენ ახლაც კარგი მეგობრები ვართ.

**— ახლა, როცა ცნობილი მსახიობი ხართ, შესანიშნავი შვილები გყავთ და საკმაოდ შეძლებულადაც ცხოვრობთ, კმაყოფილი ხართ თუ არა ბედით?**

— სავსებით. ერთადერთი პრობლემა — დროის უქონლობაა. მაგრამ მეორე მხრივ, მომწონს ასეთი მჩქეფარე ცხოვრება. ვცდილობ, ჩემს გოგონებს უფრო მეტი დრო დავუთმო.

მოკლედ, არაფერს ვნანობ...

***კალეიდოსკოპი №1-2***

# სიბერეს სიხარული არ მოაქვს

სიბერეს არავისთვის მოაქვს სიხარული, მაგრამ განვლილი წლები განსაკუთრებით ამძიმებს კინოვარსკვლავებს. ეს უმძიმესი პერიოდი დაუდგა 44 წლის ქევინ კოსტნერს. კინორეჟისორებს სხვადასხვა მიზეზით არ სურთ მისი გადაღება. მისი მონაწილეობით დადგმულ სურათებს არანაირი შემოსავალი არ მოაქვს. კოსტნერი ძალიან არის ნაწყენი კინოსტუდია „უნივერსალზე“, რომელმაც ახალი ფილმიდან „თამაშისადმი სიყვარულისათვის“ მისი ბევრი ეპიზოდი ამოჭრა. განსაკუთრებით დაზარალდა სექსუალური სცენები, სადაც კოსტნერი ცდილობდა, განუმეორებელი საყვარლის როლი ეთამაშა. თუმცა, სასინჯი ჩვენების დროს არიზონაში მაყურებელს სიცილი დაუწყია ყოფილი კინოკერპის, ცოტა არ იყოს შეპუტკუნებული სხეულის ხილვისას.



ჯერ კიდევ 10 წლის წინ ვერც ერთი კინოკომპანია ვერ გაბედავდა თუნდაც ერთი კადრი ამოეჭრა კოსტნერის მონაწილეობით, მაგრამ 1995 წლის შემდეგ, როცა გადაღებული იყო ფილმი „წყლის სამყარო“, რომელიც პროდიუსერებს 175 მლნ დოლარი დაუჯდათ და ფილმმა კი მხოლოდ 85 მლნ მოიტანა, კოსტნერის მზე ჩაესვენა.

ბოლო დროს არც ცნობილ რემბოს უმართლებს. თავის წარუმატებლობას სილვესტერ სტალონე კომპანია „მირამაქს ფილმის“ შეფს, ჰავრი ვაინშტაინს აბრალებს. მან დაითანხმა სლაი 25 კგ-ის მომატებაზე, რათა ზონზროხა და ჩლუნგი ნიუ-იორკელი პოლიციელის უფრო რეალური სახე შეექმნა. მსახიობმა პროდიუსერის სურვილი შეასრულა, მაგრამ ფილმი ნაკლებშემოსავლიანი აღმოჩნდა და არ მოუტანა სლაის ის წარმატება, რასაც ვარსკვლავი იყო მიჩვეული. ხოლო რეჟისორებმა ცივი უარი განაცხადეს ჯონად ქცეული მსახიობის გადაღებაზე.

ახლა ვაინშტაინი სთხოვს სლაის, ითამაშოს „რემბო-4“-ში. სტალონეს კი დრამატული როლები უნდა, რომელსაც აღარავინ სთავაზობს. ასეთი მდგომარეობა გულდასაწყვეტია კინოკერპისთვის, რომელიც 80-90-იან წლებში ბრწყინავდა ეკრანებზე და მილიარდობით დოლარს იღებდა.

ერთ-ერთი ბანკეტის დროს ლოს-ანჯელესის ერთ პრივილეგირებულ რესტორანში რეპორტიორი ასეთ სცენას შეესწრო: სილვესტერ სტალონემ მწერალ სიუზენ ფალუდს ნაღვლიანად უთხრა — ჰოლივუდმა ზურგი შემაქცია. საკვირველია, რომ აქ კიდევ მთავაზობენო სასმელს. ნამდვილად ასეა, თითო-ოროლა რეჟისორი თუ ესალმება კერპს მის მაგიდასთან ჩავლისას. ადრე სულ სხვაგვარად იყო, სადაც არ უნდა გამოჩენილიყო რემბო ან დაუმარცხებელი როკი, მას ყოველთვის ხალხი ეხვია გარს. ახლა კი ექსვარსკვლავს, რომელსაც ფილმში 20 მილიონს უხდიდნენ, სულიერად ძალიან უჭირს, დათრგუნვილია — მე აღარ ვარსებობ. ბოლო ორი წლის მანძილზე ერთი ცენტის სამუშაოც არ მქონია — ამბობს სლაი. სტალონესა და მწერალ სიუზენ ფალუდის საუბარი შარშან შედგა. ხოლო ა/წ ოქტომბრის დასაწყისში მწერალმა გამოსცა წიგნი „მოტყუებული ამერიკელი მამაკაცი“.

— მე კიდევ დავბრუნდები ეკრანზე, — აცხადებს ოდესღაც ცნობილი სტალონე, იგი ახლა პენსიაზე გასულ ბალერინას ჰგავს, რომელიც აღარ გამოდის სცენაზე, მაგრამ მაინც მონდომებით ვარჯიშობს.

***მირ ნოვოსტეი №41***

# ასეთია ჯულია

„მე აღფრთოვანებული ვარ ჩემი პირადი ცხოვრებით, თანაც ამისათვის გარეთ გასვლაც არ მჭირდება, საკმარისია პრესას გავეცნო — ხან რიჩარდ გირს მივყვები ცოლად, ხან დანიელ დეილუისთან პაემანზე გავრბივარ, ხან რობერტ დე ნიროს ზედმეტი ყურადღების ცენტრში ვარ, ბრწყინვალეა! ამას რა სჯობს, ასეთი რამეები არც დამესიზმრებოდა!“

**— ამბობენ, რომ თითქმის ყველა პარტნიორთან გქონდათ ახლო ურთიერთობა.**

— ეს რომ მართალი იყოს, მაშინ სამუშაოდ დრო აღარ დამრჩებოდა (იცინის).

**— ფილმში „ნოთინგ-ჰილი“ სუპერცნობილი მსახიობის როლი განასახიერეთ, ეი. პრაქტიკულად თქვენი თავი, ადვილი იყო?**

— ერთადერთი საერთო მე და ჩემს გმირს პროფესია გვაქვს. ისე, სრულიად განვსხვავდებით ერთმანეთისგან, განსაკუთრებით ფილმის დასაწყისში. მთელი მისი ცხოვრება ინერციით მიედინება და არც კი აცნობიერებს — ვინ არის, რას აკეთებს და რატომ. სამაგიეროდ, ფილმის ბოლოსათვის ანა უფრო მგავს — ის უფრო მტკიცე ხდება და იცის, რა უნდა ცხოვრებისგან.



**— მაყურებელი ფილმის ნახვის შემდეგ აღშფოთებულია პაპარაცების თავხედობით. თქვენ როგორ უმკლავდებით მათ?**

— საბედნიეროდ, მათ არც ისე ხშირად ვხვდები, ვცდილობ, ავცდე იმ ადგილებს, სადაც ამ გაუმაძღარი გიენების თავშეყრაა მოსალოდნელი, მე დიდი ხანია ვისწავლე თავის შეკავება და ვცდილობ, იმდენი ვილაპარაკო, რამდენიც საჭიროა.

**— თქვენი აზრით, პოპულარობა ცვლის ადამიანს?**

— ვფიქრობ, რომ არა. უბრალოდ, შენ გარშემო მყოფი ხალხი უკვე სხვაგვარად აღგიქვამს და მათ თვალში სულ სხვა ადამიანი ხარ. ეს ჩემი პირადი აზრია და სხვისი — არ ვიცი...

**— ფილმში ერთი თავშესაქცევი, საინტერესო სიტუაციაა: სადილობის დროს აღმოჩნდება, რომ ერთ-ერთმა სტუმართაგანმა არ იცის, ვინ არის ანა, მიუხედავად მისი უზომო პოპულარობისა. თქვენს ცხოვრებაში თუ იყო მსგავსი შემთხვევა?**

— დიახ, რამდენიმე კვირის წინ, წვეულებაზე, ვიღაც ქალმა მკითხა, — რით ირჩენთ თავსო. იმ წუთში ყოველი მხრიდან შესძახეს: „ეს ხომ ჯულია რობერთსია, მსახიობი!“ მე კი იმ ქალისა შემშურდა. ვიფიქრე, ალბათ ჩვენზე უფრო საინტერესოდ ცხოვრობს და არ მიცნობს იმიტომ, რომ მთელ დროს მხოლოდ პირად ცხოვრებას ახმარს-მეთქი.

**— ამ ფილმში არის ეპიზოდი, სადაც ანას არ აღიქვამენ ისეთად, როგორიც ის სინამდვილეში არის. თქვენ მსგავსი არაფერი მოგსვლიათ?**

— იყო რაღაც ამდაგვარი. ერთხელ, პატარა თავყრილობაზე, ჩემთან მოვიდა ახალგაზრდა კაცი და მკითხა: „თქვენ ხართ ჯულია რობერთსი?“ თავი დავუქნიე, მან კი მიპასუხა, მატყუებ, ჯულია სულ სხვანაირიაო. ხომ არ შევედავებოდი?

**— არის რაიმე უარყოფითი იმაში, რომ ადამიანი ცნობილია?**

— მე ცხოვრებას ისეთნაირად ვიღებ, როგორიც ის არის. რასაკვირველია, არის სიტუაციები, როდესაც მეტი მოთმინება მოგვეთხოვება, ვიდრე სხვებს, მაგრამ ასეთი რამ ყოველი ადამიანის ცხოვრებაში ხდება ხოლმე.

**— მართალია, რომ თქვენ, პირველს შემოგთავაზეს მთავარი როლი, წლის ერთ-ერთ საუკეთესო ფილმში „შეყვარებული შექსპირი“?**

— დიახ, რამდენიმე წლის წინ დავთანხმდი კიდევაც, მაგრამ რატომღაც, ეს საქმე გადაიდო, ბოლოს, სულ მიჩუმდა.

**— როდესაც გვინეთ პელთროუმ ამ როლისთვის „ოსკარი“ მიიღო, თქვენ ალბათ სინანულით ამბობდით: „ეს „ოსკარი“ მე მეკუთვნის!“**

— არა, არა. მით უმეტეს, რომ თავდაპირველი სცენარი სავსებით განსხვავდება ფილმისაგან. ისე რომ, არავითარი პრეტენზია არა მაქვს.

**— ფილმში, რომელშიც ახლა გიღებენ — „ერინ ბროქოვიჩი“ — 20 მილიონ დოლარს გიხდიან. ასეთი თანხისათვის სიხარულით იმუშავებენ ყველაზე „მაგარი“ მსახიობი მამაკაცები. ალბათ ამის შემდეგ მცირებიუჯეტიანი ფილმით ვეღარ მოგხიბლავენ?**

— ჩემთვის ფული არც ისე მთავარია. გაცილებით მირჩევნია იყოს კარგი სცენარი, მონაწილეობდნენ პროფესიონალი მსახიობები, ზღაპრული თანხის გულისთვისაც არ დავთანხმდები ისეთ ფილმში გადაღებას, რომლის სცენარიც არ მომეწონება.

***7 დნეი***

# მან წერილი გაუგზავნა რეიგანს

საველი კრამაროვს ოქტომბერში 65 წელი შეუსრულდებოდა. ტელევიზიამ უარი თქვა მისი მონაწილეობით გადაღებული ფილმების ჩვენებაზე. მხოლოდ ნტვ-მ დაგეგმა მისი ერთი ფილმის „რუსული ბიზნესის“ ჩვენება. მათ, ვინც თავის დროზე წავიდა ქვეყნიდან გაჭირვების გამო, დიდი სიამოვნებით არ იხსენებენ.

„კრამაროვს მაყურებელი თაყვანს სცემდა როგორც კომიკს,“ — ამბობენ კოლეგები. ერთხელ გადასაღებად მისულ მსახიობებს დარაჯი არამც და არამც კარს არ უღებდა. „შენ რა, ჭკუაზე ხარ?“ — მიმართა მას კრამაროვმა. „აა! შენც აქ ხარ?“ — მიუბრუნდა მას დარაჯი და მაშინვე გააღო კარი. მას იღებდნენ ნახევრად სულელურ სასაცილო კომიკურ როლებში. გადაღებულია 34 ფილმში. „ვფიქრობდი, ამერიკა მდიდარი ქვეყანაა და ერთი სულელით მეტი იქნება თუ ნაკლები, მნიშვნელობა არა აქვს-მეთქი“ — წერდა იგი თავის ფელეტონში. ამერიკაში გადაიღეს რამდენიმე ფილმში, იყიდა სახლი სან-ფრანცისკოში... ორჯერ იქორწინა და ეყოლა გოგონა, რომელსაც აღმერთებდა. მეუღლე, მარინა, ლას-ვეგასში ცხოვრობს, ორი მაღაზია აქვს და ზრდის ბავშვს... „ბასია ახლა 9 წლისაა და ძალიან ჰგავს მამას“, — ამბობს მარინა.



ამერიკაში წასვლამდე კრამაროვმა წერილი გაუგზავნა ბრეჟნევსა და რეიგანს. ამ წერილის ამბავი მოედო მსოფლიოს. ეს იყო 1981 წელს. კრამაროვს სამ წელიწადს არ უშვებდნენ რუსეთიდან. „რას წერდა იგი რეიგანს, სიტყვასიტყვით არ მაგონდება, — წერს ალექსანდრ ლევენბუკი, ამჟამად თეატრ „შალომის“ მხატვრული ხელმძღვანელი, რომელიც მაშინ დაეხმარა კრამაროვს რეიგანთან წერილის გაგზავნაში. იგი წერილს უგზავნიდა რეიგანს არა როგორც პრეზიდენტს, არამედ როგორც მსახიობი ყოფილ მსახიობს. წერილი დაახლოებით ასე იწყებოდა: „თქვენ უნდა დამეხმაროთ როგორც აქტიორი აქტიორს“. წერდა, რომ იგი უკვე სამი წელია არ მუშაობს, რომ საჭმელიც კი არა აქვს და ა.შ. წერილი სავსე იყო იუმორით. არ ვიცი, წაიკითხა თუ არა რეიგანმა, მაგრამ სწორედ ეს დაეხმარა კრამაროვს ვიზის მიღებაში. წერილი ორჯერ გადაიცა „ამერიკის ხმით“, გახშირდა ამერიკელი ჟურნალისტების სტუმრობა თეატრ „შალომში“, ატყდა აჟიოტაჟი და ხმაური. შედეგად, იმავე წელს კრამაროვი გაემგზავრა ამერიკაში“.

იქ სამშობლოზე ყოველთვის წუხდა, მაგრამ არ დაბრუნდა, მიუხედავად იმისა, რომ სთხოვდნენ დაბრუნებას. მისი პატარა გოგონა კი ამბობდა: „ჩემი მამიკო ისეთი კარგია, რომ ღმერთს უნდოდა თავისთან ჰყოლოდა და ამიტომ წაიყვანა“.

***სობესედნიკი №40***



# ახალი „ბარბარელა“



ორიგინალური ჩანაფიქრის განხორციელება აქვს გამიზნული პროდიუსერ ვერნერ ბროსს. იგი აპირებს ეკრანებზე შექმნას ახალი „ბარბარელა“, რომელსაც 60-იან წლებში ასახიერებდა კულტად ქცეული ჯეინ ფონდა. მთავარი როლის შესრულებას პროდიუსერი 24 წლის დრიუ ბერიმორის ანდობს.

„მართალია, დრიუ ბერიმორი თვალში საცემად ფუნთუშა, მაგრამ ნიჭიერი მსახიობია და ყველაზე ოსტატურად ბაძავს კოსმოსური სტრიპტიზის დიდოსტატს, რომელმაც ფილმის ბედი მთლიანად შემოაბრუნა და შექმნა კინოხელოვნებაში ახალი სტილი“ — მიაჩნია პროდიუსერს.

— დაბადებული არც კი ვიყავი, ჯეინ ფონდა თავისი სექსუალურობით მაყურებელს რომ აბრუებდა, ყოველთვის თაყვანს ვცემდი მას და ბავშვობიდან ვცდილობდი, მისთვის მიმებაძა. ალბათ, ამიტომაც ვახერხებ ყველაზე უკეთესად ბარბარელას თამაშს. ყოველ შემთხვევაში, ამას მოწმობს როლისთვის საკონკურსო შერჩევა... სადაც მართლაც მომხიბლავი, ძლიერი მეტოქეები მყავდა, — ამბობს დრიუ ბერიმორი.

***ფოკუსი №45***

# როგორ ვაჯობოთ გრიპს

დიდ ბრიტანეთში მძვინვარებს გრიპის განსაკუთრებული სახეობა, რომელიც ავსტრალიიდან, კერძოდ, სიდნეიდან შემოვიდა. 500-ზე მეტი ინგლისელი დაავადდა ამ ახალი ვირუსით, 12 ადამიანი გარდაიცვალა. მეცნიერებს, ჯერჯერობით, არავითარი ცნობები არ გააჩნიათ, თუ რით გამოირჩევა ეს „ახალი" სახეობის ვირუსი. ერთადერთი, რასაც ურჩევენ მოსახლეობას, ეს არის დროული ვაქცინაცია და გრიპის საწინააღმდეგო აბების მიღება.

გამოცდილი ადამიანები გვირჩევენ: დაიწყოთ პროფილაქტიკით. სამწუხაროდ, ყველას არ შეუძლია იამაყოს ძლიერი იმუნიტეტით. **ექიმები გვირჩევენ** გრიპის საწინააღმდეგო აცრებს, ჰომეოპათიური საშუალებებისა და პოლივიტამინების მიღებას.



**პროფილაქტიკისთვის კარგია** ხახვი, ნიორი, მჟავე კომბოსტო, დაჩქნილი ასკილის ნაყენი. აუცილებელი არაა ხახვის და ნივრის ჭამა — შეიძლება მათი კისერზე აგვარონ ბით ჩამოკიდება. ამისთვის გამოგადგებათ „კინდერში" მოთავსებული პლასტიკატის კაფსულა. ჩადეთ შიგ წვრილად დაჭრილი ხახვი, ნიორი. ამის შემდეგ შეგიძლიათ თავისუფლად გაუშვათ ბავშვები საბავშვო ბაღში, სკოლაში. კაფსულის შიგთავსი, რაც შეიძლება ხშირად ცვალეთ. ორგანიზმის გაძლიერებისთვის კარგი იქნება, თუ ორი კვირის განმავლობაში საუზმეზე მიირთმევთ დაღერღილ ხორბალს.

და მაინც, თუ შეგეყარათ გრიპი, არავითარ შემთხვევაში არ წაუხვიდეთ სამსახურში, **გამოიძახეთ ექიმი** — ჩაწექით ლოგინში. ექიმი, რა თქმა უნდა, გამოგიწერთ საჭირო წამლებს, მაგრამ ავადმყოფობასთან ბრძოლაში არანაკლებ დაგეხმარებათ ნაცადი ხალხური საშუალებები. გრიპის დროს მაღალი ტემპერატურა ხშირად რამდენიმე დღე გრძელდება. ზედმეტ მიღებას ნუ იჩქარებთ (ასპირინი 12 წლამდე ბავშვებისთვის საერთოდ არ არის სასურველი). თუ სიცხე 38.5°-ზე დაბალი გაქვთ, მიიღეთ თბილი აბაზანა ან შხაპი (გრიპის დროს შეგიძლიათ იბანოთ, რამდენიც გენებოთ). გარდა ამისა, იცოდეთ, რაც მაღალია ტემპერატურა, მით უფრო შილიფად ჩაიცვით. სვით ბევრი სითხე: თაფლით დამტკბარი გვირილის, ვირისტერფას ნაყენი, ცაცხვის ყვავილის, ძახველის ან ჟოლოს ჩაი, შტოშის მორსი. გარდა ამისა, გახსოვდეთ, რომ ანტიბიოტიკების მიღებისას აუცილებელია ჟოლოს მიღება; იგი B ჯგუფის ვიტამინების წყაროა, რომელიც ეხმარება ორგანიზმს იმუნური სისტემის გაძლიერებაში. შტოშის ნაყენი არა მარტო სიცხის დამწევი საშუალებაა, არამედ მნიშვნელოვნად აძლიერებს ანტიბიოტიკებით წამლობის ეფექტს.

**თუ გაქვთ სურდო**, დაამზადეთ წვეთები: ორთქლის აბაზანაში ადუღეთ მცენარეული ზეთი 30-40 წთ. გაციებულ ზეთში ჩადეთ 3 კბილი ნიორი, 3 მომცრო თავი ხახვი და დადგით 2 საათი. ღამით დაიზილეთ ქუსლები (აქ განლაგებულია ცხვირ-ხახის მნიშვნელოვანი წერტილები). კარგია ვიეტნამური მალამოს გამოყენებაც.

**ხველამ შეგაწუხათ?** ისარგებლეთ ვაშლის ფოთლის ნაყენით ან ანტონოვკის ჯიშის შემწვარი ვაშლით. მიიღეთ ცხლად, უშაქროდ, ცაცხვის თაფლით დამტკბარი. ღამით შეიძლება გაიკეთოთ დაკეპილი ნივრის საფენი, ოღონდ მკერდზე და ზურგზე წაისვით თაფლი, ჩაიცვით თბილი, გრძელსახელოიანი მაისური და დაიძინეთ.

**ყელის ტკივილი** შეგიძლიათ მოირჩინოთ წითელი ღვინისა და შაქრის ნაყენით, დინდგილით — იგი შედის კვიპრის ღეჭვით.

**გთავაზობთ, აგრეთვე,** ექიმი-ვირუსოლოგის იული ბუნის საშუალო გლინტვეინის რეცეპტს. „გრიპის ვირუსი ხშირად შემოდის, მაგრამ ამ გლინტვეინის წყალობით, თითქმის არასოდეს გავხდები ავად", — ამბობს ბუნი.

ჩავასხათ მომინანქრებულ ქურქეულში 300-400 გ მშრალი წითელი ღვინო, ჩავდოთ შიგ ლიმონის 2-3 ნაჭერი, ერთი მჭიქა დარიჩინი, 7-8 ცალი მიხაკის გვირგვინი და ერთი მჭიქა დაფქული მუსკატის კაკალი. დავუმატოთ ერთი სუფრის კოვზი თაფლი. დავდგათ ნელ ცეცხლზე და ადუღებამდე ვურიოთ. როგორც კი წამოდუღდება, ჩავაქროთ ცეცხლი, ქვაბს დავახუროთ ხუფი და ქურაზე დავტოვოთ 20-30 წუთის განმავლობაში. გავფილტროთ და ლოგინში ჩაწოლამდე დავლიოთ, რომ ოფლი მაშინვე მოგვივიდეს. სჯობს, მისი ძილის წინ მიღება, რადგანაც აუცილებელია ლოგინში 2-3 საათი წოლა. ეს გლინტვეინი შეიცავს გრიპის მომაკვდინებელ ფიტონციდებს, C და P ვიტამინებს და სხვა ნივთიერებებს. მისი მიღება არ არის მიზანშეწონილი სუსტგულიანებისთვის.

დღეში 3-4-ჯერ **ცხვირით და პირით შეისუნთქეთ** (აი-აბი ღრმა შესუნთქვა) 2-3 კბილი დაფაცული ნივრისა და ნახევარი თავი ხახვის ნარევი, — თანაბარი რაოდენობის ხორბალი, ქერი და შვრია დადუღეთ, დაასხით მდუღარე წყალი. გაახურეთ 2 საათი. მიღებულ „რძეს" დაუმატეთ თაფლი და თბილი მიირთვით დღეში რამდენჯერმე.

**სურდოს დროს** დღეში რამდენჯერმე ორივე ნესტოში ჩაიწვეთეთ 2-3 წვეთი ჭარხლისა და ალოეს წვენი, ანდა ხახვისა და ნივრის ზეთოვანი ხსნარი.

*მეგაპოლისი №4*


## ყურადღება!
## 100%-იანი გარანტიით

ქალებს, რომელთაც გაწუხებთ ჭარბთმიანობა, ნებისმიერი სახით გამოხატული (ნაპარსი, პინცეტით ამონაღები, ეპილაციით გაღიზიანებული და ა.შ.) გეძლევათ შესაძლებლობა, განიკურნოთ, მხოლოდ ერთი პროცედურით თითოეულ თმაზე. მკურნალობა გრძელდება მანამ, სანამ არ შევეხებით თითოეულ თმას (რა თქმა უნდა, მხოლოდ ერთხელ). მკურნალობის ხანგრძლივობა დამოკიდებულია თმის სიხშირეზე. პროცედურის ჩატარების შემდეგ ყველანაირი პასუხისმგებლობით გრჩებათ უვნებელი კანი და მთელი ცხოვრება დაგღვეული ხართ ჭარბთმიანობისაგან. ანაზღაურება - 1 სთ. - 20$.

**მის: რჩეულიშვილის ქ. (ზემო ვერა), კორპ. 6 სად. II სართ. 9**

**☎ 29-42-58; 877-44-01-22**



SGS - მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევროპის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი
SGS - თანამედროვე ტექნიკური ბაზა
SGS - მაღალკვალიფიციური ექიმი-სექსოლოგები და ფსიქოლოგები
SGS - განკურნების მაქსიმალური გარანტია
SGS - აბსოლუტური ანონიმურობა

**ჩვენი პროფესიონალიზმი თქვენი თვითდაჯერების გარანტიაა!!!**

**ექიმი-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.**

1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის: „პირველი საქორწინო ღამის" პრობლემები.
2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.

ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური **SGS**

თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №5 (ყოფილი „ლეჩკომბინატი"), მე-3 სართ. კაბ. 40-41-42-43. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე


ბოლო ხანებში თბილისში გრიპის გამო ატეხილმა მითქმა-მოთქმამ, შეიძლება ითქვას, აქტუალობით მწვავე პოლიტიკურ ბატალიებსაც გადააჭარბა. რას აღარ გაიგებ — ერთნი ამბობენ, ძლიერტოქსიკურია და თირკმლებს აზიანებსო, მეორენი — ღვიძლს ვნებსო, სხვანი კი, უბრალოდ, სიკვდილის მთესველად მიიჩნევენ. საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა მის წინაშე „ვალი" უკვე მოიხადა, ხოლო დანარჩენი გაურკვევლობით, შიშითა და თრთოლვით შეჰყურებს მომავალს. თუ რამდენად რეალურია გრიპის შესახებ „შეთხზული" ამბები და რა ძალით ემუქრება იგი ჩვენს საზოგადოებას, ამის თაობაზე მსჯელობა ცოტა შორიდან უნდა დავიწყოთ.

## ცოტა რამ ისტორიიდან...

კაცობრიობის ისტორიაში გრიპის რამდენიმე ეპიდემიაა აღრიცხული. მას ჯერ კიდევ ჩვ.წ.აღ-მდე V ს-ში, ჰიპოკრატეს დროს იცნობდნენ და სახელად კატარსის ანუ „სამყაროს სიბინძურისგან განმათავისუფლებელს" უწოდებდნენ. მის მთავარ სიმპტომად ძლიერი ხველა ითვლებოდა, რასაც თან ახლდა ჭუჭყისფერი ნახველის გამოყოფა. ჰიპოკრატეს აღწერით, დაავადება ე.წ. „პნევმოთი" ანუ სულის (ფილტვების) ანთებით რთულდებოდა, რაც ხშირად სიკვდილით მთავრდებოდა.

კატარის სახელით ცნობილი მეორე ეპიდემია საფრანგეთს შუა საუკუნეებში ეწვია. ავადმყოფი ადამიანების პულსის საოცარი ცვლილებებით გაოგნებულმა ლუდოვიკო XIV-ის კარის ექიმმა პიურგომ ამ გრიპს „ცვალებადიც" კი უწოდა.

მომდევნო ეპიდემიამ მსოფლიოს 1588 წელს ჩამოუქროლა. ცხელება, თავდაპირველად, ვენეციაში გავრცელდა და მილანის გავლით ბარსელონამდე მიაღწია, ბოლოს კი, ხომალდებით ამერიკასაც ესტუმრა.

1743 წლიდან დაავადებას ოფიციალურად ეწოდა გრიპი, რაც ფრანგულად „დაჭერას", „ტაცებას" ნიშნავს, ლათინურად კი ინფლუენცია დაერქვა.

1918 წელს მსოფლიოს კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მუხანათი, „ისპანკად" წოდებული უბედურება დაატყდა თავს. მაშინ გრიპმა 20 მლნ ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, რაც ორჯერ აღემატებოდა პირველი მსოფლიო ომის მსხვერპლს.

აზიური გრიპი უწოდეს ეპიდემიას, რომელმაც 1957 წელს მსოფლიოს მოსახლეობა 1 მლნ ადამიანით შეამცირა. ჰონკონგის გრიპი პირველად 1968 წელს გამოჩნდა. იგი ყველაზე „მაწანწალა გრიპის" სახელით შევიდა ისტორიაში. ათიოდ წელში გრიპმა ახალი ზელანდიისა და საფრანგეთის გარდა, ყველა ქვეყანას ჩამოუქროლა და საგრძნობი კვალიც დატოვა.

### საიდან მობიძანებულა ეს სტუმარი?!

დღეს, ჩვენამდე მოღწეულ გრიპს „სიდნეი-97" ეწოდება, რადგანაც პირველად მან 1997 წელს, სიდნეიში იფეთქა. ორიოდე წელში ამ სენმა მოიცვა დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ბელგია, აშშ-ის 31 შტატი, ირლანდია და მსოფლიოს ბევრი სხვა ქვეყანა.

გრიპის გავრცელების ხასიათზე ალბათ იქაც საუბრობენ, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, იგი ეპიდემიად არც საზღვარგარეთ ულიარებიათ. როგორც განგვიმარტეს ამ დროს ყოველ 100.000 მოსახლეზე 400 ერთდროულად დაავადებული ადამიანი უნდა აღირიცხებოდეს.

## რა ხდება ჩვენთან...

საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელის, ბ-ნ რამაზ ურუშაძის მონაცემით კი, უკანასკნელი კვირის მანძილზე თბილისში ასეთი მხოლოდ 481 შემთხვევა დაფიქსირდა. ოფიციალურ მონაცემთა არსებული სიმცირე დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორმა ბ-ნმა პაატა იმნაძემ ორი მიზეზით ახსნა: მოსახლეობა უსახსრობის გამო ვერ მიმართავს სამედიცინო დაწესებულებებს (თუმცა ამით მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა ბევრად არ შეიცვლებოდა) და აღარ არსებობს ე.წ. ბიულეტენების აუცილებლობა.

ეპიდემიოლოგები ჩვენში ავადობის პიკს დაახლოებით თებერვლის დასაწყისში ვარაუდობენ. ამასთან, უნდა დაგამშვიდოთ, ჯანდაცვის სამინისტროს სიკვდილიანობის არც ერთი ფაქტი არ დაუფიქსირებია. უფრო მეტიც, ექიმების მოსაზრებით (მათ შორის მსოფლიოს წამყვანი სპეციალისტებისა), დღევანდელი ვირუსი მოსახლეობას დიდ საფრთხეს არ უქმნის. ზემოთ აღწერილი ეპიდემიებისაგან განსხვავებით, დღევანდელი ვირუსი ნაკლებად ვერაგია. გრიპის ვირუსი მუდმივად განიცდის ცვლილებას, ამჟამინდელი კი ძლიერ არ შეცვლილა, ის წინა წლებში არსებული ვირუსების მსგავსია, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ორგანიზმი შედარებით მომზადებული შეხვდა გრიპის მორიგ შემოტევას.

ერთი კვირის მანძილზე თბილისის სკოლებში სწავლის შეწყვეტის მიზეზად განათლების მინისტრმა, ბ-ნმა ალექსანდრე კარტოზიამ კლიმატური პირობების მკვეთრი ცვლილება, ჩვენი ქალაქისთვის უჩვეულო ცივი ამინდი დაასახელა. ამის გამო, სკოლებში არსებული გათბობა ვერ უზრუნველყოფდა სასკოლო ოთახებში საჭირო დაშვებული პირობების (18 გრადუსი ცელსიუსის) შექმნას. როგორც ბ-ნმა მინისტრმა გაგვიმარტა, ამჟამად ყოველდღიურად მოწმდება სკოლებში შექმნილი პირობები და სწავლის შეწყვეტა როგორც გამოცხადებული იყო, ორშაბათამდე, 31 იანვრამდე მხოლოდ 7 დღით არის ნავარაუდევი. რაც შეეხება პერიფერიებს, განათლების რაიონულ და საქალაქო განყოფილებებს ნება დაერთოთ ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით სამინისტროსთან შეთანხმებით გადაწყვიტონ სწავლის რეჟიმის ცვლილება. ამჟამად სწავლა შეწყვეტილია ქუთაისის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სკოლებშიც.

— გრიპის ვირუსის საწინააღმდეგო მაღალეფექტური საშუალება, ჯერჯერობით, არ შექმნილა. არსებული ვაქცინები კი მოქმედებას მხოლოდ ინექციებიდან 2-3 კვირის შემდეგ იწყებენ, ძალზე ძვირია (თითოეული ინექცია დაახლოებით 10-12 დოლარი ღირს, თანაც ჩვენს სააფთიაქო ქსელში ოფიციალურად არ აღრიცხულა. თუმცა გამორიცხული არ არის ახლო საზღვარგარეთიდან მათი შემოტანის ფაქტი) და არც 100%-იანი ეფექტურობით ხასიათდებიან.

*მაია მუხიგული*

# სიკვდილზე ძლიერნი...

დღესდღეობით მსოფლიოში გულ-სისხლძარღვთა სისტემით დაავადებულ ადამიანთა რიცხვი განუხრელად მატულობს და საკითხი თავისი აქტუალობით ერთ-ერთ პირველ ადგილზეა.

გულ-სისხლძარღვთა პათოლოგიები იმ დაავადებათა რიცხვს მიეკუთვნებიან, რომელთა ზუსტი და დროული დიაგნოსტირება, ზედმიწევნით სწორად შერჩეული მკურნალობა, ექიმის მაღალი კვალიფიკაცია უმნიშვნელოვანესია და, ფაქტობრივად, პაციენტის შემდგომ ბედს განსაზღვრავს.

მაღალკვალიფიციურ სპეციალიზირებულ კარდიოლოგიურ დაწესებულებათა შორის, საქართველოში, პირველ, უკვე პრესტიჟულად ქცეულ კერძო კარდიოლოგიურ კლინიკას „გულს" გამოვყოფდით. ის 1996 წლიდან მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ბატონ ანზორ მელიას ხელმძღვანელობით ფუნქციონირებს. საქართველოში, ამ დიდი სამედიცინო ტრადიციების ქვეყანაში, ძალზე რთულია იმ დიდი სიყვარულისა და ნდობის მოპოვება, რითაც დღეს კარდიოლოგიური კლინიკა „გული" დამსახურებულად სარგებლობს. კლინიკამ ხომ თავისი არსებობის სულ მოკლე ხანში უკვე საკმაოდ გაითქვა სახელი (ამაზე გადავსებული პალატები მიუთითებს). ღირსეულად მოიხვეჭა თავისი პაციენტების მადლიერება და კმაყოფილება (რაზეც შთაბეჭდილებების წიგნში არსებული უამრავი ჩანაწერი მეტყველებს).

კლინიკა ძირითადად ახალგაზრდა, ენერგიული და ნიჭიერი სპეციალისტებით არის დაკომპლექტებული, რომლებიც თერაპიული და კარდიოლოგიური პროფილის ავადმყოფების მაღალკვალიფიციურ სამედიცინო დახმარებას უზრუნველყოფენ.

კლინიკის მესვეურთ ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად უკვე განვითარებული დაავადებების მკურნალობის მიღმა — მათი თავიდან აცილება, პროფილაქტიკა დაუსახავთ მიზნად. კლინიკის სპეციალისტები, თანამედროვე აპარატურითა და რეაქტივებით „აღჭურვილი" ლაბორატორიის მონაცემების საფუძველზე, წარმატებით ებრძვიან ადამიანების ცხოვრების რიტმსა თუ სხეულში „ჩაბუდებულ" დაავადებათა გამომწვევ მიზეზებს. ეს საქართველოში ჯერაც არსად დანერგილი, განსაკუთრებული მიდგომაა. დაავადებათა პროფილაქტიკა ხომ მათი მკურნალობის საუკეთესო საშუალებაა.

კლინიკაში ყველანაირი ადამიანის მოთხოვნილებაა გათვალისწინებული. აქ ფუნქციონირებს პოლიკლინიკა — მათთვის, ვინც მკაცრ წოლით რეჟიმსა და ცხოვრების სტილის შეცვლას არ საჭიროებენ; დღის სტაციონარი — სადაც პაციენტებს დღის ნებისმიერ პერიოდში შეუძლიათ ჩაიტარონ სამკურნალო პროცედურები და შემდგომ ჩვეულ რიტმს დაუბრუნდნენ; ინტენსიური თერაპიის ბლოკი — რაც მწვავე პათოლოგიებით „შეპყრობილი" ავადმყოფებისათვის არის განკუთვნილი. პაციენტები უზრუნველყოფილი არიან მედიკამენტებით, კლინიკო-ლაბორატორიული გამოკვლევებით, საჭიროების შემთხვევაში სხვადასხვა პროფილის ექიმთა კონტროლით, ოთხჯერადი კვებით, ავტონომიური გათბობით, ელექტროენერგიით.

აქ ზედმიწევნით ზუსტად, ინდივიდუალურად განისაზღვრება თითოეული პაციენტის ზოგადი მდგომარეობა, მიმდინარეობს გულის ყოველმხრივი გამოკვლევა (ე.კ.გ. დოპლეროექოკარდიოსკოპია, ველოერგომეტრია).

კლინიკაში საქართველოში პირველად დაინერგა და წარმატებით ფუნქციონირებს ელექტროკარდიოგრამისა და არტერიული წნევის 24-საათიანი მონიტორინგის სისტემა (CARDIO TENS). ეს სპეციალური მოწყობილობაა, რომელიც პაციენტის სხეულზე ფიქსირდება. ადამიანი ერთი დღე-ღამის განმავლობაში მასთან ერთად „შეხმატკბილებული" ცხოვრობს. შედეგი კი ამ ხნის განმავლობაში ზედმიწევნით ზუსტად აღრიცხული არტერიული წნევის ციფრები და გულის კუნთის შიმშილის — იშემიის პერიოდებია. ამ გზით მიღებული მონაცემები ექიმისათვის ძალზე ინფორმაციულია და დანიშნული მკურნალობაც დიდი ეფექტურობით ხასიათდება.

მეორე, რითაც კლინიკას შეუძლია იამაყოს, საქართველოში პირველად დანერგილი-ტელემედიცინაა. ეს ე.კ.გ-ს ტელეფონით გადაცემის სისტემაა. აპარატი, რომელიც პეიჯერის ზომისაა, პაციენტს ეძლევა. მისი საშუალებით კი ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ადგილას ძალზე მარტივად შეეძლება საკუთარი კარდიოგრამის ჩაწერა. შემდგომ ჩვეულებრივი ტელეფონის საშუალებით კლინიკას უნდა დაუკავშირდეთ და სპეციალურ ღილაკზე თითის დაჭერის შემდეგ ყურმილს მიადოთ. შედეგად ე.კ.გ.-ს გადაცემა ხორციელდება. კლინიკაში მიღებულ მონაცემებს კი ექიმი შიფრავს და მაშინვე საჭირო რეკომენდაციებს იძლევა.

ამ მეთოდის ღირსება პაციენტის მიერ აღქმული ტკივილის, გულის არეში დისკომფორტის შეგრძნებისთანავე კარდიოგრამული მონაცემების ჩაწერის შესაძლებლობაა. ამით ექიმს საშუალება ეძლევა, დროულად დაადგინოს ან გამორიცხოს ესა თუ ის პათოლოგია.

თუკი კონკრეტული ავადმყოფის გულ-სისხლძარღვთა სისტემასთან დაკავშირებული პათოლოგიებისა და ზოგადი მდგომარეობის შეფასების შემდგომ დგება ოპერაციული ჩარევის საკითხი — კლინიკა ამ შემთხვევაშიც გეხმარებათ. ის ყოველგვარი დაბრკოლებებისა და „შეწუხების" გარეშე სრული სერვისით გთავაზობთ ოპერაციას ერევნის კარდიოლოგიურ კლინიკაში, სადაც, ჩარევას ცნობილი ამერიკელი ექიმი, მსოფლიოს საუკეთესო ათეულში შემავალი კარდიოქირურგი უძღვება. პოსტოპერაციულ რეაბილიტაციასა და შემდგომ მეთვალყურეობას კლინიკა „გულის" სპეციალისტები ახორციელებენ.

კლინიკაში წარმატებით ფუნქციონირებს, ჩვენში პირველად დანერგილი, ოჯახის ექიმის სამსახურიც. თქვენი და თქვენი ოჯახის ყველა წევრი მუდმივი, რეგულარული დაკვირვების ქვეშ იმყოფებით. საჭიროების შემთხვევაში თქვენს ნება-სურვილზეა სხვადასხვა სპეციალისტთა ფართო არჩევანი. აქ ჩვეულია ექიმსა და პაციენტს შორის მეგობრული ურთიერთობები. უფრო მეტიც, ანზორ მელიას კლინიკა, არც სტაციონარში მკურნალობის შემდგომ წყვეტს თქვენთან კავშირს. იგი რეაბილიტაციის პერიოდით, თქვენი შემდგომი ბედითაც არის დაინტერესებული.

ოჯახის ექიმის სამსახურმა ქრონიკული დაავადებებით შეპყრობილ ადამიანებს თავიდან ააცილა მათი ძირითადი პრობლემით პროვოცირებული გამწვავებების გამო სტაციონარში ხშირი მოხვედრა. კლინიკის საამაყოდ უნდა ითქვას, რომ მათი ოჯახურ პირობებში, მუდმივი კონტროლისა და მკურნალობის საფუძველზე მდგომარეობის სტაბილურობა ნარჩუნდება და ადამიანები ცხოვრების ჩვეულ რიტმსა და წესს უბრუნდებიან.

კიდევ ერთი, რაც ძალზე მნიშვნელოვანი და უპრეცედენტოა — კლინიკის ბაზაზე შექმნილი სასწრაფო სამედიცინო დახმარებაა. სასწრაფო ხომ მაღალკვალიფიციური სტაციონარის ექიმებით არის დაკომპლექტებული!

კლინიკა არც თანამედროვე ცხოვრებას არის მოწყვეტილი. „გულის" კომპიუტერული სისტემა ინტერნეტის ქსელშია ჩართული, აქ ინტენსიურად მიმდინარეობს ახალი კვლევითი მასალების მოძიება, მათი ათვისება და გადამუშავება. კლინიკის სპეციალისტები აქტიურ მონაწილეობას იღებენ როგორც საკუთარი კლინიკის, ასევე საერთაშორისო კარდიოლოგიურ კონფერენციებზე. მელიას კლინიკიდან სპეციალისტების საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ასამაღლებლად და უახლესი მეთოდებისა თუ ტექნოლოგიების ასათვისებლად გაგზავნა ჩვეული მოვლენაა.

ასე რომ, ენდეთ „გულს". აქ თქვენ მზრუნველი ხელი, კვალიფიციური დახმარება და შეღავათიანი ფასები დაგხვდებათ.


***მისამართი: ქ. თბილისი. წინანდლის ქუჩა №9 (I კლინიკური საავადმყოფოს ტერიტორია, მ. „300 არაგველი").***
***ტელ.: 77-07-40; 94-00-11 (სასწრაფო დახმარება)***


R

# გურული პოლტერგეისტი

გაწითლებული მზე ნელ-ნელა ეშვებოდა უნაგირა მთის გადაღმა. წკარაწკურით ტყიდან ჩამობრუნებულმა, კისერზე თუნუქის ზარებშებმულმა ძროხებმაც მიაბღავლეს უკვე თავ-თავიანთ ჭიშკრებს. ჯერ კიდევ უსუსური ბინდიც შეუმჩნევლად იკრებდა ძალას.

ჩოხატაურის რაიონის ეს მთიანი სოფელი იმ დღესაც ჩვეულებისამებრ ხვდებოდა საღამოს — პირუტყვი ბინავდებოდა, ძაღლები ყეფა-ყეფით აცილებდნენ ეზოს წინ, შარაზე ჩავლილ საქონელს. სადღაც სამზადის კარი ჭრიალებდა, ვიღაცა ვიღაცას ეძახდა...

მაგრამ ერთი ოჯახისთვის (გვარს მათ უნებართვოდ არ ვასახელებთ) არ იყო ეს ჩვეულებრივი შეღამება. აქ უჩვეულო დაძაბულობა და შიში ეტყობოდა ყველას, რომელიც ღამის მოახლოებასთან ერთად მატულობდა.

„ის“ — ამაღამაც გამოჩნდება, ნეტავ? ამაღამაც მოვა? — ეს ფიქრი უფორიაქებდა გულს დიდ-პატარას. ოჯახის სამი მოსული ვაჟკაცი ემზადებოდა სწორედ „იმის“ დასახვედრად. ერთ-ერთს „ნაგანიც“ გაერჭო პერანგქვეშ, ქამარში. მათ ამ ღამეს არაფრით არ უნდა დასძინებოდათ...

ტანში ჟრუანტელი მივლიდა, როცა ნოდარი, ამ შემთხვევის მომსწრე, მრავალი წლის შემდეგ, ამავე სოფელში და თანაც ღამე, მიამბობდა ამ უცნაურ ამბავს...

შუაღამე კარგა ხნის გადასული იყო უკვე.

მოკრიალებული ციდან გადმოღვრილი სავსე მთვარის სხივები იდუმალი ჩრდილებით აჭრელებდა არემარეს.



ღრმა ძილში ჩაფლულიყო სოფელი. არ ეძინა მხოლოდ მღელვარებისგან გათანგულ ერთ ოჯახს...

ძაღლის შეყეფება გაბმულ, ზაფრის მომგვრელ ყმუილში გადაიზარდა და აივნის მხრიდან რაღაც ფხაჭუნის მაგვარი ხმებიც მოისმა: მთვარით განათებული აივნის მოაჯირზე, ანაზდად, თითქოს ამოიზარდაო, ამოიმართა „ის“. ჩაშავებული სხეულიდან ყვითლად ანათებდა ოვალური და კილოგაზიდული ორი თვალი... ეს იყო რაღაც კატის მსგავსი არსება, რომელიც აგერ უკვე მერამდენე ღამე იყო, ძილში ეცხადებოდა ამ ოჯახის წევრებს და თავზარს სცემდა. მის ბრჭყალებს აშკარად გრძნობდნენ, მაგრამ ძილ-ბურანში მყოფნი წინააღმდეგობის გაწევას ვერ ახერხებდნენ. დილით კი დაკაწრული და სახედასისხლიანებული იღვიძებდა ყველა.

...პირველი გონს „ნაგანიანი“ მოეგო. იარაღი იძრო და ამ თვალებმოელვარე არსებას დაუმიზნა. „ტკაც... ტკაც-ტკაც“ — სამჯერ დააცემინა რევოლვერმა, მაგრამ არ გავარდა (თუმცა მეორე დილით პირველსავე დასხლეტაზე იქუხა). სამივე გაშმაგებული გამოიჭრა აივანზე, მოქნეულმა კეტმა იქვე, აივნის სვეტს მიახეთქა ცხოველი, რომელმაც უცნაური ხავილი გამოსცა და საკმაოდ მაღალი აივნიდან გადმოვარდნილი ყრუ ბრაგვანით დაენარცხა მიწას. დამხვდურებმა მთვარით განათებულ შარაზე გასხლეტილ სილუეტსღა მოჰკრეს მხოლოდ თვალი, რომელმაც გამოფხიზლებული ძაღლების ღავღავი გაიყოლა თან.

მაინც რა მოხდა?

ამავე სოფელში, ტყის განაპირას, ერთი უცნაური კაცი ცხოვრობდა. ხმები დადიოდა, — ავსულიაო (ასე ეძახიან გურიაში ჯადოქრებს). შეეძლო გათვალვა, ჯადოს გაკეთება და ცხოველად გადაქცევა.

ნოდარმა მითხრა, — ჩვენი წინაპრები სასულიერო პირები (თუმცა სოფელში აღარც ეკლესია იყო და აღარც მისი მსახურნი. სასაფლაოზე მდგარი ეკლესია კომუნისტებმა დაანგრიეს, — ა.კ.) იყვნენ, ამიტომაც ამოგვიჩემა ავსულმაო.

ამ ამბავს მეტად საინტერესო ფინალი აქვს:

მეორე დილით სამივე კარს მიადგა იმ ავსულ მეზობელს. ვარაუდობდნენ — თუ მართლა ის ეცხადებოდათ კატის სახით, მაშინ წინა ღამეს თავგადანახადის რაიმე კვალი მაინც ექნებოდა სხეულზე.

დაძახებაზე ცოლი გამოვიდა. როცა ჰკითხეს, — სად არის შენი ქმარიო, დაბნეული ალუღლუღდა, — შინ არ გახლავთო. ბიჭები არ მოეშვნენ, თითქმის ძალით შეიჭრნენ სახლში.

ლოგინზე მოკუნტული და გვარიანად დალეწილი (როგორც შემდეგ გაირკვა), ავსული დახვდათ.

რა თქმა უნდა, ყველაფერი იუარა, მაგრამ გაცოფებულ ბიჭებს ფაქტი სახეზე ჰქონდათ. დაემუქრნენ — თუ მსგავსი რამ კიდევ განმეორდება, მოგკლავთო.

მართლაც, მას შემდეგ იმ ოჯახში უცნაური აღარაფერი მომხდარა.

ეს ამბავი ამ სოფელში დღესაც ყველას ახსოვს.

ძველთაგანვე ცნობილია, რომ ადამიანს გარკვეული ძალის ზემოქმედებით შეუძლია მიიღოს ამა თუ იმ ცხოველის სახე. ასეთებს „მაქციებს“ უწოდებენ. ისინი უფრო ხშირად მგლად გარდაისახებიან ხოლმე.

წმინდა კიპრიანეს ცხოვრებიდან ცნობილია: სანამ იგი ქრისტიანობაზე მოექცეოდა, იმდენად ძლიერი ჯადოქარი იყო, რომ შეეძლო ნებისმიერი ცხოველისა და ფრინველის სახის მიღება (როდესაც იგი წარდგა სატანის წინაშე, სატანა მას თავის ტახტსა და გვირგვინსაც კი შეჰპირდა). გარდა ამისა, ჩვენში არც ისე ცოტაა მსგავსი თუ სხვა ანომალიური ფაქტები, რომელთა სრული ახსნა ადამიანის ძალას აღემატება, თუმცა, სპეციალისტები გარკვეულწილად ხსნიან კიდეც.

მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება ამ ფაქტზე ეკოლოგიური მედიცინის კვლევის ცენტრის ხელმძღვანელის, ბატონ თემურ შენგელიას კომენტარი: „ასეთი გარდასახვის ორი მეთოდი შეიძლება არსებობდეს. პირველი: ნებისმიერ ადამიანს აქვს შინაგანი ენერგია. თუ მას ძალუძს ამ ენერგიის მართვა, იგი შეძლებს მის კონცენტრირებას და გარკვეული მიზნის განსახორციელებლად მიმართვას. ნებისმიერს აქვს ამის შესაძლებლობა, თუ ამას დაეუფლება (თუ რის ხარჯზე ხდება ასეთი დაუფლება, ამის შესაცნობად საუკეთესო მაგალითია იმავე კიპრიანეს ურთიერთობა სატანასთან. — ა.კ.). კონკრეტულ შემთხვევაში, ენერგიის პატრონის ნებით, ამ ენერგიამ მიიღო კატის ფორმა. „ენერგეტიკული კატის“ მოკვლა ან დაჭერა შეუძლებელია, მისთვის არ არსებობს რაიმე წინაღობა, შეუძლია შეაღწიოს ადამიანის ცნობიერებაში. აგრეთვე ძალუძს, როგორც ნებისმიერ ენერგიას, ფიზიკური ზემოქმედება მოახდინოს ადამიანზე.

მეორე მეთოდი უფრო ესადაგება მოყვანილ ფაქტს: მოქმედი პირი ირჩევს რომელიმე, უკვე ბუნებაში არსებული ცხოველის სხეულს, შემდეგ თავისი „მე“-თი გადადის მასში და უკვე ის მართავს ამ ცხოველის ქცევას. ფაქტობრივად, ეს ადამიანი იმყოფება ტრანსულ მდგომარეობაში. მისი ნამდვილი სხეული არ ეკუთვნის მის „მე“-ს, მისი „მე“ ამ შემთხვევაში უკვე კატაშია და კატის სხეულზე მიყენებული დარტყმა — იქნება ეს ჭრილობა თუ სხვა რაიმე ფიზიკური ზემოქმედება, სწორედ ამ „მე“-ს გადააქვს შემდეგ თავის ნამდვილ სხეულზე.

ეს დაახლოებით იმდაგვარად ხდება, როგორც, მაგალითად, თვითშთაგონებით შეიძლება გაჩნდეს ან პირიქით, გაქრეს სხეულზე იარა ან დამწვრობა. ხშირია შემთხვევები, როდესაც სიზმარში მიყენებული ჭრილობა ან დარტყმა რეალურ კვალს აჩენს სხეულზე.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ აღნიშნულ შემთხვევაში კეტით მიყენებული და აივნიდან გადმოვარდნის შედეგად მიღებული ტრავმები ამ პრინციპით აისახა იმ ადამიანის სხეულზეც“.

***არმაზ კანდელაკი***

**P.S.** ამ პუბლიკაციის მიზანი, რა თქმა უნდა, არ არის საზოგადოების დაშინება. ჩვენ, უბრალოდ, მისი მკითხველისთვის გაცნობა და გარკვეულწილად, ახსნა გვსურდა. ამისთვის კი მაგალითად მოვიხმეთ გურიაში მომხდარი ერთ-ერთი უცნაური შემთხვევა.

ჩვენი თხოვნაა, თუ ვინმეს უშუალო შეხება გქონიათ მსგავს ან სხვა ანომალიურ შემთხვევებთან, მოგვწეროთ. საინტერესო ფაქტებს ამ სფეროს სპეციალისტთა კომენტარითურთ გამოვაქვეყნებთ.

ასევე გთხოვთ, ნუ შეეცდებით, წერილის გალამაზებას თქვენი წარმოსახვის საშუალებით. ყურადღება მიაქციეთ ფაქტების აღწერის სიზუსტეს, წელიწადის დროს, თარიღებს და ა.შ.

# ლენინი ცოცხალია?!





პრეზიდენტ ბორის ელცინის გადადგომის შემდეგ მოსკოვს გამაოგნებელი ჭორი მოედო — თითქოსდა ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში კოდური ნიშნით „პაციენტი №„0“ იმყოფება... ლენინი! იგი სულაც არ მომკვდარა, მხოლოდ კომაშია ჩავარდნილი და აი, უკვე 76 წელია, სწავლულნი მეთვალყურეობენ...

ამ ამბავს უთუოდ საშობაო არაკად მიიჩნევდნენ, მაგრამ ამ ცოტა ხნის წინ ცკს-ს ერთ-ერთმა თანამშრომელმა, რომელმაც, ჯერჯერობით, არ მოისურვა ვინაობის გამხელა, „ექსპრეს-გაზეტას“ სენსაციური ფოტოსურათი გადასცა. დახედეთ! არაკომუნისტიც კი შეამჩნევს, რომ ამ სურათზე გამოსახულია კაცი, რომელიც გაჭრილი ვაშლივით ჰგავს ვლადიმირ ლენინს. სხეული იმავე პოზაში წევს, როგორც წითელ მოედანზე, მავზოლეუმში, ოღონდ არა სარკოფაგში, არამედ საწოლში და შეერთებულია სიცოცხლის უზრუნველსაყოფ სისტემებზე.

— უგუნურებაა იმის თქმა, თითქოს ვიღაცამ მუმიის გაცოცხლება განიზრახა, — ამბობს საიდუმლო ინფორმატორი, — ანდა ფოტოზე აღბეჭდილია გვამის მოსაწესრიგებელი პროცედურა. ყველასათვის ცნობილია, რომ ასეთ შემთხვევაში გვამს განსაკუთრებულ ხსნარში ათავსებენ. საჭირო არ არის არც ფილტვების ხელოვნურად გასანიავებელი აპარატურა, არც ორგანიზმის პარამეტრების რეგისტრაციისთვის საჭირო კარდიოსტიმულატორები და გადამცემები. თუ სურათზე მართლაც ლენინია, მაშინ ის ჯერ კიდევ ცოცხალი ყოფილა. ფოტო ცკს-ს თანამშრომელს შემთხვევით ჩაუვარდა ხელთ; კონკრეტულად სად იმყოფება „პაციენტი №„0“ მან არ იცის, მაგრამ ცნობილია, რომ ე.წ. კრემლის საავადმყოფოში, პრეზიდენტის პალატების გარდა, არსებობს ზესაიდუმლო განყოფილება, სადაც ყველა თანამშრომელს არ აქვს შესვლის უფლება.

სხვათა შორის, დიდი ხანია ლაპარაკობენ, — მავზოლეუმში ლენინი კი არ ასვენია, არამედ მისი ორეულის გვამიო, ზოგი ამბობს, ცხედარი კი არა, ფიტულიაო. ახლა ამ ეჭვებს შეიძლება საფუძველი გაუმაგროს სამედიცინო აპარატურაზე შეერთებული ცოცხალი ლენინის სურათმა, რომელიც ხსნის ბევრ საიდუმლოს, რომლითაც მოცულია მავზოლეუმის ბინადარი. მაგალითად, ამდენი ხანი რატომ არ ასაფლავებენ ლენინს?

**ფიზიოლოგი ვადიმ ევსეევი**: არ მჯერა, რომ ლენინი აქამდე ცოცხალია. მაგრამ თეორიულად ეს შესაძლებელია. მედიცინას გააჩნია ცნობები ადამიანებზე, რომლებიც კომაში 81 თუ 37 წელი იმყოფებოდნენ. კომა რაღაცით საღათას ძილს ჰგავს, ამ მდგომარეობაში ადამიანი თითქმის არ ბერდება.

**ისტორიკოსი არკადი იოფე**: რუსეთში ახლაც არსებობს ლენინის ხელშეუხებელი არქივი, რომელში შეღწევა ყოვლისშემძლე ედვარდ რაძინსკიმაც კი ვერ მოახერხა. არ გამიკვირდება, თუ ოდესმე მოიძებნება დოკუმენტები, რომელიც ცოცხალი ლენინის არსებობის ფაქტს დაამტკიცებს. მედიცინის თვალსაზრისით, სრულიად შესაძლებელია, რომ ბელადის ტვინის ავადმყოფობას გამოეწვია ხანგრძლივი კომა და მაშინ ლოგიკურად მოგვეჩვენება სტალინის საშინელი გადაწყვეტილება ლენინისთვის მავზოლეუმის აშენების შესახებ და ამასთან დაკავშირებული კრუპსკაიას სულიერი განცდები.

ფაქტია, როდესაც საღათას ძილს მინებებული ვლადიმირ ილიჩი ნამდვილად გარდაიცვლებოდა, მაშინ ცხედრებს საიდუმლოდ შეცვლიდნენ.

***ექსპრეს-გაზეტა №3***

# რას გვეტყვით, ვარსკვლავებო!

## 31 იანვარი — 6 თებერვლის ასტროლოგიური პროგნოზი




### ვერძი

კვირა აპათიით დაიწყება. ოთხშაბათიდან შინაგანი მიმზიდველობა მომხიბვლელობას შეგმატებთ. სასიამოვნო ნაცნობობა გელით.




### კურო

დაძაბული შრომის შემდეგ დაისვენეთ ბუნებაში. მალე პასუხისმგებლობა მოგემატებათ. მეგობრების იმედი გქონდეთ. გაუფრთხილდით ახლობლებს.




### მარჩბივი

გეგმების შედგენის დროა... მალე დამშვიდდებით. ეცადეთ, მეტი დრო გაატაროთ შინ და ახლობლებთან.




### კირჩხიბი

პროფესიულ სარბიელზე დიდი წარმატება გელით, ოღონდ არ დაიზაროთ. მიხედეთ საოჯახო საქმეებს.




### ლომი

თქვენს იდეებს კოლეგები მხარს დაუჭერენ. ფინანსურ საკითხებში ექსპერიმენტებს არ გირჩევთ. მეტი მოთმინება გმართებთ.




### ქალწული

სიძნელეები და გაუგებრობა გელით. ნუ აჩქარდებით. გული გაუხსენით ახლობლებს, ისინი ყველაფერში დაგეხმარებიან.




### სასწორი

ენერგიის მოზღვავებას იგრძნობთ. მისი მეშვეობით დიდ წარმატებებს მიაღწევთ. გონიერებითა და სულიერი სიმდიდრით ყველას ხიბლავთ.




### ღრიანკალი

კვირის პირველ დღეებს ოჯახურ პრობლემებს მოახმართ. შეგიძლიათ წამოიწყოთ რემონტი... მომჭირნეობა გმართებთ.




### მშვილდოსანი

იგრძნობთ ენერგიის მოზღვავებას. ოთხშაბათი და ხუთშაბათი ინტელექტუალურ საქმიანობას მიუძღვენით. კვირა საყვარელ ადამიანთან გაატარეთ.




### თხის რქა

კარგი ურთიერთობების დამყარების უნარი დიდ წარმატებას მოგიტანთ. მოულოდნელ შემოსავალს მიიღებთ. ყურადღება მიაქციეთ მშობლებს.




### მერწყული

რომანტიკული კვირა გელით. სიურპრიზებით აავსებთ საყვარელ ადამიანებს. ახალი ნაცნობობა შესაძლოა, სიყვარულში გადაიზარდოს. ნუ დაკარგავთ შანსს.




### თევზები

პირად ცხოვრებაში საინტერესო ცვლილებები გელით. გააკონტროლეთ ნებისმიერი სიტუაცია, არ გაებათ თქვენსავე დაგებულ მახეში.

**გისურვებთ წარმატებებს!**


**ფირმა «გარანტი»**

**აწარმოებს ბრტყელი სახურავების, ღია აივნების, საცურაო აუზების**



**ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოებს იმპორტული მასალით, საუკეთესო ხარისხით. გარანტია — 10 წელი.**

**ანგარიშსწორება ნებისმიერი ფორმით.**

**სამუშაოები სრულდება რესპუბლიკის ფარგლებში.**

**მის: წერეთლის გამზ. №142, „სამთო ქიმიის“ შენობა, მე-3 სართ, ოთახი 78**

**სარეალიზაციოდ გვაქვს იმპორტული ჰიდროსაიზოლაციო მასალები**

**☎ 34-05-52; 63-05-26; 77-43-85-69**

**ვმკურნალობთ**

**ქრონიკულ პროსტატიტს**

— ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წუთში;
— ექოსკოპია, თანამედროვე იაპონური აპარატურით;
— კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით და აპარატურით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის მეთოდით, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

**მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №20 (სპორტის სასახლის უკან) 10-14 სთ.**

**ლითონის საამქრო**

ფარდა-ჟალუზი; ლითონის კარი; „გარმოშკა“; ჟალუზი; ფანჯრის უძრავი გისოსი; ავტოფარეხი. აგრეთვე, ნებისმიერ სართულზე დაგიმონტაჟებთ აივანს.

**ხის საამქრო**

კარ-ფანჯარა; დარაბა, ავეჯი.

მის: მუხიანი, მე-4ა მ/რ მე-4 კორპ.
ტელ: 63-67-52; 877-41-87-75

# რივალდო მსოფლიოში საუკეთესოა

### არაოფიციალური ინფორმაციით „ბარსა“ მასში 100 მილიონს(!) ითხოვს

გასულ ორშაბათს ბრაზილიელმა რივალდომ კიდევ ერთი დიდი აღიარება მოიპოვა. 141 ქვეყნის ნაკრებების მთავარ მწვრთნელთა გამოკითხვით „ბარსელონას“ ლეგიონერი 1999 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა, სპეციალური პრიზი კი ბრიუსელში გადაეცა. ისევე, როგორც „ფრანს ფუტბოლისა“ და „ვორლდ სოკერის“ გამოკითხვებში (როცა რივალდო ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს), რივალდომ ამჯერადაც უდიდესი უპირატესობით გაიმარჯვა. 141 გამოკითხულიდან ბრაზილიელი 91-მა მიიჩნია საუკეთესოდ, 18-მა მწვრთნელმა „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და ინგლისის ნაკრების ნახევარმცველს დევიდ ბექჰემს მიაკუთვნა პირველობა, 5-მა კი „ფიორენტინას“ არგენტინელ ლეგიონერს — გაბრიელ ბატისტუტას. საიდუმლოს არ წარმოადგენს ის, რომ დეკემბრის ბოლოს რივალდოს სერიოზული უთანხმოება ჰქონდა „ბარსელონას“ ჰოლანდიელ მწვრთნელთან — ლუის ვან გაალთან, რომელიც დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, მარცხენა ნახევარმცველის ადგილზე ათამაშებდა ბრაზილიელს. რივალდოს დაახლოებით ერთი თვის მანძილზე არ უთამაშია კატალონიელთა ძირითად შემადგენლობაში, პრესაში კი გაჩნდა ინფორმაციები მისი სხვა კლუბში გადასვლის შესახებ. ყველაზე ხშირად რომის „ლაციო“ მოიხსენიებოდა, რომელიც ბრაზილიელის საფასურად ვითომდა 70.000.000$-ს(!) იხდიდა. ამდენად, ბრიუსელში, რივალდოს დაჯილდოებაზე დამსწრე ჟურნალისტებისათვის მთავარი თემა ფეხბურთელისა და კლუბის ურთიერთობის და რივალდოს მომავალი გეგმების გარკვევა იყო.



ბრაზილიელმა განაცხადა, რომ ვან გაალთან კონფლიქტი შეიძლება დასრულებულად ჩაითვალოს. „ჩემი ოცნება „ბარსელონაში“ დარჩენაა, თუმცა, როცა მწვრთნელი და კლუბის პრეზიდენტი უხეშად ერევიან ფეხბურთელის პირად საქმეებში, ბუნებრივია, ფიქრობ სხვა გუნდში გადასვლაზე. არც „ლაციოს“ და არც „მანჩესტერ იუნაიტედს“ ჩემთვის კონკრეტული წინადადებით არ მოუმართავთ“ — განაცხადა რივალდომ. „ბარსელონას“ ვიცე-პრეზიდენტი ხოსე ლუის ნუნიესი ბრიუსელში გამოსვლისას უფრო კატეგორიული იყო — „2003 წლამდე რივალდოს ტრანსფერზე დაყენება თითქმის წარმოუდგენელია“ — ბრძანა ნუნიესმა და თან დასძინა, რომ ფეხბურთში გამორიცხული არაფერია და დიდი ფულის წყალობით შეიძლება ყველაფერი მოგვარდეს. რა თანხას გულისხმობდა „ბარსას“ პრეზიდენტი „დიდ ფულში“, ძნელი წარმოსადგენია. არაოფიციალური მონაცემებით ესპანელები 100 მილიონ დოლარად შეელევიან მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელს.

საინტერესოა, რომ გამოკითხვის მეორე პრიზიორი — დევიდ ბექჰემიც საკმაოდ სერიოზული პრობლემების წინაშე წარსდგა. მას ინგლისში სასტიკად აკრიტიკებენ კლუბთა მსოფლიო ჩემპიონატზე ჩადენილი საქციელისთვის. შეგახსენებთ, რომ მექსიკურ „ნეკაქსასთან“ მატჩში ბექჰემმა წიხლი უთავაზა მოწინააღმდეგეს და მინდვრიდან გაძევებულ იქნა. „მანჩესტერ იუნაიტედის“ ლეგენდარულმა ფორვარდმა ჯორჯ ბესტმა კი განაცხადა, რომ ბექჰემი არანაირ აღიარებას არ იმსახურებს, რადგან ფეხბურთისა ბევრი არაფერი ესმის. ძნელია დაეთანხმო ამ სიტყვებს, რომელთა ავტორი ბრიუსელში ბექჰემის გასაკრიტიკებლად არ ჩასულა. ბრაზილიელებთან — დიდისთან, ზიკოსთან და ჰოლანდიელ მარკო ვან ბასტენთან ერთად ირლანდიელი „ფეხბურთის დიდების დარბაზში“ დაამკვიდრეს.

წლის საუკეთესო ნაკრებად ბრაზილიის ეროვნული გუნდი დასახელდა, რომელმაც შეინარჩუნა პირველი ადგილი ფიფას რეიტინგში. ყველაზე სწაფად პროგნოზირებად გუნდად კი სლოვენიის ნაკრები აღიარეს, რომელმაც ევროპის ჩემპიონატის საგზურის მოპოვებით ერთბაშად 40 საფეხურით ზემოთ აიწია.

## ფიფას გამოკითხვის შედეგები

1. **რივალდო** (ბრაზილია) — 543 ქულა (91 პირველი ადგილი)
2. **დევიდ ბექჰემი** (ინგლისი) — 194 (21)
3. **გაბრიელ ბატისტუტა** (არგენტინა) — 79 (5)
4. **ზინედინ ზიდანი** (საფრანგეთი) — 68 (8)
5. **კრისტიან ვიერი** (იტალია) — 39 (1)
6. **ლუიშ ფიგუ** (პორტუგალია) — 35 (2)
7. **ანდრეი შევჩენკო** (უკრაინა) — 34 (3)
8. **რაული** (ესპანეთი) — 31 (1)
9. **ენდი კოული** (ინგლისი) — 24 (2)
10. **დუაიტ იორკი** (ტრინიდადი) — 19 (2)

*I ადგილზე — 5 ქულა. II ადგილზე — 3 ქულა. III ადგილზე — 1 ქულა.*

## ვინ საით მიდის?

ტურინის „იუვენტუსი“ აგრძელებს ახალი ფეხბურთელების შეძენას. გუნდის მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ გადაწყვიტა, ესპანეთის „მალიორკადან“ გადაიყვანოს ახალგაზრდა ფორვარდი დიეგო ტრისტანო. მის სანაცვლოდ „იუვენტუსი“ ესპანელებს არგენტინელ ესნაიდერს, ან ურუგვაელ ფონსეკას სთავაზობს. შეგახსენებთ, რომ „ბებერმა ქალბატონმა“ საახალწლოდ კიდევ ერთი ესპანელი ფორვარდი, ხოსე მარი შეიძინა.

პორტუგალიის „პორტუ“ ბრაზილიური „ვასკუ და გამადან“ ცნობილი ნახევარმცველის ჟუნინიოს შეძენას აპირებს და მის სანაცვლოდ საკმაოდ სოლიდური თანხის, 4,5 მილიონი ფუნტის გადახდასაა ყაბულს. საინტერესოა, რომ ჟუნინიოს გადაბირება ჯოვანი ტრაპატონის „ფიორენტინასაც“ ჰქონდა განზრახული, მაგრამ ფეხბურთელი ალბათ საბოლოოდ პროტუგალიურ ვარიანტს აირჩევს.

თემურ ქეცბაიას თანაკლუბელი, „ნიუკასლის“ ხორვატი ლეგიონერი სილვიო მარიჩი „კაჭკაჭებს“ უახლოეს მომავალში დატოვებს, სამშობლოში დაბრუნდება და ზაგრების „კროაციაში“ ითამაშებს. შეგახსენებთ, რომ, ერთი წლის წინ „ნიუკასლმა“ ხორვატ ფეხბურთელში 5,7 მილიონი დოლარი გადაიხადა, მაგრამ მარიჩმა ინგლისელთა იმედები ვერ გაამართლა.

ბრემენის „ვერდერის“ ბრაზილიელი მცველი, „უბერებელი“ ხულიო სეზარი სეზონის დასრულებისთანავე დაემშვიდობება ბუნდესლიგას და კარიერას სამშობლოში დაასრულებს. ბუნდესლიგაში ასპარეზობისას ფეხბურთელმა უდიდეს წარმატებას მაშინ მიაღწია, როცა დორტმუნდის „ბორუსიასთან“ ერთად 1997 წელს ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული გახდა.

„მილანის“ ფრანგი მცველი ბრუნო ნგოტი ამ სეზონის ბოლომდე „ვენეციას“ ღირსებას დაიცავს. შეგახსენებთ, რომ ნგოტი „მილანის“ მესამე ფეხბურთელია, ვინც ამ სეზონში „ვენეციაში“ გაანათხოვრეს. ნგოტიმდე ამ გზას მაურიციო განცი და პიერლუიჯი ორლანდინი გაუყენეს.

## კალათბურთს ვირთხებიც თამაშობენ

ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკში, კაცობრიობის ისტორიაში პირველად გაიმართა მსოფლიოს საკალათბურთო ჩემპიონატი... ლაბორატორიულ ვირთხებს შორის. გამარჯვებულებს (უფრო სწორად მათ პატრონებს) პრიზის სახით 275.000 დოლარი გადაეცათ. ჩემპიონატში მხოლოდ კარგად ნავარჯიშები ვირთხები გამოდიოდნენ. ფინური გუნდის მწვრთნელი სვენ მილბერნი დარწმუნებული იყო საკუთარი გუნდის გამარჯვებაში, მაგრამ გერმანელ ვირთხებს ვერაფერი მოუხერხეს. მატჩები ადამიანური კალათბურთის წესებით მიმდინარეობდა, თუმცა ვირთხები, ბუნებრივია, ბურთს ვერ ისროდნენ, ამიტომ თავიანთ სიმაღლესთან შედარებით ორი-სამი სანტიმეტრით მაღლა დამონტაჟებულ კალათებში უწევდათ პატარა ბურთის მოთავსება. როგორც ხშირად ხდება ადამიანურ კალათბურთში, მოედანზე ერთი მოთამაშე დომინირებდა, რომელმაც გადაწყვიტა კიდეც თამაშის ბედი. მოგახსენეთ, რომ გამარჯვება გერმანიის გუნდმა მოიპოვა, თუმცა ფინელი მწვრთნელი აღნიშნავს, რომ უფრო მნიშვნელოვანი იმ მეცნიერების გამარჯვებაა, ვინც ეს უნიკალური ტურნირი ჩაატარეს.

# ფეხბურთი და მაფია

ევროპის საფეხბურთო ასოციაციებმა აღარ იციან, რა მეთოდი გამოიყენონ კორუფციის წინააღმდეგ და გადაწყვიტეს, უშუალოდ ტურნირის დაწყებამდე არ გაამხილონ ევროპის დამდეგი ჩემპიონატის მატჩების მომსახურე არბიტრთა ვინაობა. გაირკვა, რომ ევროპის რიგ კლუბებში არსებობს მრავალმილიონიანი ფონდები მსაჯების მოსაქრთამად. საფრანგეთში არბიტრებს მასპინძელი გუნდების მესვეურები საუკეთესო პარიზელი მეძავებით უმასპინძლდებიან, რომლებსაც ერთ ღამეში 3000-დან 5000 დოლარამდე უხდიან. იტალიური კლუბები კი ფირმა „როლექსის“ 10.000 დოლარიან ოქროს საათებს სთავაზობენ მსაჯებს. თუ საათი არ მოისურვეს, ფულით უნაზღაურებენ. საფეხბურთო კორუფცია ევროპაში მხოლოდ მსაჯების მოსყიდვით რომ იწყებოდეს და მთავრდებოდეს, იმდენად საგანგაშო კიდევ არ იქნებოდა. საქმე ის არის, რომ მაფიოზთა დაკვეთებით მთავრდება იტალიის (არა მარტო იტალიის) ჩემპიონატის დაბალი ლიგის მთელი რიგი შეხვედრები. ახლახან ნეაპოლში ფარდა აეხადა მაფიოზური დაჯგუფების საქმიანობას. იქაურ ტოტალიზატორს ადგილობრივი მაფია — „კამორა“ აკონტროლებდა. ტოტალიზატორები იტალიაში ლეგალურია და ნებისმიერ მსურველს შეუძლია ამა თუ იმ მატჩზე ფსონის დადება. მაფიოზთა პროგრამისტები წინასწარ ანგარიშობდნენ, რა შედეგით იყო ხელსაყრელი ამა თუ იმ შეხვედრის დასრულება და „შეკვეთები“ პირდაპირ სტადიონებზე მიდიოდა. ერთ „ჩაწყობილ“ თამაშზე „კამორა“ დაახლოებით ნახევარ მილიონ დოლარს შოულობდა. ფეხბურთელებს კი, რომლებიც ბრძანებას არ დაემორჩილებოდნენ, არც მეტი, არც ნაკლები, — სიკვდილი ელოდა.

ეს პირველი შემთხვევა როდია, როცა იტალიაში მსგავსი დაჯგუფების საქმიანობას აეხადა ფარდა. 1997 წელს იტალიელმა სამართალდამცავებმა ამხილეს ჯგუფი, რომელიც ერთბაშად 54 ტოტალიზატორს აკონტროლებდა.

## ჰოდლი „საუთჰემპტონის“ მწვრთნელია



ინგლისის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი გლენ ჰოდლი, რომელიც გასულ წელს ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ თანამდებობიდან გაათავისუფლა, ამიერიდან პრემიერლიგის „საუთჰემპტონს“ ჩაუდგება სათავეში. შეგახსენებთ, რომ რამდენიმე თვის წინ მის გადაბირებას პორტუგალიის „სპორტინგი“ ცდილობდა, მაგრამ უშედეგოდ. ჰოდლს „ასტონ ვილასა“ და „ნიუკასლის“ შესაძლო თავკაცადაც მოიხსენიებდნენ, თუმცა 42 წლის სპეციალისტმა „საუთჰემპტონი“ არჩია, რომელთანაც ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. „საუთჰემპტონი“ დიდი პოტენციალის მქონე გუნდია და დარწმუნებული ვარ, რომ კლუბი წელსვე დიდ წარმატებას მიაღწევს“ — განაცხადა ახალმა მწვრთნელმა, რომელიც 1996 წლის ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ დაინიშნა ინგლისის ნაკრების მთავარ მწვრთნელად და ამ პოსტზე ორ წელიწადზე დიდხანს დაჰყო. 1999 წლის 2 თებერვალს „უემბლიზე“ საფრანგეთის ნაკრებთან წაგებული მატჩი ჰოდლის სანაკრებო კარიერისთვის უკანასკნელი აღმოჩნდა.

## გარდაიცვალა „დიდი მუზარადის“ პირველი გამარჯვებული

პენსილვანიის შტატის ქალაქ სკრანტონში 84 წლის ასაკში გარდაიცვალა ლეგენდარული ჩოგბურთელი დონ ბაჯი. შესაძლოა, ჩოგბურთის ახალგაზრდა მოყვარულებს მისი სახელი ბევრს არაფერს ეუბნებოდეს, მაგრამ სწორედ მან მიაღწია ჩოგბურთში იმას, რაზეც ნებისმიერი ჩოგბურთელი ოცნებობს.

1938 წელს დონ ბაჯიმ ერთი სეზონის მანძილზე „დიდი მუზარადის“ ოთხივე ტურნირი — ავსტრალიის, ამერიკის, საფრანგეთის ღია პირველობები და უიმბლდონის ტურნირი მოიგო. მას შემდეგ ვერავინ მიაღწია ასეთ წარმატებას, მათ შორის, ვერც პიტ სამპრასმა, რომელსაც ბევრი სპეციალისტი „საუკუნის ჩოგბურთელად“ მიიჩნევს. დონ ბაჯის სახელთანაა დაკავშირებული კიდევ ერთი უნიკალური მიღწევა, — 1938 წელს მან უიმბლდონზე სამივე ტურნირში გამარჯვება მოიპოვა, როგორც პირად, ასევე წყვილსა და შერეულ წყვილებში.

## თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით...

### ძვირფასო მკითხველო, «კვირის პალიტრა» თქვენი დახმარებით გახდება უფრო უკეთესი და საინტერესო

გთხოვთ, შეავსოთ ეს კითხვარი და გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით

1. თქვენი ასაკი
- ☐ 18 წლამდე
- ☐ 18-24
- ☐ 25-34
- ☐ 35-44
- ☐ 45-54
- ☐ 55-64
- ☐ 65-ზე მეტი

2. სქესი
- ☐ ქალი
- ☐ მამაკაცი

3. განათლება
- ☐ არასრული საშუალო
- ☐ საშუალო/საშუალო სპეციალური
- ☐ არასრული უმაღლესი
- ☐ უმაღლესი

4. საქმიანობა
- ☐ მოსამსახურე
- ☐ მუშა
- ☐ ფერმერი/გლეხი
- ☐ სტუდენტი/მოსწავლე
- ☐ ბიზნესმენი/მეწარმე
- ☐ უმუშევარი
- ☐ დიასახლისი
- ☐ პენსიონერი

5. რამდენია თქვენი ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი?
- ☐ 50 ლარამდე
- ☐ 50-200
- ☐ 200-500
- ☐ 500-1000
- ☐ 1000-ზე მეტი

6. რამდენად ხშირად კითხულობთ „კვირის პალიტრას“?
- ☐ ყოველ ნომერს
- ☐ ხშირად
- ☐ ხანდახან
- ☐ იშვიათად

7. კვირის რომელ დღეს ყიდულობთ „კვირის პალიტრას“ (უმეტესად)?
- ☐ ორშაბათი
- ☐ სამშაბათი
- ☐ ოთხშაბათი
- ☐ ხუთშაბათი
- ☐ პარასკევი
- ☐ შაბათი
- ☐ კვირა

8. რამდენი ადამიანი კითხულობს „კვირის პალიტრის“ თქვენს ეგზემპლარს?
- ☐ მხოლოდ მე;

*(ჩაწერეთ რაოდენობა)* ——— ადამიანი

9. როგორ შეაფასებდით „კვირის პალიტრას“?
- ☐ საქართველოში არსებულ სხვა გაზეთებზე უკეთესია
- ☐ საქართველოში არსებულ სხვა გაზეთებზე უარესია
- ☐ ჩვეულებრივია, ჰგავს სხვა გაზეთებს

10. დაახლოებით რამდენი ხანია, რაც „კვირის პალიტრას“ კითხულობთ?
- ☐ ეს პირველი ნომერია
- ☐ 1-2 თვე
- ☐ 2-6 თვე
- ☐ 6-12 თვე
- ☐ 1-2 წელი
- ☐ 2-4 წელი
- ☐ დაარსებიდან

11. რომელ რუბრიკას კითხულობთ ყველაზე მეტი ინტერესით?

______________________________

______________________________

12. აქცევთ თუ არა ყურადღებას რეკლამას გაზეთში?
- ☐ დიახ ☐ არა ☐ იშვიათად

13. გაქვთ თუ არა „კვირის პალიტრის“ გამოწერის სურვილი?
- ☐ დიახ ☐ არა ☐ არ ვიცი

14. ყველაზე მეტად რა მოგწონთ „კვირის პალიტრაში“?

______________________________

______________________________

15. ყველაზე მეტად რა არ მოგწონთ „კვირის პალიტრაში“?

______________________________

______________________________

16. დაასახელეთ, თქვენი აზრით, სამი ყველაზე მრავალტირაჟიანი გაზეთი საქართველოში

1. ______________________________
2. ______________________________
3. ______________________________

17. თქვენი რჩევა „კვირის პალიტრას“

______________________________

______________________________

______________________________

**გადახაზეთ შესაბამისი უჯრა ☒**

*(ყუთების ადგილმდებარეობის შესახებ იხ. 28-ე გვერდზე)*

# ლავრენტი ბერია დღესაც ცოცხლობს



ვოლგოგრადში შეიქმნა ეროვნულ-ბოლშევიკური პარტიის ახალი ორგანიზაცია „ნორჩი ბერიელები“. ეს ამბავი თავდაპირველად კურიოზს უფრო ჰგავდა, თითქოს არ მოიძებნება ამ სისხლიანი ჯალათის ორგანიზაციაში შესვლის მსურველი, მაგრამ წარმოიდგინეთ, მოკლე ხანში 10-14 წლის ახალგაზრდებმა სახელოზე ეროვნულ-ბოლშევიკების სიმბოლიკა დაიკერეს. თვით ბერიაზე მათ მხოლოდ ის იციან, რომ იგი „იყო სტალინის თანაშემწე, ამერიკელებს მოჰპარა ატომური ბომბი და ჩეჩნებს სცემდა“. ორგანიზაციის ხელმძღვანელი, მაქსიმ ანოხინი და მისი „თანამებრძოლები“ მოზარდებს პარტიის შესატყვისი იდეებით ზრდიან — „ბერია სულაც არ იყო მონსტრი, ბავშვებს სწორედ ასეთი ლიდერი სჭირდებათ — ძლიერი, ლამაზი მამაკაცი. მშობლებიც არ უკრძალავენ ბავშვებს ჩვენთან ურთიერთობას“, — ამბობს ანოხინი. ნორჩ ბერიელებს ეკრძალებათ ალკოჰოლის მიღება, სიგარეტის მოწევა და ნარკოტიკების გამოყენება; მათ აქვთ დემოკრატიული ლოზუნგების ჩამოხევის უფლება, უნდა იცხოვრონ ლავრენტი ბერიას მაგალითით. იგი ხომ მაგარი ბიჭი იყო და ყველას ეშინოდა მისი.

ასე რომ, დღითი დღე იზრდება ახალგაზრდა ექსტრემისტთა ორგანიზაციების რაოდენობა. „ჩვენ თუ ახლა არ შევავსებთ მათ გონებას ბომბებითა და დინამიტებით, ხვალ იგი სნიკერსებით, ჩუპა-ჩუპსითა და დისნეით შეივსება. შემდეგ კი სარდაფში „წებოს“ მოსინჯავენ“, — აცხადებენ ორგანიზაციის შექმნელები.

***იზვესტია №1***

# ჰუმანიზმი ევას კოსტიუმით

ავსტრალიის ქალაქ უეიპში ორიგინალური საქველმოქმედო აქცია ჩატარდა. აქციაში უამრავმა მოხალისემ მიიღო მონაწილეობა. ღონისძიების აპოთეოზად იქცა მოქალაქეთა გრანდიოზული გარბენი ევას კოსტიუმით. დღისით, მზისით ორმა ასეულმა ქალმა და მამაკაცმა, ფეხსაცმლის გარდა, ყველაფერი გაიხადა და მოსეირნეთა თუ მაყურებელთა თვალწინ სრულიად დედიშობილა გაუყვა ქალაქის მთავარ მაგისტრალს.

ღონისძიების ორგანიზატორებმა თავმოყრილი ხალხისაგან დიდძალი ფული შეაგროვეს სანიტარული ავიაციის ადგილობრივი რაზმისათვის, რომელიც სამედიცინო მომსახურებას უწევს შორეული სოფლების მცხოვრებთ.

„დედიშობილა გარბენი“ აგერ უკვე რვა წელია ტარდება და საქველმოქმედო ფონდის თანხამ უკვე 20.000 დოლარს მიაღწია.

***ვოტ ტაკ №2***

# რეკლამის ძალა



ამერიკელი მოვაჭრეები ხშირად მიიზიდავენ კლიენტებს შიშველი ქალების მეშვეობით. მაგალითად, ლოს-ანჯელესის ერთ-ერთი ავტოსალონის Supercar moto Shop-ის მეპატრონეებმა კალიფორნიის გზატკეცილებზე მეტად ლაკონიური რეკლამა გამოფინეს: „სუპერგოგონები? სუპერავტომობილები!“ ავტორების ჩანაფიქრით, მძღოლების უმრავლესობა მამაკაცია, ამიტომაც ასეთი რეკლამა სწორედ რომ მისწრებაა მათ მოსანადირებლად. და თუ პირველი სარეკლამო ფარები შედარებით ზომიერი იყო თავისი შინაარსით, სამაგიეროდ, ბოლო ხანს მათზე შიშველი ქალებია გამოსახული. ამიტომ საქმეში ზნეობის დამცავები ჩაერივნენ. რამდენიმე საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ მოსთხოვა ლოს-ანჯელესის ოფიციალურ ორგანოებს, შეწყვიტონ პორნოგრაფიის გავრცელება გზებზე, რადგან სარეკლამო ფარები „მძღოლთა ყურადღებას იპყრობს, რაც შეიძლება ავარიის მიზეზიც გახდეს, ამასთან მანქანებში ხშირად არიან ბავშვები, რომელთა ფსიქიკასაც შიშველი სხეულის გამოსახულება ვნებს“.

სანამ ქალაქის ხელმძღვანელობა განცხადებას განიხილავდა, ენთუზიასტები სარეკლამო ფარებს ამსხვრევდნენ. მაღაზიის მეპატრონენი კი, რომელთაც ამ რეკლამის წყალობით კლიენტები მოემატათ, შიშველ ქალებს ისევ ჰკიდებდნენ. ადგილობრივი ადმინისტრაციის მოთმინება ერთმა ანეკდოტურმა შემთხვევამ ამოწურა: ღამის პატრულმა სარეკლამო ფართან, რომელზეც მობანავე ქალიშვილი იყო გამოსახული, ნორჩი აქსელერატი გამოიჭირა, რომელსაც მამიკოს „კადილაკი“ სახელდობრ ამ ფარის სანახავად მოეპარა. პატრულის რაპორტის შემდეგ საქმეში ზნეობის პოლიცია ჩაერია და ავტოსალონის მეპატრონეები აიძულა, ჩამოეხსნათ ფარი და გადაეხადათ ჯარიმა შემდეგი ფორმულირებით: „არაჯანსაღი გავლენა ახალგაზრდობაზე“.

***დი ცაიტ №1***



# ცხვირი პარტნიორს გაპოვნინებთ

ქალაქ მიუნხენის ინგლისურ პარკში არის ადგილი, სადაც ერთმანეთს მარტოხელა ადამიანები ხვდებიან. გაცნობა აქ კვირაობით ხდება შემდეგი რიტუალით: ერთმანეთის პირისპირ დგება ხუთი მამაკაცი და ხუთი ქალი ახვეული თვალებით. ერთმანეთთან გამოლაპარაკება აკრძალულია — პოტენციური პარტნიორის აღმოჩენა ხდება... ცხვირით, ინსტინქტის მეშვეობით. პარფიუმერიული სურნელი თამაშში არ მონაწილეობს — ყველაფერს მონაწილეთა ბუნებრივი არომატი განსაზღვრავს. ასეთი წესით შერჩეულ პარტნიორებს (ამჯერად თვალხილულებს) ნაცნობობის გაგრძელება მეზობელ რესტორანში შეუძლიათ. შეხვედრების ორგანიზატორია 40 წლის პარიკმახერი იურგენ ვეიტი. პარტნიორთა პირველი ტესტები ცხვირის მეშვეობით, იურგენ ვეიტის აზრით, წარმატებით ჩატარდა. ტყუილად როდი ამბობენ გერმანიაში, თუ გულისა და სარეცლის გაერთიანება გსურს, ცხვირს ჰკითხეო.

***კალეიდოსკოპი №1-2***

# კატასტროფები — 2000

## ცეცხლი — გამანადგურებელი

ბუდაპეშტის პარკის ერთ-ერთ საგამოფენო დარბაზში ცეცხლი გაჩნდა. მეხანძრეთა მოსვლამდე პრაქტიკულად მთელი ნაგებობა დაიწვა, მასთან ერთად უნიკალური ექსპონატები.



## ქალაქი წყალში

დასავლეთ საფრანგეთის ქალაქ რედონის მრავალი ქუჩა წყალმა წალეკა. რამდენიმე დღის შემდეგ, შეუწყვეტელი წვიმის გამო ნაპირებიდან გადმოვიდა მდინარე ვიდენი, რაც ამ ქალაქის მცხოვრებთათვის უბედურებად იქცა.

## ტრაგედია გზატკეცილზე

ბრაზილიაში — ავტოკატასტროფის შედეგად დაიღუპა 41 კაცი და ოცზე მეტი დაშავდა. სანტა-კატარინას შტატის ყველაზე ხალხმრავალ გზატკეცილზე ერთმანეთს შეეჯახა ორი ავტობუსი, ორი მსუბუქი მანქანა და ავტობუსი. ტრაგედიის მიზეზს იკვლევენ.



## სიკვდილი ლიანდაგებზე

ნორვეგიის ქალაქ რენთან ახლოს, რკინიგზაზე საშინელი კატასტროფა მოხდა. ორი სამგზავრო მატარებლის შეჯახებამ იმსხვერპლა 10 ადამიანი, 20 უკვალოდ გაქრა. ისინი ან დაიწვნენ, ან ვაგონების ქვეშ მოყვნენ.

***კალეიდოსკოპი №4***

# ფრანგების ეროვნული სიამაყე



შამპანური ფრანგებისთვის ეროვნული სიამაყეა — ფრანგული ელეგანტურობისა და ხიბლის სიმბოლო. მის დიდ ნაწილს (60%) თვითონ ფრანგები მიირთმევენ, დაახლოებით 20 მლნ ბოთლს გერმანია და დიდი ბრიტანეთი ყიდულობს, 13 მლნ-ს კი ამერიკა.

შამპანური პროვინცია შამპანში მოკრეფილი სამი ჯიშის ყურძნისგან დაწურულ ღვინოს ეწოდება. იგი შამპანის მხოლოდ 5 რაიონში მოდის, ვენახების ფართობიც მკაცრად არის განსაზღვრული — 30 ათასი ჰა. მათი მფლობელია 15.500 კაცი. ეს სასმელი პირველად XVII ს-ში დააყენა ბენედიქტელმა ბერმა პერინიონმა. მან დუღილდაუმთავრებელი ღვინო ბოთლებში ჩაასხა და დახუფა, რითაც ღვინოს ბუნებრივი გაზი შეუნარჩუნა. მანვე დაამუშავა სხვადასხვა ჯიშის შერჩევის (კუპაჟის) ტექნოლოგია, რამაც გააუმჯობესა ღვინის გემო. XVIII ს-ის დასაწყისში შეიქმნა შამპანურის პირველი სახლი „ჩენატი“, XIX ს-ის დასაწყისში მადამ კლიკომ კიდევ უფრო დახვეწა შამპანურის წარმოების ტექნოლოგია (მეორადი დუღილი ბოთლებში, პერიოდული ნჯღრევა, დეგორიგაჟი (ლექის მოშორება), კუპაჟი, დაძველება — საშუალოდ სამი წელი). ბოთლებში ჩასხმული შამპანური ინახება კირქვის გამოქვაბულებში, სადაც მზის სხივი არ უნდა აღწევდეს, ტემპერატურა მუდმივად $+10^0$-ია. საბოლოო დეგორიგაჟისა და დახუფვის წინ უმატებენ ლერწმის შაქრის ლიქიორს.

შამპანური სუფრაზე მიაქვთ საგანგებო სათლით, რომელშიც ყინულია ჩაყრილი, ბოთლს კი ტილო აქვს შემოხვეული.

***ფავორიტი №24***

# ჩვეულებრივი სასიძოსიძოდ

ცივილიზებულ სამყაროში ქალის მხრიდან სიყვარულში გამოტყდომა, თუნდაც ქალთა ემანსიპაციის საუკუნეში, ნაკლებდამაჯერებლად ჟღერს, მაგრამ არა ყველგან. მაგალითად, დანიაში მსგავსი რამ გაოცებას სულაც არ იწვევს, თუმცა მხოლოდ ერთადერთ დღეს — 29 თებერვალს — ნაკიანი წლის ზამთრის ბოლო დღეს დანიელ ქალებს უფლება აქვთ გული და ხელი შესთავაზონ თავიანთ რჩეულებს. ამიტომაცაა, რომ ოთხ წელიწადში ერთხელ დანიაში მხიარული ქორწილები იმართება. რა თქმა უნდა, ქალების ყველა წინადადება როდია მიღებული. სანაცვლოდ, კომპენსაციის სახით უიღბლო საცოლეს „საქმრომ“ 12 წყვილი ახალი ხელთათმანი უნდა აჩუქოს.

***ჟენსკიე დელა №2***

# ცნობილ „ჰეროდსს“ რეგალიები ჩამოერთვა

ეგვიპტელმა მულტიმილიონერმა მუჰამედ ალ-ფაიედმა ბრიტანეთის ხელისუფლება, სპეცსამსახური მი-5 და პირადად პრინცი ფილიპი დაადანაშაულა მისი ვაჟიშვილისა და პრინცესა დაიანას წინასწარგანზრახულ მკვლელობაში.

ედინბურგის ჰერცოგმა რამდენიმე დღის წინ საპასუხო „დარტყმა“ აგემა: ბუკინგემის სასახლის პრესსამსახურმა გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პრინცი ფილიპი ცნობილ ინგლისურ უნივერმაღს „ჰეროდსს“ თავის ხარისხის ნიშანს ართმევს. უნივერმაღის მფლობელი კი მილიონერი ალ-ფაიედია.

ბრიტანეთის სამეფო საგვარეულოს გერბი (ლომისა და მარტორქის გამოსახულება) ნებისმიერ პროდუქტზე მისი უმაღლესი ხარისხის მაჩვენებელია. სამეფო ოჯახი ამ განსხვავებულ ნიშანს ბრიტანეთის საუკეთესო მწარმოებლებს აძლევს. მაგალითად, სამეფო ნიშნის მფლობელია მსოფლიოში ცნობილი საკონდიტრო კორპორაცია „ქედბერი“, აგრეთვე ინგლისური ჩაი „ერლ-გრეი“. ლონდონის უნივერმაღი „ჰეროდსი“, რომელიც საუკეთესოა ბრიტანეთის კუნძულებზე, ერთდროულად სამი სამეფო ხარისხის ნიშანს ფლობს — (ედინბურგის ჰერცოგის, დედოფალ ელისაბედ II-ისა და უელსის პრინცისა). სამი სამეფო შტანდარტი ამშვენებს „ჰეროდსის“ შენობას ლონდონის ნაითსბრიჯ-ავენიუზე. ამბობენ, 1993 წელს ალ-ფაიედმა სხვადასხვა ფინანსური მაქინაციის მეშვეობით შეიძინა ეს უნივერმაღიო. მას შემდეგ, რაც ინგლისის ხელისუფლებამ უარი უთხრა ბრიტანეთის მოქალაქეობაზე, განაწყენებული მილიონერი ყოველ მოხერხებულ დროს აძაგებს გაერთიანებული სამეფოს ხელისუფლებას და არც თვით სამეფო ოჯახს ერიდება. პრინცი ფილიპის მსგავსად, უნივერმაღს ხარისხის ნიშანს ჩამოართმევენ დედოფალი და ედინბურგის ჰერცოგი, რის შემდეგაც „ჰეროდსი“ რეგალიების გარეშე დარჩება.

***ნოვიე იზვესტია №4***

# ასოციაცია



**თარაზულად:** 5. ქლიავი, ჭური; 6. არაყი, „ვარციხე“; 8. თავგადასავალი, შანტაჟი; 11. ნავთი, პატრუქი; 14. ჭიდაობა, იაპონია; 15. ამფითეატრი, რომი; 16. დენი, ვოლტი; 17. კომპოზიტორი, მწერალი; 20. ლაბორატორია, სისხლი; 22. ტომარა, დიოგენე; 23. მსხალი, გარგარი; 26. კაპიტალიზმი, სოციალიზმი; 27. პერანგი, ჩოხა; 28. ამბიცია, ინტერესი.

**შვეულად:** 1. მცენარე, სითბო; 2. ჭიდაობა, რინგი; 3. გიურზა, პითონი; 4. სასაფლაო, ოჯახი; 7. ქარიშხალი, მიწისძვრა; 9. მარტი, შემოდგომა; 10. სტუდენტი, ხარისხი; 12. მხალი, კომბოსტო; 13. სუფრა, ჭურჭელი; 18. გორი, თუშეთი; 19. ია, გვირილა; 21. ლიქიორი, ნუში; 24. ფიჩხი, სისუფთავე; 25. ჰაე, ალფა.

**წინა ასოციაციის პასუხები:**

**თარაზულად:** 7. რიგოლეტო; 8. სხვიტორი; 9. ბინდი; 11. იმამი; 12. აბორიგენი; 15. ტრიუმი; 18. ტავრია; 19. არქიელი; 20. გვერდი; 21. დალაქი; 23. სერვისი; 26. რეგატა; 27. სკივრი; 31. მინოტავრი; 33. ატომი; 34. მაისი; 35. სტუდენტი; 36. სტაქსელი.

**შვეულად:** 1. დირიჟორი; 2. ბორდო; 3. სტამბა; 4. სხვენი; 5. ატამი; 6. კრამიტი; 10. რინგი; 13. ამეთვისტო; 14. გალაქტიკა; 16. ბროდვეი; 17. ალიანსი; 22. დეპუტატი; 24. ვოლტი; 25. ბრიუსელი; 28. ნიკიტა; 29. ორბიტა; 30. ამადუ; 32. ვალსი.

ოსმალეთის ხონთქარს ბაიაზიდს მეტსახელად „ილდირიმ“ (ელვა) შეარქვეს. XIV საუკუნის ბოლო წლებში მართლაც ელვისებური სისწრაფით დაიპყრო თითქმის მთელი ბალკანეთის ნახევარკუნძული — სერბეთი, ბულგარეთი, მაკედონია, ბოსნია. ოსმალებმა ჯვაროსანთა ლაშქარიც დაამარცხეს მდ. დუნაის პირას. რამდენჯერმე ალყა შემოარტყეს კონსტანტინოპოლს, მაგრამ ვერ აიღეს. ბაიაზიდმა მერე აღმოსავლეთის მიმართულებითაც გაილაშქრა, ქურთისტანი და აზერბაიჯანი დაარბია, რაც საბედისწერო შეიქნა მისთვის.

თემურ-ლენგმა მუქარა შეუთვალა ხონთქარს: შენ ფრანგებზე (ე.ი. ევროპელებზე) გალაღებულხარ და ცხვირში ქარი შეგჯდომია, ის ქარი უნდა ამოგართვაო.

1402 წლის 28 ივლისს ანგორასთან (მცირე აზიაში) მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა თემურ-ლენგისა და ბაიაზიდის უზარმაზარ ჯარებს შორის. საომარი ყიჟინა ცის ქუხილს ემსგავსებოდაო, — გვაუწყებენ. მოკლულთა სიმრავლე ისეთი იყო, რომ მინდორზე მოფენილი მძოვრისაგან ცხენებს მოძრაობა უჭირდათო.

ოსმალები სასტიკად დამარცხდნენ. თემურ-ლენგმა „ცის ვარსკვლავებზე და ზღვის ქვიშაზე“ მეტი ტყვე იგდო ხელთ და მათ რიცხვში — თვით ბაიაზიდიც.

თემურ-ლენგმა დამარცხებულ მეტოქეს თვალ-პირი გადაუკოცნა და თავის ტახტზე დააბრძანაო.

მეორე დღესაც მოინახულა და უნებურად სიცილი აუტყდა. ხონთქარს ეწყინა და თემურს უთხრა: დღე უღამოდ არავის უნახავს; ყველაფერი იძვრის, მიწად იქცევაო.



თემურმა მიუგო: ალაჰსა ვფიცავ, ჩემი გულის საამებლად და სამხიარულოდ არ გამიცინიაო. უნებურად იმაზე გამეცინა, რომ ღვთის წინაშე ქვეყნიერება რაოდენ უფასოა, რომ ჩემისთანა კოჭლმა და თქვენისთანა ელამმა ცუდ საქმეზე ორასი ათასი კაცი ერთმანეთს შევახოცეთო.

მართლაც სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს...

ხალხის მეხსიერება თავის სახელოვან შვილთა სახელებთან ერთად სამუდამოდ ინახავს იმ მტარვალთა სახელებსაც, ვინც ენით გამოუთქმელი ვაება მიაყენა მშობლიურ მიწა-წყალს. ზოგიერთი დამპყრობელი ცხრა მთას იქიდან მოსულა და ზოგსაც ათიოდე დღის სავალი გზა თუ გამოუვლია, მაგრამ ერთნაირი გახელებით თესდნენ სიკვდილს და თაობიდან თაობას გადაეცემოდა მათი ავკაცობის შემაძრწუნებელი ამბავი. ვენახები გაუჩეხავთ, რათა მთელი ხმელეთი საძოვრებად გადაექციათ; წიგნები დაუწვავთ, რათა სამარადისოდ დაეთრგუნათ სული ხალხისა; ტყვეები ნახირივით წაუსხამთ და სისხლის მდინარეებით მოურწყავთ გაპარტახებული ქვეყანა.

წარსული დროდადრო ცოცხლდება ხოლმე ჩვენს ფიქრსა და ნააზრევში, დარღვეული დროთა კავშირი აღდგება და მძაფრი ტკივილი ილვიძებს სულში, გარდასულ ჟამთაგან რომ წამოსულა და ლამის გაუტოლდეს აწინდელ ჭირთა მოზღვავებას.

ზემოთქმულს საუცხოოდ ადასტურებს გიორგი ლეონიძის ორსტროფიანი ლექსი ციკლიდან „მოგზაურობა სამშობლოში“.

უშფოთველი დასაწყისი საოცნებოდ განაწყობს მკითხველს: „მთვარე კაშკაშებს მტრედისფერ ბურში, თამარის სახის დასადარელი. მთები... სიჩუმე, როგორც ბნელ ჭურში... ფოთლის არხევას არსად არ ელი“...

პოეტს დაუხატავს იდილიური პეიზაჟი და მეტი რაღა მოეთხოვება? რამდენ სიამეს გვპირდება სიცოცხლე — უძვირფასესი განძი განგებისა, რამდენჯერ დამდგარა მშვენიერი წუთი, რომელსაც შეაჩერებდი, რომ შეგეძლოს... მაგრამ „არა მარტო ტკბილ ხმათათვის“...

პირველი სტროფის მომხიბლავ ჰარმონიას მოულოდნელად არღვევს მეორე სტროფი, ეგებ გაუგებარიც რომ აღმოჩნდეს სხვათათვის, ბედნიერი ქვეყნების შვილთათვის: „უცბად მეყნოსა სუნი დამწვრისა, თემურის ხანძართ ნატისუსალი, თითქოს მან ქართლი ამ წამს გასრისა და ერთი ფეხით ვერ მივუსწარი!“

თემურის ხანძართ ნატისუსალიო, — მწარედ აღმოხდა პოეტს. ქართლის ცხოვრების უებრო ტრფიალსა და მცოდნეს ძვალრბილში იმდენად გასჯდომია ჩვენი ქვეყნის უბედურებად მოვლენილი დამპყრობლის მოლანდება, რომ უკვე სხვა თემაზე დაწერილ ლექსშიც შეგვეჩეხება მისი სახელი: „როგორც ხმალი, ძმებო, ტამერლანისა, სიყვარული ისე დამჯახებია“ (ტამერლანი იგივე თემურ-ლენგია).

სიკვდილივით ძლიერია სიყვარულიო — ამბობს „ქებათა-ქება“ და ქართველ პოეტს სიკვდილის სიმბოლოდ ახსენდება სისხლისმღვრელი მახვილი საქართველოს მაოხრებელი ხელმწიფისა, „კოჭლი ვეფხვი“ რომ შეარქვეს.

საქართველოს მეფეს — ბაგრატ მეხუთეს განგებამ წილად არგუნა, რომ თემურ-ლენგის თანამედროვე ყოფილიყო.

დიახ, თანამედროვე იყო სახელგანთქმული დამპყრობლისა, რომელიც თამამად იჭერს ადგილს მსოფლიოს ყველაზე გამორჩეულ მტარვალთა შორის.

აი, როგორ ამკობს მას იმდროინდელი სომეხი ისტორიკოსი თომა მეწოფელი: ბილწი და ბოროტი ვეშაპი, უმოწყალო და მძვინვარე მხეცი, შეუბრალებელი და სასტიკი ხელმწიფე — აღსავსე ყოველგვარი ბოროტებითა და ეშმაკის მაცდუნებელი ცბიერებით.

ამ ავადსახსენებელი თემურ-ლენგის თანამედროვე გახლდათ ბაგრატ მეხუთე, რომელიც ცნობილია ჩვენს ისტორიაში, როგორც „ბაგრატ დიდი“.

ბუნებრივია, იბადება კითხვა — რატომ ეწოდა ამგვარი მეტსახელი? რით მოიხვეჭა ასეთი პატივი?

ბაგრატი გამეფდა 1360 წელს. თემურ-ლენგის პირველი შემოსევა საქართველოში თარიღდება 1386 წლით.

რა მოიმოქმედა ბაგრატმა ისეთი სასახელო ამ მეოთხედი საუკუნის მანძილზე, რომ „დიდი“ უწოდეს?

ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს: „ხოლო ამას დიდი მეფე ბაგრატ იმისათვის ეწოდა, რამეთუ იყო მძლეველი და გამარჯვებული, თვინიერ თემურისა, ყოველთა წინააღმდგომთა თვისთა ზედა, რამეთუ ორასითა მხედრითა არა ჰრიდებდა ათასთა და მოსწყვეტდა სრულიად. კვალად არა დაჰმორჩილდა მძლავრსა და იღვაწა ქვეყნისა თვისისათვის“.

აქ არაფერია ნათქვამი იმაზე, თუ სახელდობრ ვისა სძლია და რომელი მტერი დაამარცხა საქართველოს მეფემ. მაგრამ საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ვახუშტის სიტყვები: თემურს არ დამორჩილდაო...

თემურ-ლენგი მოადგა საქართველოს.

ბაგრატ მეფე ძალზე დამწუხრდა, ვინაიდან არ ძალუძდა ღირსეული წინააღმდეგობის გაწევა მრისხანე დამპყრობლისათვის, რომელსაც, მითქმა-მოთქმის თანახმად, 800 ათასი მეომარი მოჰყავდა.

მეფე გამაგრდა თბილისის ციხეში. თემურმა ალყა შემოარტყა ციხეს. ქართველი დიდებულნი, როგორც ხშირად ხდებოდა ხოლმე, თავიანთ მამულებსა და სიმაგრეებში გაიხიზნენ.

ბაგრატ მეფეს უთქვამს: „ფრიად უმჯობეს და სანატრელ არს სიკვდილი სარწმუნოებასა ზედა ქრისტესსა, ვიდრეღა მორჩილებასა და იძულებით შეპყრობასა მძლავრისა მის მიერ“.

ფიცხელი და სისხლისმღვრელი ბრძოლა გაჩაღდა.

თემულ-ლენგი პირადად მონაწილეობდა გადამწყვეტ იერიშში.

ძალები უთანასწორო იყო და გამარჯვების სასწორი მომხვდურთა მხარეს გადაიხარა.

ბედმა ვერ გაიმეტა სანატრელი სიკვდილი ბაგრატისათვის და იძულებითი შეპყრობით დააჯილდოვა.

ბერძენი ისტორიკოსი მიქელ პანარეტოსი მოგვითხრობს, რომ 1386 წლის 21 ნოემბერს თემურ-ლენგმა „ხელთ იგდო საოცარი თბილისი, ტყვედ ჩაიგდო გამოჩენილი სარდალი ბაგრატ მეფე... ხალხი კი გაჟლიტა მახვილით და გაანადგურა. რა ქონება იგდო ხელთ, რა ხატები გაძარცვა და დასწვა, რამდენი თვალი პატიოსანი, მარგალიტი, ოქრო და ვერცხლი წაიღო, არავის შეუძლია აღწეროს“.



თომა მეწოფელის სიტყვით, დახოცილნი ცოცხლად დარჩენილებზე მეტნი იყვნენ.

თემურ-ლენგს ერთობ გაუჭირდა თბილისის ციხის აღება. ბაგრატ მეფემ გმირული წინააღმდეგობა გაუწია, თავგანწირვით იბრძოდა, მაგრამ ეს ეპიზოდი, რომელიც საქართველოს მეფის დატყვევებით დამთავრდა, რასაკვირველია, ვერ გამოდგება მისი მეტსახელის ასახსნელად.

თემურ-ლენგმა თბილისის ციხეში თავისი გარნიზონი დატოვა. შიდა ქართლს მარბიელი რაზმები გაუსია და გამოსაზამთრებლად ყარაბაღს მიაშურა.

დაჟინებით მოუწოდებდა დატყვევებულ ბაგრატ მეფეს, გამაჰმადიანდიო.

იმასაც სხვა რა გზა ჰქონდა, დაემორჩილა თემურის ნებას. „ქართლის ცხოვრება“ მოგვითხრობს: „მაშინ ლანგ-თემურ განიხარა სიხარულითა დიდითა და შეიტკბო მეფე ბაგრატ“.

დამწუხრებული ქართველი მეფე კი შურისძიებაზე ფიქრობდა. მან შესთავაზა თემურ-ლენგს: მომეცი შენი ჯარი და მთელ საქართველოს შენს რჯულზე მოვაქცევო.

თემურმა ისევ „განიხარა სიხარულითა დიდითა“ და აუსრულა სათხოვარი ბაგრატ მეფეს. 12 ათასი მეომარი გააყოლა მთელი საქართველოს დასამორჩილებლად.

ბაგრატმა საიდუმლოდ ამცნო ლაშქრის მარშრუტი თავის ძეს — გიორგი ბატონიშვილს. ქართველები დათქმულ ადგილას ჩაუსაფრდნენ მტერს და ერთიანად შემუსრეს. თუკი ვირწმუნებთ მემატიანის სიტყვებს, თორმეტი ათასი კაციდან ერთიც არ გადარჩენილა.

ქართული წყაროს ცნობას თემურ-ლენგის ლაშქრის გაჟლეტაზე ადასტურებს ზემოხსენებული თომა მეწოფელი.

მოხდა სასწაული და საქართველოს მეფემ მწარე მარცხი აგემა უძლეველი თემურ-ლენგის ლაშქარს.

ეგებ ამიტომაც უწოდეს „ბაგრატ დიდი“?

რას ამბობენ საისტორიო წყაროები ბაგრატ მეფის გამაჰმადიანების შესახებ?

„ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ, რომ მეფემ მხოლოდ და მხოლოდ ქართველთა გამოხსნისათვის დათმო თავისი სარწმუნოება.

ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „ჰყო ბოროტი ესე და იქმნა მაჰმადიან, რათა დაეღწეს თემურს და შურ-აგოს ამათთვის“.

თომა მეწოფელის სიტყვით, „ქართველთა მეფე აღივსო წმიდა სულის სიბრძნით“ და შურისძიების ჩანაფიქრს ხორცი შეასხაო.

სპარსული წყარო აღფრთოვანებით გადმოგვცემს: „ცდომილის ბნელ არსებაში სწორი გზის მაჩვენებელმა სხივმა ჩაიხედა შემწეობის სარკმლიდან“.

ჩახედვით კი ჩაიხედა, მაგრამ იქ დიდხანს არ დაყოვნებულა.

ქართველ მემატიანეებს არც დრო ჰქონდათ და არც წადილი, რომ დაწვრილებით გაეშუქებინათ ბაგრატ მეფის განცდები იძულებით კომპრომისთან დაკავშირებით. ეს სიუჟეტი მხატვრის კალამს ელოდა.

გამოხდა ხანი. დადგა XIX საუკუნე და ახალმა დროებამ ახლებურად აახმიანა ძველი ტკივილი.

აკაკი წერეთლის მუზა მხოლოდ თორნიკე ერისთავისა და პატარა კახის საგმირო საქმეებს როდი მოუხიბლავს. ბაგრატ მეფის თავგადასავალმა და სულიერმა კონფლიქტმა თემურ-ლენგის ტყვეობაში ყოფნისას შთააგონა ისტორიული პოემა „ბაგრატ დიდი“.

ამ ნაწარმოების პროლოგში მოკლედ არის გადმოცემული თემურ-ლენგის პირველი შემოსევა საქართველოში და ბაგრატ მეფის დატყვევება.

აკაკი წერეთელი არ მიელტვის ბატალურ სცენებს. მისი კალამი სხვა გეზით ირჯება. სულ სხვა რამ იზიდავს პოეტს. ქართველი მეფის სულში ჩაწვდომა სწადია.

აკაკი წერეთელი გმირის შინაგან მონოლოგთა ნაცვლად მიმართავს დიალოგს ოპონენტთან და ამით მეტ ეფექტს აღწევს.

პოეტს სცენაზე გამოჰყავს შეთხზული პერსონაჟი — მეფის სულიერი მოძღვარი, სახელად ისაკი, რომელიც დაუნდობლად თათხავს ბაგრატს ქრისტიანული სარწმუნოების ღალატის გამო: ფოლადის გული რამ შეგიცვალაო? შენი გვირგვინი და შენი დიდება შენივე ხელითვე რატომ დააჭკნეო? სახელოვანი მეფე ქართველთა ასე როგორ დაეცი სულით, რომ სიკვდილს გამაჰმადიანება ამჯობინეო? შენი ღალატით ქართველებს რა მაგალითს აძლევო? ტყუილად გვეგონა, რომ სამშობლო გიყვარდაო. დღეს თვალი აგვეხილა და ვიხილეთ, რაც გულში გქონია დაფარულიო...

მოძღვარი შეაჩვენებს გამაჰმადიანებულ მეფეს და პირში მიახლის მგზნებარე აფორიზმს: „ცოცხალ მონაზე უმჯობესია თავისუფლების ძებნაში მკვდარი!“

ბაგრატ მეფე მოთმინებით უხსნის თავის მოძღვარს, რომ ამქვეყნად არსებობს ორი ჭეშმარიტება — ნამდვილი და მოჩვენებითი, მათი გარჩევა მეტად ძნელია და შენი საბრალო გული ამჯერად შემცდარაო. შენი შეჩვენებით როგორ შეაშფოთებ იმ კაცს, რომელმაც ტკბილი სამოთხე მწარე ჯოჯოხეთზე გაცვალაო.

ისაკი გმობს მეფეს, თავის გადასარჩენად გამაჰმადიანდიო.

მეფე უმტკიცებს, საქართველოს სიყვარულმა მაიძულაო. მერე შეახსენებს სამშობლოს თავზე დატრიალებულ უამრავ ვაებას: კალოზე გალეწილ ჩვილებს, მათი დედების მოთქმას, ხელფეხშეკრულ და დატიტვლებულ ქართველ ჭაბუკებს, მინდორში რომ დაეყარათ დამპყრობლებს და ზედ დაჯირითობდნენ.

ყოველივე ეს ხომ შურისძიებას ითხოვდა!

ბაგრატ მეფე მოძღვარს უმხელს თავის ჩანაფიქრს: რადგანაც ძლიერ მტერთან პირდაპირი ბრძოლით ვერაფერს გავაწყობთ, ხერხი და ცბიერება თუ გვიშველისო. თემურ-ლენგი მხოლოდ გამაჰმადიანებულს მომენდობა და სული ჩემი ამიტომაც გავწირეო. ვიცი, ჯოჯოხეთის ტანჯვა არ ამცდება, მაგრამ სამშობლოს დასახსნელად მზად ვარ, ჯოჯოხეთსაც კი დავემონოო.

და ისაკის ზემოთქმულ აფორიზმს უპირისპირებს თავისას: „მაგრამ, ვინც მამულს სულსაც არ სწირავს, იმას არ ჰქვია მამულიშვილი!“

აკაკი წერეთლის პოზიცია მკაფიოდ არის გამოკვეთილი. პოეტის რწმენით, თავგანწირვას ზოგჯერ სულის განწირვა სჯობს.

და აი, სულიერი მოძღვარი აღტაცებით მიმართავს მეფეს: მეც შენთანა ვარო. მერე კი ვკითხულობთ საოცარ სტრიქონებს: „და დაიყვირა: უნდა უარგყო და ნუ შემრისხავ შენ, მაცხოვარო!“

მეფე და მისი ერთგული მოძღვარი, მუხლმოყრილნი სასოებით შეჰყურებენ ზეცას და უხმოდ ევედრებიან საქართველოს დახსნას ჭირთაგან.

მეფემ სული განწირა სამშობლოსათვის...

ეგებ სწორედ ამ ღვაწლის გამო უწოდეს „ბაგრატ დიდი“?

განწირა სული თვისი და ამის საზღაურად ერთხელ მაინც დაამარცხა ძლევამოსილი თემურ-ლენგი, მტარვალი მტარვალთა შორის.

***თამაზ ნატროშვილი***




და შტამპების
ფირმების
რეგისტრაცია
აუდიტი
რუსთაველის 22
☎99-86-09;
38-37-89



# ტაისონი დაბრუნდა!

## მისმა მეტოქემ რინგზე ერთი რაუნდი გაძლო...



29 იანვარს მანჩესტერში უნიკალური საკრივო წარმოდგენა გაიმართა. ლეგენდარული მაიკ ტაისონი კარიერის მანძილზე პირველად ეწვია ევროპულ რინგს. ბრძოლა ჯერ კიდევ მის გამართვამდე იქცა 2000 წლის უმთავრეს საკრივო მოვლენად.

„ინგლისში მხოლოდ მოსაგებად ჩამოვედი, ისეთ ფორმაში ვარ, მეშინია ფრენსისი არ შემომაკვდეს, ინგლისელებს ვაჩვენებ, რას ნიშნავს რინგზე ნამდვილი ომი“ — აცხადებდა ჩხუბის დაწყებამდე მაიკ ტაისონი და შიშის ზარს სცემდა აქამდე ყველასათვის უცნობ მეტოქეს — დიდი ბრიტანეთის ჩემპიონის ტიტულით შემოფარგლულ ჯულიუს ფრენსისს, რომელიც მატჩამდე მეტად თავშეკავებული გახლდათ, თუმცა როგორც პროფესიონალ მოკრივეებს სჩვევიათ, ისიც მეტოქის განადგურებით იმუქრებოდა. კრივის სპეციალისტთა უმრავლესობა მანჩესტერში გასამართ ჩხუბს ბრძოლაზე მეტად შოუს უწოდებდა და ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ ტაისონი სიტყვას შეასრულებდა და თუ არ მოკლავდა, ნოკაუტში მაინც გაგზავნიდა ფრენსისს. ინგლისელი ბუკმეკერები ამერიკელის მოგების შანსს 16-ჯერ მეტად აფასებდნენ, თანამემამულის შანსებთან შედარებით. ბრძოლაზე დასასწრები 23000 ბილეთი მომენტალურად გაიყიდა, მიუხედავად იმისა, რომ ტაისონის რინგზე ნახვის მსურველებს საკმაოდ სოლიდური თანხის გადახდა მოუხდათ. ჩხუბის ორგანიზატორი ფრენკ უორენი კი დღემდე ნანობს, ბრძოლა მანჩესტერის სტადიონზე რომ არ ჩაატარა, სადაც ორჯერ მეტი მაყურებელი მოიყრიდა თავს.

რაც შეეხება თავად ბრძოლას, პირველი რაუნდის მეორე წუთი მიმდინარეობდა, ფრენსისი პირველად რომ აღმოჩნდა იატაკზე, მეორე რაუნდის დაწყებიდან წუთი და სამი წამის გასვლის შემდეგ ბრიტანელი კვლავ ძირს გაიშხლართა და იძულებული გახდა წინააღმდეგობა შეეწყვიტა. მიუხედავად იმისა, რომ ფრენსისმა მერვე დათვლაზე წამოდგომა სცადა, მსაჯებმა ბრძოლა დასრულებულად სცნეს და „რკინის მაიკის“ გამარჯვება დააფიქსირეს. 47 გამართული ბრძოლიდან ტაისონმა 41-ე გამარჯვება მოიპოვა ნოკაუტით. მთლიანობაში ჩხუბის სუფთა დრომ 4 წუთი და 3 წამი შეადგინა. ბრძოლას მოწყურებული ინგლისელი გულშემატკივარი, რომელიც თანამემამულეზე მეტად ტაისონს უჭერდა მხარს, აღტაცებულიც დარჩა და გულნატკენიც. სანახაობა ვადაზე ბევრად ადრე დამთავრდა. ჯულიუს ფრენსისთან ბრძოლა დავიწყებას მიეცა და იწყება ახალი ერა კრივის ისტორიაში... იწყება ტაისონსა და ლენოქს ლუისს შორის ბრძოლის სამზადისი, ბრძოლისა, რომელმაც შესაძლოა მაიკ ტაისონი „საუკუნის მოკრივედ“ აქციოს, მისთვის ალბათ ეს ტიტული უფრო ძვირფასი იქნება, ვიდრე ფანტასტიკური ჰონორარი, 100.000.000$, რომელსაც ლუის-ტაისონის შესაძლო ბრძოლის მონაწილეებს პირდებიან. ტაისონი ჯერ კიდევ ფრენსისთან ბრძოლის წინ აცხადებდა, რომ ლენოქს ლუისთან საბრძოლველად მას ერთი წელი მაინც დასჭირდება მოსამზადებელი პერიოდის სახით. „რკინის მაიკის“ პრომოუტერები ალბათ უახლოეს მომავალში დაასახელებენ მათი კლიენტის მომავალი მეტოქის ვინაობას, ბრძოლის გამართვის ადგილსა და თარიღს. მოგეხსენებათ, წელს ამერიკის ტერიტორიაზე ჩხუბის უფლება მაიკ ტაისონს ჩამორთმეული აქვს და შესაძლოა მომავალი ბრძოლაც ევროპაში გამართოს. ფრენსისის ძლევით, „რკინის მაიკი“, 8 მილიონით გამდიდრდა, მისი მეტოქე კი სულ რაღაც 560.000$-ით. ტაისონს 2 მილიონი ინგლისშივე დაუხარჯავს, უძვირფასესი საათი და ფორმულა-1-ის ცნობილი გუნდის „მაკლარენის“ ბოლიდი შეუძენია.

# რობერტო კარლოსი მანჩესტერში?



„მანჩესტერ იუნაიტედი“ მზადაა მოლაპარაკება დაიწყოს მადრიდის „რეალთან„ კლუბის ბრაზილიელი მცველის რობერტო კარლოსის შეძენასთან დაკავშირებით. „წითელი ეშმაკების“ თავკაცმა ალექს ფერგიუსონმა განაცხადა, რომ კარლოსის სახით, კლუბის ვეტერან დენის ირვინის იდეალურ შემცვლელს ხედავს. 34 წლის ირვინმა საბოლოოდ გადაწყვიტა ირლანდიის ნაკრების დატოვება და ამ სეზონის ბოლოს საერთოდ კარიერის დასრულებას აპირებს.

რობერტო კარლოსის კონტრაქტის ვადა სამეფო კლუბთან ზაფხულში იწურება. ასე რომ ინგლისელებს ფაქტობრივად უფასოდ შეუძლიათ რობერტო კარლოსის გადაბირება. იმ შემთხვევაში, თუ ბრაზილიელმა მცველმა „იუნაიტედის“ წინადადება მიიღო, იგი კლუბის ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი გახდება და ხელფასის სახით კვირაში 82.000$-ს მიიღებს. თუმცა ბრიტანელებს კარლოსის შეძენის მსურველი საკმაოდ სერიოზული კონკურენტი ჰყავთ, ტურინის „იუვენტუსის“ სახით. გამორიცხული არ არის, რომ „ბებერმა ქალბატონმა“ რობერტო კარლოსს უკეთესი პირობები შესთავაზოს და აქედან გამომდინარე ტურინში გადაიბიროს.

# ჟაკემ ზიდანი „დაამარცხა“

საფრანგეთის ნაკრების მიერ მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოპოვების ორმა მთავარმა შემოქმედმა, გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ემე ჟაკემ და კაპიტანმა ზინედინ ზიდანმა მემუარების წერას მიჰყვეს ხელი და წიგნებიც კი გამოუშვეს. ჟაკეს წიგნს „ჩემი ცხოვრების ვარსკვლავი“ ეწოდება, ზიდანისას კი „ზიდანი — გამარჯვების ისტორია“. ბუკინისტთა შეფასებით, როგორც მწერალი, თურმე ჟაკე სჯობს ზიდანს, ყოველ შემთხვევაში ფრანგთა მთავარი მწვრთნელის ნაშრომი 258 000-იანი ტირაჟით გმოსულა და უმალ გაყიდულა, მაშინ როდესაც ზიდანის წიგნი მხოლოდ 148 000 ფრანგს შეუძენია.

# [illegible]



პოპულარული რუმინული გაზეთის „პროსპორტის“ 20. 000-მა მკითხველმა გასული საუკუნის ყველაზე სექსუალურ სპორტსმენად არგენტინის ნაკრებისა და იტალიის „ფიორენტინას“ ფორვარდი გაბრიელ ბატისტუტა დაასახელა. მეორე ადგილზე ლეგენდარული იტალიელი სამთო მოთხილამურე ალბერტო ტომბა გავიდა, მესამეზე კი — რუსი მოცურავე ალექსანდრე პოპოვი. XX საუკუნის ყველაზე სექსუალურ სპორტსმენ ქალად რუმინელებს გერმანელი მოციგურავე კატარინა ვიტი მიაჩნიათ, მეორე-მესამე ადგილებზე კი ჩოგბურთელები — შესაბამისად არგენტინელი გაბრიელა საბატინი და გერმანელი შტეფი გრაფი გავიდნენ.

# გაიყიდა „მოჭადრაკე“ კომპიუტერი

ერთ-ერთი ამერიკული ავიაკომპანია გახდა გამარჯვებული აუქციონისა, რომელზედაც გაიყიდა კომპიუტერი, რომელმაც ორიოდე წლის წინ აიძულა მსოფლის ჩემპიონი გარი კასპაროვი კომპიუტერთან საჭადრაკო დუელში კაპიტულაცია გამოეცხადებინა. ტექნიკის ამ უნიკალური ქმნილების შესაძენად ავიაკომპანიამ 5,5 მილიონი დოლარი გადაიხადა, მაგრამ როგორც ფირმის წარმომადგენლები აცხადებენ, კომპიუტერი ამ დანახარჯს უახლოეს თვეებში ამოიღებს და შემდეგ მილონობით ეკონომიას მისცემს ავიაკომპანიას. კასპაროვის დამმარცხებელი კომპიუტერი ამიერიდან ავიასალაროების მუშაობას წარმართავს.

# მომდევნო ქართველი პრემიერლიგაში

## რატი ალექსიძეს ინგლისში მუშაობის ნება დართეს

ქართულ ფეხბურთთან დაკავშირებით ამ ბოლო დროს იშვიათად თუ გაიგებ სასიამოვნო ამბავს. გასულ კვირას მართლაც სასიხარულო ფაქტი მოხდა, — ბრიტანეთის შრომისა და დასაქმების დეპარტამენტმა, თბილისის „დინამოს“ ნახევარმცველს რატი ალექსიძეს ქვეყანაში მუშაობის უფლება მისცა, რაც იმის მაუწყებელია, რომ ყოფილი დინამოელი პრემიერლიგის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბის — ლონდონის „ჩელსის“ ღირსებას დაიცავს. „ყოველთვის ვოცნებობდი ინგლისში თამაშზე, „ჩელსი“ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო კლუბია“ — განაცხადა ალექსიძემ.

შეგახსენებთ, რომ იანვრის დასაწყისში, ე.ი. მაშინ, როდესაც ლონდონელთა მთავარმა მწვრთნელმა, იტალიელმა ჯან ლუკა ვიალიმ ქართველი ფეხბურთელის შეძენის სურვილი გამოთქვა, ბრიტანეთის შრომისა და დასაქმების დეპარტამენტმა, ალექსიძეს ქვეყანაში მუშაობის ნება არ დართო იმ მოტივით, რომ მას შარშან ეროვნულ ნაკრებში მატჩების 75%-ში მონაწილეობა არ მიუღია. ლონდონელთა აპელაცია განიხილეს და ფეხბურთელს ქვეყანაში მუშაობის ნება დართეს. კონტრაქტის პირობები ჯერჯერობით უცნობია. როგორც არ უნდა იყოს, პრემიერლიგაში გიორგი ქინქლაძისა და თემურ ქეცბაიას შემდეგ, მესამე ქართველიც ითამაშებს.

# „სპარტაკი“ მეორე ადგილი

მოსკოვში დასრულდა თანამეგობრობის თასის მორიგი გათამაშება. მოგეხსენებათ თბილისის „დინამო“ ტურნირის ორგანიზატორებმა „დ“ ჯგუფში გაამწესეს, სადაც ჩვენთან ერთად დუშანბეს „ვარზობი“, პავლოდარის „ირტიშ ბასტაუ“ და ბიშკეკის „ცაგ დინამო“ გამოდიოდნენ. წაგება-მოგებას რომ თავი დავანებოთ, ასეთ გუნდებთან თამაშიც თავისთავად სირცხვილი უნდა იყოს, მაგრამ ჩვენებმა აქაც „მოახერხეს“ დამარცხება და დუშანბეს „ვარზობთან“ 3:5 წააგეს, „ცაგ დინამოსა“ და „ირტიშ ბასტაუს“ კი ერთნაირი ანგარიშით — 5:2 მოუგეს და „ვარზობის“ შემდეგ ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავეს. ჩემპიონობა კი როგორც მოსალოდნელი იყო მოსკოვის „სპარტაკმა“ მოიპოვა, რომელსაც ტურნირში არც ერთი ქულა არ დაუკარგავს და ფინალში ჩვენს ძველ ნაცნობს მოლდოვურ „ზიმბრუს“ სძლია.

# 50.000$ თითო გოლში



მსოფლიოს 1994 წლის საუკეთესო ფეხბურთელმა, ბრაზილიელმა რომარიომ 1995-დან 1999 წლამდე კლუბ „ფლამენგოში“ 240 მატჩი ჩაატარა და 204 გოლი გაიტანა. „ფლამენგოს“ პრეზიდენტმა სილვამ ახლახან განაცხადა, რომ ყოველ გატანილ გოლში ჭირვეული ფორვარდი 50.000$-ს ითხოვდა და კლუბიც იძულებული იყო ფეხბურთელის მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა. ასე რომ მხოლოდ გატანილი გოლების ხარჯზე, ხელფასისა და სხვა პრემიალურების გარდა, რომარიოს „ფლამენგოში“ 10. 000.000$ მიუღია, მოგეხსენებათ, ამჟამად რომარიო თავისი პროფესიონალური კარიერის სადებიუტო კლუბ „ვასკუ და გამაში“ გამოდის და იქაც საკმაო შედეგიანობით გამოირჩევა. „ვასკუს“ პრეზიდენტი ჯერჯერობით საიდუმლოდ ინახავს, თუ რამდენს უხდის საკუთარ ფორვარდს თითო გატანილ გოლში.

# ბასლერს სასამართლოში იბარებენ

გერმანული ფეხბურთის ვარსკვლავი მარიო ბასლერი მალე სასამართლოს წინაშე წარსდგება. საქმე ის გახლავთ, რომ ქალაქ რეგენსბურგის პოლიცია იძულებული გახდა საქმე სასამართლოსთვის გადაეცა, იმიტომ, რომ ბასლერი დაკითხვაზე არ გამოცხადდა. გასული წლის ოქტომბერში ქალაქის იტალიურ რესტორანთან მომხდარ სერიოზულ ჩხუბში, ბასლერი მთავარი მოქმედი პირი გახლდათ, მაგრამ მისი გასამართლება არავის უფიქრია,სანამ ფეხბურთელი ჩვენების მიცემაზე უარს არ იტყოდა. მთავარ დამნაშავედ ერთ-ერთი პოლიციელი მოიხსენიება, რომელიც თურმე უფასოდ სთხოვდა ფეხბურთელს რომელიღაც მატჩზე დასასწრებ ბილეთებს (გერმანიაშიც ყოფილან გამომძალველი პოლიციელები). ბასლერი ინციდენტის მონაწილეა და გარდა ამისა, ვალდებულია პოლიციას ჩვენება მისცეს. შეგახსენებთ, რომ „სუპერმარიო“ სეზონის წინ უდისციპლინოების გამო „ბაიერნიდან“ გააგდეს და იძულებული გახდა „კაიზერსლაუტერნში“ გადასულიყო.

# ბლატერი გერმანიისკენ იხრება



ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი რომ მოგზაურობის დიდი მოყვარულია, ყველას მოეხსენება. გასულ კვირას იგი ჯერ მოსკოვს ეწვია, შემდეგ კი გერმანიის ქალაქ ლაიფციგს. მოსკოვში ვიზიტის ოფიციალურ მიზეზად პრეზიდენტმა ყოფილი საბჭოეთის ქვეყნების საფეხბურთო ფედერაციების დახმარება და მათ საქმიანობაში უკეთ გარკვევა დაასახელა, თუმცა მთავარი ალბათ მაინც ის გახლდათ, რომ ბლატერმა სასტიკად გააფრთხილა პოსტსაბჭოური კლუბები, — არც იფიქრონ რაიმე დამოუკიდებელ ლიგებში გაწევრიანებაზე. „ის ვინც არ დაემორჩილება ფიფას კანონებს, დაუყოვნებლივ გაირიცხება ორგანიზაციიდან“ — აღნიშნა მან.

აღსანიშნავია, რომ ბლატერი პირადად შეხვდა და ესაუბრა რუსეთის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს, ვლადიმირ პუტინს. მოგეხსენებათ, რუსეთს ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის მასპინძლობის სურვილი აქვს. რუსული პრესის აზრით, ორი პრეზიდენტის საუბარი ამ თემას შეეხებოდა. ფიფას პრეზიდენტს მოსკოვში მიშელ პლატინი ახლდა. დელეგაციამ რუსეთის დედაქალაქიდან გერმანიისაკენ აიღო გეზი, სადაც არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი უნდა განხილულიყო. გერმანია მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის მასპინძლობის ერთ-ერთი რეალური კანდიდატია. საბოლოო გადაწყვეტილება ფიფამ ივლისის პირველ დღეებში უნდა მიიღოს, მანამდე კი ფავორიტი ქვეყნები ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ ფიფა თავისკენ გადაიბირონ. „გერმანიას ამ ბრძოლაში გამარჯვების ყველაზე რეალური შანსი აქვს“ — განაცხადა ზეპ ბლატერმა ლაიფციგში გამართულ გერმანიის საფეხბურთო კავშირის საუკუნოვან იუბილეზე. ფიფას პრეზიდენტის ამ გამონათქვამმა დიდი რეაქცია გამოიწვია ევროპულ პრესაში. როგორც გახსოვთ, ზეპ ბლატერის სიმპათიები ადრე სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისაკენ იხრებოდა, მიზეზად პრეზიდენტს ის მოჰყავდა, რომ „შავ კონტინენტზე“ ჯერ არ ჩატარებულა მსოფლიო ჩემპიონატიო, მაგრამ როგორც ჩანს, ბლატერი ნელ-ნელა მიდის იმ დასკვნამდე, რომ მსოფლიოს უპირველესი სპორტული ფორუმის ჩატარება ფინანსურად და ეკონომიკურად ძლიერ ქვეყანაში სჯობს. ამდენად შესაძლოა, უახლოეს მომავალში ჩემპიონატის მასპინძლობისათვის ბრძოლას სამხრეთ აფრიკა და მაროკო გამოეთიშნონ, ამ შემთხვევაში, გერმანელებს, რომელთა პროექტს თავად ფრანც ბეკენბაუერი ხელმძღვანელობს, ერთადერთი მოცილე — ინგლისი დარჩება. ბლატერის ვიზიტის დროს ლაიფციგში ახალი, 120 მილიონ დოლარიანი სტადიონის აშენებას ჩაეყარა საფუძველი, 2006 წლისათვის ეს ნაგებობა სრულ მზადყოფნაში იქნება.

# ბუბკას ახალი რეკორდის დამყარება სურს

მსოფლიოს ექვსზგის ჩემპიონი ჭოკით ხტომაში, სეულის ოლიმპიადის გამარჯვებული, უკრაინელი სერგეი ბუბკა, რომელსაც 35 მსოფლიო რეკორდი ეკუთვნის, ერთწლიანი შესვენების შემდეგ ისევ დაუბრუნდება აქტიურ სპორტს და სევილიის ზამთრის სტადიონზე გამართულ შეჯიბრებაში მიიღებს მონაწილეობას, რომელიც 2 თებერვლისთვისაა დანიშნული. ბუბკას, რომელსაც 36 წელი შეუსრულდა, უკანასკნელ ხანს სერიოზული პრობლემები აწუხებდა. 1998 წელს ფინეთის დედაქალაქ ჰელსკინკში საკმაოდ რთული ოპერაცია გაუკეთეს, ფორმის აღსადგენად კი წელიწადზე მეტი დრო დასჭირდა. ექიმების რჩევით სპორტსმენმა გამოტოვა მსოფლიო ჩემპიონატი და კარიერის დასრულებას სიდნეიში ოლიმპიადის ტრიუმფალური გამარჯვებით აპირებს.

## №4 (173) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 614 მკითხველი გამოეხმაურა. 3 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 206-მა ქალმა და 405-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„რომელია ყველაზე ლამაზი ქალაქი საქართველოში?“**

რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობის — 77-ის აზრით, თბილისი ულამაზესი ქალაქია საქართველოში. **8,48** საშუალო ქულით დედაქალაქი პირველ ადგილზეა; თუმცა, მინიმალური — 1 ქულით იგი მკითხველთა 2-მა შეაფასა. ეს ალბათ, რესპონდენტთა ის ნაწილია, ვისაც ძალიან სტკივა პრესტიჟული უბნებისაგან განსხვავებით თბილისის დაბინძურებული, ერთ დიდ ბაზრად ქცეული ქუჩები. შემდეგ ადგილზე ბათუმია, საშუალო ქულაა 7,45. მას მინიმალური ქულა მხოლოდ ორმა მკითხველმა (0,33) დაუწერა. ქუთაისი მხოლოდ ერთმა რესპონდენტმა (0,16) შეაფასა მინიმალური ქულით, მაქსიმალური კი — შვიდმა (1,15) დაუწერა. საერთო ქულების რაოდენობით ქუთაისი მესამე ადგილზეა.

რაც შეეხება სოხუმს, რამდენიმე მკითხველმა გულისტკივილით აღნიშნა, რომ იგი საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქი იყო, მაგრამ აღარ არისო... 6,43 საშუალო ქულით სოხუმი მეოთხე ადგილზეა.

ჩვენი მკითხველების აზრით, აქ ჩამოთვლილ ქალაქებს შორის ზუგდიდი, რუსთავი და ზესტაფონი სილამაზით ისე ვერ მოიწონებენ თავს, როგორც თბილისი, ბათუმი და ქუთაისი. ყველაზე მეტი მინიმალური ქულა (46) ზესტაფონმა დაიმსახურა, ყველაზე ნაკლები მაქსიმალური ქულა კი — თელავმა — მხოლოდ ორმა მკითხველმა მიაკუთვნა მას 9 ქულა.




საპრიზოს ზუსტად ექვსი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებულები არიან: 14 წლის ქუთაისელი **შალვა ხელოიშვილი,** 15 წლის ხაშურელი **ზურაბ მაღრაძე,** 66 წლის სურამელი **ლილი ციმაკურიძე,** 15 წლის **ლევან ძაგნიძე,** 26 წლის **მარინე ჯინჭარაძე** და 35 წლის **მიშა გრიგალაშვილი** (სამივე თბილისიდან).

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში სამშაბათს, 1 თებერვალს, 17 საათზე.

## №5 (174) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

**„კვირის პალიტრა“** თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

### 100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება **„კვირის პალიტრის“** მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ *მკითხველის რეიტინგში.*

**№5 (174) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათის, 2 თებერვლის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 3 თებერვლის 13 საათამდე.**

© თბილისი, 1997

**თემა №5 (174) — ნდობა**

**თქვენი აზრით, ვინ იმსახურებს ადამიანთა ყველაზე დიდ ნდობას დღეს საქართველოში** (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას **9** ქულა, მომდევნოს 8 — და ა.შ. 1-მდე.

**№5(174) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | | ქულა |
|---|---|---|
| 1 | პოლიცია | |
| 2 | პრეზიდენტი | |
| 3 | მასობრივი ინფორმაციის დამოუკიდებელი საშუალებები | |
| 4 | არასამთავრობო ორგანიზაციები | |
| 5 | მართლმადიდებელი ეკლესია | |
| 6 | სასამართლო | |
| 7 | მინისტრები | |
| 8 | ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები | |
| 9 | პარლამენტი | |

*მკითხველის რეიტინგი* *

**თქვენი აზრით, თანამედროვე ქართველი პოლიტიკოსებიდან ვინ არის ყველაზე ღარიბი?**

✓ ____________________

____________________
თქვენი სახელი, გვარი

____________________
ქალაქი (რაიონი)

ასაკი ____________ ტელეფონი ____________

**„კვირის პალიტრის“ ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს.**

### მკითხველის რეიტინგის შედეგები

მკითხველის რეიტინგში 522-მა მკითხველმა მიიღო მონაწილეობა. **„ყველაზე მეტად რა საჩუქარი გაახარებდა პრეზიდენტს დაბადების დღეზე?“** — ასეთი იყო კითხვა.

მკითხველთა 3-ს გაუჭირდა კითხვაზე პასუხის გაცემა — ანუ პრეზიდენტისათვის სასურველი საჩუქრის დასახელება. მკითხველთა უმრავლესობის აზრით, ედუარდ შევარდნაძეს ყველაზე მეტად გაახარებდა:



| | | |
|---|---|---|
| 1 | ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა | 36% |
| 2 | ერის მთლიანობა, კეთილდღეობა | 16% |
| 3 | იგორ გიორგაძის თავი | 6% |
| 4 | სამუდამო პრეზიდენტობა | 4% |
| 5 | არძინბას თავი | 3% |
| 6-9 | არჩევნებში გამარჯვება | 2% |
| 6-9 | უცხოური კრედიტები | 2% |
| 6-9 | ხალხის ნდობა, სიყვარული | 2% |
| 6-9 | უბრალო, გულწრფელი მილოცვა | 2% |
| 10 | სინათლე | 1% |

სხვა ორიგინალური საჩუქრების ნუსხა კი ასეთია: სიცოცხლის ელექსირი, ნობელის პრემია, უკვდავების წყალი, ჯადოსნური ლამპარი, „აღორძინების“ გაუქმება, ვიაგრა, თურქული ლამპა, გურული კრიმანჭული, ცოდვების მიტევება, ნატვრისთვალი, „კვირის პალიტრა“, უშაქრო ჩაი, პენსია, ორი ჭკვიანი მინისტრი, თოჯინა-პრეზიდენტი...

## © · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა ·

***გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.***

**რას დაარქმევდით?**

____________________
____________________
____________________
____________________
____________________

თქვენი სახელი, გვარი ____________________

ქალაქი (რაიონი) ____________________



დავით მირცხულავა

**ნ.ლ.** — დილა მშვიდობისა, ქურდებო, აფერისტებო, მექრთამეებო, გამფლანგველებო! გაიღვიძეთ, ადექით, თქვენი სისხლი დავლიე! ადექით, თორემ დაიქცა ქვეყანა...

*(ნ. დუმბაძის „თეთრი ბაირაღების“ მიხედვით.)*

***თეიმურაზი, თბილისი***

„პატარებს ეძინებათ“ ანუ „ძველი გვარდია“ არ თვლემს.

***რიგითი „მოკავშირელი“, თბილისი***

**ნ.ლ.** (ფიქრობს) — მახათიც ველარ გვშველის „სმკ“-ელებს, რითი გინდა ამ უდენობაში, გაერთო კაცი? ნათაძე მაინც გამოივლიდეს, ბორჯომს შევასხამდი.

***უავტორო***

**ნ.ლ.** — აუ, ეს ზაზა რა „მალალიტრაჟკა“ ყოფილა.

***მერაბ ბექაური, თბილისი***

ნიკო ლეკიშვილი ედუარდ შევარდნაძეს:

— ამბროსიჩ, მიშველეთ! ისე ხვრინავს, თუ „კვიჟლი“ არ შეხვდა, გახერხავს პარლამენტს!

***თენგო თალაკვაძე, ნაგომარი***

შემოსალებია ახალი თანამდებობები: ოცნების მინისტრი და ძილის მინისტრი.

***ლუკაშენკო, მინსკი***



ნიკო ლეკიშვილი და ზაზა სიორიძე

***წინა ნომერში გამოქვეყნებულ „ფოტოპალიტრას“ 182 მკითხველი გამოეხმაურა, მადლობას ვუხდით მათ. ვაქვეყნებთ რამდენიმე ორიგინალურ პასუხს.***

**ნ.ლ.** — აუ! რამდენი ნიორი აქ ნაჭამი, პირლია ძილი მაინც არ იცოდეს.

***დათო გაბადაძე, ქუთაისი***

ბიუჯეტი თვლემს,
პარტია „ნე ვიჟუ“-ს პოზაშია.

***ტ. მელიქიძე, თბილისი***

თანამედროვე აკაკი წერეთლები.

***გოგა***

**X** — მოკვდა?

**ნ.ლ.** — არა, ბატონო, წუხანდელი ღამენათევია და ჩაეძინა!

*(კ/ფ „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“)*

***SIMBA, ცენტრიდან***

**ნ.ლ.** — თავი მატკინა იმაზე ფიქრმა, თუ რატომაა „შოკში“ ჩვენი ბიუჯეტი.

ახლა ქვე მივხვდი,
თქვენც ხომ მიხვდით?

***ავთო კაკაბელი, თბილისი***

**ნ.ლ.** — რო შემოგიდია, ბიჭო, თავზე ხელი აკაკი წერეთელივითა, მეწილეებსა ერთხელ არ უნდა შემოუაროო?!

**ზ.ს.** — ამო, ნიკო, შენი წილი დალიე და ნახე თვითონ როგორ შემოგიაროონ...

*(კ/ფ „სიყვარული ყველას უნდა“.)*

***თბილისი***

**ზ.ს.** — (ხმამაღლა ხვრინავს)

**ნ.ლ.** (გამოეღვიძა) — აქა მგონია, იქ არი, იქა მგონია, აქ არი, სიზმარი ველარ მინახავს მაგის უკითხავადა, ვინ დააჯინა ჩემს გვერდზე?!

*(კ/ფ „ნატვრის ხე“)*

***გიორგი სამსიანი, თბილისი***

25 იანვრის მომდევნო დღე
საპრეზიდენტო პახმელია

**ნ.ლ.** — მიშიკო (სააკაშვილს), შვილო, გუშინ 72 ჭიქა ღვინო დალია და ბორჯომი უშველის ამ უბედურს? გაიქეცი აფთიაქში და ორი აბი ვიაგრა ამოიტანე, ვერ ხედავ, თავი უვარდება, რეაქცია დაკარგა, ხელში არ ჩაგვადნეს კაცი?..

***მერაბ ბუჩარი, ჭიათურა***

# მარსთან კავშირი კვლავ გადაიდო

ამერიკის კოსმოსური სააგენტოს ოფიციალური ცნობით, შეწყვეტილია საპლანეტათშორისი სადგურის, „მარს პოლარ ლენდერის" პროექტზე მუშაობა. მისი რეალიზებისათვის დახარჯული 165 მლნ დოლარი დაკარგულია... წითელ პლანეტაზე ატმოსფეროს შესასწავლად გამგზავრებულ სადგურთან კავშირი მოულოდნელად შეწყდა. შემოწმდა ათასამდე ვერსია, კატასტროფის მიზეზი გამოუცნობია.

მარსზე ახალი ორბიტული სადგურის გაშვებას, ახალი „ლენდერი" და სხვა ბევრი რამ სჭირდება.

***



ნუ შეგეშინდებათ, ეს მართლა ახალშობილის თავი არ გეგონოთ...

ეს რობოტი ამსტერდამის კიბერნეტიკოსებმა შექმნეს სპეციალურად კინოგადაღებებისათვის. შედეგმაც არ დააყოვნა — ეს „ქმნილება" მალე ეკრანის ვარსკვლავი გახდება — იდება კონტრაქტები კინოკომპანიასთან.

## ფოტო განწყობისთვის



მერე რა, რომ ფერადები არა ვართ,

ხომ კაი ტიპები ვართ!

### იცით თუ არა, რომ...

... სირაქლემას თვალები მისსავე ტვინზე დიდია

... მთელი თავისი ისტორიის მანძილზე ნილოსი მხოლოდ 2-ჯერ გაიყინა — IX და XI საუკუნეებში.

... ერთი ნაბიჯის გადასადგმელად ადამიანი იყენებს 54 კუნთს.

... მარკ ტვენს დაწყებითი კლასიც კი არ ჰქონია დამთავრებული.

... ჟირაფები ვერ ახველებენ.

... თუ ძაღლი კბილის პასტას ლოკავს, მას ჰალუცინაციები დაეწყება.


## წამალი „სალხინო" — მართლაც ქართული ფლორის საოცრება

თუ გსურთ განიკურნოთ პროსტატიტის, ცისტიტის, ქალური დაავადების და სხვა შარდსასქესო ორგანოების დაავადებებისაგან, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, სათესლე ჯირკვლებში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, სქესობრივი კავშირის დროს თესლის ნაადრევი გამოყოფა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ წამალი „სალხინო" და მოგიხსნით ამ პრობლემებს. „სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

„სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტი, გასტრიტი, ნეფრიტი, გინგივიტი, სტომატიტი, ბრონქიტი და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. „სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი „სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს — მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ „სალხინოს" სამკურნალო და პროფილაქტიკური თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანის და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ და რეგისტრირებულია, მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია. იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

ჩვენი მისამართია: დავით აღმაშენებლის 115, პოლიციის ეზოში, ფირმა „სალხინო"


„კვირის პალიტრის" უფასო განცხადების ქვითრით შემოსული განცხადებები გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის" დამატებაში — გაზეთში „სიტყვა და საქმე" (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე" არანაკლებ ეფექტიანია).

„კვირის პალიტრაში" კი, ქვეყნდება მხოლოდ ფასიანი განცხადების ქვითრით შემოსული განცხადებები, რომლებიც იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 4 ლარი — 20 სიტყვა).

„უფასო განცხადების ქვითარი" ჩააგდეთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთებში. ყუთები იცლება: თბილისში — ხუთშაბათობით 13 საათიდან. მათი განთავსების ადგილებია მეტროების — „მარჯანიშვილი"; „ვაგზლის მოედანი"; „თავისუფლების მოედანი"; „რუსთაველი"; „ღრმაღელე"; „ნაძალადევი"; „ახმეტელი"; „ავლაბარი". „300 არაგველი". „ვარკეთილი"; „სამედიცინო ინსტიტუტი". „პოლიტექნიკური". „ისანი"; „სამგორი"; „გოცირიძე"; — მიმდებარე ტერიტორიაზე; დოლიძის ქუჩის კუთხეში; გამსახურდიას და ვაჟა-ფშაველას პროსპექტების გადაკვეთაზე, საბურთალოს ბაზრის შესასვლელთან; ქავთარაძის ქუჩაზე — იზოტოპების ინსტიტუტთან და ბოლო გაჩერებაზე, ორთაჭალაში — გორგასლის ქუჩაზე (ციხესთან); დიდუბის ავტოსადგურთან; დიღმის მასივში პოლიკლინიკის წინ, დიდ დიღომში, იოანე პეტრიწის ქ. №3 — სურსათის მაღაზიის წინ; მე-3 მ/რ-ნი, მე-15 კორპ. წინ — ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის გამზ. გადაკვეთაზე, ბანკის წინ, ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლის გამზ. მუსკომედიის წინ, გაჩერებასთან; წერეთლის გამზ. გამოფენის წინ, გაჩერებასთან; დიდუბის მეტროს წინ, „სამთო ქიმიის" გაჩერებასთან; დიღომში — მევობრობის გამზ. მილიციასთან; უნივერსამის მიმდებარე გაჩერებასთან; ვაკეში — კავსაძის ქუჩაზე; ბაგებში — გაჩერებასთან. წყნეთის ქუჩა; კეკელიძის ქუჩა.

*ქალაქებში და რაიონებში:* რუსთავი, მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, თერჯოლა, სამტრედია, აბაშა, ლანჩხუთი, სენაკი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, საგარეჯო, სიღნაღი, ახმეტა, წნორი, ლაგოდეხი, ყვარელი, გურჯაანი, თელავი — *არსებული „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთები იცლება ოთხშაბათობით, 10 საათიდან.*

ყურადღება: „კვირის პალიტრის" (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©

## (5) უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ____________________

____________________

____________________

____________________

____________________

____________________

სიტყვა და საქმე

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)*

*გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება*

№5 ქვითარი „კვირის პალიტრის" ყუთებში ჩააგდეთ 3 თებერვლის (ხუთშაბათი), 13.00 სთ-მდე.



**თარაზულად:** 2. ზღვის ცხოველი; 6. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ზოგადი სახელწოდება რუმინეთში; 10. სწორი ხაზი; 11. ტალღისებური ნაკეცების გაკეთება ქსოვილზე, თუნუქზე... 12. პატრონი, მესვეური (აშშ-ში); 13. ქვემოდან ზემოთ; 14. ძველად გავრცელებული უყელო ან დაბალყელიანი ფეხსაცმელი; 17. ერთ-ერთი, რამდენიმე ღარიდან, რომელიც ამოღარულია ლილვზე მასზე დეტალის წამოსაცმელად კბილა შეერთებისას; 18. ვრცელი წიწვოვანი ტყე ევროპის, აზიის და ამერიკის ჩრდილოეთ ნაწილში; 19. გადამდები დაავადება (სასაუბრო სიტყვა); 21. სატრანსპორტო საშუალებათა საერთო რაოდენობა; 25. ებრაელთა კულტმსახური; 26. დიდებულთა მემკვიდრეობითი წოდებულება ესპანეთში 1931 წლამდე; 28. მოხეტიალე პოეტი-მომღერალი ძველ საფრანგეთში; 30. ისტორიული ოლქი აღმოსავლეთ საფრანგეთში; 34. ფეოდალური ჩინეთის უმაღლესი სახელმწიფო მოხელე ევროპელთა სიტყვა-ხმარებაში; 36. ინგლისელი გამომგონებელი, რომლის გვარის მიხედვით მოიხსენიებენ ცეცხლგამტარ ზონარს (ფეთქებადი ნივთიერებების ასაფეთქებლად); 37. საქართველოს რესპუბლიკის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი.

**შვეულად:** 1. რუსეთის ნავთობკომპანია; 2. ქათმის ადგილობრივი ჯიში საქართველოში (პატარაა და ჭრელი); 3. ცნობილი ამერიკელი (წარმოშობით გერმანელი) კინოვარსკვლავი; 4. ფოლადის დრეკადი ზოლი ან მავთული; 5. თანამედროვე ქართული თეატრის ფუძემდებელთაგანი; 7. არქიტექტურული ძეგლის, არქეოლოგიური ნივთის... პირვანდელი სახით აღმდგენი; 8. ვინც იჯარით აღებულ ან საკუთარ მიწის ნაკვეთზე ეწევა მეურნეობას (კაპიტალისტურ ქვეყნებში); 9. ერთი დებულების მეორით შეცვლა თაღლითურად; 15. ვისიმე შეცდომის ან დანაშაულის სააშკარაოზე გამოტანა; 16. რუსი თერაპევტი და საზოგადო მოღვაწე, კლინიკურ მედიცინაში ფიზიოლოგიური მიმართულების ფუძემდებელი; 20. დედამიწის ქერქის წიაღისეული, მინერალური შრე; 22. ნივთიერება, რომელიც მიისწრაფვის, თანაბრად მოიცვას სივრცე (ზოგადი ტერმინი); 23. სიტყვა, რომლითაც ზოგადად ახასიათებენ ისეთ ქუდიან საჭმელ სოკოებს, როგორებიცაა: მტრედიო, წითლიო, ხახვილო... 24. პურეული მცენარე; 27. საგანგებო სასამართლო; 28. მტკიცე ქსოვილისაგან შეკერილი პატარა სათავსი; 29. ადგილი (ძველ საბერძნეთსა და რომში), საიდანაც ფილოსოფოსები და რიტორები სიტყვას წარმოთქვამდნენ; 31. ხელოვნური ენა, ესპერანტოს ვარიანტი; 32. ქართული გაზეთი; 33. რთული სიტყვის ნაწილი, რომელიც აღნიშნავს ცხოველთა სამყაროსთან დამოკიდებულებას; 35. ერთ-ერთი პერსონაჟის მეტსახელი „დიდოსტატის მარჯვენაში".

## წინა კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 7. რეკვიემი; 8. ხამურაბი; 9. ლოცია; 10. ანდრე; 13. გერტრუდა; 14. სტაფორდი; 15. ხარიხა; 16. ელტონი; 19. „დავიფიცებ"; 21. გედეხაური; 22. შუღლი; 23. ფაზა; 25. ბაკი; 27. ლაისტი; 29. ხუჯაბი; 31. კანტორი; 33. შნეკი; 34. იორდანე; 38. უზანგი; 39. უანდერი; 41. ნახირი; 42. ალბიონი; 43. ცარიზმი.

**შვეულად:** 1. მეც; 2. კვარტერონი; 3. ხმა; 4. ხაო; 5. ტრასოლოგია; 6. აბდ; 11. სულხანიშვილი; 12. პარლამენტარი; 17. ფანზა; 18. ორხაო; 20. ბულიონი; 21. გლახაკი; 24. ასპარეზი; 26. კადნიერი; 28. აკრედიტება; 30. ბიოსინთეზი; 32. ტექნიკა; 35. დომხალი; 36. საუცხოო; 37. მეიჯორი; 40. დო;

*გ. გასიტაშვილი*


წინ მთელი წელი და დიდი სიამოვნებაა

იანვარი

31

2000

ორშაბათი

კვირის პალიტრა



ნეკრესი VIს

„კვირის პალიტრის" კედლის კალენდარი

არ დააგვიანოთ! შეიძინეთ! იგი მთელ მე-2000 წელს გაგილამაზებთ...


# კახეთის აჯანყება

„შფოთისა და მღელვარების ნაპერწკალი პირველად ამოვარდა ს. ახმეტას, 31 იანვარს 1812 წლისა. აქედან ამბოხების ალი მოედო კახეთს, გადავარდა შუაგულ ქართლში, დასავლეთით უწია ოსეთს და მიუახლოვდა ტფილისს. მღელვარების ცეცხლსა და ბოლში გაეხვია ქიზიყი, შეიტრუსა ზაქათალა და თითქმის შექის სახანოს მიაღწია აჯანყებამ", — მოგვითხრობს ალექსანდრე ყიფშიძე-ფრონელი.

*← „კვირის პალიტრის" კედლის კალენდრიდან*


palitra@access.sanet.ge

„კვირის პალიტრა" გამოდის ორშაბათობით